კვირის პალიტრა

ფეხი

N13 27/III-2 ფასი 80 თეთრი

„იურმალის“ ახალი ქართველი მონაწილეები

ვინ წარმოადგენს ქვეყანას პრესტიჟულ კონკურსზე

ვინ შეარცხვინა „ბრეჩიხა“

და რას გადაურჩა ის

თიკა კანდელაკს მილიონდოლარიანი ბინა აჩუქეს

როგორ დავძლიოთ სილარიბე

...ფასები ისევ გაიზრდება

„ შვიდი დღე“ თეთრ ზვიგენთან ერთად და შიშის მომგვრელი სიურპრიზი „ახალი დროებისაგან“

ISSN 1987 - 5029

11 ათასი საათი ჰაერში და გაგუშვერას აეროპორტში მილეგზული შოკი

საბა SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info@saba.ge (+995 32) 38 44 54

№13 (407)
27 მარტი -
2 აპრილი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

დაელოდეთ!



ბესტსელერ „მგლების“ ავტორისაგან

„...ომში დაიკარგა მუროჩი... არ სჯეროდათ მისი დაღუპვისა... ოცი წლის მერე დაუბრუნდა მშობლიურ მთას... უცხო და უჩვეულო ცოდნა შეეძინა ფხოველს: შიშველი ხელით შეეძლო კაცის განკურნებაც და მოკვლაც. მაგრამ ყველაზე უცნაური სხვა თვისება თუ ცოდნა შეეძინა. დროდადრო, როცა ძალიან უჭირდა ფხოვს, მის თავზე მფრინავ ჯვარს ხედავდნენ. შედედებული სისხლისფერი ყოფილა ის ჯვარი, ისეთივე ფერის, როგორც ფხოველის სამოსზე მოქარგული ჯვარი... დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მთას დაიაურმა და იმ ჯვარმა... მერე დიდგორის ომი მომხდარა. მასაც არ გამოკლებია. თავის გაწვრთნილ მეომრებთან ერთად შეერთებია ქართულ ლაშქარს...“

d i d g o r i s
caze frenda
is jvari

მალე!

„გზის“ ფურცლებზე გოჩა მანველიძის ისტორიული რომანი

„პოეზიის დედოფლის“ იდუმალი სამყარო

დაბოლოს, როგორ ახასიათებდა საკუთარ თავს ანა კალანდაძე? „ადამიანის ხასიათს არავინ იცნობს, არც ახლობლებმა იციან რამე. ორასი წლის შემდეგ რომ ენდობიან ხოლმე ცნობილი ადამიანების ახლობლების მოგონებებს, ამისი არ მწამს. დედაჩემმა არ იცოდა ჩემი ხასიათი და სხვაზე რა უნდა ვთქვა?! ამაზე სმირად მიფიქრია. ჩემი ხასიათია ის, რომ თხოვნა და არავის შეწუხება არ მიყვარს. ჩემი ყველა წიგნიც გამომცემელთა ინიციატივითაა გამოსული“...

72

■ მინიატიურები
ჯელედომხალი — 2008 ანუ „ვუყუროთ — არ ვუყუროთ, ვუყუროთ — არ ვუყუროთ“ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„საქართველოში აუცილებლად უნდა მოხდეს კიდევ ერთი რევოლუცია“... 6
■ აქცია
„„კათოლიკოს-პატრიარქმა ჩვენი ბიჭები სიკვდილისაგან იხსნა“ 7
■ კონკურსი
✓ბავშვობის მეგობრები, შემოქმედებითი ტანდემი და იგორ კრუტოის ქათველი ფავორიტები 10
✓რატომ „დაბლოკეს“ სალომე გასვიანი და რა მოხდა „იურმალის“ შესარჩევ ტურზე 12
■ ჟურნალისტის როლში
ვინ „სწერს“ წერილებს ბრიჟიტ ბარდოს და ცხოველების „ხმალამოღებული“ დამცველი 14
■ საზღვრებს მიღმა
✓თინა კანდელაკს ქმარმა მილიონდოლარიანი პენტჰაუზი აჩუქა 16
✓ირაკლი ფირცხალავას შოპსტრესი! 16
■ კრიმინალი
14 წლის გოგონას გაუპატიურებისა და გატაცებისთვის 3 ახალგაზრდას განაჩენი გამოუტანეს 17
■ თემა
✓როგორ დავძლიოთ სიღარიბე 18
✓ეკონომიკური კრიზისი და საქართველო 21
■ ტკივილი
„ღმერთო, ამიხდინე სიზმარი!..“ 23
■ მაღლი
მსოფლიო ვარსკვლავები — ქართველი ბავშვების სამსახურში 24
■ ერუდიტი
ყველაზე მაგარი მგელი მსოფლიოში და ყველაზე მაგარი „კაცი“ 26

ეკონომიკური კრიზისი და საქართველო

„როდესაც სიღარიბის დაძლევაზე ვლაპარაკობთ, ის მაინც დავადგინოთ, თუ რამდენი ღარიბი ადამიანი გვყავს ქვეყანაში“.

21

■ პროფესია
ზეცაში გაბარებული 11 ათასი საათი... 28
■ თინეიჯერული პონტები
✓ თავში ნასროლი ვაშლი და შუბლზე გაჩენილი კოპი 30
✓ „ნათქვამია: ეჭვიანობა დიდმა სიყვარულმა იცისო...“ 32
■ ანტიდეპრესანტი 34
■ არაჩვეულებრივი „გამოფენა“
ორიანს გადარჩენილი, მაგრამ შერცხვენილი ფრიადოსანი, კარნახის დიდოსტატი „ბრეჩიხა“ და მისი ქიმიის მოყვარული კლასელები 34
■ ჯანმრთელობა
ჭორფლი — „მზის წინწკლები“ თუ „ყოველწლიური უსიამოვნება“ 37
■ ჟურნალი ჟურნალში
გზავნილები 39-70
■ საქმე
პოპულარული, მაგრამ „სახელგატეხილი“ თექა ანუ რატომ ფუჭდება თანამედროვე ტანსაცმელი იოლად 71
■ შტრიხები
„პოეზიის დედოფლის“ იდუმალი სამყარო 72
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. ქარის საიდუმლო... (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ ნიღბები ტუჩების მოსავლელად 80
✓ ჩანთა და ქალის ხასიათი 80
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ ნამდვილი ამბავი
„რიქა“ ზურიე 86
■ ტაძარი
ტაძარი, რომელშიც თამარ მეფეს დაუწერია ჯვარი 88
■ პრობლემა
თანასწორობის მოქადაგე ქალბატონები და აფრიკაში აღმოჩენილი ღომი 89
■ ელიტა 91
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 94
■ ასპარეზი
ქართველმა ფეხბურთელმა „ლოკომოტივის“ გულშემატკივრები განარისხა 96
■ საპატარძლო
„შენ გამო პლასტიკური ოპერაცია როგორ გავიკეთო?..“ 97
■ სპორტული მოზაიკა 100
■ ავტო 102
■ პროგნოზი 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

— ესე იგი, მოვრჩით, — ამ სიტყვებთან ერთად, აფხაზმა ბოთლში ჩარჩენილი არაყი გამოცალა და თქვა: — ცოტა კიდევ დამალევინე და მერე, რაც გინდა, ის მიქენი. მარტო ერთ რამეს გთხოვ: მაგ ნაბიჭვართან ერთად ნუ დამბრიდავ!..

ამის გაგონებაზე, ნოვაკი ულონოდ დაეშვა იატაკზე, მოიკუნტა და ატირდა.

ლუკამ ზიზღით გახედა. მერე ისევ ტარბას მიუბრუნდა:

— რა, არ გეკადრება?.. რითი განსხვავდებით ერთმანეთისგან?!

— მე შენთან არასოდეს მქონია კარგი ურთიერთობა, სწორად თუ არასწორად — შენ და შენმა ძმაკაცმა ჩემი ბიძაშვილი დაბრიდეთ!..

ხელოვნება – 2008

ანუ „ვუყურით – არ ვუყურით, ვუყურით – არ ვუყურით“

იპოლიტე ხვიჩიას პერსონაჟის არ იყოს, ქათმის ჭირი გამიგია, ღორის ჭირიც გამიგია, მაგრამ ტელევიზიების ჭირი, მომკალით და არ გამიგია. არადა, იყო დრო, როცა მარტო თბილისში, ქალაქის თუ რესპუბლიკის მასშტაბით, 7-8 ტელევიზია ფუნქციონირებდა და საიდან გაჩნდა ან ვინ გააჩინა ეს ოხერი „ტელეჭირი“, არავინ იცის: მოკლედ, ზოგი გაკოტრდა, ზოგი არ გაკოტრდა, მაგრამ, — ათას ცოცხალსაო... — ისე დაემართა. ზოგი დახურეს, ზოგი თვითონ დაიხურა და შეგვრჩა მხოლოდ ოთხი ტელეარხი. აქედან ერთი მხოლოდ თბილისში უჩვენებს, დანარჩენი სამი მთელ საქართველოში უჩვენებს, მაგრამ რას უჩვენებს, ეგ კიდევ საკითხავია.

პოლიტიკური მოვლენების გაშუქების ობიექტურობაზეა ლაპარაკი, როგორც მიხვდით, თორემ გასართობ პროგრამებსა და სერიალებს ყველა ობიექტურად „აშუქებს“ და ჯერ არ მინახავს ოპოზიციონერი, „რუსთავი 2“ იმისთვის გაეკრიტიკებინოს, ალეხანდროსა და ლაურას ურთიერთობას სააკაშვილის დაკვეთით ტენდენციურად უჩვენებსო...

ბოლო-ბოლო, „ორი სიმართლე არ არსებობს“ — სრული ჭეშმარიტებაა და ვინ ოხერს აქვს ამხელა პრეტენზია, მაგრამ ერთი სიმართლის ღირსიც ვეღარ გავხდით?! ერთი სიმართლე ხომ არსებობს, რომელსაც რომელიმე ტელევიზია იტყვის. ოპერატიულობითა და ინფორმაციული დახვეწილობით, აშკარად, „რუსთავი 2“ გამოირჩევა, მაგრამ რად გინდა, კიდევ ერთი ბოიკოტი გამოუცხადა ერთიანმა ოპოზიციამ, კიდევ ერთხელ სააკაშვილის მონებად მონათლა ყველა ჟურნალისტი და წაუმუჯლუგუნა კიდეც. ოპოზიციას მაინცდამაინც რომ არ სწყალობს ეს არხი, ფაქტია, მაგრამ როგორც აშუქებს, ხომ აშუქებს შენს სათქმელს. საერთოდ რომ არ გააშუქებინებ, ამით რას მოიგებ?! ამ მთავრობას დედა აგინე, „მოვალისის“ რეკლამასავით ყოველ წუთში სამჯერ დაატრიალა; ისტორიულ სანაგვეზე უნდა წავიდესო, ესეც ხშირად გაიმეორა; შიმშილობ — შიმშილობსო, შეწყვიტე — შეწყვიტაო, თქვა, ერთიან ეროვნულ საბჭოს „რესპუბლიკელები“ რომ გამოეყვნენ, გამოეყვნენ და საბჭო დასუსტდაო, თქვა... აი, ეს „დასუსტდა“ არ უნდა ეთქვა, ალბათ და აღარ იქნებოდა ტენდენციური(?!)...

ისიც მართალია, რომ ოპოზიციონერთა თქმის არ იყოს, ეს ტელევიზია განსაკუთრებულ დროს ხელისუფლების კაიკაცობის გაშუქებას უთმობს. რა ქნას, მთავრობა აფინანსებსო, ამბობთ და чей хлеб ем, того и хвалю-ო, ნათქვამია და ვერც გაამტყუნებ. რაც ხდება ქვეყანაში პოზიტიური, პენსიის გაზრდიდან ნატოს ბუქარესტის სამიტამდე, კი არის აღნიშვნის ღირსი და თუ ესეც არ უნდა აღინიშნოს, ასეთი „კავკასია“ გვაქვს და ვუყურებთ კიდეც. იქ მეორე ანუ საპირისპირო ფრონტია გახსნილი და თავში აგური რომ ურტყა, ქვეყანაში რაღაც კარგი ხდებაო, ვერც სტუმარს ათქმევინებ და ვერც მასპინძელს. ასეა, მაქსიმალისტები ვართ ქართველები და საშუალო (სწორი) პოზიციის დაჭერა არ შეგვიძლია — პოლიტიკოსები კი არა, ხალხიც ასეთი ვართ: ან „ვაი“ უნდა ვიძახოთ, ან — „ვაშა“. თუ მთავრობამ „ვაშას“, დამსახურებამდე ვერ გაქაჩა, „ვაი“ აგერ არ გვაქვს?!

ეს ორი, პოლუსურად განსხვავებული ტელეპოზიცია, წესით, საზოგადოებრივმა არხმა უნდა დააბალანსოს, მაგრამ მაგის იღბალი ვინ მოგვცა?! დღემდე კასტინგები მიმიდინარეობს და ვინ მართავს ხვალ ამ ტელევიზიას, მიუხედავად ცხრაკაციანი სამეურვეო საბჭოს „ძლივს არჩევისა“, არავინ იცის. თუმცა რატომ? ერთმა კაცმა ალბათ უკვე იცის, რა თქმა უნდა, იმ კაცს ვგულისხმობ, ლეიბორისტები რომ „პოლიტიკურ გველეშაპს“ ეძახიან...

მოკლედ, ალბათ დადგება ის დღეც, როცა საზოგადოების გადასახადებით მოსულდგმული არხი საზოგადოებისვე აზრის გამოხატვას გაბედავს და თან ტელეპროფესიონალურად გაბედავს, მანამდე კი „იძინე მშვიდად, ფასადზე გველმიხატულო მძინარე მზეთუნახავო“...

და ბოლოს, ტელევიზია, რომელიც დახურვამდე ყველაზე რეიტინგულ ტელეარხად მიიჩნეოდა — „იმედი“ და რომლის თანამშრომლების თავზეც ღამის წისქვილის ქვაც დატრიალდა, მალე გაიხსნება, რადგან გამოჩნდა ის, ვისაც მთელი ერი ასე „მოუთმენლად“ ელოდა — მისტერ ჯოზეფ ქეი (სულ ვფიქრობდი, სად არის, ნუთუ მას ერთი ტელევიზია არ უნდა ჰქონდეს-მეთქი?!). როგორი იქნება ახალი „იმედი“ და ვის „სიმღერას იმღერებს“ ჯოზეფ ქეის ტელევიზია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მაგრამ ოღონდ გაიხსნას და მერე რაღაც გამოჩნდება. მანამდე კი ტელემაყურებელმა, რომელსაც სურს გაიგოს, რა ხდება მის თავს, უნდა იმკითხაოს — „ვუყურო — არ ვუყურო, ვუყურო — არ ვუყურო“; მერე რა, რომ გვირილა ჯერ არ გაშლილა?! თმა, ბატონებო, ნერვულ ნიადაგზე, თმა!..

P.S. სამსახურიდან დაბრუნებული ქმარი ეუბნება ცოლს:

— აბა, მომიყევი, რა ნახე ტელევიზორში, პოლიტიკაც მაინტერესებს და სერიალიც, ოღონდ უცებ მომიყევი.

— უცებ ასე მოგიყვები: „მემარჯვენეები“ და „კონსერვატორები“ ძმები აღმოჩნდნენ და როცა „კონსერვატორებისა“ და „რესპუბლიკელების“ სიყვარულის საიდუმლო გამჟღავნდა, მაშინ თქვეს „მრეწველებმა“.

— კი, მაგრამ ლეიბორისტები?

— ლეიბორისტები ნაშვილები ყოფილან!..

პროვოკატორი

„საქართველოში აუცილებლად უნდა მოხდეს კიდევ ერთი რევოლუცია“...

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად, საზოგადოების ძირითადი ნაწილი, პარლამენტის წინ, ოპოზიციის მიერ გამართულ შიმშილობას მიიჩნევს — ზოგი ამ ფაქტს დადებითად აფასებს, ზოგს კი პირიქით, მიაჩნია, რომ ხელისუფლება სწორად მოიქცა, როცა მისთვის მნიშვნელოვან საკითხებში დათმობაზე არ წავიდა.

ნათია ქივიძე

ანა ბებურიშვილი, *დიასახლისი, 56 წლის:*

— იმაზე მნიშვნელოვანი რაღა უნდა მოხდეს, რაც პარლამენტის შენობის წინ ხდება?! მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოშიმშილე სიკვდილის პირას მივიდა, ხელისუფლება მაინც ხელს არ ანძრევდა. ზვიად ძიძიგური მომაკვდავი გადაიყვანეს საავადმყოფოში. მიხეილ სააკაშვილი კი იმ დროს, კახელ გლეხებთან საუბრით იყო გართული. ოღონდ არჩევნებზე ხმა მისცენ და რას აღარ აკეთებს. ახლა დიზელს არიგებს. არჩევნები რომ არ იყოს და ხალხს ისე დაეხმაროს, არ შეიძლება?! ჩვენს ქვეყანას აღარაფერი ეშველება. ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ მის სათავეში მიხეილ სააკაშვილი იქნება...

ნანა ბუაჩიძე, *ინჟინერი, 42 წლის:*

— ძალზე ამაღელვებელი იყო პარლამენტის წინ მოშიმშილეების ყურება. ხელისუფლების წარმომადგენლებს გული არ აქვთ?! როგორ იძინებენ და როგორ ჭამენ, როცა ხედავენ, რომ ხალხი ღამეებს ღია ცის ქვეშ ათევს და შიმშილისგან სიკვდილის პირას მიდის?! საქართველოს პატრიარქმა ოპოზიციონერებს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. ოპოზიციონერებმა მას დაუჯერეს, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ხომ მოუწოდა დათმობისკენ?! ხელისუფლება პატრიარქსაც არ სცემს პატივს. როგორ შეიძლება, ადამიანმა მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქროს. მით უფრო, თუ ის ადამიანი ქვეყნის პირველი პირია?

ვაჟა უჯმაჯურიძე, *ფიზიკოსი, 59 წლის:*

— ოპოზიციის წარმომადგენლები ძალიან მაღიზიანებენ. ვის აშინებენ თავიანთი შიმშილობით?! რატომ უყენებენ ხელისუფლების წარმომადგენლებს ულტიმატუმებს?! ჯერ ლევან თარხნიშვილისა და თამარ კინწურაშვილის გადადგომას მოითხოვდნენ. ხელისუფლებამ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორი ხომ მათი მოთხოვნით გაათავისუფლა?! ეს არ იკმარეს და ახლა ნინო ბურჯანაძის გადადგომაც მოითხოვეს. ძალიან კარგად იქცევიან სააკაშვილიცა და ბურჯანაძეც, რომ მათ მოთხოვნებს არაფრად აგდებენ, კიდევაც ბევრი დაუთმეს. პრეზიდენტი ქვეყნისთვის არაფერს აკეთებსო, ამბობენ. აბა, ვინ აღადგინა მოსკოვში პირდაპირი რეისი?! ეს ადამიანი ცდილობს, რომ ცუდი ურთიერთობა არც რუსეთთან გვქონდეს და არც — სხვა რომელიმე ქვეყანასთან. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში, რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა ისევ შესაძლებელი გახდება და ამით ქართველ ხალხსაც ეშველება და საქართველოს ბიუჯეტსაც...

ნინელი ბარქაია, *დიასახლისი, 47 წლის:*

— აღმაშფოთებელ და გულდასაწყვეტ მოვლენებს რა გამოლევს საქართველოში. ცუდია, რომ მოშიმშილე ოპოზიციონერები ცუდად გახდნენ. გარდა ამისა, საშინელებაა, დასავლეთ საქართველოში წყალდიდობები რომ დაიწყო. რა თქმა უნდა, ამ პრობლემაზე ზოგიერთებივით ვერ ვიტყვი, რას გვიშვრება ეს სააკაშვილი-მეთქი. ეს სტიქიური უბედურებაა და ყველაფერს მას არ უნდა აბრალებდნენ. ყველა მინისტრი მობილიზებულია. დასავლეთის მცხოვრებლები უყურადღებოდ არავის მიუტოვებია და ცდილობენ, მათ შეძლებისდაგვარად დაეხმარონ... ადამიანებს პირველ რიგში, კარგის დანახვა უნდა შეეძლოთ.

ლიკა ძარდავა, *სტუდენტი, 21 წლის:*

— საერთოდ, აპოლიტიკური ადამიანი ვარ. ვცდილობ, პოლიტიკურ საკითხებში არასოდეს ჩავერიო და ამაზე კომენტარსაც არასოდეს ვაკეთებ. სიმართლე რომ გითხრათ, მაქსიმალურად თავს ვარიდებ ამაზე ფიქრსაც კი. რატომ? ვინც პოლიტიკაზე ფიქრობს, ეს ყველაფერი ნერვების ფასად უჯდება. თუ ადამიანი პოლიტიკოსების გარემოცვაში არ არის, მაშინ ვერც ვერასოდეს გაიგებს, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი... კომენტარს კი „რუსთავი 2“-ის ახალ რეალურ შოუზე, „ვარსკვლავების აკადემიაზე“ გავაკეთებ, რადგან ეს მართლაც აღმაშფოთებელი და გამაღიზიანებელია. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყანა „ჯეობარის“ წინააღმდეგი იყო, ისევ ის პროექტი მირჩევნია. ამ ნიჭიერი ხალხით სავსე ქვეყანაში, სად მოძებნეს ამდენი უნიჭო?! სირცხვილია! სიმღერა არც ერთმა მათგანმა არ იცის და უსმენოდ ჭყავიან. მათ ვერც ამერიკიდან ჩამოყვანილმა ცეკვის პედაგოგმა უშველა რამე. ისეთ ილეთებს აკეთებენ, უნდა იჯდე და იცინო, სატირალი რომ არ იყოს. რაში გადაყაროს ფული „რუსთავი 2“-მა, აღარ იცის. არ სჯობია, ეგ თანხა გაჭირვებულ ადამიანებს გადაურიცხონ?!

გიორგი დათუნაშვილი, *პენსიონერი, 74 წლის:*

— მაგას რა მიხვედრა უნდა, რომ გასულ კვირას, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ოპოზიციონერთა შიმშილობა იყო? ტელევიზორის ჩართვის მეშინოდა, ვფიქრობდი, რომელიმეს სიკვდილის ამბავი არ გამოაცხადონ-მეთქი. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები კი გამწარებულები, წინასაარჩევნოდ ემზადებიან და სულ არ ადარდებთ, ხალხი სიკვდილის პირას იქნება მისული თუ — არა. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი, ის რომ არ მისულიყო და ამ ამბავში არ ჩარეულიყო, არავინ იცის, ეს შიმშილობა რა შედეგით დასრულდებოდა. კობა დავითაშვილმა გამოაცხადა, თუ ამ არჩევნებსაც გააყალბებენ, რევოლუციას დავიწყებთო. არჩევნები, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც გაყალბდება. რევოლუციის მომხრე კი ნამდვილად ვარ. სააკაშვილიც ხომ ამ გზით მოვიდა ქვეყნის სათავეში და ახლა საკუთარ თავზე იწვნიოს, როგორია, სავარძლიდან რომ ააყენებენ და საკუთარი ნების წინააღმდეგ, კანცელარიიდან გააბრძანებენ. საქართველოში აუცილებლად უნდა მოხდეს კიდევ ერთი რევოლუცია... ისე, სიმართლე რომ გითხრათ, სააკაშვილი არ მომწონს, მაგრამ მისი ადგილი ვინ უნდა დაიკავოს, არ ვიცი, რადგან მიუხედავად ჩემი დიდი სიმპათიისა, ოპოზიციის წარმომადგენლებში მაინც არ მეგულება კაცი, რომელიც ჩვენს ქვეყანას კარგ პრეზიდენტობას გაუწევს...

■

გაერთიანებულმა ოპოზიციამ შიმშილობა შეწყვიტა, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას კვლავაც აპირებს და სახალხო აჯანყებითაც კი იმუქრება. ეროვნული საბჭოს წევრები და „ახალი მემარჯვენეები“ საპროტესტო აქციების გამართვას გაერთიანებული ძალებით გეგმავენ. საჭიროების შემთხვევაში, არც რადიკალური ზომების მიღებას მოერიდებიან. მართალია, მათ მიერ შიმშილობის შეწყვეტას, ოპოზიციის მხარდამჭერთა ერთი ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა, მაგრამ ნაწილი ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა და კვლავაც მხარდაჭერა აღუთქვა...

პატრიარქმა მოშიმშილეებს სეფისკვერი საკუთარი ხელით გაუწოდა და შიმშილობა უზენაესი ძალაუფლებით, შეაწყვეტინა

„კათოლიკოს-პატრიარქმა ჩვენი ბიჭები სიკვდილისაგან იხსნა“

„თითოეული ხმის დასაცავად ვიბრძოლებთ და მოსახლეობასაც ამისკენ მოვუწოდებთ“

ხათუნა ბახტურიძე

ვანსულ ჩარკვიანი, *მწერალი:*

— მოხარული ვარ, შიმშილობა რომ შეწყვიტეს. საქართველოს არ ჰყავს დასაკარგავი შვილები. ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხელისუფლებას, საკუთარი თავის გარდა, ყველა ფეხებზე ჰკიდია. ზვიად ძიძიგური მომაკვდავი იყო, აქციიდან რომ გაიტანეს! ასე რამ გაუქვავათ გულები?! გაოცებული ვარ — რა მშვიდად უყურა ხელისუფლებამ მოშიმშილე ქართველებს. 76 წლის კაცი ვარ და მსგავსი არაფერი მინახავს. საოცრად დიდი ბოროტებისა და ცინიზის მომსწრე გავხდი. ეს ხელისუფლება გვიცხადებს, — მე ვარ და ჩემი ნაბადი, რასაც მინდა, იმას გავაკეთებო!.. ამ დამოკიდებულებით, თავსაც დაიღუპავენ და ქვეყანასაც თან გადაიყოლებენ. ასეთი გახლეჩილი და დაქსაქსული ქართველები ვერც აფხაზეთს დავიბრუნებთ და ვერც სამაჩაბლოს. ხელისუფლებას ხალხის ხმა არ ესმის, რაც დიდი უბედურებაა. ძალიან მეშინია, ამ ხალხს სასოწარკვეთილებამ თავზე ხელი არ ააღებინოს და საპროტესტო აქციები სახალხო აჯანყებაში არ გადაიზარდოს. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება ხალხს ესვრის, იმიტომ, რომ მასში ბევრი მშიშარაა. მშიშარა კაცი კი ბუნებით მკვლელია. ყველასა და ყველაფერს გაწირავენ, სავარძლების შესანარჩუნებლად. ესენი თავიანთი სამშობლოს წარსულს პატივს არ სცემენ, ილია ჭავჭავაძეს არ იცნობენ და არ იციან, რომ ენა, მამული და სარწმუნოება უნდა დაიცვან. ძალიან არ მომწონს ის ამბავი, რომ გამორჩეული მწერლები დღეს დუმილს ამჯობინებენ. ახლა მეტი სიფხიზლეა საჭირო. მე 7 თვის წინ გაუონვა მქონდა, ჩემი ემოციური დატვირთვა არ შეიძლება, მაგრამ არა მაქვს უფლება, რომ არ ვიაქტიურო.

ნინო გურდული, *მსახიობი:*

— პატრიარქმა მოშიმშილეებს სეფისკვერი საკუთარი ხელით გაუწოდა და შიმშილობა უზენაესი ძალაუფლებით, შეაწყვეტინა. ეს იყო მოვლენა, რომელსაც ქრისტიანი ვერ შეეწინააღმდეგებოდა. მე სულ არ მიკვირს, რომ ხელისუფლებამ საზოგადოება დაარწმუნა იმაში, თითქოს უწმინდესმა მხოლოდ ოპოზიციას მოუწოდა დათმობისაკენ. წლების მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ ეს ხელისუფლება არსებულ ფაქტებს ისე წარმოაჩენს, როგორც თავად აძლევს ხელს. ფარისევლები და ცინიკოსები არიან. ალბათ წინასწარ უნდა გვცოდნოდა, რომ ეს ხელისუფლება მოშიმშილეების ამბავს გულთან ახლოს არ მიიტანდა. ახლა უფრო ზუსტი სტრატეგიაა გამოსამუშავებელი. ბრძოლა ყველა შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს. ოპოზიცია ამაზე უკვე შეთანხმებულია. მათ შორის, რადიკალურად განწყობილი ხალხიცაა, მაგრამ იმედი მაქვს, ერთობლივად მოილაპარაკებენ და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად იბრძოლებენ.

ნანული სარავიშვილი, *მსახიობი:*

— ძალიან კარგია, რომ მოშიმშილეებმა პატრიარქს დაუჯერეს. მაგრამ ხელისუფლებამაც უნდა გადადგას კომპრომისული ნაბიჯი. მე პოლიტიკისადმი არანაირი ინტერესი არ მაქვს. ამ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად იმიტომ განვეწყე, რომ ხალხი კინაღამ დაიხოცა, მათ კი მცირედი თანაგრძნობაც არ გამოიჩინეს, არც კი შეწუხებულან. მათმა გულცივობამ შემძრა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ოპოზიციას მხარი დავუჭირო.

ქეთი დოლიძე, *რეჟისორი:*

— ძალიან განვიცადე ის ამბავი, ზვიად ძიძიგური ცუდად რომ გახდა. გია ცაგარეიშვილი და გია თორთლაძე ისევ ცუდად არიან და ფეხზე ვერ დგებიან. როგორ შეიძლება, ხელისუფლებამ სასიკვდილოდ გაიმეტოს თავისი მოქალაქეები?! რა მნიშვნელობა აქვს, ვისი მომხრეები არიან ისინი?! ქალბატონმა ნინომ გვითხრა, — ტელეკომპანია „იმედი“ მე საერთოდ არ მეხებაო. კი, მაგრამ ისიც არ შედიოდა მის მოვალეობაში, რომ ტელევიზიის დამრბევებისა და ფეხმძიმე ჟურნალისტების შეურაცხმყოფლებისათვის პასუხი მოეთხოვა?! ანდა, მის მისაღებში მოშიმშილე ადამიანებისთვის პლედების შეტანის უფლება მიეცა?!. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამათ ხალხის სასიკვდილოდ გაწირვა უყოყმანოდ შეუძლიათ.

ნინელი ჭანკვეტაძე, *მსახიობი:*

— უმრავლესობის წარმომადგენლები პარლამენტის შენობის ფანჯრებიდან უყურებდნენ, როგორ მიდიოდნენ სიკვდი-

ხელისუფლებას ხალხის ხმა არ ესმის, რაც დიდი უბედურებაა

როგორ შეიძლება, ხელისუფლებამ სასიკვდილოდ გაიმეტოს თავისი მოქალაქეები?!

ლის პირამდე მოშიმშილეები და მერე, ბინძურ ჭორებს უვრცელებდნენ, თითქოს ღამით ჩუმად ჭამდნენ. შეხედეთ ამ ადამიანებს სახეებზე და მიხვდებით, როგორი ნასვამ-ნაჭამებიც არიან. ზვიად ძიძიგური მაძღარი იყო, მომაკვდავი რომ წაიყვანეს საავადმყოფოში?!. არავის რომ არ ეშიმშილა და ისე მოსულიყო ამდენი ხალხი პარლამენტის წინ, ნუთუ მათი მოთხოვნებისათვის ხელისუფლებას ყურადღება არ უნდა მიექცია?! ამაზე მეტი უზნეობა რაღა გინდათ, როდესაც შეგიძლია, სიკვდილის პირამდე მისულ ადამიანს მშვიდად უყურო, თან ცილი დასწამო, თითქოს, უწმინდესს ულტიმატუმის ენით ელაპარაკება. ხელისუფლებას როცა სჭირდება, ეკლესიასაც კი თავის სასარგებლოდ იყენებს. ამათგან კარგს რას უნდა ველოდეთ?! მე ქალი ვარ, დედა ვარ და ძალიან არ მინდოდა, შიმშილობის გამო ვინმე მომკვდარიყო. ამიტომ უდიდეს მადლიერებას გამოვხატავ უწმინდესის მიმართ, რომ მან მოშიმშილეების სიცოცხლე იხსნა. რომ არა პატრიარქი, დარწმუნებული ვარ, რომელიმე მათგანი დაიღუპებოდა.

მზია თვარაშვილი, *ექიმი:*

— არ მინდა, პოლიტიკური განცხადებები გავაკეთო, მაგრამ აუცილებლად გეტყვით იმას, რომ ქვეყანაში დღეს ფრიად არასახარბიელო მდგომარეობაა. ძალიან განვიცადე ის ფაქტი, რომ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, ორი შვილის დედამ აუღელვებლად უცქირა, როგორ შიმშილობდნენ მისი შვილის თანატოლი ბიჭები. მე ვიცი, რომ აქციის ორგანიზატორებთან ერთად, პატარა ბიჭებიც შიმშილობდნენ. ჩემთვის მიუღებელია, ხელისუფლების მხრიდან ასეთი პრინციპულობისა და რადიკალიზმის გამოვლინება საკუთარი მოქალაქეების მიმართ. რა თქმა უნდა, გამიხარდა, შიმშილობა რომ შეწყდა, მაგრამ ახლა იმ რადიკალური განცხადებების მეშინია, რომლებსაც ოპოზიცია აკეთებს, მით უფრო, რომ ხელისუფლება უკან დამხევი არ არის და შეუძლია, ხალხის სიცოცხლე სასწორზე შეაგდოს. თუ შეიძლება, ერთ რამესაც დავამატებ: ძალიან ცუდი ტენდენციაა, როდესაც ქვეყანაში ხალხი ჟურნალისტებს საცემრად დასდევს, მაგრამ მასმედიის წარმომადგენლებმაც უნდა დაიცვან რაღაც ზღვარი. როდესაც ჩემს ქვეყანაში ჩემი თანამემამულეები შიმშილობენ და მათი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგას, მე უცხოეთში განვითარებული მოვლენები ნაკლებად მაინტერესებს: ორი დღის განმავლობაში მრვალათასიანი მიტინგი იმართებოდა, ჩვენი ტელევიზიები კი ამ ყველაფრის იგნორირებას ახდენდნენ.

ბადრი ვეკუა, *მეწარმე:*

— არ უნდა შეეწყვიტათ შიშმილობა. ამ ხალხმა უკვე ბევრჯერ გაგვიცრუა იმედი. რას თამაშობენ?! დაგვიძახებენ, გამოგვიყვანენ ქუჩაში, მერე, ცოტა ხანში გვეტყვიან, სახლში წადითო. ჩვენ, ვინმეს მოცლილები ხომ არ ვგონივართ?! ვერ ხედავს ეს ოპოზიცია, რომ ამ ხელისუფლებასთან დიალოგს აზრი არ აქვს?! ამის შემდეგ, ქუჩაში მხოლოდ მაშინ გამოვალ, თუ რევოლუცია მოხდება.

თამაზ ნადირაძე, *სტუდენტი:*

— მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მისცა დაცინვის უფლება. ხედავთ, რა ქნეს?! ოპოზიციას ერთი მოთხოვნაც კი არ შეუსრულეს. რასაც ჰპირდებოდნენ, იმაზეც უარი თქვეს. ამბობენ, უწმინდესს უარს ხომ ვერ ვეტყოდითო! მე როგორც მოვისმინე, უწმინდესმა ხელისფლებასაც მოუწოდა დათმობისაკენ. მან რატომ არ გაითვალისწინა უნეტარესის მოწოდება? რა, ხელისუფლებას ყველაფერი ეპატიება?! მე არა მაქვს ილუზია, რომ 21 მაისს არჩევნები ისევ არ გაყალბდება. ოპოზიცია სუსტია და ამ ხელისუფლებასთან ვერაფერს გახდება. გამოსავალი მხოლოდ სახალხო აჯანყებაშია.

ოპოზიციის მხრიდან, შიშმილობის შეწყვეტის რეალურ მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერს, **მანანა ნაჭყებიას** *ვესაუბრე.*

— ქალბატონო მანანა, თქვენმა თანამოაზრეებმა შიმშილობა იმის გამო შეწყვიტეს, რომ მათ ამისკენ უწმინდესმა მოუწოდა თუ სხვა მიზეზებიც არსებობდა?

მე ქალი ვარ, დედა ვარ და ძალიან არ მინდოდა, შიმშილობის გამო ვინმე მომკვდარიყო

— შიმშილობის შეწყვეტის მიზეზი, მხოლოდ უნეტარესის მოწოდება იყო. თავად ვარ იმის მომსწრე, თუ როგორ გაუწოდა მან სეფისკვერები მოშიმშილეებს. ალბათ დამეთანხმებით, რომ პატრიარქს ხელს ვერავინ აუკრავდა. მან ჩვენი ბიჭები სიკვდილისაგან იხსნა, სხვაგვარად, ისინი აქციას არ შეწყვეტდნენ. ხელისუფლება კი მოგეხსენებათ, სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არად დაგიდევთ. მინდა გითხრათ, რომ შიშმილობის შეწყვეტა ჩვენი პროტესტის შეჩერებას არ ნიშნავს, პირიქით — ვიღებთ ხელისუფლების გამოწვევას: ამ საარჩევნო კოდექსისა და ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე თარხნიშვილის დარჩენის პირობებშიც კი ბრძოლას ვაგრძელებთ. ჩვენ უკვე გადავდივართ საარჩევნო რე-

ჟიმში. არჩევნების მოსაგებად, ყველა კანონიერ ბერკეტს გამოვიყენებთ. მტყუანი და მართალი ხალხმა გაარჩიოს.

— კონკრეტულად რა ბერკეტებს გულისხმობთ?

— ალბათ გახსოვთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რეგიონული ხელმძღვანელობა ამომრჩეველზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდა. მსგავსი ფაქტების არსებობას არავითარ შემთხვევაში, აღარ დავუშვებთ. თითოეული ხმის დასაცავად ვიბრძოლებთ და მოსახლეობასაც ამისკენ მოვუწოდებთ.

— როგორ ფიქრობთ — ოპოზიცია ამჯერად მაინც მოახერხებს ერთიანობის შენარჩუნებას?

— იმედი მაქვს, ის ერთობა, რომელიც დღეს არის, არ დაირღვევა.

— შიმშილობის პარალელურად, ხელისუფლებასა და ოპიოზიციას შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. რომელიმე საკითხზე მაინც თუ მოხდა შეთანხმება?

— შეთანხმება არც ერთ საკითხზე არ მომხდარა. დადასტურდა, რომ ნინო ბურჯანაძე დამოუკიდებლად ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებს. ის მთლიანად პრეზიდენტის გუნდზეა დამოკიდებული და რეალურად, პარლამენტის თავმჯდომარე არ არის. მასზე რომ ყოფილიყო რაიმე დამოკიდებული, ერთ საკითხში მაინც შევთანხმდებოდით... ■

„შვიდი დღე“ თეთრ ზვიგენთან ერთად

და შიშის მომგვრელი სიუჟეტი „ახალი დროებისგან“

6 მარტიდან, ყოველ კვირა დღეს, ზუსტად 9 საათზე, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირდაპირ ეთერში, „ახალი დროების“ მიერ მომზადებული სატელევიზიო ჟურნალი — „შვიდი დღე“ გავა. „ახალი დროება“ ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი სატელევიზიო გადაცემა — „დროების“ ჟურნალისტთა ერთი ნაწილის მიერ დაარსებული სატელევიზიო სტუდიაა, რომელიც აპირებს, კიდევ ბევრი გადაცემა შესთავაზოს, როგორც „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, ისე, სხვა ტელეარხებს.

გადაცემა — „შვიდი დღის“ წამყვანი სოფო მოსიძე იქნება, რომელიც ამავე არხიდან, საზოგადოებას „თიბისი TV“-ის სტუდიაში მომზადებულ საკუთარ საავტორო გადაცემას, კერძოდ, დოკუმენტური ფილმების სერიას — „პატრიოტთა თამაშები“ შესთავაზებს.

ჩვენ „ახალი დროების“ ძველ და კარგად ნაცნობ სახეებს შეეხვდით და ვესაუბრეთ.

ეკა ლომიძე

დაჩი გრძელიშვილი:

— იმ მძიმე განსაცდელის შემდეგ, რომელიც ტელეკომპანია — „იმედში“ ყოფნის ბოლო პერიოდში გადავიტანეთ, „დროების“ ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა დამოუკიდებელი სტუდია — „ახალი დროება“. ეს ის ჯგუფია, რომელსაც არც ტელეკომპანია „იმედისთვის“ უღალატია და არც ჟურნალისტური პრინციპებისთვის. არც იმაზე გვიფიქრია, რომ „ახალი დროების“ დასამკვიდრებლად, პოლიტიკურ საბრძოლო მარათონში ჩავრთულიყავით. ამასთან, გვსურდა, კვლავ ერთად გვეკეთებინა საქმე. მიგვაჩნდა, რომ ვიბრძოდით მედიის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი სიტყვისთვის და ამ ბრძოლას ვაგრძელებთ.

სოსო ბარნაბიშვილი:

— გული გვწყდება, „იმედსა“ და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე და იმაზეც, რომ მასთან რაც გვაკავშირებდა, წარსულს ჩაჰბარდა. ამ არხთან ოთხი ძალიან საინტერესო წელი მაკავშირებს, ამის გამო ძალიან მწყდება გული, მაგრამ რას ვიზამთ, როცა აუცილებლობა მოითხოვს, ცხოვრება ახალი ფურცლიდან უნდა დაიწყო. ჩვენც გადავდგით ასეთი ნაბიჯი. „იმედის“ ჟურნალისტების ერთი ნაწილი პოლიტიკაში წავიდა, ჩვენ ჟურნალისტიკაში დავრჩით, თუმცა შესაძლოა, ჩვენი გზები კვლავ გადაიკვეთოს.

— „ახალი დროების“ დაფუძნების იდეა როგორ გაჩნდა?

— არ მახსოვს, ვისგან წამოვიდა პირველად ეს იდეა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ყველანი ვგრძნობდით, ერთად რომ უნდა გაგვგრძელებინა საქმე. ცალ-ცალკე შესაძლოა, ისრების დაშლილი შეკვრასავით დაგვმართოდა, მარტივად „გასატეხი“ ვყოფილიყავით. ამიტომაც, გაგვიჩნდა ერთსულოვანი აზრი, ერთად გვეკეთებინა საქმე, რომელიც ვიცოდით.

— ალბათ, მხოლოდ ერთი გადაცემის მომზადებას არ დასჯერდებით...

— ცხადია, არა. რადგან შევძელით და შევქმენით სტუდია — „ახალი დროება“. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას, სურვილი გვაქვს, განვახორციელოთ სხვადასხვა პროექტი... როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი, „ახალი დროება“ ორიენტირებული არ იქნება კომერციულ მოგებაზე და ამიტომაც, ჩვენ ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან საგრანტო დაფინანსების მოპოვებაზე ვიზრუნებთ.

დაჩი გრძელიშვილი თეთრი ზვიგენის პირისპირ

დაჩი გრძელიშვილი:

— რატომ დაარქვით სტუდიას მაინცდამაინც „ახალი დროება“?

— „ახალ დროებას“ შინაარსობრივად დიდი დატვირთვა აქვს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ვერ შევეღლიეთ სახელწოდებას — „დროება“, რადგანაც ის ჩვენი ინტელექტუალური შრომის ნაყოფი იყო. ამ დამღით ჩვენ ძალიან საინტერესო სატელევიზიო „პროდუქტს“ ვქმნიდით. ამის თქმის საშუალებას კი „დროების“ რეიტინგი მაძლევს, რაც პარალელურად, „იმედის“ რეიტინგსაც განსაზღვრავდა. „ახალი დროება“, როგორც სახელწოდება, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ბრძოლას არ ვწყვეტთ.

— „დროება“ კრიტიკული სიუჟეტებით გამოირჩეოდა...

— უაღრესად კრიტიკული, მწვავე და საინტერესო იქნება „შვიდი დღეც“. ის ფაქტი, რომ ეს გადაცემა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გავა, არ ნიშნავს, რომ ჩვენი ჟურნალისტური ხედვა და მორალი შეიცვლება და დამთმობები გავხდებით. ამაში ყველა დარწმუნდება, როგორც კი ჩვენი გადაცემა ეთერში გავა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იმიტომაც ავირჩიეთ, რომ შეგვეძლოს, თავისუფალი სიტყვის თავისუფლად დაცვა. თუმცა იყო საშუალება, ნებისმიერი კერძო არხისთვის მოგვემზადებინა სხვა ტიპის გადაცემა. კრიტიკული და მწვავე მასალა, კერძო არხზე, ყოველთვის შეიძლება, წაანყდეს წინააღმდეგობას, რადგანაც კერძო არხი ნიშნავს იმას, რომ ის ვიღაცის საკუთრებაა. და თუ იგრძნობ, რომ შენი ჟურნალისტური პრინციპები ილახება, ამ შემთხვევაში, პროტესტის გამოხატვის ფორმა მხოლოდ სამსახურის დატოვებაა. თუ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ თავისუფალი სიტყვა და ჩვენი ობიექტურობა საფრთხის წინაშე დადგება, თამამად მოვითხოვთ, ჩვენი უფლებების დაცვას, რასაც პირდაპირ ეთერში გავაპროტესტებთ. ამასთან, ნამდვილად არ გვგონია, რომ დაბრკოლებები აღარ შეგვხვდება, ვფიქრობთ, რომ წინ ძალიან ბევრი საქმე და ალბათ, ბრძოლაც გველის.

სატელევიზიო ჟურნალ — „შვიდი დღის“ პირველი ნომერი უაღრესად მძაფრსიუჟეტიანი იქნება. მაყურებელი იხილავს ავსტრალიაში, დაჩი გრძელიშვილისა და ყველაზე პირსისხლიანი წყლის ბინადრის — თეთრი ზვიგენის პირისპირ შეხვედრის ამსახველ საოცარ კადრებს. „შვიდი დღე“ სხვა მძაფრ სიუჟეტებსაც შემოგთავაზებთ, თუმცა, ამ შემთხვევაში, კადრები შესაძლოა, ზოგიერთი ჩინოსნისთვის მოულოდნელი და უსიამოვნო აღმოჩნდეს. თუმცა სოსო ბარნაბიშვილის, გასაგები მიზეზებით ჯერჯერობით გასაიდუმლოებული სიუჟეტი ამის თქმის წინაპირობას ნამდვილად იძლევა. „შვიდი დღის“ პირველ გამოშვებაში სხვა, უამრავ, ძალიან საინტერესო მასალას გაეცნობით და ვფიქრობთ, დაასკვნით, რომ მომდევნო შვიდი დღე ახალი „შვიდი დღის“ ლოდინად ნამდვილად ღირს. ■

ბავშვობის მეოცნებენი, შემოქმედებითი ყანდარი

და იგორ კრუტოის ქართველი ფავორიტები

ცოტა ხნის წინ, მოსკოვში „იურმალის" საერთაშორისო კონკურსის – „ახალი ტალღა 2008" – შესარჩევი ტური გაიმართა, რომელშიც 12 ქართველი კონკურსანტი მონაწილეობდა: სალომე გასვიანი, ანი ჯეჯუა, ალექსანდრე ბასილაიას კვინტეტი, დუეტი „ჯორჯია", ჯაბა ქარსელაძე, ელენე ფოჩხუა და სხვები. ისევე, როგორც გასულ წლებში, ჟიურის წევრებს საუკეთესოთა შორის საუკეთესოს არჩევა წლეულსაც გაუჭირდათ. ამჯერად, მათი რჩეული დუეტი „ჯორჯია" გახდა. ამგვარად, „ახალ ტალღა 2008-ზე", რომელიც ივლისის ბოლოს გაიმართება, საქართველოს „იმედის ტალღა 2007-ის" გამარჯვებულები, დუეტის წევრები – რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე წარადგენენ.

მაია ღულუნიშვილი

მაკა:

— მოსკოვში გამგზავრებამდე რატის ვუთხარი: წარმოიდგინე, ეს ფესტივალი ჩვენს ცხოვრებაში რამდენ რამეს შეცვლის; რა მოხდება, ოცნება აგვიხდეს და წლევანდელ „იურმალაზე" ჩვენ ვიმღეროთ-მეთქი?! მართლაც, სასწაული მოხდა და ოცნება აგვიხდა. ჯერ კიდევ შოკში ვარ. სხვები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გაიმარჯვებდნენ, ჩვენ კი ამაზე მხოლოდ ოცნებობდით. მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვქონდა.

მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვქონდა

სასწრაფოდ ჩავწერეთ სიმღერები, გადავიღეთ სურათები და გავგზავნეთ მოსკოვში. ძალიან გაგვიხარდა, შესარჩევ ტურში მონაწილეობის უფლება რომ მივიპოვეთ. ასევე, ძალიან მცირე დროში მოგვიხდა ნახევარფინალისთვის მომზადებაც, კოსტიუმები სამ დღეში შეგვიკერეს... ფინალისტების შესარჩევი კონცერტი მოსკოვის ერთ-ერთ ცნობილ კლუბში გაიმართა, რომელსაც ქართველი მომღერლებიც: ქეთა თოფურია, ნინი ბადურაშვილი, მანანა თოდაძე, ლიკა დოლიძე ესწრებოდნენ. ვინ ვის გულშემატკივრობდა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ის, რომ ქართველები ჩვენ გვერდით იყვნენ. სულ სამი სიმღერა უნდა შეგვესრულებინა: ორი უცხოური და ერთი — ქართული. ჩვენ ალექსანდრე ბასილაიას „არგო" ვიმღერეთ. „ჯორჯიის" სავიზიტო ბარათადად Endlees love იქცა, რომელიც საკმაოდ რთული შესასრულებელია და არ ვიცოდით, როგორ მიიღებდნენ მას ჩვენი შესრულებით; მაგრამ როგორც ჟიურის წევრებისგან, ასევე მაყურებლებისგანაც მქუხარე აპლოდისმენტები დავიმსახურეთ.

რატი:

— როცა სცენაზე გავედით, უცნაური ამბავი შეგვემთხვა: დისკები, სადაც ჩვენი არანჟირებები იყო ჩაწერილი, მათმა მუსიკალურმა სისტემამ ვერ წაიკითხა. სამი დისკი გვქონდა და არც ერთი მათგანი არ ჩაირთო. რევზინმა შენიშვნა მოგვცა, — პრობლემები მოაგვარეთ და სცენაზე მერე გამოდითო. ძალიან დავიბენით და უხერხულობისგან აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ბოლოს, ბოდიში მოვიხადეთ და ის იყო, სცენიდან გავდიოდით, რომ ჩვენი მინუს-ფონოგრამა ჩაირთო. სიმღერა მოუმზადებლად დავიწყე. „იურმალის" ფესტივალის დირექტორმა, იგორ კრუტოიმ რამდენჯერმე შემომხედა, მერე კი თავი ფურცლებში ჩარგო — რაღაცას წერდა. მალე, მაკაც ამყვა და მაშინ, კრუტოიმ თავი ასწია. ამ დროს მის მზერაში კმაყოფილება შევნიშნე. ჟიურის წევრებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს... მოგვიანებით, როცა საკონცერტო დარბაზში ვიდექი, დავინახე, კრუტოი ვიღაცას ელაპარაკებოდა. მე მოშორებით ვიდექი და ვგრძნობდი, მიყურებდა. უხერხულობა ვიგრძენი და ჩვენი მაგიდისკენ წავედი. მოულოდნელად, მან დამიძახა და თავისთან მიხმო. მითხრა: თქვენ საოცარი ნიჭი გამოავლინეთ, მე სწორედ ასეთი შესრულება მჭირდებაო... ჟიურის ყველა წევრისგან კომპლიმენტები მივიღეთ. სხვა ქვეყნის კონკურსანტებიც ძალიან გვგულშემატკივრობდნენ. რუსულმა არხებმა ინტერვიუები ჩამოგვართვეს. მათთან საუბრისას რუსულ-ქართულ ურთიერთობებს გავუსვი ხაზი და აღვნიშნე: ქართველებს ძალიან გვიყვარს რუსები და თქვენგანაც სიყვარული რომ ვიგრძენი, ეს ძალიან მესიამოვნა-მეთქი. იქაურმა ქართველებმა დიდი პატივი გვცეს, ბოლომდე მხარში გვედგნენ და ყურადღებას არ გვაკლებდნენ.

მაკა:

— ჩვენთან ერთად მომღერალი ლიკა დოლიძე იყო, მეუღლესთან ერთად. იმის გამო, რომ აქ რეპეტიციების გავლა ვერ მოვასწარით, სწორედ მათ რესტორანში ვმეცადინეობდით. ამან ხელი შეგვიწყო იმაში, რომ მაყურებლების წინაშე სრულყოფილად მომზადებულები წარვმდგარიყავით.

— **დანარჩენ შემსრულებლებზე**

რას გვეტყვით? ძლიერი კონკურენტები გყავდათ?

რატი:

— მართლაც, ძალიან ძლიერი კონკურენტები გვყავდა. ვინც კი ჩვენი ფავორიტი იყო, ყველა ფინალში გავიდა და კონკურსზე სწორედ მათთან მოგვიწევს შეჭიდება (*იცინის*). ამ მომღერლებს შორის უკრაინისა და იტალიის კონკურსანტებს გამოვარჩევდი. მათ ძალიან მაღალი საშემსრულებლო დონე აჩვენეს. დარწმუნებული ვარ, ჟიურის საქართველოსა და უკრაინის კონკურსანტის გამოვლენა ყველაზე მეტად გაუჭირდა.

— თუ ფიქრობდით, რომ ჟიური არჩევანს სწორედ თქვენზე შეაჩერებდა?

— გამარჯვების იმედი არ გვქონდა. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, ისე გვემღერა, არ შევრცხვენილიყავით და ქვეყანა ღირსეულად წარმოგვეჩინა. ძალიან ბევრი ვინერვიულეთ. როცა პირველი სიმღერა შევასრულეთ და ჟიურის წევრებმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს, უკვე იმედი მოგვეცა. მაგრამ ასეთი ფინალი ნამდვილად მოულოდნელი იყო. უფლის წყალობით გავიმარჯვეთ.

მაკა:

— კონცერტის მსვლელობისას, ჩემს მაგიდასთან ვიჯექი და რატომღაც, მზერა იგორ კრუტოისკენ გამექცა. მანაც შემომხედა და თვალი ჩამიკრა. თითქოს, მაგრძნობინა, — ყველაფერი კარგადაა. ეს მერე გავაანალიზე. ალბათ, ასეთი ჟესტით მან წინასწარ შემატყობინა, რომ ფინალისტები სწორედ ჩვენ ვიყავით. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტები გვეუბნებოდნენ: ყველაზე დასამახსოვრებლები თქვენ იყავითო და კონცერტებში მონაწილეობის მისაღებად, საკუთარ ქვეყნებში გვეპატიჟებოდნენ. რამდენიმე კონცერტში მონაწილეობა კრუტოიმაც კი შემოგვთავაზა. მალე, ჰიმნი ჩაიწერება, რომელსაც რუს ვარსკვლავებთან ერთად, ყველა ის კონკურსანტი შეასრულებს, ვინც „იურმალის“ შესარჩევ კონკურსში ვმონაწილეობდით.

— თქვენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნა?

მაკა:

— საკონცერტო ტანისამოსი სალონმა — „ნინო და თიკომ“ შეგვიკერა. გვინდა, მათ დიდი მადლობა გადავუხადოთ. სხვათა შორის, საოცარი დამთხვევა მოხდა: „იმედის ტალღის“ ფინალზე სწორედ მათი შეკერილი კაბა მეცვა. მეუბნებოდნენ: ის კაბა ისეთ ხელზე შევკერეთ, ვიცოდით, რომ გამარჯვებას მოგიტანდა. ახლა, „იურმალის“ ტურისთვისაც ასე გიკერავთ და აუცილებლად უნდა გაიმარჯვოო. არ ვიცი, ამან გაჭრა თუ არა, მაგრამ ფაქტია, გავიმარჯვეთ (*იცინის*).

იგორ კრუგოი

— სამოსს „იურმალის“ ფინალისთვისაც მათ შეაკერვინებთ?

— დიდი სიამოვნებით შევაკერვინებდით, მაგრამ მგონი, საკონცერტო კოსტიუმებს მოსკოვში შეგვიკერავენ. ჩვენს იმიჯზე ფესტივალის ორგანიზატორები იზრუნებენ.

— თუ იცით, რა სიმღერებს შეასრულებთ ფინალზე?

— ჯერ არ ვიცით. ფესტივალის ორგანიზატორებს რამდენიმე ვერსია უნდა გადავუგზავნოთ და რასაც ისინი შეარჩევენ, იმას ვიმღერებთ.

— რატი, როგორ აფასებს კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი შვილის შემოქმედებით და უკვე წარმატებულ ნაბიჯებს?

— ბოლო დროს, მამა ტელევიზორს არ უყურებს. ამიტომაც, ჩვენი ფინალში გასვლა მისთვის მაია კაჭკაჭიშვილს უხარებია. როცა „ჯორჯიის“ წარმატების შესახებ შეუტყვია, თურმე, სიხარულით კინალამ გაგიჟებულა. მამა შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებებს ადრე ხშირად მაძლევდა, ახლა კი აღარაფერს მეუბნება.

— როგორც ვიცი, ბავშვობიდანვე ერთად მღერით, მაგრამ ფართო საზოგადოებამ სატელევიზიო მუსიკალური პროექტით — „იმედის ტალღა“ გაგიცნოთ...

— მე და მაკა მართლაც, ბავშობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს — ხელოვნების გიმნაზიაში ერთად ვსწავლობდით. სხვათა შორის, გაცნობის დღიდან ვმეგობრობთ.

მაკა:

— რატისთან ერთად პირველად გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ვიმღერე. მაშინ კვარტეტი გვქონდა, სადაც ჩვენთან ერთად, ჩვენი მეგობრები: ეკა ჯავახიშვილი და თეონა ნოზაძე მღეროდნენ. კვარტეტის ხელმძღვანელი რატის მამა — ბატონი ვაჟა იყო. ამ კვარტეტმა მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება. შემდეგ მე პედაგოგიურ უნივერსიტეტში, საგუნდო-სადირიჟოროზე ჩავაბარე, მერე მალევე გავთხოვდი, შემეძინა გოგონა და საცხოვრებლად მოსკოვში გადავედი. ამ ყველაფერს კი ჩემი შემოქმედებითი პაუზა მოჰყვა.

რატი:

— მაკას წასვლის შემდეგ, მე ინდივიდუალურ შემოქმედებით მუშაობას შევუდექი და როცა ის საქართველოში დაბრუნდა, უკვე ერთ-ერთ ბარში ვმღეროდი. ერთხელ მთხოვა, — ბარში მეც ვიმღერებ რამესო. ახალ წელს, მან მართლაც, ერთი სიმღერა შეასრულა და ბარის მესვეურებს ისე მოეწონათ, რომ სთხოვეს, ჩემთან ერთად მასაც ემღერა. გარკვეული პერიოდი იმ ბარში, ერთად ვმუშაობდით. ერთხელ, იქ ლელა წურწუმია მოვიდა და როცა ჩვენი სიმღერა მოისმინა, შეგვაქო. იმ პერიოდში „იმედის ტალღის“ კასტინგი იყო გამოცხადებული და ლელამ კატეგორიულად მოგვთხოვა, — მასში მონაწილეობა მიგვეღო. თან, დასძინა: ხვალვე მომაწოდეთ თქვენი სიმღერების ჩანაწერები და მათ თავადვე მივიტან ტელევიზიაშიო. ამ კონკურსში მონაწილეობა ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გავრისკე. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ლელას ასეთი თანადგომისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. მას ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს პროდიუსერს, მაია ყიფიანს და ბატონ ბიძინა ბარათაშვილს, რომელიც აეროპორტში დაგვხვდა, როცა მოსკოვიდან დავბრუნდით... სხვათა შორის, ადრე სრულიად უცნობი ადამიანები გვეუბნებოდნენ, — „იურმალაზე“ გადით, თქვენ ზუსტად ამ კონკურსის შემსრულებლები ხართო. ხომ გაგიგონია: შეძახილმა ხე გაახმოო. ჰოდა, ვფიქრობ, ახლა იმ ადამიანების იმედები გავამართლეთ, რომლებიც „იურმალაზე“ წარმატებას გვიწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ჯერ ყველაზე მთავარი წინაა და ჩვენც, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ საქართველო ვასახელოთ. ■

რაგისთან ერთად პირველად გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ვიმღერე

რატომ „დაბლოკეს" სალომე გასვიანი

და რა მოხდა „იურმალის" შესარჩევ ტურზე

მოსკოვში „იურმალის" შესარჩევი ტურის მომზადებისას, პროდიუსერი ნატო დუმბაძე სალომე გასვიანს, ელენე ფოჩხუასა და ჯგუფ „სეიშენს" ხელმძღვანელობდა. როგორ წარიმართა კონკურსი და რატომ ვერ გაიმარჯვა ვერც ერთმა მისმა „შეგირდმა" – ქალბატონი ნატო მოგვითხრობს:

ნათია ქივიძე

— ნატო, „იურმალის" შესარჩევი ტურიდან როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

— ვფიქრობ, ყველაფერმა არაჩვეულებრივად ჩაიარა. ჟიურის წევრებმა აღნიშნეს კიდეც, რომ წელს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოდან ყველაზე ძლიერი ნაკადი იყო. შესაბამისად, ჟიურის ყველა წევრის დიდი მოწონება დავიმსახურეთ.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჯგუფ „სეიშენს", ელენე ფოჩხუას და სალომე გასვიანს თქვენ ხელმძღვანელობდით. ამბობენ, — „სეიშენსა" და სალომეს არ მისცეს საშუალება, რომ ბოლომდე ემღერათო. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გაიმარჯვა ვერც ერთმა მათგანმა?

— მხოლოდ სალომესა და „სეიშენს" კი არა, არც ერთ კონკურსანტს არ მისცეს საშუალება, სიმღერა ბოლომდე შეესრულებინა. შესაბამისად, ამის გამო, მათ ვერ დავემდურებით. რატომ ვერ გაიმარჯვა ვერც ერთმა მათგანმა, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით... სალომე საკმაოდ ძლიერი კონკურსანტი იყო და რა თქმა უნდა, მის ნამღერს კარგი გამოხმაურება მოჰყვა. მას მხოლოდ ქართველები კი არა, უცხოელებიც გულშემატკივრობდნენ. ფესტივალის შესარჩევ ტურს ბევრი რუსი პროდიუსერი ესწრებოდა, რომელიც პირველსავე დღიდან, გასვიანს გულშემატკივრობდა. როგორც კი სალომემ სიმღერა დაასრულა, მათ უამრავი კონტრაქტი შემოგვთავაზეს, მაგრამ ყველაფერზე უარი ვთქვით, რადგან სალომე უკვე ამერიკაში მიემგზავრება.

მხოლოდ სალომესა და „სეიშენს" კი არა, არც ერთ კონკურსანტს არ მისცეს საშუალება, სიმღერა ბოლომდე შეესრულებინა

— ელენე ფოჩხუასა და „სეიშენს" არაფერი შესთავაზეს?

— სხვათა შორის, ჟიურის ერთ-ერთ წევრს ელენე ძალიან მოეწონა და ვნახოთ, მომავალში მოვლენები როგორ განვითარდება... ჟიურიშიც აზრთა სხვადასხვაობა იყო და ეს აბსოლუტურად ბუნებრივია. ხმამაღალ ნათქვამად ნუ ჩამითვლით, მაგრამ სალომე გასვიანი ნამდვილად, მსოფლიო დონის შემსრულებელია და შესაბამისად, ის „იურმალასა" და „ევროვიზიას" კიდევ შეახსენებს თავს.

— ნატო, თქვენი აზრით, „იურმალის" წლევანდელ შესარჩევ ტურზე შარშანდელი სიტუაცია ხომ არ განმეორდა? ანრი ჯოხაძის „დაბლოკვას" ვგულისხმობ...

— შარშან ანრიზეც ვერ ვთქვი, რომ ის „დაბლოკეს" და ამას ვერც წელს ვიტყვი. მაგრამ ფაქტია, რომ უკვე მეორედ, საკმაოდ ძლიერი და კარგი შემსრულებელი ფესტივალზე არ დაუშვეს. თუმცაღა, გამარჯვებულებად თავიდანვე სალომე და რატი დურგლიშვილისა და მაკა ზამბახიძის დუეტი მოიაზრებოდა. ალბათ, სალომე მართლა ძალიან ძლიერ კონკურსანტად მიიჩნიეს და ამიტომაც, ფესტივალზე მისი გაყვანა ნამდვილად არ აძლევდა ხელს. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია, ხოლო რეალურად რა მოხდა, ნამდვილად არ ვიცი.

— გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს სალომეს, კონკურსზე რუსეთის სახელით გასვლა შესთავაზეს...

— ეს სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ სალომე ამ წინადადებას არ დათანხმდა, რადგან როგორც უკვე აღვნიშნე, ის სასწრაფოდ, ამერიკაში მიემგზავრება, სადაც ოთხი სერიოზული კონტრაქტი და ოთხი პროდიუსერი ელოდება. მათგან სალომემ საუკეთესო უნდა შეარჩიოს. კი, ბატონო, „იურმალა" კარგი კონკურსია, მაგრამ ჯერ არ მინახავს, რომ ამ ფესტივალის გამარჯვებულს რაიმე სერიოზული მომავალი ჰქონოდა. ამის გამო, სალომემ ამერიკაში გამგზავრება არჩია.

— იმის გამო, რომ ვერ გაიმარჯვა, სალომე ამერიკაში გულდაწყვეტილი ხომ არ ბრუნდება?

— გულდაწყვეტილი არ არის, მაგრამ საკმაოდ ბევრი კითხვა გაუჩნდა. „ევროვიზიაზე" ვერ გაიმარჯვა და უთხრეს, რომ ეს პოლიტიკა იყო; „იურმალაზე" ვერ გაიმარჯვა და უთხრეს, — მეორე კანდიდატად ვერ გაგიყვანთ, რადგან ეს პოლიტიკაა. აქედან გამომდინარე, მას ასეთი კითხვა გაუჩნდა: მე ხომ აპოლიტიკური ადამიანი ვარ და ყველგან პოლიტიკა რატომ მიხსენესო?!

— რაც შეეხება ელენე ფოჩხუასა და ჯგუფ „სეიშენს", უახლოესი მომავლისთვის რა გეგმები აქვთ?

— „სეიშენთან" კონტრაქტი მაქვს გაფორმებული და შესაბამისად, მათთან თანამშრომლობას განვაგრძობ. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. დაბოლოს, რატი დურგლიშვილსა და მაკა ზამბახიძეს მთელი გულითა და სულით ვულოცავ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებ! ამას მხოლოდ ჩემი კი არა, სალომეს სახელითაც ვამბობ... ■

კომპანია „ავერსი“ საქველმოქმედო პროექტს აგრძელებს

„1000 უფასო ოპერაცია კატარაქტით დაავადებულებს“

ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა“ 2006 წლის გაზაფხულიდან საქველმოქმედო პროექტი — „1000 უფასო ოპერაცია კატარაქტით დაავადებულებს“ დაიწყო და მას შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ 1077 კაცს კატარაქტის ოპერაცია უფასოდ ჩაუტარდა. პაციენტების უმეტესობა ღარიბი ოჯახიდან იყო. მათ დაკარგული ჰქონდათ იმედი იმისა, რომ ოდესმე, ოპერაციის გაკეთებას შეძლებდნენ. „ავერსის“ სოციალური პროექტის წყალობით კი, ამ ადამიანებს არა მარტო თვალისჩინი, არამედ სიცოცხლის ხალისიც დაუბრუნდათ. ბედნიერი პაციენტების შემხედვარე ექიმებსაც, ხშირად, სიხარულის ცრემლი ადგებათ თვალზე. ამ ყველაფრის ფონზე კი „ავერსის“ გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა პაატა კურტანიძემ გადაწყვიტა, მსგავსი ოპერაციები მომავალშიც დააფინანსოს.

პაატა კურტანიძე, სანდრო კვიკაშვილი და გია ჯავრიშვილი

სოფო ჭონიშვილი

ალექსანდრე კვიტაშვილი, *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი:*

— კომპანია „ავერსისა“ და თვალის კლინიკური საავადმყოფოს — „ოფთალმიჯის“ მიერ წამოწყებული ეს ერთობლივი პროექტი ნამდვილად, წარმატებული გახლდათ. 2006 წლის გაზაფხულიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, კატარაქტის უფასო ოპერაცია სულ 1077 ადამიანს ჩაუტარდა. როგორც მოგეხსენებათ, იმ ადამიანებს, რომელთაც მსგავსი პრობლემა აწუხებთ, ხშირ შემთხვევაში, ოპერაციის გასაკეთებლად სახსრების მოძიება ძალიან უჭირთ და ამიტომაც, იმის იმედი, რომ ოდესმე თვალისჩინი დაუბრუნდებათ, დაკარგული აქვთ. სასიხარულოა, რომ კეთილი ადამიანების წყალობით, მათ მხედველობა აღუდგათ. მინდა, ამ კეთილი საქმისთვის დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ პაატა კურტანიძეს და კლინიკა „ოფთალმიჯს“, რომელთა დახმარებითაც, რეგიონებში მცხოვრებ პაციენტებს ოპერაციის ჩასატარებლად დედაქალაქში ჩამოსვლაც კი არ დასჭირდათ. და კიდევ, სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ აქცია კვლავ გრძელდება.

გია ჯავრიშვილი, *კლინიკა „ოფთალმიჯის“ გენერალური დირექტორი:*

— მინდა, ჩვენი პაციენტების სახელით მადლობა გადავუხადო ბატონ პაატა კურტანიძეს იმ გულისხმიერებისთვის, რაც მან ამ ადამიანების მიმართ გამოიჩინა. კატარაქტის ოპერაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ 1077 ადამიანს, უფასოდ ჩაუტარდა. მათი უმრავლესობა ღარიბი ოჯახიდან გახლდათ. „ოფთალმიჯის“ მოძრავი კლინიკა, ექიმების ჯგუფთან ერთად, ცალკეულ რეგიონებში თავად ჩადიოდა და პაციენტებს შესაბამის დახმარებას უწევდა. რეგიონებში ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალი კი ასეთია: გურიაში კატარაქტის ოპერაცია 112 ადამიანს ჩაუტარდა, იმერეთში — 271-ს, კახეთში — 152-ს, მცხეთა-თიანეთში — 62-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 212-ს, შიდა ქართლში — 75-ს, ქვემო ქართლში — 77-ს, ხოლო ცხინვალის რეგიონში სულ 15 ოპერაცია ჩატარდა. ამ სოციალური პროგრამის წყალობით, მრავალ უსინათლოს დაუბრუნდა თვალისჩინი. განსაკუთრებული აქტიურობა რაჭა-ლეჩხუმის ადგილობრივმა თვითმმართველობამ გამოიჩინა. მათი ხელშეწყობით, კომპანია „ავერსის“ პროექტში იქ მცხოვრებმა ყველა იმ ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც კატარაქტის დიაგნოზი დაუსვეს. რეგიონში სულ 101 ოპერაცია ჩატარდა და თითოეული პაციენტი განიკურნა. 1077 პაციენტიდან, მხოლოდ 7-8 იყო ისეთი, რომელთა მხედველობის აღდგენა ბოლომდე ვერ მოვახერხეთ. დანარჩენ შემთხვევებში, საუკეთესო შედეგი გვქონდა. მიხარია, რომ ბატონი პაატა ამ აქციას კვლავ აგრძელებს.

— ბატონო გია, კატარაქტით დაავადებულ პაციენტებში ახალგაზრდები სჭარბობდნენ თუ ხანდაზმულები?

— ჩვენი პაციენტები ძირითადად, 40 წელს გადაცილებული ადამიანები იყვნენ. მათ შორის ყველაზე ასაკოვანი 98 წლის ქალბატონი გახლდათ, რომელიც თვალისჩინის დაბრუნებამ ძალიან გაახარა..

პაატა კურტანიძე, *ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ გენერალური დირექტორი:*

— მიხარია, რომ კომპანია „ავერსს“ ამდენი უსინათლო ადამიანის უფასოდ დახმარების საშუალება მიეცა. როცა პაციენტებს სახვევებს ხსნიდნენ, ემოციებს არა მარტო ისინი, არამედ ჩვენც ვერ ვფარავდით. ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ვერაფერს ხედავდნენ, ოპერაციის შემდეგ თვალისჩინი უბრუნდებოდათ და ამაზე სასიამოვნო ფატი რა უნდა ყოფილიყო?! გადავწყვიტე, ჩვენს ბიუჯეტში ასეთი ოპერაციების დაფინანსება კვლავაც გამეთვალისწინებინა. ასე რომ, ვიდრე „ავერსი“ იარსებებს, ჩვენ ამ ოპერაციებს ყოველთვის დავაფინანსებთ.

— ალბათ, ბევრ თქვენს პაციენტს არ სჯეროდა, რომ მხედველობა აღუდგებოდა...

— პაციენტთაგან მართლაც, ბევრს ჰქონდათ ხელი ჩაქნეული. უსახსრობის გამო, მათ კატარაქტის ოპერაციაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ და შესაბამისად, არ სჯეროდათ, რომ ოდესმე, დღის სინათლეს იხილავდნენ. მათ ამ ქველმოქმედების წყალობით სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდათ, ძალიან ბედნიერები არიან... ეს პროექტი ყველანაირად იდეალური გახლდათ. ჩვენ პირობას აუცილებლად შევასრულებთ და კატარაქტით დაავადებული ადამიანების მიმართ მსგავს გულისხმიერებას წლების მანძილზე გამოვიჩენთ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჯანდაცვის სამინისტროს და კომპანია „ოფთალმიჯს“ (რომელმაც შეძლო, ეს ოპერაციები მაღალ დონეზე ჩაეტარებინა), რომელთა დახმარებითაც, ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა. მინდა გითხრათ, რომ ოპერაციები ყველაზე მიუვალ რეგიონებშიც კი ჩატარდა და პაციენტების მოძიებაში ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები გვეხმარებოდნენ.

— თქვენი საქველმოქმედო პროექტი როდის გაგრძელდება?

— ჩათვალეთ, რომ პროექტი უკვე დაწყებულია. ოპერაციების დაფინანსებაზე უარი არასდროს გვითქვამს.

— წლის განმავლობაში, ასეთი ოპერაცია კიდევ რამდენ ადამიანს ჩაუტარდება?

— კატარაქტის ოპერაცია დაახლოებით 1000 კაცს ჩაუტარდება. ■

ნათია ქივიძე

ვინ „სწერს“ წერილებს ბრიჟიტ ბარდოს და ცხოველების „ხმალამოღებული“ დამცველი

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სერიალი — „ჩიფსების თაობა“, რომელსაც არა მარტო თინეიჯერები, არამედ ხანდაზმულებიც სიამოვნებით ადევნებენ თვალს. როგორც ხშირად ხდება, მაყურებელმა ფილმში გამოყენებული ტერმინოლოგია კარგად აითვისა და ქუჩაში გავლისას, ნებისმიერ წუთს შეიძლება გაიგონოთ პრანჭვით წარმოთქმული სიტყვა — „ხვდები“? ამ სიტყვის ავტორი კი ქალბატონი ნატა გახლავთ, რომელსაც სერიალში მსახიობი თაკო აბაშიძე განასახიერებს. ამჯერად, ჟურნალისტის როლის მოსარგებად სწორედ თაკო და „ჩიფსების თაობის“ აღმასრულებელი პროდიუსერი, ნიკა ქავთარაძე მოვიწვიეთ.

„ქალების ერთ-ერთ მინუსად ულრეო დროს გათსოვება მიმაჩნია...“

ქურნალისტი – **თაკო აბაშიძე**
რესპონდენტი – **ნიკა ქავთარაძე**

— ძალიან მაინტერესებს, სერიალის კასტინგიდან გახსოვარ თუ არა?

— კასტინგიდან რომ არ მახსოვდე, ამ სერიალში არც ითამაშებდი... კონკრეტულად, რომელ დღეს გნახე, აღარ მახსოვს, მაგრამ როცა გადაღებულ მასალას ვშიფრავდით, მაშინ კარგად დამამახსოვრდი.

— „ჩიფსების თაობაში“ ფავორიტები თუ გყავს?

— არ დავკონკრეტდები, მაგრამ გეტყვი, რომ მსახიობებიდან რამდენიმე ადამიანი განსაკუთრებულად მომწონს. ვცდილობ, ჩემი ფავორიტების რიცხვიც და მდგომარეობაც ცვალებადი იყოს, რადგან სხვა შემთხვევაში, სერიალი ერთფეროვანი იქნებოდა...

— მსახიობის შერჩევისას, ყურადღებას მის ხასიათზეც ამახვილებთ?

— თუ ადამიანი ნიჭიერია, მისი ხასიათის დავიწყება შესაძლებელია. მაგალითად, ყველამ იცის, რომ ჯეკ ნიკოლსონს საკმაოდ ცუდი ხასიათი აქვს, მაგრამ მას ფილმებშიც იწვევენ და მილიონებსაც უხდიან...

— იმის სურვილი არ გაქვს, რომ „ჩიფსების თაობაში“ შენც ითამაშო?

— რა თქმა უნდა, მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ კამერის მიღმაც არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს, უარს არც გადაღებებზე ვიტყოდი. სიმართლე გითხრა, იმაზე არ მიფიქრია, ამ სერიალში კონკრეტულად, რომელ როლს შევასრულებდი...

— რამდენად კარგად უთავსებ ერთმანეთს ოჯახსა და სამსახურს?

— სამსახურის გამო, ძირითადად, პრობლემა შვილებთან მექმნება, რადგან ისინი ჯერ პატარები არიან და არ ესმით, მათთან დიდ დროს რატომ ვერ ვატარებ. რაც შეეხება მეუღლეს, ვერიკოც (*ბანძელაძე. — ავტ.*) ამ სფეროში მუშაობს და კარგად ესმის, რას ნიშნავს სამსახურის გამო ღამის გათენება. სამსახური ყოფით პრობლემებს მიქმნის. მაგალითად, შესაძლოა, შინ მაწონი თავის დროზე ვერ მივიტანო და ა.შ.

— შენი შვილები თუ უყურებენ „ჩიფსების თაობას“?

— რა თქმა უნდა?! მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი ოთხი წლისაა, გოგოს კი ჯერ სამი წელიც არ შესრულებია, მათ მაინც, ბევრი რამ ესმით. თან, ჩვენი სერიალი ისეთ დროს გადის, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ არ სძინავთ. ჰოდა, ჩემი შვილებიც სხდებიან ტელეეკრანის წინ და მთელ სერიას უყურებენ, შინ დაბრუნებულს კი მიყვებიან, რა მოხდა „ჩიფსების თაობაში“. თუმცა, რა თქმა უნდა, მათ განსხვავებული ხედვა აქვთ და ყველაფერი თავისებურად ესმით.

— ნიკა, უკვე კარგა ხანია, არანაირი შოუ არ წაგიყვანია. საავტორო გადაცემაზე მუშაობა და ეთერში გამოჩენა არ მოგენატრა? ხომ არ გეგმავ, რაიმე სახის იუმორისტული შოუ შემოგვთავაზო?

— სატელევიზიო ეთერი, რასაკვირველია, მომენატრა, მაგრამ ამას ძალიან არ განვიცდი. შესაძლოა, იუმორისტული შოუ აღარც გავაკეთოთ, მაგრამ იუმორით გაჯერებულ, სატირულ პროექტს აუცილებლად შემოგთავაზებთ. გარდა ამისა, კიდევ ბევრ რამეს ვაპირებთ.

— მაგალითად?

— ზაფხულში დოკუმენტურ ფილმზე მუშაობა გვაქვს დაგეგმილი. ასევე, მხატვრული ფილმის გადაღებასაც ვაპირებთ. გვინდა, ისეთი ფილმი გავაკეთოთ, რომელსაც მხოლოდ ქართველები და რუსები კი არა, სხვა ეროვნების ადამიანებიც ნახავენ.

— როგორც მსახიობი, ამ ფილმში მაინც თუ მიიღებ მონაწილეობას?

— ამის დიდი სურვილი და იმედი მაქვს. ვფიქრობ, საკუთარ თავს ამ სიამოვნებას არ მოვაკლებ. სხვათა შორის, მასში მხოლოდ მე კი არა, ჩვენი გუნდის სხვა წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

— ცხოველები ისე მიყვარს, რომ არ შეიძლება, ეს შეკითხვა არ დაგისვა. შენ თუ გიყვარს ოთხფეხები?

— ცხოველები მიყვარს, განსაკუთრებულად კი ძაღლი, მაგრამ მიმაჩნია,

რომ ის ოჯახურ პირობებში არ უნდა გყავდეს. დიდი, საკუთარი სახლი როცა მექნება, მაშინ აუცილებლად ვიყოლიებ ძაღლს, რომელიც ჩვენი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იქნება და ჩვენს უსაფრთხოებაზე იზრუნებს. მართალია, ახლა პატარა ბინა არ მაქვს, მაგრამ იქ ძაღლის ადგილი მაინც არ არის. იმედი მაქვს, ასეთი კომენტარისთვის ცხოველთა დაცვის საზოგადოება არ გამინაწყენდება...

ჟურნალისტი – ნიკა ქავთარაძე
რესპონდენტი – თაკო აბაშიძე

— რადგან ცხოველები ასე გაინტერესებს, მაშინ ლაპარაკიც ამ თემით დავიწყოთ. მითხარი, შენ როგორი დამოკიდებულება გაქვს მათთან?

— მე ვარ ადამიანი, რომელიც „ხმალამოღებული“ იბრძვის იმისთვის, რომ ცხოველებზე ძალადობა შეწყდეს. თუკი ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე პროექტი კეთდება, ყოველ მათგანში ვერთვები.

— შენ, შემთხვევით, ბრიჯიტ ბარდოსთან მიმოწერა ხომ არ გაქვს?

— იცი, რას გეტყვი (*იცინის*)?..

— გასაგებია, შენ მას წერილებს სწერ, ის კი არ გპასუხობს...

— მიმაჩნია, რომ ძაღლები ბევრად ერთგულები არიან, ვიდრე — ადამიანები. მაღიზიანებს გამოთქმა: ძაღლი ერთგული იმიტომაა, რომ მას შენ აჭმევო. ბევრი ისეთი ადამიანი ვიცი, რომელიც სხვის ხარჯზე ცხოვრობს, მაგრამ მარჩენლის ერთგულებით ვერ დაიკვეხნის.

— მართალი ხარ... მითხარი, რას საქმიანობდი და როგორ ცხოვრობდი მანამ, სანამ ჩვენს სერიალში ნატოს როლზე მუშაობით დაკავდებოდი?

— თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე. სტუდენტობისას და შემდეგაც, რამდენიმე სადიპლომო ფილმში გადამიღეს. გარდა ამისა, ვმონაწილეობ სპექტაკლში — „სიყვარულის თამაში“, რომელიც ბატონმა გოგი ქავთარაძემ, „თეატრალურ სარდაფში“ დადგა.

— იხაროს და იმრავლოს მისმა გვარმა... რატომღაც, საქართველოში ოჯახის წევრები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ქალიშვილებს, რომელთაც მსახიობობა სურთ. შენ როგორ დაეუფლე ამ პროფესიას?

— ბავშვობიდანვე ამაზე ვოცნებობდი. არასოდეს მიფიქრია, რომ ეკონომისტი ან იურისტი გავხდებოდი. კარგად მახსოვს, ჩემს ბავშვობაში რაღაც ქართული ფილმი გადიოდა, სადაც გამომძიებელი ქალი ქუჩაში დადიოდა და მე მისი ფეხის ხმა დავიმახსოვრე. მას შემდეგ, დედაჩემის ყველა ფეხსაცმელი ჩავიცვი და დავკაკუნებდი, იმ ხმას ვეძებდი. საბოლოოდ, მაინც ვიპოვე... რუსულის მასწავლებელი კლასში რომ შემოვიდოდა, ჩვენს რვეულებს მაგიდაზე ყრიდა და ზემოდან, გასაღებს აგდებდა. ამ ხმასაც საკმაოდ დიდხანს ვეძებდი...

— თეატრალურში რა გინდოდა, კონსერვატორიაში ვერ ჩააბარე? საკუთარ ვოკალურ მონაცემებს რატომ არ ამზეურებ?

— ვმღერი, მაგრამ ამას მხოლოდ შინაურების წრეში ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ ქართულ შოუბიზნესს მე ნამდვილად აღარ ვჭირდები. არანაირი სურვილი არ მაქვს, როგორც მომღერალი, სცენაზე დავდგე.

— როგორც შევიტყვე, სიმღერებსაც წერ. რომელიმე მომღერალს თუ შეუსრულებია შენი დაწერილი სიმღერა?

— როგორ არა?! ჩემს სიმღერებს მღერიან თამთა გოგუაძე, ქეთი ახობაძე და ახალი თაობის სხვა მომღერლები.

— როცა მუსიკას წერ, ის შენს შინაგან სამყაროსთანაა დაკავშირებული თუ იმ დროს უბრალოდ, შეკვეთას ასრულებ?

— რამდენჯერმე შეკვეთითაც დამიწერია სიმღერა, მაგრამ ეს პროცესი არ მომეწონა და ამიტომ, ახლა ამაზე უარს ვამბობ. თუ რაიმის კეთება არ მსიამოვნებს, ამას ვინმეს ხათრით ან დავალებით ვერ გავაკეთებ. ალბათ, არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ საკუთარ სიმღერებს ყველაზე კარგად მე ვმღერი, რადგან ვწერ იმას, რაც იმწუთას მემღერება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ჩემს დაწერილ მუსიკას ტექსტი არ სჭირდება, ის ორკესტრმა უნდა დაუკრას და მისი თემა უტექსტოდაც გასაგები იქნება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

— ეგ იმიტომ, რომ ალბათ, როცა მელოდიას წერ, იმწუთას შესაბამისი ტექსტიც გესმის...

— მართალი ხარ... ისე, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. შეიძლება, ოდესმე მომღერლადაც მოგევლინოთ, რადგან ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის და ყველაფერი შემთხვევით ხდება. სერიალშიც შემთხვევით მოვხვდი: მეგობარმა ტელეკომპანია „მზის“ საშვი გამიკეთა და მეც, კასტინგზე შემოვიპარე.

— კიდევ კარგი, რომ შემოიპარე, რადგან ამით ნამდვილად მაგრად გაგვიმართლა როგორც შენ, ისე — ჩვენც...

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ მიმაჩნია, რომ მე ნამდვილად გამიმართლა, რადგან აქ თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. თანაც, „ჩიფსების თაობამდე“ ქუჩაში უცხო ადამიანები არ მესალმებოდნენ. გარდა ამისა, კამერასთან მუშაობის დიდი გამოცდილებაც მივიღე.

— ზოგიერთი მსახიობი ამბობს, რომ სერიალში მონაწილეობის სურვილი არ აქვს. შენ თუ გითქვამს ოდესმე, რომ თეატრი უფრო მაგარია, ვიდრე — სერიალი?

— სიმართლე გითხრა, არ მჯერა იმ მსახიობების, რომლებიც ამბობენ, რომ სერიალებში არ ითამაშებენ. მათ ალბათ, არავინ სთავაზობს იქ თამაშს და ამიტომაც ამბობენ ასე. არა მგონია, მსახიობმა კამერის წინ დადგომასა და გადაღებებზე უარი თქვას მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრში მუშაობა ურჩევნია.

— ხომ ვიცი, ჟურნალისტებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შენი პირადი ცხოვრება დააინტერესებთ. ამიტომაც, ორიოდე სიტყვით, ამ საკითხზეც მითხარი რაიმე...

— განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ იმას ვაღიარებ, რომ შეყვარებული მყავს.

მიმაჩნია, რომ ძაღლები ბევრად ერთგულები არიან, ვიდრე — ადამიანები

— გათხოვებას ხომ არ აპირებ?

— ჯერ არა.

— კიდევ კარგი, რადგან ქართველი შემოქმედი ქალების ერთ-ერთ მინუსად უდროო დროს გათხოვება მიმაჩნია... შენს შეყვარებულს თუ მოსწონს ჩვენი სერიალი?

— სხვათა შორის, ამ სერიალით საკმაოდ კმაყოფილია. მას თითქმის ყოველდღე უყურებს.

— მას შემდეგ, რაც ჩვენს სერიალში გამოჩნდი, სხვა რეჟისორებისგან რაიმე შეთავაზება ხომ არ მიგიღია?

— როგორ არა?! ერთ-ერთ ფილმში გადაღება შემომთავაზეს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მასში მონაწილეობაზე უარი ვთქვი. გარდა ამისა, ძალიან ბევრ კლიპში მთხოვეს გადაღება, მაგრამ ამაზეც უარი განვაცხადე. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ამ სერიალის შემდეგ, რაღაც კლიპში მონაწილეობა „ჩიფსების თაობის“ შეურაცხყოფა იქნებოდა.

— დიდი მადლობა, ასე რომ გვაფასებ. ჩვენ ვიზრუნებთ, რომ კიდევ უამრავ სხვა პროექტში დაგასაქმოთ. ■

ჭორიელი იერსიელები უცხოეთში

თინა კანდელაკს ქმარმა მილიონდოლარიანი პენტჰაუზი აჩუქა

ცნობილმა ტელეწამყვანმა, 33 წლის თინა კანდელაკმა ქმრის ნაჩუქარ მილიონდოლარიან მდიდრულ პენტჰაუზში ახალმოსახლეობა იზეიმა. პოპულარული გადაცემების: „ყველაზე ჭკვიანისა“ და „დეტალების“ წამყვანი მოსკოვის ცენტრში მდებარე სამოთახიანი ბინიდან კრილატსკის ბორცვებზე მდებარე 400 კვმ-იან, დუპლექსის ტიპის პენტჰაუზში გადაბარგდა და ახალმოსახლეობა ქმართან — ბიზნესმენ ანდრეი კონდრახინთან, 9 წლის ქალიშვილ — მელანისთან და 8 წლის ვაჟიშვილ — ლეონტისთან ერთად იზეიმა. „ახალი სახლი პირველად რომ ვიხილე, ბედნიერებისაგან პატარა გოგონასავით დავხტოდი. ეს სწორედ ისაა, რაზეც ვოცნებობდი!“ — ამბობს ტელევარსკვლავი, რომელიც დღესაც ვერ ხვდება, თუ როგორ შეძლო მისმა ქმარმა, რომ ესოდენ ძვირფასი შენაძენი საიდუმლოდ შეენახა. თინამ თავი ვერ შეიკავა, ახალი სახლის საკუთარი გემოვნებით გადაკეთება მოინდომა და კოსმეტიკური რემონტი წამოიწყო. სწორედ ამიტომ, საზეიმო წვეულებაც გადაიდო. რამდენიმე დღის წინ, ოჯახი როგორც იქნა, ახალ ბინაში გადასახლდა და კრეატიულმა ტელეწამყვანმა ახლობლები და ნათესავები იაპონურ სტილში გამართულ წვეულებაზე მიიწვია, სადაც სტუმრებს სუშითა და სხვა ტრადიციული იაპონური კერძებით გაუმასპინძლდა. ■

ირაკლი ფირცხალავას შოპსტრესი!

საქართველოში გამართულ „ევროვიზია-2008“-ის შესარჩევ ტურში დამარცხებამ, „ვარსკვლავთა ფაბრიკის“ ყოფილი „ფაბრიკანტი“, ირაკლი ფირცხალავა დეპრესიაში ჩააგდო. „კონკურსის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დღემდე დათრგუნვილი ვარ. „ევროვიზიაზე“ მოხვედრა ჩემი ოცნება იყო... დიანა ღურწკაიას წარმატება მახარებს, მაგრამ გულის სიღრმეში, გამარჯვების იმედი მქონდა“, — აღიარა მომღერალმა, რომელიც იმედგაცრუებასა და დეპრესიას მეტად ბანალური, მაგრამ ეფექტური მეთოდით — შოპინგით ებრძვის. როგორც ამბობენ, ირაკლი ძვირად ღირებულ მაღაზიებში მთელ დღეებს ატარებს და უამრავ მოდურ პერანგს, შარვალსა თუ საცვალს ყიდულობს! ■

„A-სტუდიოს“ სოლისტმა ცდუნებას ვერ გაუძლო!

ჯგუფის — „A-სტუდიო“ სოლისტ ქეთა თოფურიას, ჯგუფ „გამოუსწორებელ თაღლითებთან“ შემოქმედებითი თანამშრომლობა შესთავაზეს. ამ მაცდურ წინადადებაზე უარის თქმა ქეთას ძალებს აღემატებოდა. მით უმეტეს, რომ მის გადაწყვეტილებას ჯგუფის სხვა წევრებმაც დაუჭირეს მხარი. აღსანიშნავია, რომ არსებობის 20 წლის განმავლობაში, ჯგუფი „A-სტუდიო“ კოლეგებთან პირველად ითანამშრომლებს! „გამოუსწორებელი თაღლითების“ მუსიკა მოგვწონს. ამიტომაც, ქვეყნის სრული „დუეტიზაციის“ მიუხედავად, თანამშრომლობაზე მაინც დავთანხმდით. ქეთა მისთვის უჩვეულო ამპლუაში მოგველინება და მელოდიურ რეპს ფრაგმენტულად შეასრულებს. ამ კომპოზიციაში თანაბრადაა რუსული მელოდიურობა, ჰიპ-ჰოპი, R`N`B და გიტარის ჩანართები — საბოლოოდ კი, ძალზე სიმპათიური ეკლექტიკური მუსიკა მივიღეთ“, — ამბობს „A-სტუდიოს“ ლიდერი ბაიგალი სერკებაევი.

კლიპის — „გულით — გულთან“ გადაღებები ტაშკენტში, მარტის ბოლო რიცხვებში დაიწყება. სიუჟეტის თანახმად, ვიდეორგოლის მთავარი გმირები: ქეთა თოფურია და სერგეი ამორალოვი სხვა მუსიკოსებთან ერთად, ციხისა თუ ფსიქიატრიული კლინიკის მსგავს სივრცეში აღმოჩნდებიან. სიგიჟიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა სიყვარულია...

„A-სტუდიოსთან“ მუსიკის სიყვარული გვაერთიანებს. გასტროლებზე ერთმანეთს ხშირად ვხვდებით. დუეტის შექმნის იდეა მატარებელში ჩაისახა, როდესაც „იურმალის“ ფესტივალიდან უკან ვბრუნდებოდით. სტილის ძიებას და არანჟირებას 6 თვეზე მეტი შევალიეთ — რადგან ჩვენი კოლექტივები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდება, ამიტომ არ ვჩქარობდით და საბოლოოდ, ისეთი სიმღერა შევქმენით, რომელსაც რაც უფრო ხშირად უსმენ — მით უფრო მოგწონს“, — ამბობს ჯგუფ „გამოუსწორებელი თაღლითების“ პროდიუსერი ევგენი ორლოვი. ■

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

14 წლის გოგონას გაუპატიურებისა და გატაცებისთვის 3 ახალგაზრდას განაჩენი გამოუტანეს

„შვილის უბედურებას არავის ვაპატიებ", — ამბობს დაზარალებულის დედა და განაჩენს ასაჩივრებს

ადამიანის გატაცებისა და სასტიკი ძალადობისთვის, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 3 ახალგაზრდას განაჩენი გამოუტანა. სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო, მაგრამ მის საბოლოო გადაწყვეტილებას დაზარალებულის მხარე და პროკურატურა არ დაეთანხმნენ. პრეტენზია სასჯელის ზომას ეხება. მხარეთა განცხადებით, დანაშაული იმდენად მძიმე და ულმობელია, რომ სამართლიანობა განსასჯელების უმკაცრესად დასჯას მოითხოვს.

საქმე, რომელიც სასამართლომ ძალზე დაძაბულ და კონფლიქტურ ვითარებაში განიხილა, არასრულწლოვანი გოგონას გატაცებასა და გაუპატიურებას ეხება.

მეგი ცანავა

აღნიშნული დანაშაულისთვის პოლიციამ 3 ახალგაზრდა მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს დააკავა. მაგრამ გამოძიების მასალებში მეოთხე ეჭვმიტანილიცაა ნახსენები. როგორც ირკვევა, ვერც მისი ვინაობა და ვერც ადგილსამყოფელი სამართალდამცველებმა დღემდე ვერ დაადგინეს. სხდომა დახურული იყო, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, სასამართლო დარბაზში, გაღიზიანებული და აგრესიული დაზარალებული მხარისგან განსასჯელების მისამართით უსიამოვნო, ხშირად შეურაცხმყოფელი შეძახილები არ წყდებოდა. ცხადია, ბევრისთვის გასაგები იყო იმ დედის მდგომარეობა, რომლის 14 წლის ქალიშვილი სასტიკად აწამეს და გააუპატიურეს. მაგრამ მხარე სასამართლოს მიმართაც გამოთქვამდა პროტესტს, რადგან მიიჩნევდა, რომ ის არაობიექტური იყო.

საქმის მასალების მიხედვით, 19 წლის ვლადიმერ ბეროძე (გვარები შეცვლილია) თანატოლ მეგობრებს — იოსებ მოლაშხიასა და დავით სანოძეს დანაშაულის ორგანიზებაში დახმარებაზე წინასწარ შეუთანხმდა. უთხრა მათ, რომ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ავტომანქანა და თავშესაფარი დასჭირდებოდა. მას შემდეგ, რაც მანქანის საკითხი მოაგვარეს (საქმეში სანოძის ბიძის „ფორდი" ფიგურირებს), შორეულ სოფელში მდებარე საცხოვრებელ სახლს დაუწყეს ძებნა. სწორედ ამ მიზეზით, მათ კიდევ ერთი პიროვნება, გამოძიებით დაუდგენელი, ვინმე ზაზა ჩართეს საქმეში. აღმოჩნდა, რომ ზაზას ნაცნობს მიტოვებული სახლი მარტვილის რაიონის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში ჰქონდა და იქ გატაცებულის გადამალვა უპრობლემოდ შეიძლებოდა. სახლის მფლობელის გვარი საქმეში ფიქსირდება, მაგრამ ის, თუ რა აკავშირებდა მას ზაზასთან ან დანაშაულში მონაწილე რომელიმე სხვა ახალგაზრდასთან, გაურკვეულია.

მეგობრებმა, ისევე, როგორც დაზარალებულის ოჯახის წევრებმა, დიდი ხანია, იცოდნენ, რომ ლადო (ვლადიმერ) ბეროძეს მისი უბნელი, 14 წლის გოგონა — ინგა მოსწონდა, ბოლო ხანებში, გოგონას სკოლაში ყოველდღე აკითხავდა და მისი უარისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, გაკვეთილების დასრულებამდე, სკოლის ჭიშკართან ელოდებოდა, შემდეგ სახლამდე მიჰყვებოდა. ეს თითქმის ყოველდღე მეორდებოდა.

„ძალიან არ ავიწროებდა. ზოგჯერ ხმასაც არ სცემდა, ისე, მდუმარედ მიჰყვებოდა ხოლმე უკან. ინგას მისგან საფრთხე არასდროს უგრძნია, ამიტომაც არ ეშინოდა. საერთოდ, ჩუმი და მორიდებული ბიჭი არ იყო, მაგრამ ასე ინგასთან იქცეოდა. ჩვენ ხშირად ვიცინოდით, როცა ინგასთან ერთად შინისკენ ფეხით მივდიოდით, ის კი უკან მოგვყვებოდა. ხმამაღლა ვხუმრობდით მასზე და ვიცოდით, რომ მასაც ესმოდა", — თქვა დაკითხვისას, დაზარალებულის ერთ-ერთმა კლასელმა და მეგობარმა გოგონამ.

დაზარალებულის დედა:

„ის ჩვენს უბანში ცხოვრობდა. ახლა იქ არც ჩვენ, არც მისი ოჯახი აღარ ცხოვრობს. ეს ამბავი რომ მოხდა, სასწრაფოდ შევიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი, მერე თბილისში გადმოვედით. როგორც მითხრეს, მის მშობლებსაც მალე გაუყიდიათ ბინა. ამ ოჯახს კარგად ვიცნობდი. მშობლებზე ყოველთვის კარგი წარმოდგენა მქონდა, ცუდი მათზე არასდროს არაფერი მსმენია. მაგრამ ყველას უკვირდა ლადოს ხასიათი. ახირებული და თავაწყვეტილი ბიჭი იყო. უბანში თუკი რაიმე ჩხუბი და აყალმაყალი ხდებოდა, მასში ბეროძე აუცილებლად მონაწილეობდა. ის, რომ პოლიცია ამ ამბების მიმართ ყრუ იყო, ახლა არ მიკვირს, რადგან როგორც გავიგე, ბიძა პოლიციელი ჰყოლია და წლების მანძილზე, ერთ-ერთი რაიონული ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. ძალიან განსხვავდებოდა ძმისგან, რომლის ხმამაღალი სიტყვაც არავის არასდროს გაუგონია. ვერც იმას წარმოიდგენდა ალბათ ვინმე, რომ ხასიათის მიუხედავად, ასეთი სისასტიკის ჩამდენი აღმოჩნდებოდა. დასაქმებული ის არასდროს მინახავს, მუდამ ბირჟაზე იდგა ან დღე და ღამე ტოტალიზატორში იჯდა. ჩხუბიც იქ ხდებოდა ხოლმე ყოველთვის. ესეც რომ არ ყოფილიყო, ქალიშვილისთვის სულ სხვაგვარ მომავალს ვგეგმავდი და მისი ასე ადრეულ ასაკში გათხოვება აზრადაც არ მომსვლია. შვილს კუდში არ დავდევდი. მინდოდა, ცოტა დამოუკიდებელი ყოფილიყო. თუნდაც იმ დოზით, რომ სკოლაში უჩემოდ წასულიყო და შინ თავისით დაბრუნებულიყო. ამასთან, მკაცრიც ვიყავი, უფრო მეტად — მამამისი. ჩვენ აუცილებლად უნდა გვცოდნოდა, სად და ვის გვერდით იმყოფებოდა, ჩვენს გაუფრთხილებლად, სკოლიდან შინისკენ მომავალი, გზიდან არ გადაუხვევდა. იმ დღეს შინ მოსვლა შეაგვიანდა... 10 წუთიც რომ გადასცილებოდა დროს, უკვე მოსვენებას ვკარგავდი და მაშინვე მობილურზე ვურეკავდი. ამჯერად, ტელეფონიც გათიშული ჰქონდა. ის იყო, ჩაცმას და გარეთ გასვლას ვაპირებდი, რომ კართან აქოშინებული და აღელვებული ბავშვები მომადგნენ. მითხრეს — ინგა მოიტაცესო... ვიდრე ბეროძის სახელს მეტყოდნენ, უკვე ვიცოდი, რომ ეს მისი ჩადენილი იქნებოდა. ამ ამბავში, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ალბათ, არ იყო საჭირო, ადამიანურ ენაზე დავლაპარაკებოდი ბეროძეს ან მისი ოჯახის წევრებს, თავიდანვე სხვა ზომები უნდა მიმეღო. ამაში ხელი იმანაც შემიშალა, რომ ქმრის გაღიზიანებას მოვერიდე და ის საქმის კურსში დროულად არ ჩავაყენე. ისედაც მკაცრი და ფიცხი კაცია და მის ზედმეტად ანერვიულებას შეიძლებოდა, არაერთი სკანდალი მოჰყოლოდა. ბეროძის დამოკიდებულების შესახებ პირველად ქალიშვილისგან შევიტყვე. ერთ დილას, სკოლაში წასასვლელად რომ ემზადებოდა, მითხრა, — დედა, იცი, ბეროძე დამდევს, სულ უკან დამყვება, ვერ მოვიცილეო. ეს შეშინებულს არ უთქვამს, პირიქით, იღიმებოდა და თითქოს რაღაცნაირი, სიამაყითაც კი მითხრა. ეტყო-

გაგრძელება იხ. გვ. 98

როგორ დავძლიოთ სიღარიბე?

სიღარიბის დაძლევის პროგრამის შესახებ სულ უფრო ხშირად ლაპარაკობს ჩვენი ხელისუფლება, მაგრამ სანამ ეს პროგრამა რეალურ შედეგს გამოიღებს, ჩვენი მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი უკიდურესი გაჭირვებიდან თავის დაღწევას საკუთარი ძალებით ცდილობს. ფასები მაღლა იწევს, უმუშევართა რიცხვიც იზრდება და სტატისტიკური მონაცემებიც დღითი დღე იცვლება. გვესაუბრება პროფესორი გურამ ნებიერიძე:

ლელა ჭანკოტაძე

— ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, დაახლოებით 280 ათასი კაცია უსამსახუროდ დარჩენილი. მაგრამ რეალურად, უმუშევართა რიცხვი გაცილებით დიდია. აღსანიშნავია, რომ არსებობს უმუშევრობის რამდენიმე სახეობა. ერთ-ერთი გახლავთ ე.წ. ფარული უმუშევრობა, რაც დღევანდელი საქართველოსთვისაცაა დამახასიათებელი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში, საწარმოები დაბალი შრომითი ანაზღაურების ან ხანგრძლივ უხელფასო შვებულებაში მუშაკთა გაშვების გზით განაგრძობენ არსებობას. ასეთი ადამიანები ფორმალურად, არ მიიჩნევიან, მაგრამ ფაქტობრივად, უმუშევრები არიან. თუ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს ამ ადამიანების რიცხვს დავუმატებთ, უმუშევართა გაცილებით დიდ არმიას მივიღებთ.

— სიღარიბის დაძლევის პროგრამით თუ გახდება შესაძლებელი უმუშევართა რიცხვის შემცირება?

— როგორც არ უნდა შევარბილოთ ოფიციალური სტატისტიკა, სურათი შემაშფოთებელია. ბევრს მიაჩნია, რომ მასობრივი საპროტესტო გამოსვლების მთავარ მიზეზს, სიღარიბე და უმუშევრობა წარმოადგენს. ეს მართლაც, ასეა. სიღარიბე ქვეყანაში ისეთი თვალში საცემი გახდა, რომ უკვე ადამიანთა სახეების გამომეტყველებითაც შეგვიძლია მივხვდეთ, თუ რამდენად საგანგაშო მდგომარეობაა. მაგრამ ყველაზე საშიში სხვა რამ გახლავთ. 1999 წელს გამოცხადდა, რომ შეიქმნებოდა მილიონი სამუშაო ადგილი. გავიდა 9 წელი და სამუშაო ადგილების რაოდენობა არათუ გაიზარდა, არამედ პირიქით — კიდევ უფრო შემცირდა. ამის გამო, ხალხში გაჩნდა ხელისუფლების დაპირებებისადმი უნდობლობა და, აქედან გამომდინარე — უიმედობა. ეს კი, ერისთვის ყველაზე საშინელი და დამღუპველი რამ არის. უკვე რამდენიმე წელია, რაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სტატისტიკური ცენტრი — „გელაპ ინტერნეიშენელი“ იკვლევს მოსახლეობის ოპტიმიზმის დონეს ანუ საზოგადოების დამოკიდებულებას მომავლის მიმართ. კვლევას, როგორც წესი, 50 ქვეყანაში ახორციელებენ. 2004 წელს, მისმა გამოკითხვამ 65 ქვეყნის 60 ათასი რესპონდენტი მოიცვა და მაშინ, ოპტიმიზმის თვალსაზრისით, საქართველო მეორე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო წლევანდელი მონაცემებით, მას ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი ტენდენციაა...

ჩვენს ქვეყანაში მართლაც, გადაუჭრელ პრობლემად რჩება სამუშაო ადგილების შექმნა. სწორედ ამის გამოა, რომ ყველაზე ძვირად ღირებული — ადამიანური რესურსი კვლავაც შეუჩერებლივ გაედინება ქვეყნიდან. არალეგალი ქართველი ემიგრანტები თითქმის მთელ მსოფლიოში არიან მიმოფანტულნი. ისინი მძიმე და ხშირად, დამამცირებელ სამუშაოს ასრულებენ და მიღებულ თანხას ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს უნაწილებენ. ამ გზით, ბევრმა ქართულმა ოჯახმა დააღწია თავი უკიდურეს გაჭირვებას. მაგრამ ხომ არსებობენ ისეთი ოჯახებიც, რომლებსაც არც უცხოეთში ჰყავთ ნათესავები და ვერც სახელმწიფოსგან მიულიათ სოციალური დახმარება. ასეთი ოჯახების მდგომარეობა ცხადია, მძიმე და უიმედოა. მათ თავად უნდა ეძებონ სიღარიბისგან თავის დაღწევის გზები.

გოჩა დვალიშვილი, *40 წლის:*

— ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რას გრძნობს ადამიანი, როცა სამსახურის გარეშე რჩება, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახლში უმუშევარი დედა, ორსული ცოლი და 9 წლის ბავშვი ელოდება. ძალოვან უწყებაში 14 წელი ვიმუშავე. ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, სამინისტროს რეორგანიზაცია დაიწყო. ძალიან ბევრი ბიჭი შეგვამცირეს. ოჯახის წევრებს ვერ ვუთხარი, ისედაც მიზერული შემოსავლის გარეშე დავრჩით-მეთქი. გადავწყვიტე, ეს საზარელი ფაქტი საიდუმლოდ შემენახა, სანამ ახალ სამსახურს არ ვიშოვიდი. იმის წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ ჩემთვის ყველა კარი დაკეტილი აღმოჩნდებოდა. მეორე დღიდანვე დავიწყე სამუშაოს ძებნა, ყველა ნაცნობი შევაწუხე, დახმარება ყველას ვთხოვე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ერთ დილით ცოლმა მკითხა: გოჩა, ხელფასს როდის იღებო? ხმა ჩამივარდა.

— ოჯახს სიმართლე რატომ დაუმალეთ?

— ჩემი პირველი ცოლი მშობიარობას გადაჰყვა. ახალშობილმაც დიდხანს იავადმყოფა. მეორე ცოლის მშობიარობას შიშით ველოდი. ყველაფერს ვაკეთებდი, რომ არ ენერვიულა, არ გაღიზიანებულიყო. ამიტომ სიმართლე ვერ გავუმჟღავნე და ვუთხარი, ხელფასი ცოტათი დაიგვიანებს-მეთქი. თავს პირობა მივეცი, რომ ნემსის ყუნწში გავძვრებოდი და ოჯახს შიმშილისთვის არ გავწირავდი... ორი დღე და ღამე არ მძინებია. თვალი ვერ მოვხუჭე. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ რისი გაკეთება შემეძლო. გადავწყვიტე, ტაქსის მძღოლი გავმხდარიყავი. ერთ-ერთი ფირმიდან ტაქსი განვადებით გამოვიყვანე. ხელშეკრულებაც გავაფორმე, რომლის თანახმად, ფირმისთვის ყოველდღიურად, 50 ლარი უნდა გადამეხადა. დავდიოდი „მერსედესის“ მარკის მანქანით და ვნატრობდი, ვინმეს ხელი დაექნია. ვერ ვიტყვი, რომ არაფერი გამოდიოდა. ოჯახში ხელცარიელი არ ვბრუნდებოდი, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა, იქნებ, ტაქსის მძღოლადაც დავრჩენილიყავი. წყნეთის გზაზე დამაყაჩაღეს, მცემეს, დამამცირეს, გამძარცვეს. ამ შემთხვევის შესახებ სიუჟეტი ტელევიზიითაც გავიდა. ჩემმა ცოლმაც გაიგო, დედამაც და მთელმა საახლობლომაც. საავადმყოფოში 20 დღე გავატარე. თავის ქალის ტრავმა მივიღე. ძლივს გადამარჩინეს. ამასობაში, ჩემმა ცოლმა იმშობიარა. ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა. სახლი სიხარულით აივსო. ერთ დილით დედაჩემმა თქვენი ჟურნალი მომაწოდა და მითხრა, — ნახე, რა წერიაო.

— ასეთი რა ეწერა?

— ჟურნალის გარეკანზე დიდი ასოებით ეწერა: „როგორ გავხდეთ მილიონერი?“ წერილი გულდასმით წავიკითხე.

იმის შესახებ იყო მოთხრობილი, თუ როგორ დაიწყეს კაპიტალის შეგროვება მსოფლიოს მდიდარმა ადამიანებმა. სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა, რომ ამბობდნენ, ღარიბი კაცი მილიონერი გახდაო, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ღატაკებიც ქცეულან ცნობილ მაგნატებად. განსაკუთრებით დამაინტერესა ოჯახმა, რომლის ყველა წევრი ერთმანეთს მხარში ამოუდგა. მათ ჯერ ხის სათამაშოების კეთება დაიწყეს, შემდეგ — სათამაშოების ჯადოსნური სამყარო შექმნეს... ბევრი აღარ მიფიქრია, გადავწყვიტე, მეც ოჯახური ბიზნესი წამომეწყო. ჩემი ცოლი მუსიკის მასწავლებელია, დედაჩემი კი, მთელი ცხოვრების მანძილზე, საბავშო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა. ამ ორ ქალს ბავშვებთან ურთიერთობა კარგად გამოსდიოდა. შევთავაზე, სახლში საბავშვო ბაღი გაგვეხსნა. საჭირო ლიცენზიის აღება იოლი არ აღმოჩნდა. ბაღი მაინც შევქმენით, მაგრამ საშინელი რამ მოხდა: ჩვენი ერთ-ერთი აღსაზრდელი მენინგოკოქცემიური შოკისგან დაიღუპა. მოგეხსენებათ, მენინგიტი ინფექციური დაავადებაა, ამიტომ სხვა მშობლებმა ჩვენთან შვილები აღარ გამოუშვეს...

— **ბაღი დახურეთ?**

— მხოლოდ 5 თვე ვიმუშავეთ, მერე ბაღი დავხურეთ, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. პირიქით, გადავწყვიტე, ბიზნესი ისევ ბავშვებზე გამეთვალა და ამჯერად, დაბადების დღის ცენტრი გავხსენი. ბაღის შენობიდან საწოლები გავიტანეთ და სათამაშოები შემოვიტანეთ. რეკლამის ფული არ გვქონდა, ამიტომ მე, დედაჩემმა და ჩემმა ცოლმა ხელით დავწერეთ სარეკლამო განცხადებები. დიდუბეში 2000 სარეკლამო ფურცელი გავაკარით. მალე პირველი მსურველიც დაგვიკავშირდა. მას შემდეგ, 3 წელი გავიდა. იმდენი შეკვეთა გვაქვს, რომ ხან დღეში 3 დაბადების დღეს ვაწყობთ. მოგებაც შესაბამისია. ჩემი მეუღლე ბავშვებს ართობს, დედაჩემი სამზარეულოში ტრიალებს, მე ცენტრს სურსათით ვამარაგებ, ბავშვების უსაფრთხოებაზეც ვზრუნავ. კიდევ 3 ადამიანი გვყავს დაქირავებული, მათაც ხელფასს ვუხდით. ჩემი ოჯახის წლიური შემოსავალი 35-40 ათასი ლარია. ხომ შეგვიძლია, თავისუფლად ვთქვათ, რომ სიღარიბე დავამარცხეთ?!

დარიკო ნონიკაშვილი უცნაურ ვითარებაში გავიცანი. ერთ დილას უცნობმა ქალმა დამირეკა და მკითხა: თქვენ, რესტორანში ჩემი გამომცხვარი ტორტი მოგეწონათ, კიდევ ხომ არ დააგემოვნებდითო? თანხმობის მიღების შემდეგ კი ტორტი შინ მომიტანეს. წინა საღამოს ერთ-ერთ რესტორანში ჩემს ნაცნობ მენეჯერს მართლაც, ვუთხარი: ისეთი ტორტია, ალბათ, მისი გემო აქ კიდევ დამაბრუნებს-მეთქი. ქალბატონმა დარიკომ შანსი არ გაუშვა და კიდევ ერთი მუდმივი კლიენტი შეიძინა, მე კი — საინტერესო რესპონდენტი.

დარიკო ნონიკაშვილი, *39 წლის:*

— სიღარიბიდან ამოსვლა ძალზე ძნელია, მაგრამ — შესაძლებელი. ჩემს ცხოვრებაში იყო ისეთი პერიოდი, როცა არ ვიცოდი, პური რითი მეყიდა, „ავლაბრის“ მეტროდან დიდუბეში ფეხით მივდიოდი, რადგან ტრანსპორტის ფული არ მქონდა და ქუჩაში გადაყრილ ბოთლებს ვაგროვებდი. ამას ვაკეთებდი მე — მშობლების ერთადერთი ქალიშვილი, ფუფუნებაში გაზრდილი, ნასწავლი, განათლებული ქალი!.. ბავშვი 3 წლის მყავდა, მამა, ქმარი და მამამთილი ავტოავარიაში ერთდროულად რომ დამეღუპნენ. დავრჩი მარტო. მათი დანატოვარი ფული რამდენ ხანს მეყოფოდა?.. სახლიდან ნივთების გაყიდვა დავიწყე. ბოლოს, გასაყიდიც აღარაფერი დარჩა. სწორედ მაშინ ვკითხე ჩემს თავს: რისი გაკეთება შეგიძლია, დარიკო? რა გზით შეგიძლია ფულის შოვნა-მეთქი? ვიფიქრე, ვიფიქრე და მოვიფიქრე, რომ ნამცხვრები გამომეცხო და მაღაზიებში ჩამებარებინა. მართლაც, გამოვაცხვე ნამცხვარი და დავიწყე მაღაზიებში სიარული. ზოგმა დამიწუნა, ზოგმა ამრეზით შემომხედა, მაგრამ გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი, რომელმაც ფული წინასწარ გადამიხადა და მითხრა: 3 დღეში შემოიარე, თუ გაიყიდა, კიდევ მოიტანეო. 2 დღის განმავლობაში ნამცხვარი ხელუხლებელი იდო. ისე განვიცადე, მთელი ღამე ცრემლებს ვღვრიდი. მეზობელს შევეცოდე და მითხრა: მომეცი ფული, წავალ იმ ნამცხვარს სულ ვიყიდი, მოვიტან და მივირთვათო. გაოცებულმა შევხედე: საკუთარი ნახელავი თვითონვე ვიყიდო-მეთქი?! მან ამიხსნა: ამ გზით, მაღაზიის მეპატრონეს მოატყუებ, კიდევ შეგიკვეთს, თუ არ გაიყიდება, ისევ ჩვენ ვიყიდოთ; ამასობაში, გამოჩნდება, ვინც მართლა იყიდის; ოღონდ, ისეთი გემრიელი უნდა იყოს, როცა იმ მაღაზიასთან გაივლის, ყოველთვის იმ ნამცხვრის გემო გაახსენდესო... მისი იდეა ავიტაცე. ნამცხვრის საყიდელი ფული მივეცი. სულ რაღაც ნახევარ საათში მაღაზიის მეპატრონემ დამირეკა და შეკვეთა მომცა. საკუთარი ნახელავი ხუთჯერ ვიყიდე. უკვე ხელის ჩაქნევას ვაპირებდი, მოულოდნელად მაღაზიაში რომ გამომიძახეს. იქვე ახლოს კაფე იყო. ჩემი ნამცხვარი მის მფლობელს გაუსინჯავს, მოსწონებია და მთხოვა, რომ ყოველ დილით მასთან 50 „ეკლერი“ მიმეტანა. ეს ნიშნავდა, რომ მე და ჩემს შვილს პურის ფული არ გამოგველეოდა... მას შემდეგ, 12 წელი გავიდა. მე ისევ ნამცხვრებს ვაცხობ. ბიზნესი გავაფართოვე: სახლში საცხობი გავხსენი, სადაც 5 ქალი მუშაობს. თითოეულის ხელფასი 300 ლარამდეა. რამდენიმე რესტორანთან ხელშეკრულება გავაფორმე — ტორტებითა და ხაჭაპურით ვამარაგებ. ჩემი თვიური შემოსავალი 1.500 ლარამდე აღწევს. ბავშვი კერძო სკოლაში სწავლობს, საკუთარი მანქანით დამყავს. ძალიან ბევრს ვშრომობ, მაგრამ შემიძლია, ჩემს გაჭირვებულ ახლობლებს ხანდახან დავეხმარო კიდეც. არასდროს მავიწყდება ის დრო, როცა სახლიდან ყველაფერს ვყიდდი, ოღონდ შვილისთვის პური, კარტოფილი და მაკარონი მეყიდა.

დარიკოს მსგავსად, სამუშაო ადგილები ნელიმაც თავად შექმნა. ამისთვის პროფესიის შეცვლა მოუხდა. სიღარიბიდან ამოსვლა მასაც ძალზე გაუჭირდა, მაგრამ უკან არ დაუხევია, ფარ-ხმალი არ დაუყრია. ნელი სინაურიძე პროფესიით ისტორიკოსია, მაგრამ ისტორიის მასწავლებლად მუშაობა მისთვის აუხდენელ ოცნებად იქცა. ახალბედა პედაგოგისთვის ყველა სკოლის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. უმუშევრობას იქნებ, შეჰგუებოდა კიდეც, რომ არა სოფლელი ნათესავი, რომელიც თბილისში ხელობის შესასწავლად ჩამოვიდა.

ნელი სინაურიძე, *44 წლის:*

— გორიდან ჩემი ბიძაშვილის შვილი, ეკა ჩამოვიდა. თქვა: თმის შეჭრა უნდა ვისწავლო, იქნებ, რომელიმე სილამაზის სალონში მიმიყვანოო. უარს როგორ ვეტყოდი?! დიდხანს სიარული არ დაგვჭირვებია. ერთმა სტილისტმა მოსწავლედ აიყვანა. უთხრა: 3 თვეში გასწავლი, კარგად თუ დაეუფლები, ჩემს სალონშივე დაგტოვებ ხელოსნადო. ყოველდღე, ეკა სალონიდან სახლში რომ ბრუნდებოდა, იქაურ ამბებს ჰყვებოდა — რამდენ ადამიანს შეჭრეს თმა, რამდენს დავარცხნეს და ა.შ. ვხვდებოდი, რომ სილამაზის სალონი შემოსავლიანი იყო. ასე, თანდათან, ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა სიტყვა „სტილისტი“. მოგვიანებით გადავწყვიტე, რომ თმის შეჭრა-დავარცხნა მეც მესწავლა. პირველად, დედას გამოვუტყდი. კინაღამ გადაირია: უნივერსიტეტი იმისთვის დაამთავრე, რომ პარიკმახერად იმუშაოო?!. მაგრამ უკან აღარ დავიხიე. ძალიან გვიჭირდა. ჩვენთვის კვებაც კი პრობლემას წარმოადგენდა. დღის განმავლობაში ჩაის

ამიხსნა: ამ გზით, მაღაზიის მეპატრონეს მოატყუებ, კიდევ შეგიკვეთს, თუ არ გაიყიდება, ისევ ჩვენ ვიყიდოთ

თუ დავლევდით და გახუხულ პურს მივაყოლებდით, ღმერთს მადლობას ვწირავდით. თვეების განმავლობაში, ხორცისა და თევზის ყიდვას ვერ ვახერხებდით. დედას შიმშილით სიკვდილი ერჩია იმის წარმოდგენას, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი პარიკმახერი იქნებოდა.

— როგორ დაიყოლიე?

— ერთ დღეს დაქალთან წავედი. გამიმასპინძლდა. სუფრაზე ათასნაირი საჭმელი დააწყო... მერე ტელეფონმა დარეკა და ოთახიდან გავიდა. თევზის ორი ნაჭერი და თონის პური სუფრიდან ავიღე და ჩანთაში ჩავიდე. დედაჩემს ისე უყვარდა, რომ მის გამო საჭმელი მოვიპარე... იქიდან რომ წამოვედი მთელი გზა ვტიროდი: სადამდე მიმიყვანა გაჭირვებამ, სიღარიბემ, უმუშევრობამ? ღირსება დავკარგე-მეთქი! ნაქურდალი საჭმელი მოვისროლე და ასე, ნამტირალევი, შერცხვენილი და განადგურებული მივედი იმ სილამაზის სალონში, სადაც ეკა სწავლობდა. 3 თვის განმავლობაში დაუღალავად ვშრომობდი. ნიჭიც აღმომაჩნდა და ხელობაც შევისწავლე. ისე მოვინდომე, რომ იმავე სალონში დამ-

ისეთი შემოსავალი მქონდა, 6 თვეში მეორე სალონიც გავაკეთე

ასაქმეს. დედაჩემისთვის სიმართლე არ მითქვამს. ვუთხარი: ისტორიის მასწავლებლის ადგილი ვიშოვე, მაგრამ დირექტორი 300 დოლარს მთხოვს-მეთქი. მაშინვე მოიხსნა ბებიის დანატოვარი თავისი საყურეები, ქორწინების ბეჭედიც მომცა და მითხრა: გაყიდე, ფული გადაიხადე და მუშაობა დაიწყე, ისე არ მოვკვდე, რომ შენ ღირსეულ სამსახურში არ გნახოო. ეკამაც შემინახა საიდუმლო და გავხდი სტილისტი. დილით მივდიოდი სახლიდან და გვიან ვბრუნდებოდი. დედა კმაყოფილი იყო. ისე წავიდა ამქვეყნიდან, სიმართლე არ გაუგია.

— პროფესიის შეცვლამ შენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები შეიტანა?

— თავიდან, ფიქსირებული ხელფასი არ მქონდა, თვეში 250-300 ლარს გამოვიმუშავებდი, მაგრამ ეს მე და დედას გვყოფნიდა. როცა ის გარდაიცვალა, ბინა 4.000 დოლარად დავაგირავე და ამ თანხით, ნაძალადევის რაიონში სილამაზის სალონი გავხსენი. ისეთი შემოსავალი მქონდა, 6 თვეში მეორე სალონიც გავაკეთე. სულ რაღაც 3 წელიწადში მანქანა ვიყიდე, სახლი გავარემონტე. მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალი, სასურველი საცოლე აღმოვჩნდი. 35 წლის ასაკში გავთხოვდი. ტყუპი ბიჭი გავაჩინე. ერთის მაგივრად, ორი ძიძა დავიქირავე. უკვე მეექვსე წელია, რაც თავს უფლებას ვაძლევ, ზაფხულში ჩემი ოჯახით, საზღვარგარეთ დავისვენო. ნამდვილად ბედნიერი ვარ: სიღარიბე დავამარცხე.

ლია გახოკიძისთვის ძალზე ძნელი აღმოჩნდა იმის გაცნობიერება, რომ ორი შვილისთვის წიგნების ყიდვაც კი არ შეეძლო, — მაშინ, როცა თავად, განათლება მოსკოვში მიიღო და 10 წელი ბულგარეთში იმუშავა. ეს ის დრო იყო, როცა საზღვარგარეთ წასვლა დიდ სირთულეს წარმოადგენდა, მაგრამ რაიკომის მდივნის ქალიშვილისთვის ყველა კარი ღია იყო.

ლია გახოკიძე, *48 წლის:*

— მამამ შვილებს დიდი ქონებაც დაგვიტოვა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — ზღვა კოვზით დაილიაო. სწორედ ასე დაგვემართა: ჩემმა ძმამ ქონება გაანიავა, ნარკოტიკებმა გონება აურია, ყველაფერი გაყიდა. ბოლოს, წამლის ზედმეტი დოზისგან დაიღუპა კიდეც. დავრჩი მარტო, გაძარცულ სახლში. მერე გავთხოვდი, ბავშვები გავაჩინე და დავიწყე ცხოვრება ცარიელი ჯიბით. ქმარი იმდენს შოულობდა, რომ ბავშვებს საჭმელი და ტანსაცმელი არ მოჰკლებოდათ. მაგრამ ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, კადრების შემცირებაში მოყვა და ერთადერთი შემოსავლის წყაროც გადაგვიჭრეს. რა უნდა გვექნა? დაბნეულები და შეშინებულები, ვირთხებივით ვცხოვრობდით: ბავშვები სახლიდან ეზოშიც არ ჩამყავდა, რომ რაიმე ვირუსი არ შეხვედროდათ — ექიმთან რითი უნდა წამეყვანა?.. ასეთ გაჭირვებაში გავიდა 8 თვე. ნერვიულობისგან, მოხუცებულს დავემსგავსე. ქმარიც გაჭაღარავდა.

— არ შეეცადეთ, სადმე მუშაობა დაგეწყოთ?

— საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემი ქმარი ელიავას ბაზრობასთან, შრომის ბირჟაზე იდგა. თუ ვინმეს მუშა დასჭირდებოდა, მიჰყვებოდა. პურის ფულსაც ვერ შოულობდა. დეიდამისი მკერავი იყო. სახლში ერთი ძველი საკერავი მანქანა ჰქონდა, შეკვეთებს იღებდა და დღე და ღამე კერავდა. ერთ დღეს მზია დეიდამ შემომთავაზა: მოდი, მიყურე, იქნებ, კერვის ნიჭი აღმოგაჩნდეს, შეკერავ, გაყიდი, პურის ფული არასოდეს მოგაკლდებაო. მისი ნათქვამი სასაცილოდ არ მეყო, მაგრამ მაინც მივედი. ნემსით თითები სულ დავიჩხვლიტე. რამდენჯერმე ქსოვილი ისე გავაფუჭე, რომ გადასაგდები გახდა, მაგრამ კეთილი ქალი მამშვიდებდა და მთხოვდა, იმედი არ დამეკარგა. მეც საოცარი მოთმინება გამოვიჩინე. ორი თვის განმავლობაში დაუღალავად ვშრომობდი. ხან ვამბობდი: ჩემგან მკერავი არ დადგება-მეთქი, ხან კი მტკიცედ ვაცხადებდი: ერთი წლისთავზე პალტოსაც შევკერავ-მეთქი. ასეც მოხდა. ქალი, რომელსაც ნემსში ძაფის გაყრა უჭირდა, ახლა ულამაზეს კაბებს კერავს...

— ბევრი ქალი კერავს, მაგრამ ამ გზით ოჯახის რჩენას ვერ ახერხებს. თქვენ როგორ შეძელით, ახალი ხელობა შემოსავლის მუდმივ წყაროდ გექციათ?

— ერთხელ, ჩემი შეკერილი პიჯაკი მეგობარს ვაჩუქე. 3 დღის შემდეგ მითხრა: პირსახოცებს მარკები ავაძვრე, პიჯაკს დავაკერე და მაღაზიაში წავედი; გამყიდველს ვუთხარი, — რუმინეთიდან ჩამომიტანეს, მაგრამ არ მეტევა, ხომ ვერ გამაყიდვინებთ-მეთქი? 150 ლარი გადამიხადაო. მეგობარი შემომიჩნდა: შეკერე მსგავსი პიჯაკები და მაღაზიებში ჩაა-ბარე, მეც დაგეხმარებიო. ასეც მოვიქეცი. თავიდან გაუბედავად შევდიოდი ძვირად ღირებული ტანსაცმლის მაღაზიებში, ხმაც მიკანკალებდა და ხელებიც. ვიხვეწებოდი: ჩემი ნახელავი ჩაებარებინათ... შემდეგ უკვე თავად მირეკავდნენ და შეკვეთებს მაძლევდნენ. ერთ შეკვეთას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. ახლა ტანსაცმლით 3 საქორწინო მაღაზიას და ორ სავაჭრო ცენტრს ვამარაგებ. ეს ბინა წელს ვიყიდე, 50.000 ლარი გადავიხადე. უკვე სახლიც გვაქვს.

— მამის დანატოვარი ბინა ხომ გქონდათ?

— ის ბინა გავყიდე, როცა მივხვდი, რომ ძვირად ღირებული ქსოვილებისგან უნდა მეკერა და ტანსაცმლის გასაწყობად, ასეთივე აქსესუარები გამომეყენებინა. მე და ჩემი ქმარი თურქეთში წავედით და იქიდან 10.000 დოლარის საქონელი ჩამოვიტანეთ. საქმეს სერიოზულად მოვეკიდეთ. ცხადია, ისე ვერ ვკერავდი, როგორც პროფესიონალი მკერავები, ამიტომ დამხმარეები ავიყვანე. ახლა ჩემს სამკერვალოში ყოველდღიურად, 7 მკერავი დაუღალავად შრომობს. თითოეული თვეში 1.000 ლარს გამოიმუშავებს. მეც სოლიდური შემოსავალი მაქვს. ყველას, ვისაც მატერიალური პრობლემები აქვს, ვურჩევ — ნუ დაელოდებით სახელმწიფოს დახმარებებს ან იმ დროს, როცა ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდება და თითოეული მათგანი დასაქმდება. ნებისმიერი ჩვენგანი თავად უნდა ეცადოს საკუთარი ოჯახის კრიზისიდან გამოყვანას. მე და ჩემმა ქმარმა თავად შევიმუშავეთ ჩვენი ოჯახის „სიღარიბის დაძლევის პროგრამა“ და წარმატებით განვახორციელეთ კიდეც. ■

ეკონომიკური კრიზისი და საქართველო

ბოლო დროს, დოლარის კურსის ვარდნამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ადგილობრივი კომერციული ბანკების ტაბლოიდებზე, ერთი ამერიკული დოლარის ფასი 1.46 ლარს შეადგენს. საფინანსო ინსტიტუტების კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მალე დოლარი ლარს გაუტოლდეს. ამიტომაც, მსოფლიო მნიშვნელობის ვალუტა ხალხში ნდობას კარგავს და გზას ახალგაზრდა, მაგრამ მყარ ფულის ერთეულს, ევროს უთმობს. დოლარის გაუფასურების კვალდაკვალ, საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფასები დღითი დღე იზრდება, რაც მცირეშემოსავლიან მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება.

„ფასების ზრდის ტენდენცია ისევ შენარჩუნდება"

ემა ტუხიაშვილი

ლადო პაპავა, *პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი:*

— ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური კრიზისია, საიდუმლოს აღარავისთვის წარმოადგენს. ამ კრიზისის გამომწვევი რამდენიმე მიზეზის დასახელება შეიძლება. მათ შორის, ყველაზე მთავარი, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა გახლავთ. მხედველობაში მაქვს ის ანტიტერორისტული, საომარი მოქმედებები, რომლებსაც ამერიკა ჯერ ავღანეთში ახორციელებდა, ახლა კი ერაყში განაგრძობს. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული ოპერაციებია და ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი სწორედ ამაში იხარჯება. იმის გამო, რომ ეს არასაწარმოო ხარჯებია, ამერიკის ეკონომიკა ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. იქ დღითი დღე მცირდება სამუშაო ადგილების და შესაბამისად, დასაქმებულთა რიცხვი, რამაც პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ ბანკებს (სესხის დაბრუნების თვალსაზრისით). ამერიკის ეკონომიკური კრიზისის კიდევ ერთი შედეგი სახელმწიფო ვალუტის, დოლარის გაუფასურება გახლავთ. დოლარი მსოფლიო ვალუტაა და პრაქტიკულად, ყველა დიდ სახელმწიფოს, მსხვილ კორპორაციას თუ კომპანიას, ფასიან ქაღალდებშიც კი დოლარი აქვს ჩადებული. ამ ვალუტის კრახი ხელს არ აძლევს როგორც ამერიკას, ასევე იაპონიას, ევროკავშირს, დიდ ბრიტანეთს და შვეიცარიას.

— როგორც ვიცი, მსოფლიო ფინანსურ ინსტიტუტებში, დოლარის ჩასანაცვლებლად რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ. მათ შორის, ლაპარაკია ევროზე, იაპონურ იენსა და ჩინურ იუანზე.

— დოლარის ჩანაცვლების პროცესი ნელ-ნელა მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, როცა ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები ხედავენ, რომ დოლარი უფასურდება, ხოლო ევრო სტაბილურობას ინარჩუნებს, ცდილობენ, საკუთარი აქტივების კონვერტაცია მყარ ვალუტაში მოახდინონ. მაგრამ დოლარის სრული და რაც მთავარია, სწრაფი ჩანაცვლება ევროპასაც კი არ აძლევს ხელს. ევროპულ კომპანიებს, მათ შორის ბანკებს, აქტივები დოლარში აქვთ და ამიტომაც, თუ ერთბაშად დადგება დოლარის სხვა ვალუტით ჩანაცვლების აუცილებლობა, ყველა ამ კომპანიას მნიშვნელოვანი დანაკარგი ექნება, რამაც შესაძლოა, ისინი გაკოტრების პირას მიიყვანოს. ამიტომ, დოლარის ჩანაცვლება ხდება ეტაპობრივად და ბალანსის დაცვით. დოლარის გაუფასურების პროცესი, სავარაუდოდ კვლავ გაგრძელდება, შეიზღუდება ამ ვალუტის მასშტაბები და აქტივების დივერსიფიცირება მეტწილად, სხვადასხვა ვალუტაში მოხდება. მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დოლარს კრახი არ ემუქრება.

— დოლარის გაუფასურების პროცესს, დროში საეჭვოდ ემთხვევა ფასების ზრდა მთელ რიგ პროდუქტებზე...

— მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდა მხოლოდ დოლარის კურსის ვარდნით არაა განპირობებული. ეს გახლავთ ობიექტური პროცესი, რომელიც უკვე დიდი ხანია, ტენდენციად იქცა. რა თქმა უნდა, ამ პროცესს სუბიექტური მიზეზებიც ახლავს თან, მათ შორის: ოპეკის (*ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების გაერთიანება. — ავტ.*) პოლიტიკა, ამერიკის სამხედრო ოპერაციები ერაყში, ნავთობისა და გაზის იმპორტიორი ქვეყნების ინტერესები, ვინც ნავთობზე ფასების ზრდით, დიდ სარგებელს ილებს. ზოგჯერ, ოპეკი ხელოვნურად ზღუდავს ბაზარზე ნავთობის მიწოდებას, რათა ამით ფასების ზრდას შეუწყოს ხელი. მაგალითად, უგო ჩავესმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ახლო მომავალში, ერთი ბარელი ნავთობი 200 დოლარი ეღირება. ამაზე დაფიქრება მართლაც ღირს, მით უფრო, რომ ჩავესის განცხადებისგან ამერიკელი ექსპერტების პროგნოზები დიდად არ განსხვავდება. ამერიკელები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მალე ბარელი ნავთობის ფასი 175 დოლარით განისაზღვროს. მსოფლიოში იზრდება ბუნებრივი აირის ღირებულებაც. ვიმედოვნებ, ჩვენი მთავარი პარტნიორი — აზერბაიჯანი ისე არ გაგვიძვირებს გაზს, რა ფასადაც მას რუსეთი გვთავაზობს, მაგრამ იძულებული იქნება, მსოფლიო დინამიკას ანგარიში გაუწიოს და გაზის ტარიფი ყოველწლიურად გაზარდოს.

— საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი იმპორტირებული პროდუქციითაა გაჯერებული. იმ პირობებში, როდესაც დოლარის კურსი ეცემა, ხოლო ჩვენი ეროვნული ვალუტა მყარდება, გაუგებარია, რატომ უნდა ძვირდებოდეს პროდუქტები, რომლებიც იმპორტიორს დოლარში აქვს ნაყიდი?

— ეროვნული ვალუტის გამყარება ექსპორტისთვის არასასურველია. საექსპორტო ოპერაციის განხორციელებისას, ამას ბუნებრივი დანაკარგი მოაქვს, რაც ექსპორტის შეზღუდვას უწყობს ხელს. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის კი, ასეთი შეზღუდვა ფაქტობრივად, მთელი ეროვნული წარმოების კრახს ნიშნავს. იმპორტში პირიქით — როდესაც დოლარის კურსი ეცემა, საიმპორტო ოპერაცია იაფდება. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იმპორტი იაფდება მხოლოდ იმპორტიორისთვის, სასაქონლო ფასი კი ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით ყალიბდება.

იმპორტის მოცულობის მატებას მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის. საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ზრდას, მთავრობის მცდარი ხარჯვითი პოლიტიკაც უწყობს ხელს. მაგალითად, დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რამაც ხალხში დამატებითი ფულადი მასის წარმოქმნას შეუწყო ხელი. ხალხმა ეს ფული სამომხმარებლო ბაზარზე დახარჯა, რაც ფასების ზრდის მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა. მთავრობამ ხალხს დენის, გაზის და შეშის ვაუჩერები დაურიგა,

ზოგჯერ, ოპეკი ხელოვნურად ზღუდავს ბაზარზე ნავთობის მიწოდებას, რათა ამით ფასების ზრდას შეუწყოს ხელი

სოფლის მოსახლეობას თითო ტომარა ფქვილიც გადასცა, უსასყიდლოდ, ამ ყველაფერმა კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინფლაციას და ფასების ზრდას. წარმოიდგინეთ, თუ საქონლის მასას გარკვეულ ნაწილს მოვაკლებთ და უსასყიდლოდ დავარიგებთ, ხოლო ფულის მასა იგივე დარჩება, მივიღებთ დიდ ფულის მასას, ნაკლები სასაქონლო მასის პირისპირ. ხოლო იმის მისახვედრად, რომ ასეთ პირობებში ფასების ზრდა გარდაუვალია, უმაღლესი ეკონომიკური განათლება სულაც არაა საჭირო. ახლა მთავრობა მოსახლეობისთვის დიზელის საწვავის დარიგებას გეგმავს, რომლის საერთო ღირებულება 30 მილიონი ლარია, ანუ სწორედ ამ მოცულობის თანხას ტოვებს გამოთავისუფლებულს. ამიტომ, იმ პოლიტიკის პირობებში, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებს, ფასების ზრდის ტენდენცია ისევ შენარჩუნდება.

— მეორე მხრივ, ამით ხელისუფლება გაჭირვებულ მოსახლეობას ეხმარება. სიღარიბის დაძლევის პროგრამაც ხომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად შეიქმნა?

— „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ პროგრამა კი არა, დოკუმენტია, რომელსაც პიარის დატვირთვა აქვს და ამით ქვეყანაში არსებულ სიღარიბის პრობლემას ვერ გადავჭრით. იმისათვის, რომ სიღარიბეს ვძლიოთ, უპირველეს ყოვლისა, თავად მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, თუ რეალურად, რა არის სიღარიბე. სამწუხაროდ, მთავრობას ამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თავად ის დოკუმენტი, რომელიც ლადო გურგენიძის მთავრობამ პარლამენტის ნდობის მოსაპოვებლად დაწერა და ასევე, ჩემი პირადი საუბრები მთავრობის წევრებთან. შემიძლია, აღნიშნული დოკუმენტიდან რამდენიმე „საინტერესო“ წინადადება წაგიკითხოთ. როგორც უკვე გითხარით, პროგრამის სრული სახელწოდებაა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, მაგრამ აქვე ვკითხულობთ: „...საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე. ხუთ წელიწადში, სოციალური პროგრამების ბენეფიციართა 50%, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების გამო, გამოვა ბენეფიციართა სიებიდან“. რატომღაც, მთავრობას ავიწყდება მეორე 50%, რომელიც ხუთი წლის შემდეგაც სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩება. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობა ხუთი წლის შემდეგაც ვერ დააღწევს თავს სიღარიბეს... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის მთავრობამ მშობლიური ქართული ენაც კი არ იცის. მაგალითად, სიღარიბის დაძლევის პროგრამაში ვხვდებით სოციალური დახმარების ტიპს, რომელსაც ჰქვია უმისამართო, ბრტყელი დახმარების პრაქტიკა, რაც პირდაპირი კალკია ინგლისურიდან. გარდა ამისა, თუ პროგრამის ერთ თავს ჰქვია „ეროვნული კეთილდღეობა“, მეორე თავის სათაურია „მოსახლეობის კეთილდღეობა“. ჩემთვის გაუგებარია, რა განსხვავებაა მოსახლეობასა და ერს შორის?!

— იქნებ, თქვენ განგვიმარტოთ, რელურად ვინ მიიჩნევა ღარიბ ადამიანად?

— სიღარიბის ორი ცნება არსებობს: აბსოლუტური სიღარიბე და ფარდობითი სიღარიბე. აბსოლუტური სიღარიბე გაეროს კრიტერიუმი გახლავთ და გულისხმობს იმას, რომ თუ ადამიანი დღეში მხოლოდ ორ დოლარს მოიხმარს, აბსოლუტურად ღარიბ ადამიანად მიიჩნევა. დღეში ორი დოლარი, საშუალოდ, თვეში სამოცი დოლარია, რაც დღეს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით, დაახლოებით ოთხმოცდაათი ლარის ტოლია. გაერო ასევე განსაზღვრავს ღატაკი ადამიანის კრიტერიუმს. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი, ვინც დღეში ერთ დოლარზე მეტს ვერ მოიხმარენ. შესაბამისად, საქართველოს შეუძლია სიღარიბეს სძლიოს და ამას სულ არ სჭირდება ხუთი წელი. ამისათვის აუცილებელია, რომ ქვეყანაში მინიმალური პენსია და სოციალური დახმარებები განისაზღვროს არანაკლებ 90 ლარით და საქართველო სიღარიბისგან ერთ წელიწადში გათავისუფლდება. სამწუხაროდ, ამის შესახებ მთავრობის ვერც ერთ დოკუმენტში ვერ წაიკითხავთ იმ მარტივი მიზეზით, რომ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის სიღარიბე... ფარდობითი სიღარიბის კრიტერიუმი კი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ის კრიტერიუმი, რითაც ფარდობითად, ღარიბი მოსახლეობა უნდა განისაზღვროს. ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე თუ განვიხილავთ, გეტყვით, რომ იქ, მათი მოსაზრებით, მოსახლეობის 12% სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. ამერიკელების შეფასებით, თუ საშუალო, ოთხსულიანი ოჯახის წლიური შემოსავალი 20 ათას დოლარს არ აღემატება, ეს ოჯახი სიღარიბეში ცხოვრობს. საქართველოს პირობებში კი, ადამიანს ასეთი შემოსავალი რომ ჰქონდეს, ურიგოდ ნამდვილად არ იცხოვრებდა.

— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა იმისა, თუ რამდენი ქართველი იმყოფება სიღარიბეში...

— როდესაც 2003 წელს, სტატისტიკის დეპარტამენტმა საარსებო მინიმუმი დათვალა, აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 52%-ს საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი ჰქონდა და შესაბამისად, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა. საინტერესო რამ მოხდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ: მთავრობამ შეცვალა საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდიკა და შეამცირა სამომხმარებლო კალათის კალორიულობა, რითიც სამომხმარებლო კალათის ღირებულება გააიაფა. მაგალითად, სამომხმარებლო კალათში შემცირდა ხორცის და გაიზარდა ლობიოს წილი. გარდა ამისა, პროდუქციის საცალო ფასების ნაცვლად, დაფიქსირდა საბითუმო ფასები და როდესაც 2004 წელს, მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ დაითვალეს, აღმოჩნდა, რომ მათი რიცხვი 35%-მდე შემცირდა. რა თქმა უნდა, მთავრობამ სიღარიბის შემცირებული მაჩვენებელი საკუთარ წარმატებად მიიწერა. ახალი მეთოდიკის მიუხედავად, ღარიბი მოსახლეობის რიცხვი წლიდან წლამდე იზრდებოდა: 2005 წელს შეადგინა საერთო მოსახლეობის 39%, 2006 წელს 42%-მდე გაიზარდა და მას შემდეგ, სტატისტიკის დეპარტამენტი საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელს აღარ ითვლის. მართალია, ზუსტი პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება, მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. ამიტომ, როდესაც სიღარიბის დაძლევაზე ვლაპარაკობთ, ის მაინც დავადგინოთ, თუ რამდენი ღარიბი ადამიანი გვყავს ქვეყანაში. ■

„ღმერთო, აამისდიდე სიზმარი!..“

მინდა, სამი ადამიანის: მაია, მანანა და მანჩო ბასილაიების ტკივილით სავსე ამბავი გიამბოთ. ისინი სამეგრელოს ულამაზეს კუთხეში, მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში ცხოვრობენ და ჩვეულებრივი ადამიანებისგან ხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ სიარული არ შეუძლიათ.

სპირალური ამიოტროფია ანუ სამი და-ძმის ტკივილი

ეკა ესართია

მაია 27 წლისაა, მანანა — 26-ის, მანუჩარი კი — 25-ის. ერთმანეთი განსაკუთრებულად უყვართ — მათთვის ჩვეულებრივი დაძმური კინკლაობაც კი უცხოა. ამ სახლში ყოველთვის სხვანაირად უხარიათ სტუმრის მისვლა და მასპინძლობაც განსაკუთრებული იციან.

ახალგაზრდების ნაღვლიან, თაფლისფერ თვალებში, სტუმრის მისვლისას მიმქრალი შუქი იღვიძებს, რომელიც გასაოცარ სილამაზეს მატებს მათ სუფთა და გულუბრყვილო გამომეტყველებას.

აქ მათი ამბავი ყველამ იცის...

მათ აქ ყველა იცნობს...

მე უკვე კარგა ხანია, ჟურნალისტისთვის აუცილებელი ნივთები — პასტა და ბლოკნოტი ჯიბეში ჩავიდე, რადგან ასეთ ამბავს ჩაწერა არ სჭირდება, ამ ადამიანებს და მათ ცხოვრებას, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერ დაივიწყებ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: გონელი და მედეა ბასილაიებს, ქორწინების წლისთავზე, ქალიშვილი შეეძინათ. მაიკო ჩვეულებრივი ბავშვი იყო, ფეხიც მალე აიდგა, მაგრამ 4 წლის ასაკში, მოულოდნელად, კიდურები მოუდუნდა და... მანანა მეოთხე კლასამდე დადიოდა, — გვიამბობენ თვალცრემლიანი მშობლები და იმ ფოტოსურათს გვიჩვენებენ, სადაც მანანა თანაკლასელებთან ერთად, ფეხზე დგას...

მედეა ბასილაია:

— მანჩო რომ დაიბადა, გოგონები უკვე ვეღარ დადიოდნენ. ისინი სოხუმში წავიყვანე, სამკურნალოდ, სადაც ჩემი მული ცხოვრობდა. შინ რომ დავბრუნდით, ფეხები მანჩოსაც წაერთვა. მას შემდეგ ბევრი საავადმყოფო მოვიარეთ, მოსკოვშიც ვიყავით, მაგრამ... ერთხელ გვითხრეს, — ჯანდარაში, საოცარი მკურნალი ცხოვრობს, სასწაულებს ახდენსო. ავიბარგეთ და იქაც წავედით. მკურნალმა მანჩოზე მითხრა, — აუცილებლად მოვარჩენ და შინ თავისი ფეხით წავაო. ჩემი ქმარი ისეთი გახარებული იყო, მკურნალს დაჰპირდა: ოღონდ ბავშვი ფეხზე დამიყენე და მანქანას გაჩუქებო. ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი მკურნალი დააპატიმრეს, რადგან ის ჩვეულებრივი თაღლითი აღმოჩნდა. თურმე, ათასობით ადამიანს ატყუებდა. არადა, მასთან მოსახვედრად ღამეები ვათენეთ, ცოცხალ რიგში. ბოლოს, ღუდუშაურის საავადმყოფოში ვიყავით და ასეთი დიაგნოზი დაგვისვეს — ბავშვებს სპირალური ამიოტროფია აქვთო.

— ეს დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარება?

— არ ვიცი. მას შემდეგ ბავშვები გაიზარდნენ და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა მედიცინაში. ამიტომ, იმის იმედი არ დაგვიკარგავს, რომ ერთხელ პატრონი გამოგვიჩნდება და ჩვენს ტანჯულ ცხოვრებას რაღაც ეშველება.

— ჯანდაცვის მინისტრისთვის რომ მიგემართათ თხოვნით, იქნებ, რაიმეთი დაგხმარებოდათ...

— ჯანდაცვის სამინისტროში ჩემი შვილების მონაცემები დევს, მაგრამ ჯერჯერობით, არავინ შემოგვხმიანებია. არჩევნების პერიოდში, ჩვენს რაიონში სანდრა რულოვსი ჩამოვიდა. მინდოდა, მისთვის წერილი გადამეცა, მაგრამ მასთან მიახლოება ვერაფრით მოვახერხე. ბოლოს, იმედი რომ გადამეწურა, კონვერტი მის დაცვას მივეცი. იმ ბიჭს სანდომიანი გარეგნობა ჰქონდა. მითხრა, — აუცილებლად გადავცემო... მაგრამ არა, არ არსებობს, არ მჯერა, რომ ის წერილი ქალბატონმა სანდრამ წაიკითხა და არ გამოგვეხმაურა. ალბათ, არ გადასცეს... ისიც ხომ დედაა და აუცილებლად გამიგებდა...

— თქვენს შვილებს როგორი ბავშვობა ჰქონდათ?

— სამივენი ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ. თითოეული მათგანი სკოლაშიც დამყავდა. მათ შინ ხშირად აკითხავდნენ კლასელები, რომლებსაც ჩემი შვილები ხელში აყვანილი მიჰყავდათ იქ, სადაც თავად მიდიოდნენ...

ქალბატონი მედიკო ლაპარაკს ვეღარ აგრძელებს. მის ღაწვებზე ცრემლები ღვარად მოედინება...

ვფიქრობ, ამ ოჯახს შესანიშნავი მეზობლები რომ არ ჰყავდეს, მაიას, მანანას და მანჩოს ცხოვრება მართლა ძალიან, ძალიან გაუჭირდებოდათ. ამ ახალგაზრდებს მეზობლის გოგო-ბიჭები საოცრად ეხმარებიან, მათ მარტო თითქმის არასდროს ტოვებენ და შეძლებისდაგვარად, ცხოვრებას ულამაზებენ.

ჩემს წერილს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს: იქნებ, ამ ოჯახის ამბავი რომელიმე კეთილმა, ქველმოქმედმა ადამიანმა წაიკითხოს და მათი დახმარების სურვილი აღეძრას. რატომღაც, საოცრად მჯერა, რომ საქართველოში სიკეთის მკეთებელი ბევრი ადამიანია. ჩვენ ხომ უფალმა გული მხოლოდ გულგრილობისთვის არ გვაჩუქა. სხვების არ ვიცი, მაგრამ ჩემზე ნანახმა და მოსმენილმა საოცრად იმოქმედა. იმ ღამეს დიდხანს, დიდხანს ვერ მოვხუჭე თვალი. მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა და მანჩო დამესიზმრა: ის დადიოდა, დარბოდა... ღმერთო, ამიხდინე სიზმარი! ■

მსოფლიო ვარსკვლავები
— ქართველი ბავშვების სამსახურში

ცოტა ხნის წინ, პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ თბილისელ მელომანებს დაუვიწყარი საღამო აჩუქა. „აიდაში“ ამნერისის პარტია საქვეყნოდ აღიარებულმა, ამერიკელმა მეცო-სოპრანომ — დოლორა ზაჯიკმა შეასრულა. თავად პაატა ბურჭულაძეს სცენაზე მაყურებელი უმეტესად, იმ საქველმოქმედო სპექტაკლებისა და კონცერტების დროს ხვდება, რომლებიც მისი თაოსნობით ხორციელდება. ასეთი იყო, რამდენიმე დღის წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული სპექტაკლი — ჯუზეპე ვერდის ოპერა „ატილა“, რომელშიც ბატონმა პაატამ მთავარი პარტია შეასრულა. ამ სპექტაკლსა და სხვა საინტერესო საკითხებზე, თავად მსოფლიო ბანს ვესაუბრეთ.

მანანა გაბრიჭიძე

— ბატონო პაატა, საქართველოში „ატილა“ პირველად დაიდგა, როგორ მიიღო მაყურებელმა?

— სპექტაკლს ნამდვილად დიდი წარმატება ხვდა წილად. „ატილა“ რომ საქართველოში დაიდგა, ეს თეატრის დირექტორის, დავით საყვარელიძის დამსახურებაა. ძალიან მსიამოვნებს ის, რომ სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად, მსოფლიოში ცნობილი სოპრანო — მიშელ კრაიდერი ჩამოვიდა. იგი ქართველმა მაყურებელმა ორი წლის წინ გაიცნო, როცა ჩვენი საქველმოქმედო ფონდის ეგიდით გამართულ სპექტაკლ „აიდაში“ იმღერა. ვფიქრობ, „ატილა“ ბრწყინვალე გამოვიდა, რადგან არის არაჩვეულებრივი კოსტიუმები და დეკორაციები. ამისთვის ძალიან დაიხარჯა თეატრი, დიდი ხელშეწყობა იყო კულტურის სამინისტროსგან. სპექტაკლის კონცეფციის ავტორი — ჩემი მეგობარი, მონტე-კარლოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ჟან-ლუი გრინდა გახლავთ, დამდგმელი რეჟისორი — დათო საყვარელიძეა. მხატვრებიც ორნი მუშაობდნენ: ფრანგი ჟან-პიერ კაპეირონი და დავით მონავარდისაშვილი.

— თუ არ ვცდები, წელს სასცენო მოღვაწეობიდან 30 წელი გისრულდებათ, თუ აღნიშნავთ ამ თარიღს და რომელ ქვეყანაში?

— დიახ, იუბილესთვის ვემზადებით. პირველად, ისრაელში, ტელავივის საოპერო თეატრში აღინიშნება, შემდეგ — სანქტ-პეტერბურგში, სადაც საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სანქტ-პეტერბურგის ორკესტრი, იური ტემირკანოვის დირიჟორობით. 2 ივლისს საიუბილეო საღამო ჩატარდება თბილისში, სადაც ასევე პეტერბურგის ორკესტრი და დირიჟორი ტემირკანოვი ჩამოვლენ. ბოლოს, აღვნიშნავთ მოსკოვში, კონსერვატორიის, პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში. მოსკოვის ძალზე მადლიერი ვარ, რადგან განსაკუთრებულად შეუწყო ხელი ჩემს სასცენო კარიერას — ჩაიკოვსკის კონკურსიდან დაწყებული, არაერთი მნიშვნელოვანი რამით დამთავრებული.

— თუ აპირებთ საზღვარგარეთ საქველმოქმედო აქციის კვლავ გამართვას?

— დიახ. 11 ოქტომბერს, გერმანიაში გაიმართება საქველმოქმედო აქცია, ბერლინის „დოიჩე-ოპერის“ თეატრში. კონცერტს კულტურის სამინისტრო და ფონდი „იავნანა“ ერთობლივად ვმართავთ და მას „ქართული სეზონი“ ერქმევა. მონაწილეთა შემადგენლობა უცვლელია: ბუბა კიკაბიძე, ნანი ბრეგვაძე, „ქართული ხმები“, ლექსო თორაძე, თამრიკო ჯავახიშვილი; სამწუხაროდ, ვერ მიიღებს მონაწილეობას ლადო ათანელი, რომელიც გერმანელებს განსაკუთრებულად უყვართ, — მას ამ დროს, იაპონიაში უწევს გასტროლები.

— არნახულად იზრდება ფონდის შესაძლებლობათა მასშტაბები. თავიდან, როცა ამ საქმიანობას ჰკიდებდით ხელს, თუ ფიქრობდით, რომ ასე განვითარდებოდა მოვლენები და დღევანდელი ფონდის მდგომარეობა მომავალში რის იმედს გაძლევთ?

— ოცნებაშიც ვერ წარმომედგინა... ყველაფერი ღმერთის წყალობაა. ჩვენი ფონდი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა და უკვე ბევრის გაკეთება შეძლო. 200 ბავშვს დავეხმარეთ — ისინი დღეს დედებთან ერთად ცხოვრობენ და ყოველთვიურ დახმარებას იღებენ. დღევანდელი მდგომარეობა კი იმედს მაძლევს, რომ მომავალში უფრო მეტს გავაკეთებთ. ძალიან კარგად თანამშრომლობს ჩვენს ფონდთან თბილისის ოპერის თეატრი. ახლახან, მონტე-კარლოს საოპერო თეატრმა ფონდს სპექტაკლი — ჯუზეპე ვერდის „ბედის ძალა“ აჩუქა, რომლის დეკორაციები უკვე თბილისშია. ეს სპექტაკლი თბილისის ოპერაში დაიდგმება. ძალიან ლამაზი დადგმაა, თბილისელებს კიდევ ერთი მშვენიერი მუსიკალური სანახაობა ელით. ყოველი სპექტაკ-

„ატილა“ რომ საქართველოში დაიდგა, ეს თეატრის დირექტორის, დავით საყვარელიძის დამსახურებაა

ლის შემოსავლის 25%, უდედმამო ბავშვებს მოხმარდება... რამდენიმე დღის წინ, საგურამოს ბავშვთა სახლიდან ძალიან გულდამძიმებული დავბრუნდი. იქ ყველაფერი სასწრაფოდ, ძირფესვიანადაა შესაცვლელი...

— უფრო მეტად, ყურადღება თბილისელ გაჭირვებულ ბავშვებს ექცევა. რეგიონებშიც თუ გეგმავთ ბავშვების დახმარებას?

— რა თქმა უნდა! ამის მაგალითები უკვე იყო: კასპში შვიდშვილიან ოჯახს ვაჩუქეთ ბინა, ასევე — კახეთში; ოზურგეთში 14-შვილიან ოჯახს შევუძინეთ სახლი... ამ პრობლემაში უკეთ ჩასახედავად, 2 მაისს ქუთაისობაზე მივდივარ. ჩვენი ფონდის მხარდამჭერი, ბიზნესმენი და საუცხოო ქართველი — ბადრი კაკაბაძე ქუთაისში ფუნიკულორს გახსნის; დიდი ზეიმია დაგეგმილი და როგორც ქუთაისის საპატიო მოქალაქე, აუცილებლად უნდა დავესწრო. ბადრი კაკაბაძის შვილმა, 21 წლის დათუნამ დიდი საქმე გააკეთა: მოგვცა საშუალება, გამოგვეცა წიგნი „პოეტების სამეფო“, რომელშიც შევიდა თბილისზე დაწერილი თითქმის ყველა საუკეთესო ლექსი — არჩილ მეფიდან დაწყებული, დღემდე. სამწუხაროდ, ჩემთვის მთავარი პრობლემა — მოუცლელობაა. ორი დღით ჩამოვდივარ ხოლმე, ხანაც — დღე-ნახევრით. დანარჩენ საქმეებს ფონდთან 24-საათიანი სატელეფონო კავშირის მეშვეობით ვაგვარებ.

— საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა პოლიტიკის მიღმა აღარავინ დატოვა, ცნობილი ხელოვნები ღიად გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს. მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ბუბა კიკაბიძე „ნაციონალურ მოძრაობას“ საარჩევნო სიაში შეჰყავს. იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ?

— რა თქმა უნდა, დაძაბული ფონია და ჩემი დამოკიდებულებაც შესაბამისია. მიუსაფარ ბავშვებს ყოველთვის უნდა მივხედოთ. მით უმეტეს, როცა რთული პერიოდია ქვეყანაში, მათთვის კიდევ მეტია გასაკეთებელი. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, ჩვენი ფონდი მზადაა ითანამშრომლოს ყველა იმ ადამიანთან და ორგანიზაციასთან, ვისაც მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის დახმარების გაწევა უნდა. ეს ის თემაა, სადაც ყველა ერთიანი უნდა იყოს, ჩვენ თუ ამ თაობას დღეს არ მივხედეთ, ხვალ ჩვენი გულგრილობა დიდ აგრესიად შეიძლება გადაიქცეს და უკან დაგვიბრუნდეს. რაც შეეხება ბუბა კიკაბიძეს, — ჩვენ ამ თემაზე გვქონდა საუბარი და გარანტიას გაძლევთ, რომ ბუბას პარლამენტში ვერასოდეს იხილავთ.

— თქვენი საქველმოქმედო გეგმების განხორციელებას რამდენად ართულებს ეს მოვლენები?

— არაფერში გვეხმარება, ხელს კი ძალიან გვიშლის. მაგალითად, შარშან, 20 ნოემბრისთვის დაგეგმილი გვქონდა მონსერატ კაბალიეს კონცერტი, რომელიც განვითარებული მოვლენების გამო, ღამის ერთი თვით გადაიდო.

— ბატონო პაატა, გასულ სეზონში რომელ სპექტაკლებს გამოარჩევდით? თუ არ ვცდები, ახლო მომავალში გეგმავთ, ეწვიოთ „მეტროპოლიტან ოპერას“. რამდენად „გრძელია“ თქვენი კალენდარი? რა მნიშვნელოვანი სიახლეებია წინ? თუ მიიღებთ მონაწილეობას ახალ დადგმებში?

— ჩემი კალენდარი საბედნიეროდ, 2010 წლამდეა შევსებული. 2008-ში, საიუბილეო კონცერტების გარდა, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ, საინტერესო სპექტაკლები მექნება: ვენის სახელმწიფო ოპერაში, „დოიჩე-ოპერაში“ და წლის ბოლოს — ლონდონის „კოვენტ გარდენში“.

— საქართველოში ბევრი დამწყები მომღერლისთვის თქვენი რჩევები გადამწყვეტია. ბოლო დროს, რამდენად გრჩებათ დრო მათთვის?

— თითქმის ყოველი ჩამოსვლისას, ჩემთან სახლში მოსმენაზე, ახალგაზრდა მომღერლები მოდიან. მე მათ ვუსმენ და შემდეგ ჩემს აზრს ვეუბნები. ქართველებს შორის, ხშირად იბადება ტალანტი, ეს სფერო ნამდვილად, საამაყო გვაქვს, ჩვენი სოლისტები მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ თეატრებში მღერიან. ■

ყველაზე მაგარი მგელი მსოფლიოში და ყველაზე მაგარი „ყაცი"

მწერალი ზაალ სამადაშვილი „ერუდიტში" სტუმრობაზე სიამოვნებით დამთანხმდა. შეხვედრისას კი მითხრა, რომ მას წიგნისადმი სიყვარული ოჯახის წევრებმა შთააგონეს. „სანამ სკოლაში შევიდოდი, კითხვა მანამდე მასწავლეს. ჯერ ზღაპრებს, შემდეგ კი სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურას ვკითხულობდი. მგონია, წიგნთან ერთად დავიბადე", — ამბობს ბატონი ზაალი, რომელსაც ზღაპრის პერსონაჟებიდან, ყველაზე მეტად ბურატინო მოსწონდა. წიგნი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, სერგო კლდიაშვილის „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალია". ყოველთვის დიდი სიამოვნებით კითხულობს სიმენონის, ჰიუგოს, დიუმას, სტივენსონის ნაწარმოებებს. თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებასაც ინტერესით ეცნობა და ფიქრობს, რომ დღესაც ბევრი ღირებული ნაწარმოები იქმნება.

„მგონია, წიგნთან ერთად დავიბადე"

თამუნა კვინიკაძე

— 1903 წლის ზაფხულში, ის ექიმების რჩევით ვლადიკავკაზიდან თბილისში გამოემგზავრა. მას თან ახლდა მეუღლე ეკატერინე პავლოვნა. საქართველოში ეს მისი მეოთხე ჩამოსვლა იყო. რომელ ცნობილ მწერალზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*) ვერ გეტყვით.

— მაქსიმ გორკიზე. რომელი ელემენტი აღმოაჩინეს ჯერ მზეზე, შემდეგ — დედამიწაზე?

— არ ვიცი.

— ჰელიუმი. რომელმა დრამატურგმა დაწერა „ყვარყვარე თუთაბერი"?

— პოლიკარპე კაკაბაძემ.

— ვინ მეფობდა კოლხეთში, როცა არგონავტებმა ოქროს საწმისი გაიტაცეს?

— აიეტი.

— პერიოდულობის სისტემაში, რომელი ლათინური ასოთი აღინიშნება წყალბადი?

— H-ით.

— რომელი კონტინენტი აღმოაჩინა რუსეთის ექსპედიციამ 1820-21 წლებში, ბელინჰაუზენის და ლაზარევის მეთაურობით?

— ანტარქტიდა.

— ილია ჭავჭავაძის აზრით: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც ეძახიან..."

— „...სინდისს".

— რომელ საუკუნეში დაეცა დასავლეთ რომის იმპერია?

— (*ფიქრობს*) როგორც მახსოვს, IV საუკუნეში.

— ცდებით. ეს VI საუკუნეში მოხდა. რომელი სახელმწიფოს დროშას არა აქვს ჰორიზონტალური ზოლები: გერმანიის, პოლონეთის, იტალიის თუ ლიტვის?

— (*ფიქრობს*) ლიტვის დროშას.

— რომელ ქვეყანას მართავდა ფარაონი?

— ეგვიპტეს.

— რომელია ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი?

— ფხენიანი.

— რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ბევრ ენას ფლობს?

— პოლიგლოტი.

— გურამ ფანჯიკიძის რომელ რომანში გადაუნერგავენ ტრავმირებულ სტუდენტს მომაკვდავი აკადემიკოსის ტვინს?

— ამ ნაწარმოების მიხედვით ფილმიცაა გადაღებული, რომელშიც ლევან უჩანეიშვილი მონაწილეობს. არ შემახსენო (*ფიქრობს*)... „სპირალი".

— რა ჰქვია რიცხვთა ჯამის განაყოფს ამ რიცხვთა რაოდენობაზე?

— საშუალო არითმეტიკული.

— რუსთაველის თეატრში რომელმა რეჟისორმა დადგა სპექტაკლი — „კავკასიური ცარცის წრე"?

— რობერტ სტურუამ.

— რა ჰქვია ზიარებისთვის განკუთვნილ პურს?

— ხმიადი? არა, არა (*ფიქრობს*).

— იქნებ, ზიარებისთვის განკუთვნილი ღვინის სახელი მაინც გაიხსენოთ.

— ზედაშე. გამახსენდა, პურს სეფისკვერი ჰქვია.

— ვინ თამაშობს მარგალიტას როლს ფილმში „შერეკილები"?

— არიადნა შენგელაია.

— რომელ სოფელში დაიბადა აკაკი წერეთელი?

— საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში.

— რა ერქვა დავით აღმაშენებლის ყივჩაღ მეუღლეს?

— გურანდუხტი.

— გურანდუხტის მამის სახელსაც ხომ ვერ გაიხსენებთ?

— არა, ნამდვილად აღარ მახსოვს.

— ათარაქა. ვის მიმართა დახმარებისთვის წრუწუნამ მულტფილმში — „წუნა და წრუწუნა"?

— (*იცინის*) ფიცხელას, მაგარი „კაცია".

— რას მივიღებთ, თუ 1-იანს 12 ნულს მივუწერთ?

— მილიარდს.

— დარწმუნებული ხართ?

— (*ფიქრობს*) შემეშალა, ტრილიონი უნდა მეთქვა.

— სახვით ხელოვნებაში რა ჰქვია საღებავების შესაზავებელ ფიცარს?

— პალიტრა.

— ვინ არის „პეპი გრძელი წინდის" ავტორი?

— ასტრიდ ლინდგრენი.

— რომელ ქვეყანაში შეხვდებით ელისეს მინდვრებს?

— საფრანგეთში, პარიზში.

— მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რამდენი პანთეონია თბილისში?

— 2.

— რომელი მწერლის დეტექტიური რომანების გმირია პოლიციის კომისარი მეგრე?

— ჟორჟ სიმენონის.

— ვინ იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი?

— ირაკლი აბაშიძე.

— ეროვნებით სადაური იყო აბო თბილელი?

— ქურთი.

— ბატონო ზაალ...

— (*მაწყვეტინებს*) მაპატიეთ, შეცდომით ვთქვი. რა ეროვნების იყო?

— აბო არაბი გახლდათ. რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის „მიმინო“?

— გია ყანჩელმა.

— რა ერქვა მაუგლის მეგობარ მგელს?

— ის ყველაზე მაგარი მგელი იყო მსოფლიოში და სახელად აკელა ერქვა.

— ვინ არის „ჰარი პოტერის“ ავტორი?

— ჯოან როულინგი, მაგრამ ეს ჩემი წიგნი არაა.

— ეს პოლიტიკური ლიდერი პროფესიით იურისტი იყო. იგი 1869 წელს დაიბადა. მთელი ცხოვრება აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ის თავისი ქვეყნის ნაციონალური ლიდერი გახდა. სიცოცხლე შოვინისტებმა მოუსწრაფეს.

— (*ფიქრობს*) არ ვიცი.

— მიგანიშნებთ. ამ ადამიანმა შიმშილობა, როგორც პროტესტის ფორმა დაამკვიდრა.

— მაჰათმა განდი.

— ძველი არაბული ლიტერატურის ამ შედევრის სახელი არაბულად ასე ჟღერს: „ალფ ლაილა ვა ლაილა“. ვარაუდობენ, რომ ის IX-დან XVI საუკუნემდე იქმნებოდა. ეს ნაწარმოები მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. რომელ ნაწარმოებზეა ლაპარაკი?



ასტროლოგიის ნაკლებად მჯერა

— ქართულ ენაზეცაა ნათარგმნი?

— დიახ.

— (*ფიქრობს*) არ ვიცი.

— „ათას ერთი ღამე“. რა წარწერა ამშვენებდა პლატონის ფილოსოფიურ სკოლას?

— ვერ გეტყვით.

— „ვინც გეომეტრია არ იცის, აქ ნუ შემოვა“. — სად გარდაიცვალა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა?

— საქართველოში.

— კონკრეტულად სად?

— როგორც მახსოვს, სურამში.

— დიახ. პოეტ ალექსანდრე აბაშელის ნამდვილ გვარს ვერ გაიხსენებთ?

— არა, არ მახსოვს.

— ჩოჩელი. რა აწერია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ აღწერილ ჯოჯოხეთის კარიბჭეს?

— ვერ გეტყვით.

— „აქ შემომსვლელებმა იმედები დატოვონ გარეთ“... „ზოდიაქო“ ბერძნული სიტყვაა. რას ნიშნავს იგი ქართულად?

— პასუხს ვერც ამ კითხვაზე გაგცემთ.

— ცხოველთა წრეს. — თქვენი ზოდიაქოს ნიშანი რომელია?

— სასწორი. ისე, ასტროლოგიის ნაკლებად მჯერა.

— „მედიცინა ჩემი კანონიერი ცოლია, ლიტერატურა კი — საყვარელი“, — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ჩეხოვს.

— „სამშობლოს არვის წავართმევთ,/ ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,/ თორემ ისეთ დღეს დავაყრით,/ მკვდარსაც კი გაეცინება“, — ვინაა ამ სტროფის ავტორი?

— ვაჟა-ფშაველა.

— ვის უღალატა ფარსადანმა?

— არსენა ოძელაშვილს. ფარსადანი მისი ნათლიმამა გახლდათ. მან იგი ოჯახში მიიპატიჟა, დაათრო, მოწამლა, შემდეგ კი მძინარე გაკოჭა და მთავრობას ჩააბარა.

— სადაური მწერალი იყო ალბერტო მორავია?

— იტალიელი.

— რა ერქვა მთავარ გმირს ვიქტორ ჰიუგოს რომანში — „კაცი, რომელიც იცინის“?

— გუინპლენი.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ველინგტონი?

— ახალი ზელანდიის.

— ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“, რა გვარია ლიმონა?

— დევდარიანი.

— რა ერქვა ავაზაკთა ქალაქს გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“?

— კამორა.

— რომელია დონ კიხოტის სათავადაზნაურო ტიტული?

— იდალგო.

— რომელი ჟანრის ფუძემდებლად მიიჩნევა ბერძენი მწერალი ეზოპე?

— იგავ-არაკის.

— „ჩემი სამშობლო ამრეზილი თვალით მიყურებს./ რა ვუყო, მოვწყდი, ველარ ვთიბავ მინდორში ბალახს,/ სულაც არ ვდარდობ, რომელ ხრამში ჩამაყუდებენ,/ სანამ ღვინოში შევაკვდები ვიღაცა ჯაგლაგს“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ხაიამი?

— ცდებით. მიგანიშნებთ, ამ ლექსს ჰქვია „მოკრძალებით“.

— ვერ გეტყვით.

— სტროფის ავტორი ნიკო სამადაშვილია. „იმედი მაქვს, შემიძლია შენ ყველაფერი განდო ისე, როგორც აქამდე არავის მივნდობივარ, იმედი მაქვს, შენ იქნები დიდი ნუგეში ჩემი“, — ასეთი სიტყვებით იწყება წიგნი, რომელშიც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უსაშინლესი დროის, II მსოფლიო ომის ეპოქაა აღწერილი. რა იცოდა მისმა ავტორმა, პატარა ლტოლვილმა გოგონამ, რომ ეს წიგნი მთელ მსოფლიოს აღელვებდა. იგი 10-ჯერ გამოიცა ჰოლანდიაში და თითქმის 20 ენაზე ითარგმნა. რომელ წიგნზეა ლაპარაკი?

— „ანა ფრანკის დღიურები“.

— ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“, რომელი ეკლესიის მოძღვარი იყო მამა იორამი?

— არ ვიცი.

— ორთაჭალის სამების. „ახლა ეს გრძნობა უფრო მეტია,/ ახლა ქარები არხევენ ტირიფს,/ მე შენ გიამბობ ჩემს ტრაგედიას,/ და როგორც ბავშვი, დავიწყებ ტირილს“, — ვინაა ამ სტროფის ავტორი?

— ვერ ვიხსენებ.

— ტერენტი გრანელი. რა გვარი იყო იგი?

— კვირკველია.

— დაბოლოს, დაასრულეთ გოეთეს ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანები ხშირად კარგავენ დროს უსარგებლო ამბების კითხვაში, კაცმა მხოლოდ ის უნდა იკითხოს...“

—„...რაც საინტერესოა“.

— არა, „...რაც აღტაცების ღირსია“.

■

ზეცაში გატეხებული 11 ათასი საათი

ანუ „ან თვითმფრინავში ყნდა მოკვდე, ან დიოზე დაეშვა მიწაზე..."

ვინ იცის, ბავშვობაში რამდენ ბიჭს უოცნებია, გამხდარიყო მფრინავი, მაგრამ მათგან ცოტას თუ მიუღწევია მიზნისთვის, რადგანაც მფრინავობა მიუხედავად იმისა, რომ რომანტიკული პროფესიაა, ყველას ხვედრი არ არის. ნოდარ ვარდიშვილი კი სწორედ ის კაცია, ვისაც ნაოცნებარი აუხდა და რომელმაც შემდგომ თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ავიაციაში მუშაობას მიუძღვნა. ის მის მიერ განვლილი ცხოვრებით უზომოდ ბედნიერია...

ლალი ფაცია

— **რატომ აირჩიეთ მფრინავის პროფესია?**

— ჩემი მფრინავობა შემდეგმა ფაქტორებმა განსაზღვრა: ბავშვობაში მფრინავებზე არაერთი წიგნი წამიკითხავს, ფილმი მინახავს და სიმღერა მომისმენია, რამაც სურვილი გამიღვივა, რომ პილოტი გავმხდარიყავი... ამასთან, მეზობელი მყავდა მფრინავი, რომელსაც პატარაობისას უამრავ კითხვას ვუსვამდი. მერე ისეთი დრო დადგა, რომ მფრინავობა პრესტიჟულ პროფესიად იყო მიჩნეული და ფასდებოდა კიდეც. 1987 წელს, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვე. იმ პერიოდში, „ტუ 154-ის" მეორე მფრინავი ვიყავი. ამ წარმატების მერე, ჩემი წინსვლა არ შეჩერებულა. სულ წინ მივიწევდი, პროფესიულად ვიზრდებოდი.

— **მფრინავობა, გარკვეულწილად, რომანტიკული პროფესიაა. შესაძლოა, ბევრს ჰქონდეს ბავშვობაში პილოტობის სურვილი, მაგრამ ყველას არ შეუძლია, მფრინავი გახდეს. თქვენ მიზანს ადვილად მიაღწიეთ?**

— საერთოდ, სკოლაში ძალიან კარგად ვსწავლობდი. დედა ჩემს განათლებას დიდად უწყობდა ხელს. სკოლის პარალელურად უამრავ მასწავლებელთან დამატარებდა. ამიტომაც, სკოლა რომ დავამთავრე, უკვე მზად ვიყავი უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად. ჩემი ქართველი თანატოლების უმრავლესობას კი ჰქონდა მფრინავობის სურვილი, მაგრამ რუსული ენის უცოდინარობის გამო, საავიაციო სასწავლებელში ჩაბარების ეშინოდა. ეს პრობლემა ჩემ წინაშე არ იდგა, რადგანაც მე რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, ენა ვიცოდი, რაც მიზნის მიღწევას მიადვილებდა. რუსული ენის ცოდნის გარდა, ფიზიკური მონაცემები და შესაბამისი განათლებაც იყო საჭირო, ამიტომ, ყველა ვერ „ქაჩავდა". ფსიქოლოგიური მომზადებაც აუცილებელი იყო, რომ იმ შესარჩევი ტურებისთვის გაგეძლო, რაც გამოცდებს წინ უძღოდა. საავიაციო სასწავლებელში მკაცრი შერჩევა მიმდინარეობდა. სისხარტე, სისწრაფე მოგვეთხოვებოდა. ცენტრიფუგაზე რომ დაგაბზრიალებდნენ, იქიდან ისე უნდა ამდგარიყავი, ვითომც არაფერი, ფეხი არ უნდა წაგბორძიკებოდა და არ უნდა წაქცეულიყავი. მე მკაცრი შესარჩევი ტური გავიარე. გამოცდებიც წარმატებით ჩავაბერე და ჩავირიცხე საავიაციო სასწავლებელში.

— **რომელ საავიაციო სასწავლებელში ჩააბარეთ?**

— ლენინგრადის. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, განაწილებით თბილისის აეროპორტში მოვხვდი. თავიდან „იაკ 40-ით" (პატარა თვითმფრინავი იყო) დავფრინავდი.

— **სად დაფრინავდით?**

— ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, დონეცკში, ზაპოროჟიეში, სტავროპოლში, ვოლგოგრადში, ბაქოში... დღეში 5 რეისიც გამიკეთებია.

— **თქვენი პირველი რეისი თუ გახსოვთ?**

— პირველი თვითმფრინავი, რომელშიც ჩავჯექი, სპორტული იყო. თავიდან, ინსტრუქტორთან ერთად ვიფრინე...

— **მე მფრინავის პროფესიას მაკაცურ პროფესიათა კატეგორიას მივაკუთვნებდი. მეთანხმებით?**

— რატომ? რამდენი ქალი პილოტია დასავლეთში და ჩვენთანაც. ამასთან, საბჭოთა დროსაც ბევრნი იყვნენ ქალი-მფრინავები. სამხედრო გამანადგურებლებზეც მუშაობდნენ და საომარ ოპერაციებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები.

— **რა გრძნობაა, როდესაც ზიხარ მფრინავის სავარძელში, ხელში შტურვალი (საჭის ბორბალი) გიჭირავს, ახორციელებ ამა თუ იმ მიმართულებით რეისს და თვითმფრინავის სალონში მყოფი არაერთი ადამიანის სიცოცხლე გაბარია?**

— ეს ყველაფერი იმის დასტურია, რომ შენს ნასწავლს პრაქტიკაში იყენებ და პროფესიონალიზმს ხვეწ. მფრინავობა ისეთი პროფესიაა, რომ რამდენჯერაც აფრინდები, იმდენჯერ უნდა დაჯდე...

— **და, შასი უნდა გაიხსნას, არა?**

— დაჯდომა შასის გარეშეც შეიძლება. მაგალითად, „მუცელზე" ავარიულ სიტუაციაში. ისე, ჩემი მფრინავობის დროს, არ მახსოვს, შასი არ გამხსნოდა. თუმცა არასასიამოვნო შემთხვევა არაერთი ყოფილა ანუ როცა თვითმფრინავი „ლიოგკი ოტკაზებს" „მეუბნებოდა".

— **ავარიული სიტუაცია როდის ხდება და რა ქმნის მას?**

— ახლა ცოტა შეიცვალა სიტუაცია. ადრე ავარიების 70% ადამიანის ფაქტორით იყო გამოწვეული ანუ პილოტის არაპროფესიონალიზმი ბევრ რამეს წყვეტდა. ყველას არ შეეძლო ნორმალური მფრინავი ყოფილიყო. იყვნენ ისეთები, რომლებიც მთელი ცხოვრება მეორე პილოტები იყვნენ, რადგანაც მეტი არ უნდოდათ; უფრო სწორად, მათი მონაცემები მეტად წინ წასვლის საშუალებას არ იძლეოდა. „ნედოუჩენიე" ბევრ რამეს ვნებს.

— **ამბობენ, ფრენა ადრენალინის დიდი დოზით გამოყოფას იწვევსო, მართალია?**

— ადრენალინი კარგი რამეა, რომელიც ფრენას თან მართლაც ახლავს, თუმცა ის ჭარბად მაინც თვითმფრინავის დაჯდომისას გამოიყოფა. ზეცაში რომ ხარ, იქ საზღვრები არ გაქვს. „ტუ 154-ის" სიგანე 44 მეტრია, ხოლო საფრენი ბილიკის, რომელზეც უნდა დაჯდე — 54 მეტრი. უნდა მოახერხო და თვითმფრინავი ცენტრში დასვა. ისე, ღამე უფრო ძნელია დაჯდომა; მართალია, საფრენი ბილიკი განათებულია, მაგრამ თუ ზამთარია და ვთქვათ, ყინვაა, ან თოვს, შეიძლება, თვითმფრინავი დავარდეს.

— **თუ გახსოვთ, ყველაზე ხან-**



ადრენალინი კარგი რამეა, რომელიც ფრენას თან მართლაც ახლავს

გრძლივი ფრენა სად და როდის გქონიათ?

— მაგალითად, 6 საათ-ნახევარი ჩიტიდან მოსკოვში მივფრინავდი. სალონში 40 მგზავრი იყო, საწვავი (40 ტონა) მთლიანად მესხა. გზაში საწვავის ჩასასხმელად გაჩერება არ მჭირდებოდა და ჰაერში 6 საათ-ნახევარი ვიყავი.

— საერთოდ, ჰაერში სულ რამდენი საათი გაქვთ გატარებული?

— 11 ათასი საათი... ზეცაში ყოფნა უფრო ადვილია, ვიდრე მიწაზე, იქ ღალატი არ არსებობს. რადგანაც ძირითადად, შენს თავზე ხარ დამოკიდებული.

— თუ არსებობს პრესტიჟული რეისები?

— საბჭოთა კავშირის დროს იყო ასეთი რეისები. მე დამყავდა შევარდნაძე, როდესაც ის ცეკას მდივანი იყო. სპეციალური ორი თვითმფრინავი — „იაკ 40“ იყო გამოყოფილი. ამ თვითმფრინავებით პოლიტბიუროს წევრები დაფრინავდნენ.

— იმ თვითმფრინავებისთვის, რომლებითაც მთავრობა დაფრინავდა, მაღალი კვალიფიკაციის პილოტებს არჩევდნენ?

— არა, მაღალი კვალიფიკაცია არაფერ შუაში იყო. შერჩევას უშიშროების თანამშრომლები ახდენდნენ.

— თქვენ მათი რჩეული იყავით?

— შეიძლება, რჩეული ყოფილიყავი, მაგრამ გარკვეული პარამეტრები ვერ დაგეკმაყოფილებინა.

— როგორი მგზავრი იყო შევარდნაძე?

— მაშინ ამას ვერ გაიგებდი. უშიშროების მიერ ყველაფერი დაბლოკილი და შეზღუდული იყო.

— როგორც ვიცი, ყველაზე დიდი სირთულე ფრენისას მაშინ იქმნება, როდესაც თვითმფრინავი ტურბულენტურ ზონაში (წნევების სხვადასხვაობა, ქარისა და წვიმის უწესრიგო დინება) შედის.

— თავიდან ამის არ მეშინოდა, მაგრამ ერთ დილით, ფოსტა მომქონდა და ფუნიკულორზე ამომატრიალა. ამის მერე კი შემეშინდა. საერთოდ, ყველაზე ცუდი ისეთი ქარია, რომლის სიჩქარეც 16-18 მ-ს აღწევს წამში. მაშინ თბილისში ზუსტად ამ სიხშირის ქარი ქროდა. ტურბულენტურ ზონაში წნევების ცვალებადობა თვითმფრინავზე სერიოზულად მოქმედებს და მას ზემოთ-ქვემოთ ისვრის. ამ დროს მთების განლაგებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

— რა უნდა გააკეთოს ასეთ დროს პილოტმა?

— თეორიულად და სახელმძღვანელოების მიხედვით, პილოტმა ხელი არ უნდა შეუშალოს ამ პროცესს. გასწავლიან — შესაძლოა, თვითმფრინავი ამობრუნდეს, მაგრამ ის ისევ დაუბრუნდება საწყის მდგომარეობასო, — მაგრამ როგორია, ამას დაელოდო?! თუმცა განსაკუთრებული მაინც არაფერია საჭირო, უბრალოდ, შტურვალი ხელში „ლაითად“ უნდა გეჭიროს და პროცესებს თანდათან შიშისა და აღელვების გარეშე მიჰყვე.

— საჰაერო ტრასებზე რას გვეტყვით?

— თბილისის აეროპორტიდან რომ აფრინდები, თბილისის ზღვას უნდა გადაუფრინო. მერე არის პირველი საკვანძო წერტილი — სოფელი მუხრანი, სადაც უხვევ მარცხნივ, შემდეგი წერტილი — გორია, მერე — ქუთაისი და ასე შემდეგ. ტრასა მუხრანიდან ჩრდილოეთ რუსეთში მიდის.

ჩემი მფრინავობის დროს, არ მახსოვს, მასი არ გამსსნოდა

არის ტრასა ბაქოზე, ერევანზე... შედარებით ახალი ტრასაა თურქეთზე. ამ მიმართულებებზე თვითმფრინავები მიწაზე დაყენებული სპეციალური სანავიგაციო დანადგარებით იმართება, რომლებიც ფრენისას სიგნალებს გაძლევს, რაზეც თვითმფრინავის ხელსაწყოები რეაგირებს და როგორც ინდიკატორი გეზს გიჩვენებს.

— იქნებ გაიხსენოთ ყველაზე მძიმე დღე თქვენს პრაქტიკაში?

— ეს იყო 1993 წლის 26 სექტემბერი. 27-ში ხომ სოხუმი დაეცა... მაშინ ბაბუშერაში ვიყავი. „ტუ 154“-ის სალონში სარკმლიდან შევძვერი. თვითმფრინავი ხალხით იყო გადაჭედილი, საოცრება ხდებოდა.

— აფხაზეთის ომის დროს სოხუმში დაფრინავდით?

— დიახ. 29 რეისი მაქვს შესრულებული. ჭკუაზე არ ვიყავით, რას ვაკეთებდით, არ ვიცოდით, ისეთ რეჟიმში გვიწევდა ფრენა. ბენზინი კასრებით დაგვქონდა. ხომ გახსოვთ, „მხედრიონელების“ თვითმფრინავს რაკეტა რომ მოხვდა, კაბინა მოსძვრა და ბაბუშერის აეროპორტში ჩავარდა, მაგ ეკიპაჟის შემდეგ, ჩემი თვითმფრინავი უნდა დამჯდარიყო ბაბუშერაში, რიგში ვიყავი... ურთულეს პირობებში გვიწევდა მუშაობა, ცეცხლმოკიდებული საბურავებით გვინათებდნენ ასაფრენ ბილიკებს. კიდევ ძალიან მძიმედ მახსოვს 1983 წელი, როდესაც თბილისის აეროპორტში თვითმფრინავი ჩაცხრილეს. მე მაშინ სოხუმიდან ჩამოვფრინდი და თვითმფრინავიდან არც გადმოვსულვარ, შიგ ვიჯექი, გარეთ არ მიშვებდნენ. თუ გამტაცებლები გარეთ გამოვიდოდნენ და სხვა თვითმფრინავში მოისურვებდნენ გადაჯდომას, ტრაპზონში მე უნდა წამეყვანა... ამ ფაქტის შემდეგ, საკავშირო წვრთნები ჩატარდა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. ყოველწლიურად ბათუმში ჩამოდიოდნენ ინსტრუქტორები და ტრენინგებს გვიტარებდნენ; გვასწავლიდნენ, ტერორისტების მიერ თვითმფრინავის გატაცების შემთხვევაში, როგორ უნდა მოვქცეულიყავით.

— როგორ უნდა მოიქცეს მფრინავი, როდესაც სალონში ტერორისტები არიან?

— ასეთ დროს, რაღაცები მართლაც არის პილოტზე დამოკიდებული. მას შეუძლია ტერორისტებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება — მაგალითად, უთხრას, აუხსნას, რომ ქალები და ბავშვები გაუშვან... მაგრამ როგორც ყველა რეჟისორი არ არის არტისტი, ასევეა ჩვენს პროფესიაშიც, ყველა არ არის ჭეშმარიტი პილოტი.

— კინოფილმ „მიმინოში“ მთავარ პერსონაჟს, რომელიც მფრინავი გახლავთ, მეტსახელად მიმინოს ეძახიან. თქვენ მეტსახელი არასდროს გქონიათ?

— არა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სასწავლებელში რუსები ხან კაცოს მეძახდნენ, ხან — არას.

— ნასვამს თუ გიფრენია და გიმართავთ თვითმფრინავი?

— არასოდეს. სამსახურიდან გამაგდებდნენ. ამასთან, გაფრენამდე სამედიცინო შემოწმებას გავდიოდით.

— პენსიაზე როდის გადიან პილოტები?

— არის გარკვეული ასაკობრივი ზღვარი, მაგრამ მიმაჩნია, რომ პილოტი ან თვითმფრინავში უნდა მოკვდეს, ან დროზე წავიდეს, დაეშვას მიწაზე.

— რას ეტყვით ახალგაზრდებს, მათ, ვინც ახლა მფრინავობას აპირებს?

— მიუხედავად იმისა, რომ ახლა ახალგაზრდებს ჩვენთან შედარებით, ტექნიკის თვალსაზრისით (არის მობილური, კომპიუტერი...), გაცილებით უკეთეს პირობებში უწევთ ცხოვრება, მიმაჩნია, რომ დღესდღეობით, მაინც უფრო ძნელია, გახდე სრულფასოვანი პილოტი. ჯერ სწავლის პროცესი, შემდგომ პრაქტიკის გავლა ფინანსურად ძვირი ჯდება. ჩემი ბიჭი 14 წლის არის, მფრინავობა უნდა და დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ; არ ვიცი, რას ვიზამთ...

თავში ნასროლი ვაშლი და შუბლზე გაჩენილი კოპი

„გზის“ №2-ში დაიბეჭდა ინტერვიუ მამუკა ლომაშვილთან, სადაც მან მეგობრულად მირჩია: ძველით ახალ წელს მაგიდის ქვეშ შეძვერი და აუცილებლად გათხოვდებიო. ცრურწმენების არასდროს მჯეროდა და შესაბამისად, მისი რჩევა არ გავ-ითვალისწინე, მაგრამ მას მერე, რაც მართლა გავთხოვდი, ჩემს მობილურზე შემდეგი სახის უამრავი მესიჯი შემოდის: „ლიკა, ეტყობა, მაშინ მართლა დაუჯერე მამუკას და მაგიდის ქვეშ შეძვერი, არა? იქნებ, ჩვენც გაგვიმხილო შენი საიდუმლო. პაწია“; „ლიკ, ძალიან გთხოვ, არ დამიმალო და თუ მამუკას რჩევამ შენზე გაჭრა, მომავალ ძველით ახალ წელს მეც მოგბაძავ და იქნებ, მეშველოს რაიმე. უცნობი გოგო“...

ანუ როგორ ვაცდუნოთ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი

ლიკა ქაჯაია

მინდა გითხრათ, რომ ჩემი გათხოვება ახალ წელს კი არა, შუა ზაფხულს და ვაშლს უკავშირდება. მოდით, გათხოვების ჩემეულ რეცეპტს გაგიმხელთ: თუ თქვენ გსურთ, ვინმე „შეაბათ“, მას ვაშლი უნდა სთხლიშოთ თავში და რაღაც პერიოდის შემდეგ, ის აუცილებლად თქვენი მეუღლე გახდება. არა, არ გეგონოთ, თითქოს ჯადო გავუკეთე ვინმეს ან მე მომაჯადოეს, უბრალოდ, ვაშლი ხომ ცდუნების იარაღია — გადმოცემის თანახმად, ევამ ადამი იმით აცდუნა, რომ კაცს აკრძალული ხილი — ვაშლი აჭამა... მაგრამ ჩემს შემთხვევაში პირიქით მოხდა — ამ ხილის მეშვეობით მე, სუსტი სქესის წარმომადგენელი „მაცდუნა“ ადამიანმა, რომლის დაბადების დღეზეც შემთხვევის წყალობით აღმოვჩნდი. მაშინ იუბილარმა ვაშლი მითავაზა — თავში...

მოკლედ, გასულ ზაფხულს ორკვიარიანი შვებულება მომცეს. გადავწყვიტე, ამ ორ კვირაში ყველაფერი მომესწრო. ამიტომაც, დასასვენებლად, ჯერ ზღვაზე წავედი, მერე კი, სამეგრელოში, ჩემს სოფელში მინდოდა წასვლა. ჰოდა, აჭარიდან ჩემს იმერელ ნათლულს დავურეკე და ვუთხარი: თუ თბილისში ხარ, სამტრედიაში შემხვდი და ჩემთან წავიდეთ-მეთქი. მიპასუხა, — ხვალ ჩემი ბიძაშვილის დაბადების დღეა, შენც დაგპატიჟა, რომ არ წავიდე, არ შეიძლება; მოდი, ჯერ ზესტაფონში წავიდეთ, მეორე დღეს კი — შენთან გავემგზავრებით, რა პრობლემაა?.. რა პრობლემა უნდა ყოფილიყო? — არც არაფერი. მე ხომ ნათლულის ნათესავის სახლში მივდიოდი!.. ჰოდა, საქეიფოდ წასვლის გადაწყვეტილება უმალ მივიღე.

იუბილარს წლების წინ ვიცნობდი, მაგრამ მასთან ურთიერთობა მხოლოდ იმ იშვიათი შემთხვევებით შემოიფარგლებოდა, როცა ნათლულის სანახავად ასულს, ისიც იქ დამხვდებოდა... მოკლედ, ნათლულს ზესტაფონში შევხვდი და იუბილარის სოფლისკენ მიმავალი ავტობუსისკენ ავიღეთ გეზი.

ავტობუსი ისე იყო გაჭედილი, რომ იტყვიან, — ნემსი არ ჩავარდებოდა, მაგრამ რატომღაც, წინა სავარძლები ცარიელი გახლდათ. მივიხედ-მოვიხედეთ და სასწრაფოდ, მათზე დავსკუპდით. ბედნიერი სახეებით ვუყურებდი ადამიანებს, რომლებიც რატომღაც, „ვერ მიხვდნენ“, რომ 2 ადგილი სულ ტყუილად დაგვითმეს. ნათლულს ვკითხე: იმერლები ყველანი ასეთი ზრდილობიანები ხართ? ამ ხალხმა იცოდა, მეგრელი რომ ამოვდიოდი და ადგილი დამითმო-მეთქი?.. ეჰ, თურმე მათ სტუმართმოყვარეობა კი არ ამოძრავებდათ, არამედ საკუთარ ფეხებს უფრთხილდებოდნენ. რას ვგულისხმობ? — ახლავე აგიხსნით... ავტობუსი დაიძრა და მივხვდით, სისულელე მოგვივიდა: ჩვენს ფეხქვეშ მოტორი ისე აგრუხუნდა და დატრიალდა, რომ ციებიანებივით ვკანკალებდით. ცოტა ხანში ფეხები ისე გაგვიხურდა, რომ „ყურებიდან ბოლი“ გამოგვივიდა (ოღონდ, არ გეგონოთ, თითქოს ვხუმრობდე, მართლა ასე იყო). წამოვიწიე, ასადგომად მოვემზადე, მაგრამ ნურას უკაცრავად — სად იყო დასადგომი ადგილი?! ვერც კი წამოვიწიეთ და იმისთვის, რომ ფეხისგულები არ შეგვბრაწოდა, ისინი სადღაც, ჰაერში გავაჩერეთ. სახეზე ოფლი ისე მდიოდა, გეგონებოდათ, — ეს-ესაა, აბანოდან გამოვიდაო, ტანსაცმელი ისე შემომეტმასნა, ვიფიქრე, — ნეტავ, არ შემომეხეს და ამ უცხო ხალხთან სირცხვილი არ ვჭამო-მეთქი! მაგრამ ამ ყველაფერზე დიდხანს არ მიფიქრია — ამას ვინ ჩიოდა, როცა ცოცხლად ვიხრუკებოდი და საშველი არსაიდან ჩანდა?!

ბოლოს, როცა ხალხმა ჩასვლა დაიწყო და ფეხზე დასადგომი ადგილიც გაჩნდა, ძლივს წამოვფორთხდი და სავარძლის საზურგეს ჩახუტებულმა, მეგობარს ვკითხე: კიდევ დიდხანს უნდა ვიჯაყჯაყოთ-მეთქი? — არაო, — დამამშვიდა და დასძინა: — აქედან მალე ჩავალთ, მაგრამ 9 მთა გვაქვს გადასავლელი: აი, იქ ცხოვრობსო, — და ხელი სადღაც, მართლაც, 9 მთას იქით გაიშვირა. ამის გაგონებაზე შევკივლე: აქ ჩავალ და ქუჩაში დაგელოდები, შენ წადი, იქეიფე, ხვალ დილით გამომიარე და ძაღლი თუ არ დამგლეჯს ან ვინმე ყელს არ გამომღადრავს, ადგილიდან არ დავიძვრები-მეთქი. ავტობუსში ხარხარი ატყდა, მაგრამ დამერწმუნეთ, მე ნამდვილად არ მეცინებოდა (აღმოჩნდა, რომ ნათლულის უკბილო ხუმრობის მსხვერპლი ვიყავი)...

ოჯახში მისულებს, იუბილარის დედა შემოგვეგება და ასეთი სასოწარკვეთილი, „სველი“ სახეების დანახვისას, სასწრაფოდ გრილ ადგილას გაგვიყვანა. როცა სული მოვითქვით, თავი მოვიწესრიგეთ და ადამიანებს დავემსგავსეთ, ლაპარაკის ხასიათზეც დავდექი და გუნებაც გამომიკეთდა. ნათლულმა მითხრა: აქვე

ბებიაჩემი ცხოვრობს, მასთან გადავალ და მალე მოვალ, არ მოიწყინოო. — მეც წამოვალ-მეთქი, — ავეკიდე. იუბილარმაც არ დაიხია უკან, გამოგვდო ხელკავი და ავუყევით აღმართს... ეზოში მოფუსფუსე მოხუცი დაგვხვდა, რომელმაც ჩვენი დანახვისთანავე, საქმე მიატოვა და გადაგვკოცნა. მერე შინ შეგვიძღვა და ხილით გაგვიმასპინძლდა. მას უთხრეს, რომ მე იუბილარის (ანუ მისი შვილიშვილის) საცოლე ვიყავი, თან ჰკითხეს: მოგწონს, ბებია, ეს გოგოო? ბებოს თვალები აუციმციმდა: დიდი ხანია, ეს გოგო მომწონსო (ალბათ, ფოტოებით თუ ვყავდი ნანახი და ჩემ შესახებ შვილიშვილებისგან თუ ჰქონდა რაიმე მოსმენილი, თორემ, მე მას პირველად ვხედავდი). მერე კი დასძინა: ისე, გვარი არა აქვს მთლად სახარბიელოო. იუბილარმა ხუმრობაში ჩვენც აგვიყოლია და ბებო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი შვილიშვილის შეყვარებული ვიყავი...

როცა სუფრა გაიშალა და სტუმრები მოვიდნენ, მასპინძელმა ჩემი თავი მათაც თავის საცოლედ წარუდგინა. მისმა მეგობრებმა ეს ამბავი ჩვეულებრივად მიიღეს, რამაც, სიმართლე გითხრათ, გამაკვირვა კიდეც, რადგან წესით, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ჩვენ შორის მსგავსი არაფერი ხდებოდა. მაგრამ ვიფიქრე: ეგონოთ, რა, ჩემგან რა მიდის-მეთქი?.. — და მართლაც, საპატარძლოსავით ვიქცეოდი. თან, თავს ვიმშვიდებდი, — იუბილარის ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა იცოდნენ, რომ ჩვენ უბრალოდ, კარგი ნაცნობები ვიყავით. სუფრას მივუსხედით. ჩემი „საქმრო“ ჩემგან ძალიან შორს დაჯდა. შუა ქეიფის დროს, თამადამ ვიღაც ნათია (რატომღაც, სახელი შევცვალე) ადღეგრძელა. ჭიქები ჩვენც ავწიეთ, მამაკაცებს არც კი დავლოდებივართ, სადღეგრძელო შევსვით და... უეცრად, სუფრაზე ჩოჩქოლი ატყდა, მამაკაცები ჭიქას ხელში არ იღებდნენ და გაწითლებულ თამადას რაღაცის გამო კიცხავდნენ. ამასობაში, ჩემ გვერდით მჯდომმა საზეიმოდ განაცხადა: ახლა ერთ ანეკდოტს მოგიყვებითო (ალბათ, სიტუაციის განმუხტვა სურდა). ნათლულს ვკითხე, — რა ხდება-მეთქი? მხრები აიჩეჩა. უეცრად, გავიგონე: ესაა ამის საცოლე, ნათია რამ გათქმევინა, ამას ლიკა ჰქვია და თან, ჩვენ გვერდითაა! თამადა დაიბნა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა და ალუღლუღდა: მე მითხრეს, რომ ვიღაც თბილისელი ნათია უყვარს და აბა, რა ვიცოდიო?!. მე წამოვდექი და მისი დამშვიდება ვცადე: ნუ იდარდებთ, მე და იუბილარი ვხუმრობდით, მისი საცოლე ნამდვილად არ ვარ-მეთქი... მაგრამ ვინღა მისმენდა?!. ყველანი ჩემ გვერდით მჯდომ კაცს მიშტერებოდნენ, რომელიც ანეკდოტს ჰყვებოდა. ამ დროს, იუბილარი გაბრაზდა და იმ კაცისკენ, რომელიც სიტუაციის „განმუხტვას“ ცდილობდა, ვაშლი ისროლა. მაგრამ ვაი, რომ ის ვაშლი მე მომხვდა თავში და კარგა დიდი კოპიც დამასვა. გამწარებული, სუფრიდან წამოვხტი და ნათლულს ვეცი: ესაა იმერული სტუმართმოყვარეობა?! არაფერი მინდა თქვენი, სასწრაფოდ, აქედან გამიყვანე-მეთქი...

ეზოში ჩავედით და იქვე, გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. თან, სველ ტილოს ვიდებდი შუბლზე და თან, აღშფოთებული, ენას არ ვაჩერებდი. ცოტა ხანში იუბილარის ძმაკაცები და მეზობელი ბიჭები შემოგვიერთდნენ. ერთ-ერთმა მობილური ტელეფონი მთხოვა, — სიმღერებს გადავიწერო, — მეორე თავის ცხოვრებაზე მიამბობდა რაღაცას, მესამე კი იმის გარკვევას ცდილობდა, თუ რა ურთიერთობა გვქონდა მე და მის ძმაკაცს. ბიჭმა, რომელსაც მობილური ვათხოვე, შემომთავაზა: თუ გინდა, მაგარ სიმღერებს გადმოგიწერო, — და შუფუტინსკის მთელი ალბომის „გადმოქაჩვას“ აპირებდა. ვთხოვე, — შენი ჭირიმე, შემეშვი, არ

მინდა-მეთქი. უეცრად, მომიბრუნდა და მეუბნება: იცი, სახლში მაგარი როიალი მაქვს, მაგრამ დაკვრა არ ვიცი, შენ გეხერხებაო? — კითხვაზე პასუხი რომ ვერ მიიღო, განაგრძო: — ჰო, კიდევ, მაგარი მუსიკალური ცენტრი მაქვს, ძაან „ნავაროჩენი“ დისკებით, აქ რომ ჩავრთო, ხმა მეორე სოფლამდეც მიაღწევსო. მერე გამიმხილა, რომ მალე თურმე, რუსეთიდან მაგარ „ნავაროჩენი“ მობილურს გამოუგზავნიდნენ და ის „მობილი“, რომელიც ხელში ეჭირა, ერთ-ერთ თანასოფლელს „შესთავაზა“: ამას შენ გაჩუქებო... ამ დროს, იუბილარის მამაც შემოგვიერთდა, რომელმაც რატომღაც, სხვებივით იფიქრა (ეტყობა, გულმა უგრძნო), რომ მისი შვილის შეყვარებული ვიყავი და თავის მამულზე, შემოსავალსა და სხვა ამგვარ რაღაცებზე დამიწყო ლაპარაკი. მაშინ ამ ყველაფერზე კი მეცინებოდა, მაგრამ...

დილით ნათლული სასწრაფოდ გავაღვიძე, ფეხზე წამოვაგდე: არიქა, არ დაგვაგვიანდეს-მეთქი! იუბილარმა ტაქსი გამოიძახა ზესტაფონიდან, მაგრამ მისი სოფლიდან წამოსვლა ისე მეჩქარებოდა (მეშინოდა, ახლა, ვაშლის ნაცვლად, რაიმე, უფრო მძიმე ნივთი არ მომხვედროდა...), რომ ტაქსის არც დავლოდებივარ — ავტობუსის სიგნალის ხმა გავიგონე თუ არა, ჩანთას ვტაცე ხელი და ოჯახის წევრებს სასწრაფოდ დავემშვიდობე; ხოლო იუბილარს, რომელიც გვეძახდა, — გიჟები ხართ თუ რა გჭირთ, 10 წუთში ტაქსიც მოვა და იმას გაჰყევითო! — ხელი ავუქნიე: დიდი მადლობა-მეთქი და ავტობუსს შევახტი, რომელსაც ჩემი კოპიანი თავი კარგა გემრიელად ვგლიჯე და კოპიც ზომაში ორჯერ გაიზარდა... ჰო, არ დამავიწყდეს, ე.წ. საზოგადოებრივ ტრანსპორტში თითო-ოროლა ადამიანი იჯდა, წინა სავარძლების გარდა, ბევრი სხვაც თავისუფალი იყო, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, გმირულად ვიდექი ფეხზე...

ამ ამბიდან რამდენიმე თვეში, ნათლულის ბიძაშვილმა გადაწყვიტა, მაშინდელი ხუმრობა რეალობად ექცია და შედეგიც სახეზეა. ასე რომ, კიდევ ერთხელ გირჩევთ: ადამიანს, რომელიც მოგეწონებათ, ვაშლი ესროლეთ და თავზე 2 თუ არა, ერთი კოპი მაინც დაასვით. მერწმუნეთ, ეს შედეგს უეჭველად გამოიღებს (მაგრამ როგორს, ამაზე პაუხს ნამდვილად ვერ ვაგებ...)

წარმატებებს გისურვებთ!

გაგრძელება

„ნათქვამია: ეჭვიანობა დიდმა სიყვარულმა იცისო...“

„გზის“ №12-ში დაიბეჭდა 16 წლის ლურდინიას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ჰყავს ეჭვიანი შეყვარებული, რომელიც გოგონას შინიდან გასვლის უფლებას არ აძლევს. ლურდინია იმასაც აღნიშნავდა, რომ შეყვარებულმა მეგობრებიც კი დააკარგვინა...

კუსა:

„ჩემო პატარავ, შეყვარებულს ნუ მისცემ უფლებას, რაიმე გიბრძანოს ან მეგობრებს დაგაშოროს. თუ არ გინდა, დედაშენი დატანჯო, პირველ რიგში, ეგ ტიპი უნდა დაივიწყო. ის შენი ღირსი ნამდვილად არაა“.

მარკო მარკოზეთიდან:

„ვინც რისკავს, შამპანურსაც ის სვამს. შექმენით ოჯახი და შამპანურს მე ვიყიდი“.

ტერეზა:

„მისი ცოლობა მართლა უნდა გაშინებდეს, რადგან ეჭვიანობით დაავადებული ადამიანის გვერდით ყოფნა ძალიან რთულია“.

მაზოხისტკა:

„შეიძლება, გეწყინოს, მაგრამ ასეთ ადამიანთან ურთიერთობის გაგრძელებას არ გირჩევ. ცოლად თუ გაჰყვები, სიცოცხლეს გაგიმწარებს. დამიჯერე, ის ყველას და ყველაფერს დაგაკარგვინებს. წარმატებებს გისურვებ!“

დეიდა ნინო, *ფოთიდან:*

„ვფიქრობ, იმ ბიჭს არ უყვარხარ. ის ნამდვილი ეგოისტია და ამიტომაც, ბავშვობის წლები წაგართვა. შენს ადგილას მას აღარ შევხვდებოდი და მეგობრებთან ერთად, ცხოვრებით დავტკბებოდი. კეთილის მსურველი“.

ძეთა:

„მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი, მერე კი ჩემს რჩეულს ცოლად გავყევი და 7 თვის თანაცხოვრების შემდეგ, ერთმანეთს დავშორდით. გთხოვ, იმ ბიჭს შეეშვი. ვიცი, ეს ძნელი იქნება, მაგრამ უნდა შეძლო. მომავალზე იფიქრე“.

დი-ენდი:

„ეჭვიანობა ის ავადმყოფობაა, რომელსაც მსოფლიოს ვერც ერთი ექიმი ვერ კურნავს. იცოდე, თუ მას ცოლად გაჰყვები, მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთში მოგიწევს ყოფნა“.

უცნობი:

„მგონი, სიყვარული ბედნიერების და სიხარულის მომტანი უნდა იყოს. თუკი შენმა შეყვარებულმა უკვე შეძლო და პირადი ცხოვრება წაგართვა, რაღას გიზამს მას შემდეგ, რაც ცოლად გაჰყვები? შენს ასაკში, მეგობრებთან ერთად, ცხოვრებით უნდა ტკბებოდე. ავადმყოფურად ეჭვიანი კაცები საშინელი ქმრები არიან. არ გაგიკვირდეს, თუ ღალატში დაგადანაშაულებს და ცემასაც დაგიწყებს. შენ მას მონასავით ეყოლები, თავად კი არაფერს მოიკლებს“.

ნაბია:

„ასეთ ადამიანთან ურთიერთობა არ ღირს. რატომ აძლევ ამდენის უფლებას? დამიჯერე, მალე შენი სიყვარული მისადმი შიშითა და სიძულვილით შეიცვლება. დაიბრუნე მეგობრები და შეირგე ბავშვობა. შემეხმიანე“.

უცნობი, *21 წლის:*

„სიხარულო, შენი ძალიან კარგად მესმის. უკვე 2 წელია, მეც მსგავს სიტუაციაში ვარ. ის ახლა ცოლობას მთხოვს, მაგრამ ძალიან მეშინია იმის, რომ სიყვარულის მიუხედავად, ცხოვრება დამენგრევა. ჰოდა, გადავწყვიტე: უნდა დავშორდე!!! შენც დაფიქრდი, პატარავ; ნუთუ გინდა, რომ იმ პათოლოგმა ცხოვრება გაგიმწაროს?“

მგზავრი:

„ალბათ, შენი შეყვარებული მეგობრებში ტრაბახობს, თუ როგორი დამჯერი შეყვარებული ჰყავს. ისე, ეჭვიანი მამაკაცის გვერდით ყოფნა, ტანჯვის გარდა, არაფერს მოგიტანს“.

ნატა:

„შენმა ამბავმა დაქალი გამახსენა. ისიც 16 წლისაა და მასაც ისეთივე შეყვარებული ჰყავდა, როგორიც შენ. ეგონა, მის გარეშე ვერ გაძლებდა, მაგრამ უკვე ერთი თვეა, რაც დაშორდა და ახლა თავს ძალიან კარგად გრძნობს. დამიჯერე, როცა თავისუფლებას შეიგრძნობ, შეყვარებული შენც დაგავიწყდება. აბა, წარმატებებს გისურვებ!“

„მაგას ცოლი ყი არა, მონა სჭირდება...“

სულელი გოგო:

„არ მისცე შეყვარებულს (თუ მას შეყვარებული ჰქვია) იმის უფლება, რომ ცხოვრება გაგიმწაროს. ამ ადამიანმა საუკეთესო მეგობრები დაგაკარგვინა. ჰოდა, რა ცოლობა, რის ცოლობა? მაგას ცოლად რომ გაჰყვე, მაგრად „დაგერხევა“.

აისბერგა:

„ალბათ, იმიტომ ეჭვიანობს, რომ უყვარხარ, მაგრამ ეჭვიანობა, თან ასეთი დოზით, ავადმყოფობაა. მასთან ცხოვრება გაგიჭირდება. ბედნიერებას გისურვებ!“

ნათია, *14 წლის:*

„გამოფხიზლდი!!! არავის მისცე შენზე ბატონობის უფლება. გირჩევ, „ლოვეს“ სერიოზულად დაელაპარაკო. თავისუფლება შეიგრძენი. თუ გინდა, ვიმეგობროთ“.

დეიდა ნატო:

„ჩემო კარგო, შეყვარებული ეჭვიანობის სცენებს თუ გიწყობს, მასთან ცხოვრება გაგამწარებს. ასე რომ, კარგად დაფიქრდი და ისე გადაწყვიტე, გინდა თუ არა, რომ ასეთი კაცის ცოლი იყო? არა მგონია, ამის სურვილი გქონდეს და მართალიც იქნები“.

ანუკა:

„ჩემო კარგო, სიყვარულმა ბედნიერება უნდა მოგიტანოს და არა — ტანჯვა. დამიჯერე, თუ მასთან ურთიერთობას განაგრძობ, სიყვარული სიძულვილში გადაგეზრდება. მართალია, გაგიჭირდება, მაგრამ საკუთარ თავს უნდა მოერიო და დაშორდე. ალბათ, ზოგიერთი გეტყვის, — უყვარხარ და იმიტომ ეჭვიანობსო. ჩემი აზრით, ეს ავადმყოფობაა. თუ უყვარხარ, უნდა გენდოს და მეგობრებთან ურთიერთობა არ უნდა გაგიფუჭოს“.

ლუნა:

„ეჭვიან ბიჭებს ვერ ვიტან! თვითონ როგორც უნდათ, ისე იქცევიან, შენ კი გვერდით გახედვის უფლებაც არ გაქვს. ლურდინია, იმ ეჭვიანი „კაზიოლის“ გამო ცხოვრებას ნუ გაიმწარებ. ცოლად რომ გაჰყვე, მერე სულ დაკარგავ თავისუფლებას. დაელაპარაკე და უთხარი, რომ არ აპირებ, მის მითითებებს დაემორჩილო. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი. ლიკ, მიყვარხარ“.

ნინუკია, *16 წლის:*

„საკუთარ თავს ჰკითხე, მართლა გიყვარს თუ უბრალოდ, შეეჩვიე? თუ დარწმუნებული ხარ, რომ მსგავს რაღაცებს მოთმინებით აიტან, ცოლად გაჰყევი... მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი და როცა დავრწმუნდი, რომ მიყვარდა და ყველა მის საქციელს ავიტანდი, ოჯახი შევქმენით. ჰოდა, ის სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც მგონია. შენც ბედნიერებას გისურვებ!“

NON STOP:

„შენი „ლოვეს“ საქციელმა გამაღიზიანა. მართალია, ის შენი შეყვარებულია, მაგრამ უფლება არ აქვს, სადმე წასვლა აგიკრძალოს. ის ხომ ჯერ შენი ქმარი არაა?!. ან იქნებ, ეჭვიანობის მიზეზი აქვს? რა ვიცი, რა ვიცი... თუ ვცდები, მაპატიე. სანამ მის ცოლობას გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი. წარმატებები!“

მის რეალი:

„საკუთარ თავს მხოლოდ შენვე თუ უშველი. მას ამდენის უფლებას არ უნდა აძლევდე და თუ მართლა უყვარხარ, ასე

არ უნდა გექცეოდეს. თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა!“

ლალე:

„არ ღირს, ვიღაცის გამო ახალგაზრდობის ტყვეობაში გატარება! ჩემო კარგო, გისურვებ ღამაზი სიყვარულის პოვნას“.

7676:

„თავიდან არ უნდა დაგესვა თავზე და არ უნდა მიგეცა იმის უფლება, რომ შენთვის რაიმე აეკრძალა. ეს სიყვარული კი არა, ავადმყოფობაა და ჯობს, დაშორდე“.

მუზიკანტი:

„ქალუკა, არ ინერვიულო. ხომ იცი, ნათქვამია: ეჭვიანობა დიდმა სიყვარულმა იცისო. დაელაპარაკე შენს „ლოვეს“ და აუხსენი, რომ მხოლოდ ის გიყვარს, მაგრამ მეგობრებთან ურთიერთობაც ძალიან გჭირდება. არაფერზე ინერვიულო, ჩვენ დაგეხმარებით“.

GREEN GIRL (ნათათო):

„სიხარულო, ასეთი მონსტრი რამ შეგაყვარა? ჯერ „ლოვე“ ხარ და... როცა ცოლად გაჰყვები, მერე რაღას გიზამს? ხმას რატომ არ იღებ? იქნებ, სხვისი კარნახით ცხოვრება მოგწონს? არავის აქვს უფლება, თავისუფლება წაგართვას... უნდა დაშორდე!“

კახელი სალომე:

„ასეთი ეჭვიანობა არასრულფასოვნების კომპლექსის ბრალია. მართალი ხარ, მისი ცოლობის ნამდვილად უნდა გეშინოდეს. მაგას ცოლი კი არა, მონა სჭირდება. რა დიდი სიხარულიც არ უნდა მოგანიჭოს, ეჭვიანობის სცენებით ყველაფერს შხამად ამოგადენს. სანამ დროა, გაიქეციიი!“

მავნე:

„კაროჩე“, შენ გგონია, რომ გიყვარს, სინამდვილეში კი მისი გეშინია და არ შეგიძლია, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. გირჩევ, ისეთი ადამიანი იპოვო, ვინც შენს აზრს პატივს სცემს. მაგას კი შეეშვი, წავიდეს და ბებიამისი დაატერროროს“.

ფსიქოლოგი:

„ლურდინია, გირჩევ, ეს ყველაფერი მოძღვარს უამბო, ეკლესიაში ხშირად იარო და თუ ამასაც დაგიშლის, ჯობს, დაშორდე. სიყვარულს ბედნიერება უნდა მოჰქონდეს და არა — ტანჯვა“.

XULIG@NK@:

„თვითონ თუ ყველგან დადის, შენ რატომ არ უნდა გქონდეს ამის უფლება? მას ისეთივე პირობები წაუყენე და ისეთივე რაღაცები გაუჩალიჩე, რასაც თავად გიკეთებს და ვნახოთ, როგორი რეაქცია ექნება. შენს ადგილას მასთან ურთიერთობას შევწყვეტდი და ცხოვრებით დავტკბებოდი“.

ცრემლუკა:

„პატარავ, მაოცებ. 3 წელი კი გაუძელი მის ხუშტურებს, მაგრამ კარგად დაფიქრდი, ამას მთელი ცხოვრება გაუძლებ? ის ბიჭი შენი ღირსი არაა. დამიკავშირდი“.

პაცანა:

„მესმის, რომ გიყვარს და თან, ალბათ, ამ 3 წლის განმავლობაში მაგრად მიეჩვიე; მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგიდგენია, მაგრამ აბა, დაფიქრდი, კიდევ რამდენ ხანს გაუძლებ? ჯობს, დაშორდე. იქნებ, მისი გეშინია?.. წარმატებებს გისურვებ!“

9122:

„ეჭვიანი კაცის გვერდით ცხოვრება საშინელებაა. კარგად დაფიქრდი, მართლა გიყვარს?.. თუ უყვარხარ, პატივი უნდა გცეს. რა არის, რაღაც საგანი ხომ არ ხარ? რა უბედურებაა?..“

ნატალია:

„ჩემი ქმარიც ასეთი პათოლოგი იყო. მეგონა, გამოსწორდებოდა, მაგრამ... მართალია, შვილი გაგვიჩნდა, მაგრამ ერთმანეთს მაინც დავშორდით. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ასე რომ, კარგად დაფიქრდი“.

თეო:

„ვიცი, რაც არის ეჭვიანობა. შენგან განსხვავებით, ეჭვიან კაცს ცოლად გავყევი და დამტანჯა კიდეც. ამიტომ გირჩევ, სანამ დროა, თავს უშველე!“

ენ-ჯი:

„რასაც შენ ამბობ, საშინელებაა. მისი შეყვარებული კი არა, მონა ყოფილხარ! ასე ძალიან გიყვარს? ასეთი ეჭვიანი რატომაა? იქნებ, ამის საბაბი აქვს? შეყვარებულის გამო მეგობრებს არ უნდა დაშორდე. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ“.

იტალია:

„ეგოისტი „ლოვე“ გყოლია. სანამ დროა, დაშორდი ან აქამდე რას ელოდებოდი? სახლში ჯდომას და იმის ლოდინს, თუ როდის დაგირეკავს, სჯობს, მეგობრებთან ერთად გაერთო. ცოლად არ გაჰყვე, თორემ ცხოვრებას დაგინგრევს“.

ნუკი:

„არა მგონია, უყვარდე, თორემ თვითონ რომ „დაგულაობს“, პაწუკას ეჭვიანობით რატომ გტანჯავს?“

მის კალაძე:

„იმ ტიპს როგორ უძლებ? სანამ დროა, დაშორდი, თორემ მალე, სიყვარული სიძულვილად გექცევა. მერწმუნე, არ შეიძლება, ასეთი ადამიანი დიდხანს გიყვარდეს“.

უცნობი:

„ვერ ვხვდები, ცხოვრების ულამაზესი წლები ვის ან რის გამო უნდა გაატარო შინ გამოკეტილმა? თუ გარეთ გახვალ, აღმოაჩენ, რომ მასზე უკეთესი ბიჭებიც არსებობენ. ისედაც ცოტა ხანს ვცხოვრობთ და ნურავის მისცემ უფლებას, ეს დღეებიც დაგიმახინჯოს“.

ჩორი-ჩორი:

„სანამ დროა, თავს უშველე (თუ რა თქმა უნდა, მაზოხისტი არ ხარ)...“

ნია:

„დღეს ჩემი მეგობრის დაბადების დღეა, მე კი თვალცრემლიანი, შინ ვზივარ. ყველა ჩემი მეგობარი, შვილებთან ერთად, მხიარულობს, მაგრამ... ჩემი არწასვლის მიზეზი ქმრის ეჭვიანობაა, რისი საბაბიც მისთვის არასდროს მიმიცია. 37 წლის ვარ, 2 ბიჭი მყავს (უფროსი 17 წლისაა), მაგრამ დღემდე ვერ მოვიპოვე მეუღლის ნდობა. არადა, ომს ხომ არ გამოვუცხადებ? ასე რომ, ჩემო კარგო, თუ გინდა, ბედნიერი და ხალისიანი იყო, შენს მომავალს ეჭვიან კაცს ნუ დაუკავშირებ“.

`pirvelad miwa me mivayare da Cemi guli kuboSi Cavayole~

პაწია:

„ლიკა, გამარჯობა. მინდა, რჩევისთვის ყველას მადლობა ვუთხრა. მადლობას ვუხდი აგრესიული მესიჯების ავტორებსაც. არ ვიცი, შეიძლება მართლაც არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მეგობარს შეყვარებულს „ახევენ“, მაგრამ მერწმუნეთ, მსგავს რაღაცას არასდროს ჩავიდენ. მართალია, ნათქვამია: სხვა სხვისა ომსა ბრძენიაო. მე უბრალოდ, თქვენი დახმარება მჭირდებოდა და ლიკას მესიჯი ამიტომაც მივწერე. იმ ბიჭს მართლა ვერ ვიტან და ეს ამბავი არც სიზმარია და არც — ზღაპარი. ტყუილი არაფერში მჭირდება. ჩემში სიყვარულის გრძნობა მაშინ მოკვდა, როცა უსაყვარლესი ადამიანის სიკვდილი შემატყობინეს. მაშინ შუა ქუჩაში ჩავიკეცე, ვღრიალებდი, სიკვდილი მინდოდა... გიოს ცხედარს არანორმალურივით ვკოცნიდი, პირველად მიწა მე მივაყარე და ჩემი გული კუბოში ჩავაყოლე. მას მერე, 1 თვე ფსიქოლოგთან დავდიოდი, 2 კვირა მონასტერში ვიყავი, შემდეგ კი უცხოეთში წავედი, 6 თვით. მას მერე 2 წელი გავიდა. ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ დაგარწმუნოთ: არ შემიძლია, ვინმეს შეყვარებული „ავახიო“... მე და გიო ივლისში გაპარვას ვაპირებდით, მაგრამ რამდენიმე დღით ადრე მოკლეს და ისიც არ ვიცი, ეს ვინ ჩაიდინა. ლიკ, გთხოვ, დამიბეჭდე, თანატოლების აგრესიამ გული მატკინა... ჰო, კიდევ, მოძღვარს ველაპარაკე და იმ ტიპთან მისვლა გადავწყვიტეთ. გიოს მეგობრებმა ან ჩემმა ნათესავებმა ეს რომ გაიგონ, მოკლავენ“. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. მიშა მესხი „ნახალოვკელი“ იყო.
2. მუშკეტში რვა გრამ თოფისწამალს ყრიდნენ.
3. „ტიტანიკზე“, აისბერგი შეჯახებამდე 37 წამით ადრე შენიშნეს.
4. გერმანიაში ამჟამად ნახევარ მილიონზე მეტი რუსი ცხოვრობს.
5. გალილეემ მის მიერ დამზადებულ ტელესკოპს პერსპექტივა უწოდა.
6. ვიეტნამელები, მათივე მტკიცებით, მხოლოდ უჭკუო ძაღლებს ჭამენ.
7. ვატერლოოს ბრძოლის დროს, მილიონ ტონაზე მეტი თოფისწამალი დაიხარჯა.
8. ფრიდრიხ ენგელსმა მანჩესტერს „მსოფლიოს პირველი საფაბრიკო ქალაქი“ უწოდა.
9. ცხვარს 6 თვის ასაკიდან 1 წლამდე — ბუწი, მეორენაირად კი — თოხლი ჰქვია.
10. ჯავაჰარლალ ნერუმ თავის ქალიშვილს სახელად, ინდირა — „მთვარის ქვეყანა“ დაარქვა.
11. ღამურები ექოლოკაციის დახმარებით „ხედავენ“. სიბნელეში მათ ერთი მილიმეტრის სისქის მავთულების აღქმაც კი შეუძლიათ.
12. „კაგდა პაგულიაეშ ს დუშოი, პატომ ტელო ატკაზივაეტსა პრინემატ ეტუ დუშუ ობრატნო“, — ნაღვლიანად ამბობდა „პახმელიის“ გადაუჭრელი პრობლემის შესახებ კლარა ნოვიკოვა.
13. „არ არსებობენ ცუდი და კარგი ადამიანები, არსებობს ცუდი და კარგი ურთიერთობები“, — ამბობდა ჰიტლერი.

14. „კეთილი სიტყვითა და პისტოლეტით უფრო მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე მხოლოდ კეთილი სიტყვით“, — ამბობდა ალ კაპონე.
15. „შვიდწლიანი ომის“ დროს, პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდს გულის ჯიბეში ჩადებულ ოქროს პორტსიგარში მოხვდა ტყვია და აშკარა სიკვდილს გადარჩა.
16. განთქმული ფირალი დათიკო შევარდნაძე განათლებული კაცი იყო. ერთი პერიოდი სოფლის მწერალი გახლდათ და ყალბი პასპორტების კეთებაშიც იყო დახელოვნებული.
17. ეზოს ბავშვები ეროსი მანჯგალაძეს მოფერებით, ერიკოს ეძახდნენ და ცნობილ მსახიობს ფეხბურთის სათამაშოდ, ეზოში ეპატიჟებოდნენ.
18. „საიქიოში ახლა ნამდვილად მხიარულებაა. ალბათ, რაბლე სიცილით ხოცავს იქ სუყველას“, — სევდიანი ღიმილით ამბობდნენ ფრანსუა რაბლეს გარდაცვალების შემდეგ ფრანგები.
19. საკუთარი გარდერობისადმი ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-ს განსაკუთრე-

ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე ოჯახებში

ოჩიანს ვაღაჩრენილი, ვაკრაკ შეჯსხვენილი ფრიადოსანი, კარნახის დიდოსტატი „ბოეჩიხა“ და მისი ქიმიის მოყვარული კლასელები

როდესაც ჩემს რესპონდენტებს ვკითხე, — დღეს რომ მთელი კლასი სუფრასთან შეიკრიბოთ, როგორ მოილხენთ-მეთქი? — მიპასუხეს: თავიდან სკოლის ამბებს გავიხსენებთ და სიცილისგან მუცელი გვეტკინება, მერე კი აუცილებლად პოლიტიკაზე გადავალთ, თუმცა ნაკლებს ვიკამათებთ, რადგან უმრავლესობა ერთ პოზიციაზე ვართ ანუ დღესაც ისეთივე ერთიანია თბილისის 55-ე საშუალო სკოლის 1981 წლის X5 კლასის გამოშვება, როგორიც სკოლის წლებში იყოო.

ირმა ხარშილაძე

ამჯერად, „არაჩვეულებრივი „გამოფენა“ ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის კლასს სტუმრობს. „გაკვეთილს“ მხოლოდ ინჟინერი კახა წიტაიშვილი და ფიზიკოსი ზაზა ბერულავა „ესწრებიან“.

ზაზა ბერულავა:

— მართლაც, გამორჩეული კლასი გვქონდა. ჩვენთან სწავლობდა საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების 5 წევრი — პაატა ტაბატაძე, კოტე დავითიძე, კახა გვარამაძე, გიორგი სხირტლაძე და პაატა კვიჟინაძე და ასევე, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრები — ლევან გაჩეჩილაძე და იური ხუნწარია. ძალიან მეგობრული კლასი იყო და წარმოიდგინეთ, რომ დღემდე ვინარჩუნებთ ამ ურთიერთობას. ეგ კი არა, მასწავლებლებთანაც იმდენად ვმეგობრობდით, რომ IX-X კლასებში „შატალოზე“ აღარ წავსულვართ, პირიქით, გაკვეთილზე ჯდომა გვიხაროდა — გასაქცევი, დასამალი და გასაცდენი აღარაფერი გვქონდა. კლასში ოქროს მედლის ორი კანდიდატი გვყავდა — ლევან გაჩეჩილაძე და ნონა გაფრინდაშვილის ძმისშვილი — ლალი გაფრინდაშვილი. თუ რომელიმემ შემთხვევით, გაკვეთილი არ იცოდა, მთელი კლასი ვცდილობდით, გამოძახებისგან მათ გადარჩენას.

— ამას როგორ ახერხებდით?

კახა წიტაიშვილი:

— აქტიურად ვიწევდით ხელს, რომ მასწავლებელს რომელიმე გავეძახებინეთ... ერთხანს მასწავლებლებმა ახალი მეთოდი შეიმუშავეს — დაფასთან ერთდროულად 5 ბავშვს გაგვიძახებდნენ და თითოეულს გვაყოლებდნენ გაკვეთილს. ლევანი, თუკი გაკვეთილი არ იცოდა, სულ ბოლოს დგებოდა; ვიდრე დანარჩენი ოთხი მოჰყვებოდა, ყურადღებით ისმენდა, იმახსოვრებდა და ისე ზედმიწევნით ზუსტად პასუხობდა მასწავლებელს, დაუმადლებელ ხუთიანს უწერდნენ ხოლმე.

ზაზა:

— მახსოვს, გაკვეთილების შემდეგ ვბრუნდებოდით შინ, ვსადილობდით, ვმეცადინეობდით და კვლავ ვიკრიბებოდით. შეხვედრის ადგილი უცვლელი გვქონდა — დღევანდელი „ბიგბენის“ ადგილას, ჭავჭავაძეზე მაშინ რესტორანი „მწვანე ველი“ იყო, იქვე მოვიყრიდით ხოლმე თავს, „ვაბირჟავებდით“, მერე, საინტერესო იდეა თუ დაგვებადებოდა, მის განხორციელებაზე ვფიქრობდით. მაგალითად, იურა ხუნწარიას ჩვენს კლასელთაგან და მგონი, თბილისშიც, პირველს ჰქონდა ვიდეომაგნიტოფონი; ავდიოდით მასთან და ფილმებს ვუყურებდით.

— ლევან გაჩეჩილაძეს მეტსახელი კლასელებმა შეარქვით?

— მე მახსოვს, რომ გოგონებმა შეარქვეს: ცოტათი დაბნეული იყო და — „გრეჩიხასავით“ არის დაბნეულიო, — ამბობდნენ.

კახა:

— მაგას შეიძლება, იმიტომ ამბობდნენ, რომ უკვე შერქმეული მეტსახელი გაემართლებინათ. ყველამ იცის, რომ „გრეჩიხა“ ეზოში შეარქვეს. ლევანი ამ სახლში ცხოვრობდა (*ლაპარაკია ილია ჭავჭავაძის პროსპექტის 50ა ნომერში მდგარ, ორსართულიან სახლზე. — ავტ.*) და ამ ეზოში მისი თანატოლი კიდევ ორი ლევანი ცხოვრობდა — ჯაფარიძე და ქუთათელაძე. ერთმანეთისგან რომ გამოერჩიათ, ეზოს ბავშვებმა სამივეს სხვადასხვა მეტსახელი შეარქვეს, თუმცა მხოლოდ ლევანს შერჩა.

ზაზა:

— ძალიან სპორტული კლასი გვქონდა. ყოველ კვირას ფეხბურთს ვთამაშობდით, თავიდან — ისე, უბრალოდ, შემდეგ — სანაძლეოს ვდებდით, ლიმონათებზე, ნაყინზე, IX-X კლასებში უკვე — ლუდსა და სახინკლეზე და საოცარია, რომ სკოლა ისე დავამთავრეთ, თითქმის არავინ დავმთვრალვართ. უმრავლესობამ პირველად გამოსაშვებ საღამოზე დავლიეთ. ერთი-ორი გვყავდა, სიგარეტის მწეველი და ისეთი, მეშვიდე კლასიდან რომ წვერს იპარსავდა (*იცინის*).

— ახსენეთ, მასწავლებლებთან ვმეგობრობდითო. რით გამოიხატებოდა თქვენი მეგობრობა?

კახა:

— ინგლისურში დაყოფილები ვიყავით და ჩვენს განაყოფს ლამარა სანიკიძე გვასწავლიდა. ჩვენი ნამდვილი მეგობარი იყო. მის სახლში ხშირად ვიკრიბებოდით, ჩაის მივირთმევდით ხოლმე და ათას რამეზე ვსაუბრობდით. იმდენად ახლობლად მიგვაჩნდა, რომ ერთხელ დაფაზე რაღაცას წერდა და პარალელურად, მე მომცა შენიშვნა. არც ვაციე, არც ვაცხელე — და... შევუღიტინე (*იცინის*).

— წეღან თქვით, — იშვიათად, როდესაც ლევანმა გაკვეთილი არ იცოდა, ყველანი ვცდილობდით მის „გადარჩენასო“. პირიქით თუ ხდებოდა — ფრიადოსანი ლევანი თუ ეხმარებოდა სხვებს?

ზაზა:

— კარნახის დიდოსტატი იყო: ისე გიკარნახებდა, ვერც მასწავლებელი იგებდა და ვერც კომისიის წევრი, რომელიც გაკვეთილს ესწრებოდა (*იცინის*). ტუჩების მოძრაობითა და მიმიკით ცდილობდა „ხმის მიწვდენას“.

— მისი კარნახის შედეგად, ვინმეს მაღალი ნიშანი მიუღია?

— ყოველ შემთხვევაში, კლასში არავინ ჩარჩენილა.

— ბევრი ბავშვობიდანვე გამოირჩევა ლიდერის თვისებებით...

კახა:

— მე ლევანზე ვერ ვიტყვი ამას. არასდროს ვიფიქრებდი, პოლიტიკაში თუ წავიდოდა.

ზაზა:

— იძულებული გახდა და იმიტომ წავიდა. ის ნაღდ, ქართულ ოჯახში არაჩვეულებრივმა, ძალიან განათლებულმა მშობლებმა აღზარდეს, თვითონ სამი ვაჟკაცი ჰყავს, ამიტომაც საჭიროდ მიიჩნია თავისი და სხვისი შვილების მომავლის, ქვეყნის გადასარჩენად ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

— დღევანდელი ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეებს ვგულისხმობ, ნებსით თუ უნებლიეთ, აქტიურად არიან პოლიტიკაში ჩართულნი, —



ზაზა ბერულავა და ლევან გაჩეჩილაძე

მეტისმეტად ბევრ ინფორმაციას იღებენ. უწინ ასე არ იყო. მაგალითად, იცოდით, ვინ იყო თქვენი მოსწავლეობისას განათლების მინისტრი?

კახა:

— არა.

ზაზა:

— მე ვიცოდი, რომ ოთარ ქინქლაძე იყო და ისიც იმიტომ, რომ სწორედ მინისტრი აცხადებდა ქართულის წერის საგამოცდო თემების სახელწოდებებს...

— ახსენეთ, „შატალოზე“ მხოლოდ IX კლასამდე დავდიოდითო. სად იპარებოდით ხოლმე?

— ჩვენთვის უსაყვარლესი ადგილი იყო ჩვენი მეგობრის სახლის სახურავი. სათვალთვალო პუნქტივით გვქონდა: ზემოდან კარგად ჩანდა, როდის გადიოდნენ შინიდან მეგობრის მშობლები. მათი წასვლა და წამში მის სახლში ვჩნდებოდით.

კახა:

— ძველი სტუდქალაქის უკან დავძვრებოდით ხოლმე; კიდევ კინოთეატრ „ყაზბეგში“ დავდიოდით, ბარნოვის ქუჩაზე იყო. მახსოვს, იტალიური ფილმი „ბლეფი“ ათჯერ მაინც ვნახეთ, ასევე ძალიან გვიყვარდა ჩარლი ჩაპლინის „ოქროს ციებ-ცხელება“.

ზაზა:

— ისეც მომხდარა, რომ კინოდარბაზში შემოსულა სკოლის დირექტორის

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეროა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ბული ყურადღება არასდროს მიუქცევია. მის მკერავებს ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნა აქვთ წაყენებული — შეკერონ ტანსაცმელი ისე, რომ მათში გამოწყობილი დედოფალი შედარებით მაღალი გამოჩნდეს.

20. 100.000-დოლარიან კუპიურაზე, რომელიც 1934 წელს ამოიღეს ბრუნვიდან, ვუდრო ვილსონი იყო გამოსახული. დღეს კოლექციონერებსაც არა აქვთ უფლება იქონიონ ეს კუპიურა.

21. მიხაილ ზადორნოვზე ჭორი გავრცელდა — სატირიკოსმა მდინარე უის ნაპირზე უზარმაზარი სახლი აიშენაო. ერთმა ჟურნალმა სტატიაც გამოაქვეყნა სახელწოდებით — „ზადორნოვუ ზახატელოს ნა უი“. სტატიის სათაურში მდინარის სახელწოდების წინ აშკარად „იკითხება“ დაუწერელი ასო „ხ“. განაწყენებულმა ზადორნოვმა სტატიის ავტორებსა და მის მსგავს ჟურნალისტებს „ჟურნაშლიუშკები“ უწოდა.

22. მსოფლიო ომის დროს საბჭოთა მომთვინიერებლები სპეციალურად წვრთნიდნენ ძაღლ-კამიკაძეებს. ზურგზე ნაღმდამაგრებული ცხოველები მხოლოდ გერმანული ტანკების მოტორის ხმაზე იყვნენ დაგეშილები. გერმანელები ასეთი ძაღლის დანახვისთანავე თიშავდნენ მოტორს.

23. მარტინ ბორმანი თავგადაკლული ათეისტი იყო. ჰიტლერის მოადგილეს რელიგია მესამე რაიხისათვის მიუღებლად მიაჩნდა. ერთ-ერთ შობაზე იგი მეუღლეს სწერდა, — ჩვენს შვილებს ყურადღება მიაქციე, ამ რელიგიური დღესასწაულის შხამით არ მოიწამლონო. მოგვიანებით, მისი უფროსი ვაჟი მარტინი კათოლიკე მღვდელი გახდა.



24. საავადმყოფოში, სადაც გალაკტიონ ტაბიძემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, პალატა ლუქსი თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორს ეკავა. გალაკტიონ ტაბიძისთვის ორადგილიან პალატაში მესამე საწოლი დადგეს, რის გამოც, შევიწროებულმა ავადმყოფებმა უკმაყოფილება გამოთქვეს.

25. პაოლო იაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით, მთავრობამ იმ ადამიანთა სია შეადგინა, ვისაც დაკრძალვაზე დასწრების უფლება ეძლეოდა. კოლაუ ნადირაძე არ იყო ამ სიაში, მაგრამ მაინც მივიდა გასვენებაში. მას „ჩეკისტი“ ქობულოვი გადაუდგა წინ და, — სიაში თუ ხარო? — ჰკითხა. კოლაუმ ხელით ჩამოიშორა იგი და მიაძახა: რა სია მჭირდება, მეგობარს ვასაფლავებო. კოლაუ ნადირაძე ერთადერთი იყო მეგობრებიდან, ვინც პაოლო იაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად მიაცილებდა პოეტის ცხედარს.

მოადგილე და მთელი კლასი გარეთ „გავუწვევივართ“.

— კლასში „მავნებლები“ არ გყავდათ?

— სერიოზული „დანაშაული“ არასდროს ჩაგვიდენია, ერთ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით — გიორგი სხირტლაძემ ქიმიის კაბინეტიდან კალიუმით სავსე ჭურჭელი მოიპარა და საპირფარეშოში ჩააგდო. კალიუმს წყალი რომ მოხვეროდა, მაშინვე აფეთქდებოდა, მაგრამ გიორგიმ იცოდა, რომ ჭურჭელი თავდახურული იყო და არაფერი მოხდებოდა. თუმცა ამ ამბავს სკოლაში დიდი ხმაური მოჰყვა.

— ნუთუ სულ არაფერს აშავებდით, რომ თუნდაც, მშობლები დაებარებინათ?

კახა:

— ჩემი მშობლები კარგა ხანს უცხოეთში მუშაობდნენ და ბებია-ბაბუა მზრდიდა. ერთხელ, რუსულის მასწავლებელი ქალბატონი ჟანა ციხისთავი რაღაცაზე გამინაწყენდა და მამაჩემი დაიბარა. მე ცივი უარი ვუთხარი: მამა არ მოვა სკოლაში-მეთქი. მოდი, დაგენაძლევები თუ არ მოვა, უსწავლელად გამოგაყოლებ ხუთსო, — მითხრა. დავთანხმდი. დარეკა სახლში და მამაჩემმა მტკიცე უარი უთხრა, მე კი სანაძლეო მოვიგე (*იცინის*).

ზაზა:

— კიდევ იმისთვის იბარებდნენ მშობლებს, რომ შემთხვევით დერეფნის ფანჯარას ვეჯახებოდით და შუშები იმსხვრეოდა. მახსოვს, ბოლო ზარზე ერთ-ერთი ჩემი კლასელის მშობელმა შუშის უზარმაზარი შეკვრა მოიტანა და დირექციას გადასცა: რაც ჩემმა შვილმა აქ შუშა ჩაგიმტვრიათ, ამით აღადგინეთო (*იცინის*).

კახა:

— რაღაც ამბავი გამახსენდა. ერთმა კარგმა მასწავლებელმა, გვარს და სახელს არ დავასახელებ, მერვედან მეცხრე კლასში გადასაყვანი გამოცდის წინ, ჩუმად გაგვაფრთხილა — თითო ბილეთი ისწავლეთ და გამოცდაზე რომელი ბილეთიც შეგხვდებათ, მაინც იმ ნასწავლი ბილეთის ნომერი თქვით ხმამაღლა და მოჰყევითო. ლევანმა ისწავლა მე-15 ბილეთი, გამოცდაზეც მე-15 აიღო და დამსწრეებთან უნებლიეთ ხმამაღლა გამოაცხადა, — მართლა მეთხუთმეტე ავიღეო! შეეჭვდნენ დამსწრეები და დაკვირვება დაიწყეს. მეორე ბავშვსაც ასე გაუმართლა, სტუმრები მალევე დარწმუნდნენ, რომ არ ვიტყუებოდით და დანარჩენები უკვე იოლად „გამოვძვერით“. სკოლას ძალიან სერიოზული მომღერალთა გუნდი ჰყავდა. ჩვენი კლასიდან იქ მღეროდნენ გაჩეჩილაძე, გვარჯალაძე და ფაშტიანი. ფაშტიანმა მერე კონსერვატორიაც დაამთავრა და ახლა გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ორკესტრში ფლეიტაზე უკრავს.

— გეგა კობახიძის მეუღლე თინკო ფეტვიაშვილიც თქვენს კლასში სწავლობდა?

ზაზა:

— მგონი, მეექვსე კლასში გადმოვიდა ჩვენთან. ძალიან ლამაზი, მშვიდი, წყნარი გოგონა იყო. სამხატვრო აკადემია დაამთავრა... ახლა კვიპროსზე ცხოვრობს.

კახა:

— იცით, კიდევ რა გამახსენდა? — მეათე კლასში, როცა უკვე დაღვინებულები ვიყავით, ხუთმა ბიჭმა, რა თქმა უნდა, მშობლების დახმარებით, 4.000 მანეთად მუქი სტაფილოსფერი „ჟიგული“ — „ადინაცატი“ ვიყიდეთ. თავიდან, პაატა ტაბატაძემ და ნიკა დარახველიძემ იცოდნენ ტარება და საჭეს ისინი უსხდნენ, მერე კი, ნელნელა დანარჩენებმაც ვისწავლეთ...

სამწუხაროდ, ლევან გაჩეჩილაძის კიდევ ერთ თანაკლასელს, ფილოლოგ თამარ ჭეიშვილს, რომელიც 1981 წლის კურსდამთავრებულთა ბოლო ზარის ღონისძიების რეჟისორიც ყოფილა, მარტოს მოუწია სკოლის ამბების გახსენებამ.

თამარ ჭეიშვილი:

— ერთ-ერთი მასწავლებელი გვყავდა სამამულო ომში დაკარგული და მერე გამოჩენილი ცალთვალა კაცი — გაიოზ რუსიშვილი, რომელსაც მთელი ვაკე ციკლოპას ეძახდა. ციკლოპა საშუალებას გვაძლევდა, სემესტრის განმავლობაში სამჯერ გაგვფრთხილებინა, რომ გაკვეთილი არ ვიცოდით და ორს არ დაგვიწერდა. რა თქმა უნდა, ეს „სამი ჯერი“ ყველას, მათ შორის — „გრეჩიხასაც“ მალევე გვეწურებოდა. ერთ დღესაც გაიძახა და ლევანმა უთხრა: არ ვიცი, მიზეზად კი ბებიის ცუდად ყოფნა დაუსახელა: ციკლოპამაც მიზეზი საპატიოდ მიიჩნია და ორი არ დაუწერია — მან კარგად იცოდა, რომ ოქროს მედლის კანდიდატი გაჩეჩილაძისთვის ორის დაწერა დიდი ტრაგედია იქნებოდა. ორი დღის შემდეგ გაკვეთილზე კვლავ იძახებს ლევანს. „გრეჩიხა“ მძიმედ წამოდგა და გულში დაემშვიდობა კიდეც მედალს — გაკვეთილი არც ამჯერად იცოდა. უეცრად „ციკლოპა“ ეკითხება: ბებია როგორ არისო? (*იცინის*). ასე დატოვა გაიოზ მასწავლებელმა ლევანი ორის გარეშე, მაგრამ — შერცხვენილი... ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე ოჯახებში და მახსოვს, პატარა „გრეჩიხა“ — გია დაგვდევდა და გვეხვეწებოდა: ოღონდ წამიყვანეთ და რასაც მეტყვით, იმას გიმღერებთ, თუ გინდათ, ოთარ რამიშვილს გავაჯავრებო. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მიგვყავდა (*იცინის*)...

— რა დაგიტოვათ ან რა მოგცათ სკოლის წლებმა?

ზაზა:

— ბავშვობამ დაგვიტოვა ის, რაც ჩვენს შვილებს უნდა ვასწავლოთ — ურთიერთსიყვარული, მეგობრობა და ერთმანეთის გატანა.

— როგორ უნდა ასწავლოთ?

— როგორ და, ჩვენ გვერდით უნდა იყვნენ შვილები. ჩემი და კახას ბავშვები საკმაოდ პატარები არიან, მაგრამ აქედანვე უნდა უყურონ ჩვენს ურთიერთობას. მაგალითად, ლევანის შვილები დიდები არიან და ჩვენთან ერთად დადიან, საქმიანობენ, პრობლემებს წყვეტენ. მშობლებისა და შვილების ასეთი ურთიერთობები აუცილებლად მიმაჩნია შვილების კაცებად, ადამიანებად ჩამოყალიბებისთვის.

ბავშვობამ დაგვიგოვა ის, რაც ჩვენს შვილებს უნდა ვასწავლოთ (საბავშვო ბაღში ლევანი და მისი მომავალი მეუღლე – ნინო მიქელაძე ერთად დადიოდნენ)

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ჭორფლი — „მზის წინწკლები“

თუ „ყოველწლიური უსიამოვნება“

ჭორფლი ავადმყოფობის ნიშანი კი არა, კანის თავისებურება და გაზაფხულის დადგომის ნიშანია. რომანტიკოსები მას „მზის წინწკლებს“ უწოდებენ, სკეპტიკოსები — „ყოველწლიურ უსიამოვნებას“, დერმატოლოგების ენაზე კი ამ წვრილ ლაქებს ეფელიდები ეწოდება.

ჭორფლის წარმოშობის მიზეზი ორგანიზმში პიგმენტური ცვლის დარღვევაა და ის, როგორც წესი, ქერა და წითურ ადამიანთა ხვედრია. ჭორფლი ადამიანს 5-6 წლის ასაკში უჩნდება და ძალას 20-25 წლის ასაკისთვის იკრებს. 30 წლის შემდეგ კი ლაქები უფერულდება და ზომითაც მცირდება, თუმცა ბოლომდე იშვიათად თუ ქრება. ადამიანების ერთი ნაწილი ჭორფლს ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის ნიშნად მიიჩნევს, სხვებს კი მხოლოდ ნერვებს უშლის და ამიტომაც, მასთან საბრძოლველად არაფერს იშურებენ. თუმცა, ამ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ბრძოლაში, გადამლაშება ნამდვილად არ ღირს.

გაჩენის უფლება არ მისცეთ!

თუ არ გინდათ, რომ ყოველ გაზაფხულზე კანი ჭორფლით დაგეწინწკლოთ, „თავდაცვის ხაზი“ მარტის დასაწყისიდანვე უნდა გაამაგროთ, რადგან ჭორფლის ყველაზე ინტენსიურ წარმოშობას სწორედ გაზაფხულის მზის პირველი სხივების გამოჩენა უწყობს ხელს. მასთან ბრძოლის ყველაზე მარტივი და ქმედითი საშუალება კი მზისთვის სახის მორიდება და მისგან დამცავი კრემების გამოყენებაა. კანზე მზის სხივების ზემოქმედებას პუდრიც ამცირებს და შესაბამისად, ჭორფლის წარმოქმნასაც ამუხრუჭებს. ამ საქმეში სწორად შერჩეული საკვებიც კარგ სამსახურს გაგინევთ. ამიტომაც გაზაფხულზე მზის სხივებისადმი კანის მგრძნობელობის შემასუსტებელი C და PP ვიტამინებით მდიდარ ციტრუსებს, ასკილს, კომბოსტოს მწნილს, ღვიძლს, არაქისს, სარდინებს, სკუმბრიასა და საქონლის ხორცს უნდა მიეძალოთ.

გაზაფხული ჭორფლის გაჩენის და არა მასთან აქტიური ბრძოლის პერიოდია და ამიტომაც, კანის გაწმენდას და ნიღბების თუ კრემების გამოყენებას დერმატოლოგები უფრო პროფილაქტიკისთვის გვირჩევენ. ხოლო მზის სხივებთან თითქმის შეუთავსებელ ძლიერ მათეთრებელ პრეპარატებზე, ჭორფლით დაფარული კანის ფენის ამღებ ლაზერულ გახეხვასა და მჟავების მთელი კომპლექსის გამოყენებით ქიმიურ პილინგზე ამ პერიოდში უმჯობესია, საერთოდაც უარი თქვათ.

ვისაც პიგმენტაციისა და ჭორფლისკენ მიდრეკილება აქვს, ისიც უნდა ახსოვდეს, რომ მარტსა და აპრილში არც სახის მასაჟის გაკეთებაა სახარბიელო. ხოლო თუ ესოდენი თავაგამოდების მიუხედავადაც, ჭორფლი უკან არაფრით იხევს, გული მაინც არ უნდა გაიტეხოთ. ამ პატარა და ჯიუტი წინწკლების დანახვაზე ხომ ადამიანების უმეტესებას მხოლოდ ეღიმება და გაზაფხულზე, სითბოსა და მოახლოებულ შვებულებაზე იწყებს ფიქრს...

შეუმჩნეველი გახადეთ!

ჭორფლისგან თავის ბოლომდე დაღწევა არა, მაგრამ მისი გაუფერულება კი ნამდვილად შეიძლება. ამ დროს კარგია მჟავე რძით სახის დაბანა. კარგ ეფექტს იძლევა ლიმონმჟავას (2-3 გრამი — ნახევარ ჭიქა წყალზე) გამოყენებაც. ჭორფლის მოსაცილებელ ნიღბებს მჟავე რძითა და ხაჭოთი ანდა მდუღარედასხმული ოხრახუშის ფოთლებით ამზადებენ. ასევე კარგი მათეთრებელი ეფექტი აქვს კენკროვანების — ძახველის, წითელი მოცხარისა და მარწყვის ნიღბებსა და პომიდვრისგან დამზადებულ ფაფას.

არსებობს სპეციალური მათეთრებელი კრემებიც. ისინი, როგორც წესი, თუთიისა და ტიტანის ჟანგი რძიანას ექსტაქტს, ლანოლინს, სპერმაცეტს და ატმის ან ლავანდის ზეთს შეიცავს. მათი გამოყენება ძილის წინ, 1-2 საათით ადრე რეკომენდებული. მათეთრებელი ეფექტი აქვს ზოგიერთ ფერიმჭამელების სამკურნალო პრეპარატებსაც. თუმცა ექიმ-დერმატოლოგის რჩევის გარეშე მათი გამოყენება სასურველი მაინც არ არის. რადგან ყველა მათეთრებელი საშუალება ხანგრძლივ (4 თვემდე) გამოყენებას მოითხოვს, რაც სახის კანს ზედმეტად აშრობს. ასე რომ, წინდაუხედაობის შემთხვევაში შეიძლება, ჭორფლი კი გაგიუფერულდეთ, მაგრამ შედეგად აქერცლილი და წვრილი ნაოჭებით დაქსელილი სახის კანი შეგრჩეთ.

სხვათა შორის

თუ ჭორფლით მარტო სახე კი არა, მთელი სხეულიც გაქვთ დაფარული, ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებაც არ გაწყენდათ, რადგან გადამეტებული პიგმენტაცია შეიძლება, თირკმელზედა ჯირკვლების მუშაობის, ნივთიერებათა ცვლის, ვიტამინების ბალანსის დარღვევის ან ზოგიერთი პრეპარატების უარყოფითი ზემოქმედების შედეგი იყოს.

სწრაფად შეჭამ, სწრაფად დაავადდები

ფასტფუდი თირკმელში მოკრივის იმ დარტყმას ჰგავს, რომელსაც სწრაფი, მკვეთრი და ხანგრძლივად შენარჩუნებ-

ული შედეგები მოსდევს. ეს შვედეთის ლინჩიოპინგეს უნივერსიტეტის მეცნიერებმა და იმ 18-მა „საცდელმა კურდღელმა“ დაამტკიცეს, რომლებმაც მეცნიერების წინსვლისთვის მსხვერპლი გაიღეს და ოთხი კვირის მანძილზე, მხოლოდ ჰამბურგერებითა და ფასტფუდის სხვა „სიკეთეებით“ იკვებებოდნენ...

აქ და ახლავე

გარდა იმისა, რომ ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს (მათი უმეტესობა სტუდენტი-მედიკოსი იყო) წელის გარშემოწერილობა 7 სანტიმეტრით გაეზარდა, ხოლო წონაში 10-15%-ით მოიმატა, 13 მათგანს თირკმელში თითქმის ისეთივე ცვლილებებიც დაუფიქსირდა, როგორიც ქრონიკულ ლოთებს. თუმცა მივყვეთ თანამიმდევრობით.

ჩვენს დროში ცოტა ვინმესღა თუ გააკვირვებ იმ ინფორმაციით, რომ სწრაფი კვება სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტისა და ჰიპერტონის განვითარებას უწყობს ხელს. ისიც თითქმის ყველას მოეხსენება, რომ ამ პროდუქტებში უამრავი ცხიმი, შაქარი და მარილია. მაგრამ იმის გამო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებები, ჩვეულებრივ, დიდხანს და შეუმჩნევლად ვითარდება, ადამიანს საშიშროებაც დროში გადავადებული ეჩვენება და ამიტომაც, ამ ყველაფერს მწვავედ აღარ აღვიქვამს. ამ საშიში ვითარებიდან გამომდინარე, „ფასტფუდის შემსწავლელ ჯგუფში“ შემავალმა შვედმა მეცნიერებმა ორგანიზმზე სწრაფი კვების „აქ და ახლავე“ მოქმედების ეფექტების ცალკე გამოყოფა გადაწყვიტეს. მათვე შეარჩიეს ჯანმრთელ მოხალისეთა ჯგუფი და სთხოვეს, რომ 4 კვირის განმავლობაში თანამედროვე ახალგაზრდობის ბევრი წარმომადგენლის ტიპური ცხოვრებით ეცხოვრათ.

პირველ რიგში, ცდის მონაწილეებს დღეში ორჯერ მაინც სწრაფი კვების რომელიმე დაწესებულების (უპირატესად, შერჩეული იყო რესტორნები, რომელთა სახელებსაც მეცნიერები დელიკატურად არ ახსენებენ) მომსახურებით უნდა ესარგებლათ. ამასთან, ცდის პირებს დროებით სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაზეც უნდა აეღოთ ხელი. მედიკოსები კი ამ დროს მათ წონასა და წელის გარშემოწერილობას უმოწმებდნენ და რაც მთავარია, მათი ორგანიზმის ძირითადი ქიმიური ლაბორატორიის — თირკმლების მუშაობას აკვირდებოდნენ.

საშიში ცვლილებები

ექსპერიმენტის ბევრი მონაწილე, თირკმელთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, ფასტფუდით კვების პირველივე კვირის შემდეგ შეაწუხა და მერე სულ უფრო და უფროც გაუღრმავდა. ექსპერიმენტის 18 მონაწილიდან 13-ს სისხლში სპეციფიკური ფერმენტის მომატება დაუფიქსირდა. ეს ძალიან საშიში ცვლილებები თირკმლის უჯრედების დაზიანების დასტურია. იმავდროულად, თირკმელში ცხიმის დაგროვებაც დაიწყო და მისი რაოდენობა საშუალოდ 2,5-ჯერ გაიზარდა. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, იმაზე მიანიშნებდა, რომ „საცდელ კურდღლებს“ „თირკმლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება“ განუვითარდათ. საერთოდ, თუ ამ დაავადების დროს პროცესი შორს არაა წასული, განკურნება შესაძლებელია, მაგრამ ძალიან რთულია და დიდი დროც სჭირდება. ექსპერიმენტის მონაწილეებს, მაგალითად, ამისთვის 6 თვეც ძლივს ეყოთ. თუმცა მათ რომ, ბევრი მათი თანატოლის მსგავსად, სწრაფი კვების დაწესებულებებში სიარული კიდევ გაეგრძელებინათ, მაშინ ავადმყოფობა იმდენად სწრაფად განუვითარდებოდათ, რომ 40-45 წლის ასაკისთვის (ან შეიძლება, უფრო ადრეც) ამ ერთ დროს თითქმის სრულიად ჯანმრთელ ადამიანებს დაავადების მთელი თაიგულიც — დიაბეტი, ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება — „დაამშვენებდა“...

ჟურნალი ჟურნალში

ფეხბურთელები

27.03. – 2.04.2008

საკვირველაპრილო ხუმრობა



... თავიდან მაგარი დრო ვატარეთ, მაგრამ წამოსვლისას ილინს და ლელუჩიას ხიპიში მოუვიდათ და ილინმა დანა არ დაუძრო?



ფოტოს რამდენიმე წლის განმავლობაში დაბეჭდილი და საუთარ მეგობრებისგან ყური მოვდევ. შემდეგ ფოტოარტისტის ვასუსგან დახმარე და მიხვდები, იოლია თუ არა შენი ცდუნება.

1. თუ გიფიქრია, როგორ მიხეა ჯალს ეფლება ანე მოპერეოდა? – ნებარი ადამიანის მთამეკვლელებს ბოლოს, მაგრამ ალეკანური ეკმპერიმენტის ფეხმინერიზას მოეფლებულად ანდა. თუ არმეკვანის ბალეობა ეროგნობასა და ბონეზა ბორის ბინეკა, ეიეკეთეს ბონება ანბარეკა. ფაკეერებელია, ოდესმე თავი ფიაგრო ფანეგნის ეფლებას ეფლებაზ ეფლება ბისკ.

2. თუ გიფიქრია, რომ ეიერეკ ეიმბე ფაინბაგა. ბიმიდან ეკალი ალეფლებულად ენდა ბაკერი. სიეარეფა, რომ ფრიმბერა. ნინდაგბეკეული ადამიანი ხარ, თუ ეიმბეს მენი ფეკენა ხერს, ალეფლებულად მოიმიგნეთ ენდა ადეგერეკა. არ ბაინკერესებს ბაბმოკლე ეიმბარეკი და ნაბეკლი. ნრეფილ ეკრიბობა ალეფა.

3. „ანეთ ჯალ ერნაფილ ეალოკეკენ", – ეს ბიფიქრია? ალბათ ეიეკეფილ ალი. რა ბინეკა. ნაკმალი ეიეკი ალინეფილი ადამიანი ხარ, ეს ეი ხანდაბან ნაკარეკ ბლია. რიდგან ფოკა ნაინეფილეს ჩაიდენ. ანკარიმიანობა ბენს ცხოვრებას ერთგეკრიბანს ხდება. ბენი ფდენება თითქმის ბეკეფილ ალია. ბაკრამ ალბათ ეაიეკეკა ფრო. რიოა თავად ბაკანდენება ხერეფილი. ეიანმენ ბაკენენ.

4. „ბაკარი ფოკა. ამ ჯალ ბალეკეფზე ალბალ ამ ჯალეს ენარე ენდება. ეიანი ბიმიდან ეკალეკ ალეკა". – ეს ბიფიქრეკ ხალარაკეა. რომ ცხოვრებას, ბიოკრენ თამაშს, ანკ ეკერენ ეა ეკრანთან ფდენებას ენრ ენდეკ, თუ ეიანმენ ბენს თამაშმი მონაწილეობა არ ხერს, მაგრამ არ მოიანენენა ეიეკ ალ ალეკეფილ. ეკრიბეკ ბაბ ალ ბიფიქრია. ბაკრამ სამაგიეროდ, მხიარულად ცხოვრობ ეა ფროს ენმად არ ენრგავ.

ფეხბურთელები

ერთგულებით ვერ დაიკვეხნი, მაგრამ სამაგიეროდ, მხიარულად ცხოვრობ და დროს უქმად არ ჯარგავ

17 აპრილი - გაუთხოვართა საერთაშორისო დღე

ფოტოჯალენდარი

მე თუ მკითხავთ, ძალიან მაგარი დღესასწაულია. განსაკუთრებით ჯი ისლანდიური წეს-ჩვეულება მომეწონა.

„ჩემნაირი“ ქვაბი ანუ პატრულთან ხუმრობა სახიფათოა

საპირველაპრილო ხუმრობა

მარი ჯაფარიძე

დღევანდელი „გზავნილების“ „სხდომას“ 3 საკითხის განხილვით დავიწყებ: 1. „ვ თ ხ ო ვ დ ე ბ ი ! თინეიჯერი შინაბერა“. აი, ასეთი მესიჯი მომწერა ყველასთვის საყვარელმა მგზავნელმა. თუ ეს სიმართლეა, ვულოცავ, თქვენი და ჩემი სახელით, ხოლო თუ საპირველაპრილო ტყუილია, მაშინ ერთ ძველ ამბავს შევახსენებ: კახეთში, ერთ-ერთ ოჯახში გოგოს ხელის სათხოვნელად მიდიოდნენ. დედა ხაჭაპურის ცომს ზელდა და სტუმრების დასახვედრად ემზადებოდა. გოგო კი ფანჯარასთან იდგა და სტუმრებს მოუთმენლად ელოდა. უეცრად წამოიყვირა: მოდიან, დედი, მოდიანო! ქალმა ცომიანი ხელის დაბანა დაიწყო. — გამტყუანებ, დედი, გამტყუანებო (გატყუებო, კუთხურად თქვა). დედა ისევ საქმეს მიუბრუნდა. გოგონამ ისევ დაიძახა, — მოდიანო და ასე განმეორდა რამდენჯერმე. დედას მოსწყინდა შვილის ანცობა და უთხრა: მე რას მამტყუანებ, ქალო, შენ თავ ამტყუანებო! მააშ!

2. რასაც ახლა გეტყვით, საპირველაპრილო ხუმრობა არ გეგონოთ, სულაც არ მეხუმრება, რადგან ძალიან არ მინდა იმის თქმა და ქმნა, რაც ახლა უნდა ვთქვა და გავაკეთო, მაგრამ ერთ-ერთმა მგზავნელმა (თუ უბრალოდ, მკითხველმა) მაიძულა. ალბათ გახსოვთ, მკითხველს რამდენჯერმე ვუთხარი, — უწმაწური მესიჯების ავტორებისა თუ უზრდელი მკითხველების ტელეფონის ნომრებს გამოვაქვეყნებ, რომ საკადრისი პასუხი მიიღონ-მეთქი. ასეთ გადამჭრელ ზომებს რამდენჯერმე მივმართე და თქვენმა მხარდაჭერამ შედეგიც გამოიღო. ეს მეთოდი კიდევ ერთხელ უნდა გამოვიყენო. 8.58.26.27.00 — ეს იმ ადამიანის ტელეფონის ნომერია, ვინც უკვე 2 კვირაა, მე და ლიკა ქაჯაიას სისხლი გაგვიშრო. ხმის მიხედვით, ქალს ჰგავს, საქციელით — არანორმალურს, ხოლო მისი ლექსიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ბილწსიტყვა მამაკაცს. თუმცა, რა უნდა მოსთხოვო ადამიანს, რომელსაც, როგორც თვითონ აღიარა, სიმთვრალის გამო დისშვილი შემოაკვდა (ტყუილია თუ მართალი, ეს მან და ღმერთმა იციან მხოლოდ)?!. დღისა თუ ღამის განმავლობაში უამრავჯერ რეკავს, იგინება და ბილწსიტყვაობს. ამას წინათ მთელი ღამის განმავლობაში არ უძინია და დილის 4 საათამდე 43-ჯერ(!) დაურეკავს ჩემს მობილურზე. ზუსტად ასევე ექცევა ლიკას. აი, მისი ერთ-ერთი ბოლო მესიჯიც: „მარი, მაპატიე, იმ დღეს რომ გაგინე. არადა, შენი გულისთვის 200 დოლარი წავაგე. სულ გამორთული გაქვს ეგ მობილური და მაშინ რა გეტაკა? მოკლედ, ბოდიში, მაპატიე, რაა! საზიზღარი ვარ, თან — კახელი ვირი. წუხელ პირადად მინდოდა მეთქვა, მაგრამ რომ მთხოვე, მუშაობა მაცალეო, შემრცხვა. ისე კი, მართლა ძალიან კარგი გოგო ხარ, სხვა შენს ადგილას, „კ ჩორტავოი მატერისთან“ გამგზავნიდა. არადა, ფულს ნოუტ-ბუკისთვის ვაგროვებდი. ეეჰ“. ამაზე მეტს მე ვერაფერს ვეტყვი. საკუთარი თავი მშვენივრად სცნობია.

3. მგზავნელები ხშირად წუწუნებთ ხოლმე იმის გამო, რომ ნიკს გართმევენ. ჰოდა, ახლა მე გავხდი „პირატის“ მსხვერპლი. იმის შემდეგ, რაც გითხარით, რომ ჩემი ცხონებული მამიკო მარიამულის მეძახდა და ეს სახელი ყველაზე მეტად მიყვარს-მეთქი, მკითხველების უმეტესობა ამ სახელით მომმართავს. ჰოდა, აი, ვიღაც, „ექსკლუზივის“ წართმევას მიპირებს: „მაესტრო-21-ის მესიჯზე ლამის ვიტირე, რადგან მეც მინდა თქვენთან. მარ, დამიბეჭდე, იქნებ მიმიღონ. მიყვარხართ ყველა. ლიმონა-მანიუ, ძაან საკალელი ხალ. ალბათ მოვა დრო და მარი მესიჯს დამიბეჭდავს, მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვიქნები და ისე გეყვარებით, როგორც მე მიყვარხართ. ეჰ, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. მარიამული“. ასე რომ, თქვენ საწუწუნო რა გაქვთ? ვერ ხედავთ, რა დღეში ვარ? ახლა კი მეც მეყოფა ამდენი წუწუნი. მთავარ თემაზე გადავიდეთ და თქვენს მესიჯებს მივხედოთ.

რევანში

„ერთხელ ჩემმა ბიძაშვილმა ბიჭმა დამირეკა შეყვარებულის სახელით და რაღაცები დამტყუა. ლამის გავაფრინე. ისე გავმწარდი, გადავწყვიტე, ადრე თუ გვიან, სამაგიერო გადამეხადა. ვიფიქრე, ვიფიქრე და მოვიგონე, როგორ მოვიქცეოდი. თანაც, აპრილი ახლოვდებოდა და საპირველაპრილო ხუმრობაც გამოვიდოდა. გეგმის განხორციელებას შევუდექი: გული წამივიდა, რაღაცები შემზიზღდა, მერე თავბრუ დამეხვა და ა.შ. ბოლოს კი შემატყო, რომ მუცელი ცოტა გამობერილი მქონდა. რა თქმა უნდა, მკითხა, რა ხდებოდა. მერე „გამოვუტყდი“, რომ ორსულად ვიყავი. თქვენ გენახათ მისი სახე. ბიჭი ერთ წამში გაჭაღარავდა და კარგა ხანს გონს ვერ მოდიოდა. მერე წამოხტა, — შენს ძვირფას შეყვარებულთან მივდივარო, — მაგრამ ვინ გაუშვებდა?! გამოვეწყვე ლამაზად, ცოლად მივყვები-მეთქი და ოთახში ჩავკეტე. ლამის კარი ჩამოანგრია, მეც მოვდივარო. მე კი უფრო გავაგიჟე: რა გინდა, ხელს შეგვიშლი-მეთქი. ფინალისთვის მოვემზადე და კარი გავუღე. თავიდან აღარ მელაპარაკებოდა, მაგრამ მალე მომაკითხა — ისე მიყვარხარ, მართლა რომ გაჰყოლოდი, გავგიჟდებოდიო. P.S. ეს გასულ წელს მოხდა, მაგრამ ისეთი გამოგონებები მაქვს, იქნებ, ახლაც გავუჩალიჩო რამე. ვნახოთ! ენჯი“.

დაჯერებულები

„ძალიან იშვიათად ვიტყუები. ამიტომ, ხშირად ჩემს ნათქვამ ტყუილსაც იჯერებენ. ორი წლის წინ, პირველ აპრილს სამი კაცი დავაჯერე, — „უიგული-06“ ვნახე, ავტომატიკა, სიჩქარეების კოლოფი „ოპელის“ ჰქონდა-მეთქი. ცოტა ეჭვი კი შეეპარათ, მაგრამ დამიჯერეს. ასეთი სისულელე მათთვის სხვას რომ ეთქვა, არ დაუჯერებდნენ.

ერთი კურსელი მყავს, ტრაბახა და მატყუარა. მისთვის ყოველდღე პირველი აპრილია. თურქებთან მუშაობს მშენებლობაზე. ჩვენთან ტრაბახობს, თურქებთან ხშირად ვჩხუბობ და „პალაჟენია“ მიჭირავსო. ერთმა გურულმა კურსელმა უთხრა: მაგდენს ვინ მოგითმენს, ალბათ, თურქებს დედას აგინებ და ისინი კი ვერ ხვდებიანო“.

ვინ ვისი მოახლეა?

კომპლექსიანი

„ფეხმძიმობის პერიოდში ერთი კვირა საავადმყოფოში გავატარე. გადასხმა უნდა გამეკეთებინა. პალატაში სამი გოგო ვიწექით. ავადმყოფებს კი არა, გიჟებს უფრო ვგავდით. ერთ დღეს სამივეს ერთდროულად დაგვიდგეს წვეთოვანი. ჩვენ კი ერთმანეთს შევეჯიბრეთ, ვისი უფრო მალე დაიცლებოდა და წვეთები ავაჩქარეთ. მე როგორღაც, გავუძელი, ის ორი გოგო ძლივს მოასულიერეს. იქიდან კინაღამ საგიჟეთში გვიკრეს თავი. დილით ერთი პაციენტი კიდევ შემოგვისახლეს. მსუქანი და ბუნჩულა ორსული იყო, მაგრამ კომპლექსებით დატვირთული. რადგან პირველი აპრილი იყო, ჩვენც ეს მსუქანი გოგო „გავიმეტეთ“ და ვუთხარით, — ჯუმბერი ექიმი გიბარებს, უნდა გაგსინჯოს-თქო. — ვაიმე, მე კაცის „გასინჯული“ არ მინდაო. — რას ჰქვია, ქალი, კაცი, ექიმი — ექიმია-მეთქი, — და ძალით შევგზავნეთ. რის ვაი-ვაგლახით ავიდა გინეკოლოგიურ სავარძელზე და სირცხვილით იწვის. შეხედა თურმე, ჯუმბერ ექიმმა და უთხრა: ქალბატონო, თქვენი ექიმი ჯერ არ მოსულა და როცა მოვა, ის გაგსინჯავთო. რომ შემოვიდა, ისეთი დაბნეული იყო... აბლახანუმი“.

ასაკი ჩვენი მცოდნია, მაგრამ ვინ თქვა, რომ მცოდნის გვეშინია?

„არ მინდა!“

„დიდი ხანი არ არის, რაც „გზაში“ ვიჭყიტები, მაგრამ უკვე ის ვიცი, რომ არ მინდა, მოვხვდე „გზაში“. ერთს გაგიმხელთ: არ მომწონხართ და არ მინდა თქვენთან. საგიჟეთი აქაც

თუა, მე აქამდე არ ვიცოდი. მარი, მარი, — გაიძახით, მე კი მარი სულ არ მომწონს. ყველა მე რად მთხოვთ შემოსვლას? ვერ გაიგეთ, შორს, რა, ჩემგან. დღეს 1-ელი აპრილია! მოგატყუეთ თუ ისე რა? კარგი, ხალხო, არ მიწყინოთ. გკოცნით ყველას. მარ, იმედია, არ გამინაწყენდით. მგზავნელებო, მინდა, ყველა მოგიკითხოთ. ყველანი კარგები ხართ. ჟურნალითაც კი ახერხებთ მეგობრობას. ამიტომაც ხართ ძლიერები. ბაბნია“.

შეყვარებული

„ჩემმა პატარა დამ ჩვენს საერთო ძმაკაცს, რომელთან ერთადაც ვართ გაზრდილები (ახლა სამწუხაროდ, ციხეშია და მაგრად გვენატრება), 1-ელ აპრილს უთხრა, მიყვარხარო. იმან, — უჰ, ახალი ამბავი, მეც მიყვარხარო. — არა, როგორც მეგობარი კი არა, როგორც ბიჭი, ისე მიყვარხარო. ჰოდა, გადაირია საწყალი, მთელი ღამე ნერვიულობაში გაუტარებია, — რა ვქნათ? მთელი 5 დღე სჯეროდა, რომ მართლა ასე იყო. თურმე, ჩვენს საერთო ახლობლებს ეკითხებოდა, — რა ვუთხრა, თავი როგორ გადავაყვარო ისე, რომ არ ვაწყენინოო? არადა, იმათ სიმართლე იცოდნენ. ბოლოს, ერთმა უთხრა, — 1-ელი აპრილი იყო და გეხუმრაო. ჰოდა, ძლივს გადავურჩით მე და ჩემი და ცემას. პაცანა“.

საწყალი

„რამდენიმე წლის წინ გოგონა მოიტაცეს ქუჩაში. ჩატენეს მანქანაში, ისტერიკულად აკივლებული გოგო. მოსწყდა ავტომანქანა ადგილს, გაიარა ასი მეტრი, უცებ გაჩერდა და გადმოსვეს აკივლებული ქალიშვილი, რომელსაც მოულოდნელობისაგან ხმა ჩაუწყდა. მანქანის კარი მიხურეს ბიჭებმა და გადმოსძახეს, — დღეს პირველი აპრილიაო! ხუმრობაც ამას ჰქვია. ფინტიკოზა“.

კიდევ ერთი საწყალი

„საპირველაპრილო ხუმრობა? მგონი, ეს უფრო სადიზმია, მაგრამ მაინც გეტყვით. კახეთში 37 წლის ქალი მოიტაცეს პირველ აპრილს. ქალს ეგონა, მეშველაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, როცა უკან დააბრუნეს და უთხრეს, ეს საპირველაპრილო ხუმრობა იყოო. მერე მაგრად მოხვდათ ხუმრობის ავტორებს, ქალი კი კვლავაც გასათხოვარია. მის რეალი“.

ბედნიერი ტყუილი

„აბა, მეც დავბრუნდი ერთკვირიანი შესვენების შემდეგ. მოგესალმებით, მგზავნელებო და მარი. რაც შეეხება თემას, პირველ აპრილს ერთმა გოგომ, ანამ დაურეკა შეყვარებულს, — ფეხი მომტყდა, საავადმყოფოში ვარ და მნახეო. შეყვარებულმაც დაუმუღამა, საპირველაპრილო ხუმრობა რომ იყო და უთხრა, — მაპატიე, ვერ განახავ, ცოლი მოვიყვანეო და გაუთიშა. გოგო გაგიჟდა, მართლა მოსაბრუნებელი გახდა. ურეკავს — გამორთულია. მეორე დღეს კი, ბიჭმა თვითონ დაურეკა, გეხუმრეო. ახლა მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ და შვილიც 1-ელ აპრილს ეყოლათ. მააშ! :) მის რეალი“.

ვითომ გათხოვილები

„მარიკუნა-მარი, როგორ ხარ, მონატრებულო? რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა მოგეჩვენოს, ეს ჩემი ახალი ნომერია. მართალია, ნომერი არასოდეს შემიცვლია (რა უნამუსოდ ვიტყუები), მაგრამ გაზაფხულია და სასწაულები ხდება. :) გაინტერესებს ალბათ, სად დავიკარგე... სწავლა დამეწყო და ნამეტანი გადამეტვირთა გრაფიკი. თან, დედიკოც აქ იყო და რომ არაფერს მაკეთებინებდა, ისე გავზარმაცდი,

პატრულს ნუ ეხუმრები

„შარშან, 1-ელ აპრილს, სალამოს ცოტა გრადუსში მყოფი, ჩვენი საუკუნის გიჟურ რიტმს არეულად ვუწყობდი ფეხს, ხელი გახეულ ჯიბეში მქონდა ჩაყოფილი და სამყაროს მარადიულ კითხვებზე ვფიქრობდი. მატერიის, დროისა და სივრცის „შიდა პოლიტიკაში“ აბეზარი ფილოსოფოსივით ვყოფდი ცხვირს, როცა 2-მა პატრულმა ორბიტალური სიმაღლიდან ცოდვილ მიწაზე უბოდიშოდ დამაბრუნა, გახეული ჯიბიდან ხელი ამომაღებინა და, — ჯიბეში რა გაქვსო? — მკითხა. — ცივი იარაღი მიდევს-მეთქი, — გავეკაიფე, 1-ელი აპრილის „ხათრით“. იუმორზე აცრილმა პატრულებმა კი, ხელები გადამიგრიხეს და ერთმა თავისი თბილი ხელი ბოლომდე ჩამიყო გახეულ ჯიბეში და ხელში ჩემი „ცხელი იარაღი“ შერჩა. ჰოდა, ისე გამძუყნეს, ლამის სულის მაცხონებელთა რიგში ჩამაყენეს. არა, მაინც რას გვიშვრება ეს პატრული! იმ პატრულის ხათრით მაინც დამიბეჭდე ეს მესიჯი, რომ თბილად გავახსენდე, O.K.? განძის მაძიებელი, თელავიდან“.

სამძიმარი

„საპირველაპრილოზე უფრო, სასიკვდილო ხუმრობა გამომივიდა. მოკლედ, საკალელ ბებიკოსთან ვიყავი და ვიფიქრე, გავეხუმრები-მეთქი და მწუხარებით „ვახარე“, — მესიჯობაც მეზარებოდა (ასე რომ, ძვირფასო მკითხველებო, მარის ნუ დაადანაშაულებთ ჩემი მესიჯების დაუბეჭდაობაში). საპირველაპრილო ხუმრობას რაც შეეხება, ისეთი მეგობრები მყავს, რომ ჩვენი „სასტავისთვის“ მარადიულად, პირველი აპრილია. ერთხელ მთელი კურსი მოვატყუე, — ჩემი დაქალი გათხოვდა-მეთქი. მარიც წინასწარ გავაფრთხილე და წავიდა მილოცვები და ამბაავიიი... ტყუილი იმდენად რეალური იყო, რომ ერთ-ერთ კურსელს, რომელიც მარის კარის მეზობელია, იოტი-სოდენადაც არ შეჰპარვია ეჭვი. მეორე დღეს კი, როცა მარიმ ლექციაზე დაგვიანებით შემოალაჯა, ისეთი წიოკი ატყდა, შეშინებული ლექტორი გამწარებული ცდილობდა, მარტივ მამრავლებად დაშლას და ფანჯრის ჟალუზებიდან გაძრომას. :) მეორედ იგივე მარი მოვატყუე, გავთხოვდი-მეთქი. რუსეთიდან 2 დღის ჩამოსული ვიყავი და თან — გიოსთან გაბუტული. ამრიგად, გიოზე გათხოვება იმ დროს, აშკარად არარეალური იყო, მაგრამ კანიბალკამ ისე მოხერხებულად მოატყუა დაქალი, რომ 2 დღე ვიღებდი მილოცვებს. მერე კი სწავლა დამეწყო და გულუბრყვილო სახით გამოვცხადდი, ეს „გამოთხოვილი“ ქალი, უნივერსიტეტში. კანიბალკა“.

ხიპიში მგზავნელებში

„პარასკევს შევიკრიბეთ: მე, მამაცი თოჯინა, იკჩო-სიხჩო, ილინი, ლიმონა, მაესტრო, პავლიკა, ლორელაი, პარიჟანკა, ლელუჩია, მგლის და, უზნეო ანგელოზი და მამრობითი სქესის მგელო. ვესტუმრეთ ზოოპარკს... თავიდან მაგარი დრო ვატარეთ, მაგრამ წამოსვლისას ილინს და ლელუჩიას ხიპიში მოუვიდათ და ამ ილინმა დანა არ დაუძრო? აუ, გადავირიეთ, ყველანაირად ვცდილობდით და ვერ დავამშვიდეთ...ლელუჩიას გული წაუვიდა და შენს საკალელ დაქალს გული გაუსკდა და მომკვდარა-მეთქი. უი, ატეხა ერთი ამბავი. მე კი სასეირნოდ წავედი. თურმე, გამოეწყო შავებში, ეზოში დათხარა ყვავილები და წივილ-კივილით წავიდა სამძიმარზე. როგორც იქნა, მიაღწია და რას ხედავს? მის საკალელ დაქალს სტუმრები ჰყოლია და ტაშ-ფანდური ჰქონდათ გამართული. ჰოდა, მიხვდა, რომ მოვატყუე და სულ ანბანის მიხედვით „მლოცა“. გორი-გორი“.

რონალდოს დატირება

„ბავშვობაში (ნუ, არც ისე ადრეულ ასაკში) ფეხბურთის დიდი ფანატი ვიყავი (ახლაც კი ვარ, რავა). ჰოდა, განსაკუთრებით „რეალს“ „ვბალელშჩიკობდი“. როგორც ყველას, მეც მყავდა ჩემი „კუმირი“. ეს იყო რონალდო. ეს ამბავი არავისთვის იყო უცხო. თუკი სადმე რონალდოს ნახავდნენ (რა თქმა უნდა, ტელევიზორში, აპა, ვინ მიგვასუნინებდა მასთან?), ეგრევე მირეკავდნენ, — ტელევიზორი ჩართეო. ერთხელაც გაფუჭდა ეს დასაწვავი, „კაკრაზ“ პირველ აპრილს. ჰოდა, ამ უტელევიზორობაში და უსაქმურობაში დარეკა ტელეფონმა. ვეცი ტელეფონს. მეგობარი მეუბნები, — აუ, თეო, ახლა „რეალის“ თამაშია, მაგრამ შეწყვიტეს ტრანსლაცია, რადგან რონალდომ თამაშისას ფეხები მოიმტვრია, ახლა აცხადებენ, რომ ოპერაციას უკეთებენ, მაგრამ ინვალიდი დარჩებაო. ვაიმე, იცით, რა მომივიდა? ისე ვკიოდი, თითქოს მიცვალებულს დავტიროდი. გავშალე რონალდოს პლაკატები და მოვთქვამდი. ამ დროს დედა შეშინებული შემოვიდა ოთახში, — რა მოხდაო? — დე, რონალდოს ფეხები მოსტყდა-მეთქი! ქალი საწოლზე მიესვენა. — შვილო, არა უშავს, მეც თუ ასე მიტირებ, რომ მოვკვდები, მშვიდად მაინც წავალ ამ ქვეყნიდანო. თურმე ეს საპირველაპრილო ხუმრობა იყო, მე კი იმდენი ვიტირეე... P.S. ახლა კი მეცინება, მაგრამ მაშინ — ტიტუუ! თეო“.

ამ დროს დაცვამ დაიჭირა ილინი... გაურკვევლობაში ვიყავით. მერე ლელუჩია გონს მოვიყვანეთ და ილინმა ჩვენი თხოვნით, ბოდიში მოუხადა... ამოვისუნთქეთ, რა! მარ, წავა ეს ხუმრობა საპირველაპრილოდ? ყველანი საყვარლები იყვნენ და ბოლომდე მაგარი დრო ვატარეთ. უჰ, მენატრებიან უკვე. უმეტესობას პარასკევს სცალია და მარ, კარი ღია დაგვიტოვე, გესტუმრებით. ჩორი-ჩორი".

დაბადებიდან ხუმარა

„მოგესალმებით ყველას, ვისაც ჩემსავით გიყვართ, პატარძალივით თეთრი და ლამაზი აპრილი. პირველ აპრილს ვარ დაბადებული და ეს ჩემი ყველაზე დიდი ხუმრობაა, რადგან მამაჩემი 4-წლიანი, „მონდომებული" შრომის შედეგად ბიჭს ელოდა. ბებია-ქალმა გოგო რომ მიულოცა, საპირველაპრილო ხუმრობა ეგონა თურმე და ყვირილი დაუწყია, — მომილოცეთ, ჩემი ბიჭი დაიბადაო!.. ისე, ჩემი დაბადების დღე ახლაც კურიოზია. რომ მკითხავენ და ვეტყვი, პირველ აპრილს მომილოცეთ-მეთქი, მსაყვედურობენ, — ნუ იტყუები, სიმართლე გვითხარიო...არადა, მართლა აპრილის „ტყუპისცალი" ვარ და ძალიანაც მიხარია. ვერ წარმომიდგენია, თუნდაც, 2 აპრილს დავბადებულიყავი. თინეიჯერი შინაბერა".

მამა

„ჩემს ახლანდელ ცოლს, როდესაც საცოლის სტატუსი ჰქონდა, მაშინ გავეხუმრე, — ძალიან მიყვარხარ და ამიტომ სინდისი სუფთა არ მექნება, თუ ამას დაგიმალავ, იმედია, გამიგებ და არ მიმატოვებ; ერთ-ერთ ქალაქში ვიზიტისას შეცდომა დავუშვი და ახლა პატარა ბავშვი მყავს, რომელსაც თვეში ერთხელ ვნახულობ, მაგრამ არაფერს ვაკლებ-მეთქი. არც კი გაჰკვირვებია. თან, ისე სჯეროდა ჩემი, რომ ესეც დაიჯერა და მეჩხუბა, — თვეში ერთხელ რომ ნახულობ, რა მამა ხარო?! მერე ყველაფერი გავარკვიეთ და დღეს მართლა მყავს ბავშვი, ჩემს საყვარელ ბუსუსუნასთან და მგონი, არც ჩემს მამობასთან აქვს პრეტენზია. აბა, მაგრად! სანთელი".

„ქალი მეზობელთან მივიდა ქვაბის სათხოვნელად. ეს ქალი დაბალი, მსუქანი და მაგარი „ხოხმაა". ჰოდა, რა უთხრა, იცი? ჩემნაირი (დაბალი და განიერი) ქვაბი რომ გაქვს, ის მათხოვეო (აქ უნდა გაგცინებოდა, მარ). ჩორი-ჩორი".

პოეტი

„ჩემს მეგობარს, ლელას სულ არ ახსოვდა მოახლოებული 1-ელი აპრილი. სამაგიეროდ, ახლა კარგად ახსოვს, ჩემი დამსახურებით, რა სირცხვილი ჭამა. :) ლელუკამ დამირეკა და ერთ-ერთი პოეტის ლექსი უნდა მეკარნახა ტელეფონით. ყველაფერი ხუთიანზე ჩავაწერინე. უეცრად მომინდა გავხუმრებოდი. ლექსი რომ დამთავრდა, ჩემი სიტყვებით, ექსკლუზიურად შევქმენი გაგრძელება და მივაყოლე. :) მეორე დღეს კლასში ყველამ მოუსმინა ჩემს ნაეშმაკარს. დასვენებაზე კი მე ვუსმენდი ლელას სლუკუნს. სოოფვ".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ჩემნაირი" ქვაბი

„ჩემი — არა და, ჩემი კლასელის ხუმრობა გამახსენდა, თან — არა საპირველაპრილო, არამედ საპირველმარტო. კლასში შემოსულ მასწავლებელს უთხრა კლასელმა ბიჭმა: — მასწ, უკან კაბა გაქვთ გამოხეულიო. მასწავლებელმაც დაიჯერა და თავი 180 გრადუსით შემოაბრუნა. ამ დროს ამ ბიჭმა მიაძახა: მასწ, დღეს პირველი მარტია, ვინც მოტყუვდეს, ბატიაო. ჰოდა, ჯერ ქოჩორი გააწიწკნეს ხუმარას და მერე კინწისკვრით გააგდეს კლასიდან. :) ფინტიკოზა".

„2 წლის წინ დაქალმა დამირეკა და მითხრა: შენი სატრფო დავინახე, გუშინ ვიღაც გოგოს კოცნიდაო. ლამის გავგიჟდი, ძალიან განვიცადე. ბოლოს მიხვდა, რომ გავბრაზდი და სიცილით მითხრა — დღეს პირველი აპრილიაო. ხომ იყო მოსაკლავი, მაგრამ ხუმრობა — ხუმრობაა და ვაპატიე. კუსია".

„მარი, მართლა ძალიან საყვარელი ხარ. არ ვიცი, დაბეჭდავ თუ არა ჩემს მესიჯს, მაგრამ მე შევეცდები, თქვენს სამყაროში შემოვიდე და ადგილი დავიმკვიდრო, რადგან ყველანი ძალიან მიყვარხართ. პატარა პროკურორი".

„უბანში ხმა დაირხა, ტყეში მგლების გამოჩენის შესახებ. უბნის კაცებმა (მამაჩემმაც) ივაჟკაცეს და ღამის ცხრა საათზე მგლებზე სანადიროდ წავიდნენ. ამოფარებიან ბუჩქებს და დალოდებიან, როდის მივიდოდა „ნადავლი". ჰოდა, იმ ადგილზე გოჭი არ მიცუნცულებულა? ამათ მგელი ჰგონებიათ და იქვე გამოასალმეს სიცოცხლეს მეზობლის გოჭი. ლუნა".

„დაქალს „ლოვემ" ბაღში შეხვედრა დაუნიშნა. 1-2 საათი ალოდინა. მერე დაურეკა და — დღეს პირველი აპრილიაო, უთხრა. ეშაკუნა".

„ვაიმე, მინიინფარქტი მივიღე, როცა ჩემი სურათი ვნახე „გზაში". დღეს მგზავნელები ვნახე. უჰ, რა კარგები ყოფილაან. ლელუჩიას თმის სიგრძემ დამშოკა, ლორელაის ფახულა თვალებმა, თოჯინას

მოხერხებული მევენახე

„კახეთში ყურძნის ჩაბარებაზე მაგარი „ოჩერედია" ხოლმე. ჰოდა, მივიდა ერთი კაცი და ყველას სთხოვა: „ოჩერედი" დამითმეთ, გეხვეწებით, ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავს, იცის, ამალამ რომ არ მივალ და მინდა, ფაქტზე წავასწროო. ყველამ დაუთმო რიგი. ჩააბარა ამ კაცმა ყურძენი და ცოტა შორს რომ გავიდა, იქიდან დაუძახა: — ხალხო, ამალამ მე ჩემს ცოლთან გავატარებ მთელ ღამეს, მაგრამ თქვენს ცოლებთან ვინ იქნება, ნალდად არ ვიცი. კახელი მგელკაცა".

ჩამწარებული თაფლობის თვე

„ბიძაჩემმა იპოდრომზე მართლაც, სანაქებო ცხენი იყიდა და სოფელში წაიყვანა. ხომ წარმოგიდგენიათ, ვაკე-საბურთალოზე გაზრდილი რა იქნებოდა? ბუზს არ იფრენდა. დილით ბაგაზე ფინჯანი ყავა რომ არ დაელია, ზედ სიგარეტი არ დაეყოლებინა და მაკიაჟი არ გაეკეთებინა, ისე თავლიდან არ გამოვიდოდა. გადავწყვიტეთ, მისთვის მეგობარი ცხენი გვეპოვა, რომ მოგვეშენებინა. სოფლად მხოლოდ ერთი და ისიც, კოჭლი ცხენი იყო, თანაც „პატარძალზე“ საკმაოდ დაბალი, სახელად — კოჭლა. ბევრი ცდის მიუხედავად, ვერაფრით სწვდებოდა „დედოფალს“ ის უბედური. ესეც, როგორც „სვეტსკი“, თავს იფასებდა. ბოლოს გვასწავლეს, მდინარეში ჩაიყვანეთ „დედოფალი“, წყალში ვერ გაექცევაო. კოჭლაც ძალიან მონდომებით მივარდა ნაპირიდან და აქ მოხდა უბედურება. ჩვენმა „ქალიშვილმა“ აყარა უკანა წიხლები და მისცხო სასიძოს სახეში. წაიქცა კოჭლა და გაითიშა. გვეგუდებოდა წყალში. ძლივს გამოვათრიეთ ნაპირზე და მოვაბრუნეთ. კოჭლამ მოიხედა. ვლოცულობდით, რომ პატრონამდე ცოცხალი მიგვეყვანა. მივალასლასეთ სახლამდე. იმას რომ „თაფლობის თვე“ ჰქონდა, ისეთი მიეცა თქვენს მტერს. რაჭველი“.

სილამაზემ, იკჩო, ფისოს მივამსგავსე, მგლის შვილი, პავლიკა და მაესტრო მაგადიაა! ილინის ფანი ვარ, ჩორი, 4-EVER! პარიჟანკა, მპუაა! ლიმონა“.

„დღეს გაჩერებაზე „გზას“ კითხულობდა 2 გოგო. ერთი ეუბნებოდა მეორეს: მე მგზავნელი ვარ და მარი ყველა მესიჯს მიბეჭდავსო. გაბურღა ტვინი და დავინტერესდი, რომელი იყო. ჰოდა, მეუბნება, კანიბალკა ვარო. ეე, ეს რა ხდება-მეთქი? გავგიჟდი, თვალები ხომ არ მატყუებს და ეს შავტუხა პლაგიატი მართლა ლანკა ხომ არ არის-მეთქი? აღარაფერი მითქვამს. „აშხფოთებული“ ვარ, რა! მგონი გადავირევი... ლორელაი“.

„ჩემს ძმას ერთი გოგო სკოლის დერეფანში სიყვარულს უხსნიდა, თან თვალები დახუჭული ჰქონდა. ჩემი ძამიკო გაპარულა და შორიდან უყურებდა. იმ გოგოს წინ კი დამლაგებელი ალაგებდა. თვალები რომ გაახილა, იმ გოგომ წამოიძახა: — ვაიმე, თემო, ეს შენ არა ხარო?! დამლაგებელმა კი გაოცებულმა ჰკითხა — უი, მართლაო?!. ხულიგანკა“.

„პრივეტ“, მარი, მე ბელა ვარ. ჟურნალისტის რა მოგახსენო და, მომავალი სტომატოლოგი კი ვარ. ისე, კარდიოლოგთან და გრუზინთან სიამოვნებით ჩავწერდი ინტერვიუს. დამეხმარები?“

„ერთხელ ჩემი მეგობარი მეზობლის ვაშლის ხეზე ავიდა. ამ დროს პატრონი დაადგა თავზე. ის ბიჭი არ დაიბნა და უთხრა: ნუ გეშინიათ, ბატონო, არაფერს ვაშავებ, „პროსტა“, ქარმა ვაშლი ჩამოაგდო და ვცდილობ, უკან დავამაგროო. ხულიგანკა“.

„მარი, თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, შეგირიგდები... შაბათს, 3 საათზე, ვისაც სურვილი გაქვთ, ერას მოედანზე, საათთან მობრძანდით. აბა, ბათუმელებო, არ დაგვაღალატოთ“.

ვიყიდი „ოვერლოოკს“ ისეთად! იმას მაინც გავიგებ, რა ჰქვია.

ყველაფერზე თემის გარდა

ტანჯული ელისო

„გავგიჟდებიიი! ჩემმა დაქალმა, ხათომ ალბათ არ იცის, რომ ორსული ქალის გაწბილებისთვის ვირთხები შეჭამენ (მარ, ეს ფრაზა შენი მისამართით იყო ნათქვამი „გზავნილებში“ და მას მერე პირზე მაკერია, ისე მომეწონა). ჰოდა, მე უკვე წუთი წუთზე ველოდები ბავშვის დაბადებას და რადგან მშობიარობა ბორჯომში გადავწყვიტე, ახლა აწყურში ვარ, ბიძასთან. ჰოდა, ხათოს ვთხოვე, ახალი „გზა“ გამოეგზავნა, ახალციხიდან და მთელი დღე ველოდი, როდის გადავშლიდი სანატრელ ჟურნალს. დამირეკა და მითხრა, 7 საათზე მანდ იქნება, თბილისის „მარშრუტკას“ გამოვატანეო. გავედით ტრასაზე, ველოდებით და როგორც იქნა, გამოჩნდა „მარშრუტკა“, მაგრამ — ბორჯომის. გააჩერა და უცნობმა კაცმა „გზა“ გადმომცა. ეგრევე გავშალე და... ნეტავ, სად იშოვეს 2 კვირის წინანდელი ნომერი? ავკივლდი, ეს რა არის-მეთქი?! მთელი „მარშრუტკა“ გაოცებული მიმზერდა. მერე კარი მიიხურეს და გავარდნენ. რავი, რა იფიქრეს. მე კი ხათოს დავურეკე და ვუთხარი, ვირთხები შეგჭამენ-მეთქი. რა ვქნა ახლა მე, ცოდო ალა ვალ, სულ გვიან ვყიდულობ „გზას“ და თემას ვერ ვიგებ დროულად. ლეოს მესიჯი მაგარი იყო. არა, ლეო, ყველა პატრული არაა ასეთი უმადური. ელისო“.

მახინჯი

„წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, რომ არ დავბადებულიყავი? მართალია, დიდი არაფერი. :) დიდხანს ფიქრობდნენ თურმე, მუცელშივე ჩემს „მოკვლაზე“, რადგან ქალბატონმა ექიმმა ურჩია დედას, არ გავეჩინე, რადგან

მახინჯი და უნარშეზღუდული ვიქნებოდი, მაგრამ ნურას უკაცრავად, შევეცოდე დედიკოს და მოვევლინე ამ ქვეყანას. კარგი იქნებოდა, ახლა ვენახე იმ ექიმს და დარწმუნებულიყო, რომ არც მახინჯი ვარ და არც გონებაჩლუნგი! „ვოოტ"! :) ისე, საპირველაპრილო ხუმრობა არ გეგონოთ, მართალია, მართალი. :) ნიკოლი".

„ბებერი" მანქანა

„ოთხი ბიჭი სატვირთო მანქანის საყიდლად, სხვა რაიონში წავიდა. ბირჟაზე ბიჭებს ჰკითხეს, — ის ოჯახი სად ცხოვრობს, მანქანას რომ ყიდისო? ბიჭებიც არ დაიბნნენ და მიასწავლეს ის ოჯახი, სადაც 30 წლის, გასათხოვარი ქალი ჰყავდათ. თან უთხრეს, — მიდით, იქ უკვე ყველაფერი იციან და კაი სუფრაც გაიშლებაო. მივიდნენ ეს ბიჭები და უთხრეს, — თქვენთან მოგვასწავლეს და აბა, სად არის, გვაჩვენეთო. „სასიმამრომ", — აბა, ჯერ სუფრასთან მობრძანდითო! დასხდნენ, ქეიფობენ... მერე იკითხეს: კაცო, სად არის, გვაჩვენეთო. — მოიცადე, შვილო, ემზადება და გამოვაო. ტიპები გაგიჟდნენ, — რა გამოვაო? მერე ჰკითხეს, რომელწლიანიაო? 1970-წლიანიო. ერთ-ერთმა ბიჭმა თქვა, — არა, ძმაო, მაგხელა რად გვინდა, უკვე დამპალი იქნება და ალბათ ძირიც გავარდნილი აქვსო... მააშ! კახელი მგელკაცა".

ყო(ა)ჩაღი ბებო

„სიყვარულის მსხვერპლი ერთი ჩემი მეგობარია. ერთხელ მან შეყვარებული კაფეში დაპატიჟა. ჰოდა, ამ გოგოს ბებოც ამ კაფეში არ გაიჩითა? თავისი შვილიშვილი ბიჭთან ერთად რომ დაინახა, კინაღამ ჭკუიდან გადავიდა. აიღო ეს მაგიდა და ძირს დაამხო. ჩემმა მეგობარმა გაქცევა დააპირა. იფიქრა, თუ არ გავიქეცი, მომკლავსო. მაგრამ ბებოს სირბილი შენაძლება-ა... გარბის ბიჭი, მისდევს ბებო და თან გაყვირის — გაჩერდი, შენ დაეტირე დედაშენსო! ამანაც იფიქრა, იფიქრა და ქე მოიფიქრა: იქნებ, მართლა ამიხდეს ამ ქალის წყევლა და მართლაც, მანქანამ არ გამიტანოსო, — და გაჩერდა. გაჩერდა თუ არა, ამ ბებომ ისე სდრუზა სახეში, ერთ მეტრზე გადააგდო. მერე, როდესაც ჩემს მეგობარს ჰკითხეს, — რა მოგივიდა, ვინ დაგალურჯა, ასეთი რა დაუშავეო? — მეგობარმა უპასუხა: რა დავუშავე

და არაფერი, შეყვარებული დავპატიჟე კაფეშიო. მერე რა იყო, შეყვარებულმა გცემაო? — არა, ბებიამისმაო. გადაირია ხალხი. — ე, ტო! ბებიამისი როგორ მოგერიაო? — აბა, რა ვიცი, ეგ ქალი კი არა, ნამდვილი კაციჭამიაა, ჩემხელა ნაბიჯებს დგამდა და მეც ხომ არ ვცემდიო. მერე ბებოს ეგ ყველაფერი

იმ გოგოს ძმისთვის უამბნია და ის ბიჭი მესამე დღეს სკოლაში წამოსდგომია თავს ჩემს მეგობარს. გარეთ გაუყვანია და ისე უცემია, იმ დღის მერე ჩემი მეგობარი ერთი თვე ვერ გამოდიოდა გარეთ. სიყვარულის მსხვერპლია ეგ ახლა, აბა, რა არის?! ერთი თვე არაფრის აზრზე არ იყო და... გიო-93".

ქუთაისის ხიბლი

„ქუთაისის სტუმრებს მიაჩნიათ, რომ აქაურობის ხიბლი — ბაგრატი, მოწამეთა და გელათია, მაგრამ ამასთან ერთად, თქვენ არ გინახავთ გადამწვარი ქუთაისის ცენტრი, რომლის აღდგენაც ალბათ, 2099 წლის გეგმაში ჩაუშვეს. თქვენ არ გიმგზავრიათ „მარშრუტკით", სადაც ფეხზე დგახარ (კი არა და, უბრალოდ, ვერტიკალურ მდგომარეობაში ხარ, რა) და საკუთარი ფეხსაცმლის გარდა, ყველა იქ მყოფის ფეხსაცმლის ძირი გაქვს აღბეჭდილი, „ბუტილკა" შარვალზე. თქვენ არ გახვეულხართ მტვრის ქარბორბალაში, არ მოყოლილხართ ისეთ უეცარ, კოკისპირულ წვიმაში და ამის გამო, წუთის მეათედში არ გაგირბენიათ სახლამდე მისასვლელი 100 მეტრი. მაგარია ქუთაისი. ქუთაისის პიარქალი: თაისი".

შეცდომა

„სიყვარულის ყველაზე დიდი მსხვერპლი მე ვარ. 17 წლის ვიყავი, როცა ცოლიანი კაცი შემიყვარდა. ის „ტაქსაობდა", მე სალონში ვმუშაობდი. როცა მაგვიანდებოდა, მისი ტაქსით ვსარგებლობდი. ასე, 2 წლის მერე აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ სიმპათიური იყო. თვალს ვეღარ ვწყვეტდი ხოლმე, მანქანის სარკეში. არ ვიცი, მან შემამჩნია პირველად თუ მისმა თანამშრომლებმა. მერე დაიწყო, რაც დაიწყო. ჯერ თვითონაც თვალს არ მაშორებდა მთელი გზა. ასე, ყურება-ყურებაში, უგონოდ შემიყვარდა. ყოველდღე, ნელ-ნელა, თავისით რაღაც ირკვეოდა. მაგალითად, დავინახე, საიდან გამოდიოდა. გვერდითა კორპუსში უცხოვრია და ასე შემდეგ. ერთხელ შეხვედრა მთხოვა. მაშინვე სიხარულით დავთანხმდი. ძლივს დავაღამე. სამუშაო დღე ჩავამთავრე თუ არა, გოგოებს გამოვემშვიდობე და გავიქეცი ჩემს პირველ პაემანზე. მან კი ჩემი გაუპატიურება სცადა, მანქანაშივე. მე მანქანიდან გადმოვხტი, გავრბოდი... მერე „ბოდიშები" მიხადა და სახლში წამომიყვანა. ეს ყველაფერი ჩემს მამიდაშვილს,



მედიცინის შესაძლებლობები ოსანდოვრობა. ძველად ჭაღარიანების შესაძლებლობებია შენიღბული.

წარწერები

„რას არ მოიგონებს ეს ხალხი! თბილისში წარწერაა მაღაზიაზე: „დიეტაზე ნამყოფი ფასები“. გურიაში წარწერაა — „ძალიან მაგარი სუპერმარკეტი“ და გვერდით მაღაზიაზე — „იმაზე მაგარი სუპერმარკეტი“. ზუგდიდში, სილამაზის სალონზე: „შემოდი, რას გევხარ“. მააარ, ვინც არ დამიბეჭდოს, სამსახური დაეკარგოს! ისე, რასაც ვამბობ, სრულდება ხოლმე, გაითვალისწინე. გიჟუნია“.

მაკას მოვუყევი. გულში ვეღარ ვიტევდი, ჭკუიდან გადავდიოდი. მან მირჩია, კიდევ შევხვედროდი და პასუხი მომეთხოვა ან მეჩივლა. მე კი ვერც ერთს ვრისკავდი და ვერც — მეორეს. ერთხელ ვიღაც გოგოსთან და ბავშვთან ერთად, ბაზრობაზე დავინახე. არ მინდოდა, დამეჯერებინა, რაც მათ დანახვაზე გავიფიქრე და გადავწყვიტე, შევხვედროდი. დაველოდე მის რიგს და მანქანაში ჩავუჯექი. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ. როგორც გაირკვა, ვინც უყვარდა, ის არ გაჰყვა, რადგან ღარიბი იყო და დედის შერჩეულ გოგოზე დაქორწინდა. ცოლიც მეგრელი ყოფილა, მასავით. ერთი კუთხიდან იყვნენ. ის ვერ შეიყვარა და მიმტკიცებდა, რომ მე ძველი სიყვარული გავახსენე. პირდაპირ არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ სულელი ხომ არ ვიყავი, ვერ მივმხვდარიყავი, რას მიედმოედებოდა. ვთხოვე, ჩემზე ასე აღარ ეფიქრა და რომ ის, რაც მას უნდოდა, არ მოხდებოდა. პასუხად, მეცა და კოცნა დამიწყო, მერე კი, უფრო მეტი მოინდომა. მაინც დავუძვერი და თავი შინ წამოვაყვანინე. მან ტაქსების გაჩერებასთან მანქანა შეანელა და გაბმული სიგნალი მისცა ანუ ჩემი თავი დაანახვა. მართალია, არაფერი გამოუვიდა, მაგრამ მე ცხოვრება დამინგრია. იმ დღიდან დაიწყო ჩემი უბედურება. ყველა მისი თანამშრომელი მეჩალიჩებოდა. მე ვიტანჯებოდი, რომ ჩემი გრძნობა ფეხქვეშ გათელეს. გული ცუდად მიხდებოდა. ცხოვრებამ აზრი დაკარგა და თავის მოკვლა მინდოდა. დროზე მივხვდი, რომ ის ამად არ ღირდა. ბევრი ვიბრძოლე საკუთარ თავთან, რომ არ გავგიჟებულიყავი. მუშაობას თავი დავანებე და სახლში დავჯექი. ჭრილობებს ვიშუშებდი. თუმცა, სიყვარულის შიში დამრჩა და კაცის სახელის გაგონება აღარ მინდა. ყველა ერთნაირი მგონია. ყველას ვიშორებდი. ვისაც მოვეწონებოდი, — საქმრო მყავს-მეთქი, ვეუბნებოდი. ახლა ძალიან ვნანობ. დედობა მინდა. თითქოს ყველაფერი კარგადაა, უკვე 30 წლის ვარ. დრო გადის, ტკივილი კი არ ყუჩდება. რა ვქნა, არ ვიცი. მას მერე ცხოვრება ხელახლა დავიწყე, მაგრამ ახალი არაფერი ხდება, ვერაფერი შევცვალე. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ვერ გამიგია. სალამბო“.

ღალატის მსხვერპლი

„სკოლის მერხიდან გვიყვარდა ერთმანეთი, მთელი 6 წელიწადი. დავამთავრე სკოლა და ბანკეტიდან გაპარვა გადავწყვიტეთ, მაგრამ საუკეთესო დაქალმა მიღალატა და სხვას დაეხმარა ჩემს მოტაცებაში. 6 წლის ნაფერები სიყვარული დამინგრია. ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ. მე ახლა 35 წლის ვარ და შვილიშვილს ველოდები, მან კი ცოლიც არ მოიყვანა. სხვას ვერავის შევიყვარებო. ვიცი, წაიკითხავს და მიცნობს. ორი შვილის დედა ვარ და გადასარევი მეუღლე მყავს, მაგრამ მისი სახე მაინც სულ თვალწინ მიდგას. ქობულეთი“.

მოხერხებული სიძე

„ჩემი მეზობლის ბიჭი ცოტა პუტკუნა იყო და საცოლემ უთხრა: თუ ქორწილამდე არ გახდები, არ გამოგყვებიო. სიდედრმა კოსტიუმი ერთი ზომით პატარა უყიდა და წელში ძალიან უჭერდა. წავიდა ეს ბიჭი და კოსტიუმი გამოცვალა — ერთი ზომით დიდი წამოიღო. პატარძალმა რომ ნახა, სიძეს შარვალი ჩაძრომაზე ჰქონდა, ძალიან გაიხარა. სიძემ კი ქორწილის შემდეგ უთხრა სიმართლე, მაგრამ უკვე გვიანი იყო და რაღას იზამდა პატარძალი?! გერასიმე“.

ძაღლების საჭმელი

„მოგეხსენებათ, ე.წ. „გაიშნიკების“ ამბავი — იდგნენ „ტეკზე“ და ყველა მძღოლს რაღაც წილს სთხოვდნენ. ერთხელ ბიძაჩემი მოდის ქეიფიდან მთვრალი და გააჩერეს, — საბუთებიო. ბიძამ საბუთებში თან, თუმნიანი ჩაუდო და ისე მიაწოდა. დაუბრუნეს საბუთები, — კარგი კაცი ხარ, წადი, მაგრამ შენ რომ იქეიფე, ჩვენ რატომ არაფერი წამოგვიღეო? — კარგი, გავითვალისწინებო, — უთხრა ბიძამ და წამოვიდა. გავიდა ერთი კვირა და ქეიფში დაგვპატიჟეს ნათესავებმა. მივედით, დავსხედით სუფრასთან, ბიძაჩემი ჭამს ხორცს და ძვლებს პარკში აქუჩებს. თან სტუმრებს ეუბნება, — კარგი ძაღლები მყავს და მათთვის მინდაო. იქიდან რომ წამოვედი, ბიძამ „ძაღლებთან“ შეანელა, პარკი გადაუგდო და მიაძახა, — ესღა დამრჩა, თქვენი დედაცო! კახელი მგელკაცა“.

სისხლის გამშრობი ფეხბურთი

მე და ჩემს მეგობარს ფეხბურთისთვის უნდა გვეყურებინა, მის პლაზმურ ტელევიზორში. ვიდრე თამაში დაიწყებოდა, პატარა სუფრა გაშალა, ორ კაცზე. „ვარდისფერჩინჩხლებიანი“, მოქაფული „ადესა“ დოქით ჩამოდგა მაგიდაზე, ერთი მოზრდილი ჭიქა სათუთად მიუდგა გვერდით და გამაფრთხილა: — ეს ჭიქა მხოლოდ მაშინ დაილევა, როცა კარში ბურთი გავაო! — შევწუხდი. ვიფიქრე, ბურთი შეიძლება სულ არ გავიდეს და რა გვეშველება-მეთქი? — ბურთი რომელ კარში გავა, ხომ სულერთია-მეთქი? — ვკითხე და საწყალი თვალებით შევხედე. მან დიდხანს იორჭოფა და გვიან თქვა: — კი, სულერთიაო! ცოტა გულზე მომეშვა და თამაშიც დაიწყო. გავიდა ნახევარი საათი. ბურთი არც ერთ კარში არ გადის. ორივე ძალიან ვნერვიულობთ. რომ არა და არ დაადგა

საშველი, ვთქვი: — იქნებ, ერთი პენალტი მაინც დაინიშნოს და მაშინ შევსვათ-მეთქი, თან ჭიქა ღვინით გავაზიზინე.

გადის ხანი და არც თერთ-მეტმეტრიანი დარტყმა ინიშნება. — მოდი, იქნებ გვეშველოს, კუთხური გაკეთდეს და მაშინ მაინც დავლიოთ-მეთქი! — ჰო, კარგო, — მეგობარი სწრაფად დამეთანხმა. დაგვაწყდა ნერვები. — ბიჭო, ბურთის გადაცემაზე მაინც დავლიოთ, მაგის ღმერთი არ იყოს-მეთქი! — ვთქვი და სავსე ჭიქას ხელი წავავლე. ამ დროს ჩაიგდო რონალდინიომ ბურთი და კაციშვილს არ აძლევს პასს. გულმოსულებმა, სულ გამოვრთეთ ტელევიზორი და „ჩავრთეთ" დიდი ჭიქა თამაშში... ბებერი ყორანი და ქერა ნიანგი".

ჩაშლილი ქორწილი

„შარშანწინ ჩემს სოფელში ქორწილი იყო. 1-კვირიანი წინასწარი სამზადისი, მაგარი სუფრები, ორივე ოჯახში და ლამის სამი სოფელი სტუმრები... ჰოდა, პატარძალს „პრიჩოს" დაყენება და „გათხიპვნა" ხომ სჭირდებოდა?! ჩაიყვანა სიძემ ბოლნისში, იქვე დატოვა საპარიკმახეროში, თეთრ კაბაში გამოწყობილი (კაბა უყიდა. რას ჰქვია, ნაქირავები ვაკადრო ჩემს ანგელოზსო?!), თვითონ კი უკან დაბრუნდა. მოასკდა ნახევარ საათში, მაყრიონიანად საპარიკმახეროს, სიგნალებით — წავედით, სიყვარულო, მღვდელი გვიცდისო! — და თუ გამოიცნობთ, რა მოხდა? პატარძალი გაპარულა, ბოლნისელ სომეხთან ერთად. ისე, სომხის მეტი ამას ვინ იზამდა?! არც კაბაში დახარჯა ფული, არც სალონში და ზედ ასხმული ოქროულობაც ხომ მოჰყვა და მოჰყვა პატარძალს. თან, იქვე, ბოლნისში მიუყვანეს პატარძალი და ბენზინიც არ დახარჯვია. :) ოჩოპინტრე".

„იმწამაი გევფარჩხე"

„სიყვარულის ახსნა აჭარულად: ანიიი, ჭოვ, რამისიმსხოზე ჩიმიშპი გულში! იცი, რამდონეზე გაფასებ? ერთმანეთისთვის ვართ შექნილები. რომ დაგინახე, იმწამაი გევფარჩხე, ვიფიქრე, რა ახლად მოგდებული ხბოს თვალები აქვს-მეთქი, ჭოვ. იმფრათ შემომაფეთე თვალები, რომ სული გემენასკვა ყიაში. შიმიბრალე, თუ არა, ალაჰი არ შიგინდობს. იმფრათ მიყვარხარ, რომ შენს სახელზე ყურბან ვკლავ, ყოველ წელწადს. პასუხად რას მებნევ? კიკო".

ძუყნიაშვილი

„ჰოოდა, სტუდენტობის დროინდელ ამბავს მოგიყვებით. ერთ მშვენიერ დღეს, „სამხედრო" გვქონდა. იარაღი უნდა აგვეღო საწყობიდან, აგვეტანა აუდიტორიაში და დაშლა-აწყობაში გვევარჯიშა. ავიღე იარაღი, ავედი ზევით, შემეშალა აუდიტორია და სხვა აუდიტორიაში შევვარდი „კალაშნიკოვით". ლექტორი მეკითხება: შვილო, კამიკაძე ხარო? — არა, ქალბატონო, ძუყნიაშვილი ვარ-მეთქი, — ვიპოვე გამოსავალი. გენაცვალეთ, „გზაელებოო"!კახელი მგელკაცა".

„ნიჭიანი"

„გზა" ვიყიდე თუ არა, შინ მისვლამდე გადავავლე თვალი და შენი წინადადება, მგზავნელთან ინტერვიუს ჩაწერაზე, ძალიან მომეწონა. გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი. ოღონდ, რადგან არც მომავალი და არც მოქმედი ჟურნალისტი არ ვარ (არადა, სურვილი ნამდვილად მქონდა, მაგრამ ვინ მაცალა?!) და მგზავნელებს, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცნობ, ეს ატაცებული, გენიალური იდეა ჩემი ხუმრობის ფარგლებს ვერ გასცდა. შინ მისულმა, ჩავრთე ტელეფონზე დიქტოფონი და ყავის დასალევად დასკუპებულ დედამთილს ვეცი კითხვით: — „როდის გადაწყვიტეთ პირველად „გზაში" დამესიჯება?" საცოდავს, ყავა გადასცდა გაკვირვებისგან და ხველებაამტყდარს, ისე დავარტყი ანუ ჩავათხლიშე გვერდებში, რომ სულის მოთქმის მაგივრად, გადავაბჟირე ქალი. მამამთილს კითხვით გახედა — რა სჭირსო? იმანაც უცებ დასვა დიაგნოზი, — მთელი დღე გაზეთი და ტელეფონი უჭირავს ხელში და სხვას რას ელოდიო?! მე კი ჯიუტად განვაგრძობდი ჟურნალისტობას: — თუ შეიძლება, მითხარით, რა ნიკით ამესიჯებთ-მეთქი? — სუ, გოგო, გაჩუმდიო. ძალიან ორიგინალური ნიკი გქონიათ, „სუ-გოგო" რატომ დაირქვითმეთქი? — მარის რა ვუთხარი, რავა ყველას აგირიათ თავგზაო (არადა, „გზის" ერთ ნომერსაც არ ტოვებს: იყიდეო? — ყოველ ხუთშაბათს მეკითხება). მე კი ვუთხარი — არ დაგავიწყდეს, ყველა შენი სიტყვა იწერება და შემიძლია, ბრალი დაგდო ჟურნალისტის (მარის) ცილისწამებისთვის-მეთქი. — მთლად დაღუპულა ეს გოგოო, — ასეთი იყო დედამთილის ბოლო ვერდიქტი. რა გზა მქონდა? გავეცალე აგზნებულ რესპონდენტს (თავი „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი მეგონა, რომელსაც ხაინდრავა ეჩხუბებოდა) და ასე დამთავრდა ჩემი ინტერვიუს ჩაწერის პირველი და უკანასკნელი მცდელობა. P.S. დედამთილო, არ გინდა, რა, ეგეთები! მარის „გზავნილებს" რომ კითხულობ და ხალისობ, ხომ კარგია?! შენ არ იყავი, მთელი კვირა რომ იცინოდი „დუდუნა წვიმაზე" და „აფეთქე-

„იდეინი" გუბერნატორი

„რა თემასთან მოსატანია, მაგრამ მინდა, ჩემი „აშხფოთება" გამოვთქვა. ჯერ იყო და, ჩვენმა ახალმა და ახლა უკვე ყოფილმა გუბერნატორმა, „ბიძია სტალინს" წინ დიდი და გაჩერებული საათი „დაურგო". გმადლობთ, მაგრამ მაგ კაცმა თავის დროზე რომ ისწავლა საათის ცნობა და დროის ფასი, იმიტომ დაუდგეს ძეგლი. უსათვალოდ მაინც ვერ ხედავსო და ახლა გაზონში „გადარგეს", გორის მე-8 საოცრებად ქცეული საათი და ყოველ დილით წყალს უსხამენ, იქნებ როგორმე ამუშავდესო. რას გვიშვრება ეს მთავრობა! ბოთე1/2".

ბულ ცხვარზე"? ალბათ ამასაც წაიკითხავდი, მაგრამ მეეჭვება, საერთოდ, გაჩვენო „გზის" ეს ნომერი, რადგან არ მინდა, მიცნო... კამელია".

სვანი

„კარგა ხანია, ჩვენს სვან ციალაზე არ მომიწერია. არადა, მოსაყოლი ბევრია. ამას წინათ ქუჩაში, გაზეთების „კიოსკთან" დავინახე, ხელში „ასავალ-დასავალი" ეჭირა და როგორც შემდეგ მითხრა, თურმე „გზავნილებს" ეძებდა. ეს კარგი და, ციალას ძმისშვილები ჰყავს საზღვარგარეთ. ჰოდა, შემოუთვალეს: მამიდა, შენი სურათი გამოგვიგზავნეო. წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა სვანმა საპასპორტო ფოტო გაუგზავნა. ერთხელ, „მარშრუტკა", რომელშიც ციალა იჯდა, მძღოლის დაუდევრობის გამო, ხეს დაეჯახა. პატრული მივიდა და საქმის გარჩევა დაიწყო. ჩვენმა სვანუკამ მძღოლის დაცვა გადაწყვიტა და კარგა ხანს უმტკიცებდა ძია პატრულს, რომ ავარია ხის ბრალი გახლდათ. რა ვქნათ? ასეთია ჩვენი სვანი. ცოტა ტანმორჩილი კია, მაგრამ ხომ გვახსოვს — ხის სიმაღლე ტანიდან კი არა, ფესვებიდან იზომება! :)) ლეო91".

მარინა

„ჩვენს სკოლაში ერთი შუახნის მასწავლებელია — მარინა, რომელიც თავისი ჭკუასუსტობითა და დაბნეულობითაა ცნობილი. მის გაკვეთილებზე წიგნები და რვეულები „ავიარეისებს" ასრულებენ, ხოლო მოსწავლეებს მობილურები დამალული აქვთ, რათა პატმასწმა მათი ხარჯით, სახლში დარეკვა არ მოიწადინოს და ის არ გაარკვიოს, ადგა თუ არა საწოლიდან „ბრადიაგა" (მისი სიტყვებია) ქმარი. მიუხედავად განათლების სამინისტროს წარმატებული რეფორმისა და ახალდამონტაჟებული გათბობის სისტემისა, კლასები ჯერჯერობით ისევ მამაპაპური „პლეტკით" თბება. ჩვენი მარინაც ისე ექაჩება ამ „პლეტას" თავისკენ და ისე ურცხვად ითბობს უკაცრავად და, ინტიმურ ადგილებს, რომ მის ნაცვლად, ბავშვები წითლდებიან. ერთხელაც, მარინა ტრადიციულად, დაჯდა სკამზე, მისწია „პლეტა" თავისკენ და გადააფარა გრძელი კაბა. ცოტა ხანში მისმა კივილმა სკოლა შეძრა: ჩქარა, წყალი, „კოლგოტკა" ფეხებზე მიმეწვაო! მას შემდეგ, ეს უკანასკნელი, გაყინვას ამჯობინებს! ლეო91".

ბედნიერი

„ახლა ქარია... მარტო მივუყვები ქუჩას და ვუღიმი მოგონებებს. „უჰ, მაგარი დრო გავატარეთ. მგზავნელების მორიგი შეხვედრა თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში შედგა. სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ სუპერპუნქტუალურად, 30 წუთით ადრე გამოვცხადდი. :) სანამ ილინი ვარაზს აკვდებოდა, ლელუჩია, ლორე და ლიმონა მოვიდნენ, ბიჭებსაც არ დაუგვიანიათ. პავლიკას და მგელოს, მამაცი თოჯინა, იკჩო და ჩორი მოჰყვნენ. მალე მაესტროც მოვიდა და დაიწყო ჩვენი ტრიუმფული სვლა ზოოპარკისკენ. ბიჭებმა დაგვპატიჟეს და გოჭუნასაც მეტი რა უნდოდა? სანამ ნაყინ(ებ)ი (დანარჩენს არ ჩამოვთვლი) არ მიირთვა, კარუსელზე არ ამყვა. ყველაფრისთვის დიდი მადლობა ბიჭებს! მერე... მერე იყო უამრავი ადრენალინი, გაწურული ლიმონა, ლელუს დაჭიმული ფეხი, ხმაჩახლეჩილი ელე და გაფითრებული კარატისტკა. მე, როგორც „დისნეი-ლენდს" მიწვეული ქალი, თამამად ვიჯექი. მეორე წრის სურვილი მხოლოდ მე, ელეს და ჩორის შეგვრჩა. ცოტა ხნით შემოგვირბინეს უზნეო ანგელოზმა და მგლის დამ. სამწუხაროდ, „მგზავრებს" „შეფინია" არ ახლდათ, საპატიო მიზეზით ვერ მოვიდა შეწირულიც. ბოლოს პავლიკამ მგლის „ზემლიაკების" ნახვა მოისურვა და ტურებიც ნახა (სინამდვილეში, აფრიკული ძაღლები იყვნენ). წამოსვლისას ილინმა ისეთი სიმღერა შემოსძახა, მართლა იტოვებდნენ, სამუზეუმო ექსპონატად. გული გამითბეს მგზავნელებმა. თქვენ არ იცით, როგორ მიყვარხართ. ბედნიერი ვარ, რომ „გზამ" ასეთი საოცარი ადამიანები მაჩუქა. პირველად, პავლიკა გავიცანი და მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ მომავალში ამდენ მგზავნელს პირადად ვნახავდი. მახსენდება პირველი სიხარული, როცა სესიმ მომიკითხა. მერე, როცა შეწირულმა ჩემი გაცნობა ისურვა. საოცრად ბედნიერი ვიყავი მაშინ. წასვლაც ვიფიქრე, მაგრამ ვერ შეგელიეთ... იყო შიში და იყო უსაზღვრო სიყვარული... იყო ტკივილიც, მაგრამ აღარ ღირს გახსენება... და ხვალ, ჩემთვის მზე რომ აღარ ამოვიდეს, გახსოვდეთ, რომ უზომოდ მიყვარდით! პარიჟანკა".

ქამარი

„დღეს ზოომაღაზიაში შევედი, ჩიკოსთვის (თუთიყუშია) საჭმელი უნდა მეყიდა. გამოგიტყდებით და ასეთ საქმეზე პირველად ვიყავი. :) სანამ გამყიდველი საკენკს ამიწონიდა, იქურობა მოვათვალიერე და კედელზე უამრავი ქამარი დავინახე ჩამოკიდებული. გამახსენდა, დიდი ხანია, ქამრის ყიდვა მინდოდა. გამყიდველს ფასები ვკითხე. 6 ლარიდან იწყებაო. მეც საწყლად, 6-ლარიანის ჩვენება ვთხოვე. ქალმა ჩამოხსნა რამდენიმე და მიჩვენებს. კაცო, ვხედავ, რაღაც შარვლის ქამარს არ ჰგავს. — არა, ასეთი არ მინდა-მეთქი, — იხტიბარი არ გავიტეხე, შემცბარმა. — გააჩნია, შვილო, შენ რა ჯიშის გყავს. — „რااა?" — შევყვირე გაოცებულმა. — ეს, შვილო, ძაღლის საყელოებიაო, — შემომცინა გამყიდველმა. დაფეთებულმა, ხელი ვტაცე ჩიკოს საკენკს, — უუკაცრავად-მეთქი, — ძლივს ამოვთქვი და მაღაზიიდან „ზადნი ხოდით" გამოვიძურწე. ავოე, „ძერევნია" ვაარ, ნუ, ხანდახან. :) მანაველი".

სოსლეებს საკოთის თეთეშზე
ხძინავთ, ძოიერშებს — დესერტლის

რომანტიკა

„გარდა იმისა, რომ მგზავნელებთან მშვენიერი დრო გავატარე, კიდევ ერთი რამ დამამახსოვრდა. სეირნობისას ნამდვილი ქართული სიმღერა შემოგვესმა. იქვე ახლოს 2 გოგო იდგა. უცხო ბიჭებს შეეჩერებინათ და უმღეროდნენ. ჩემზე ამან წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მიხარია, რომ კიდევ არსებობენ ბიჭები, რომელთაც შეუძლიათ, გულწრფელი ემოცია ასე ლამაზად გამოხატონ, სილამაზეს ხოტბა შეასხან ისე, რომ უცხო თვალს არ მოერიდონ და მეტირება... ცხოვრება თუნდაც ასეთი ლამაზი წუთებისთვის ღირს! პარიჟანკა“.

ცოცხლად დამარხული

„ცხონებული პაპაჩემი რომ დაიღუპა, ძმაკაცს დავურეკე: ხვალ დაკრძალვაა და ჩამოდიმეთქი. — რას ამბობ, ძმაო, მიხეილა დაიღუპაო?! — არა, „შეჩემა“, ცოცხლად ვმარხავმეთქი!.. მოვიდა დაკრძალვაზე და მეუბნება: — ბიჭო, ძმა ხარ, მაგრამ თავ იგრე გაგისიებ, რო ჯემპრ ვეღარ იცვამდეო. იმდენი ვიცინე, ხალხს ეგონა, გაგიჟდაო. ჭირისუფლებმა პაპის გამოტირებას თავი დაანებეს და მე მტიროდნენ, ცოცხლად. მოკითხვა მის რეალს. კახელი მგელკაცა“.

მამის მკვლელი

„ქუთაისში ერთი მდიდარი ოჯახი ცხოვრობს, სადაც ორი ეშმაკის ფეხი, ტყუპი ბიჭი ცხოვრობს. ერთხელ, მამა სანოვაგით დატვირთული ბრუნდებოდა თავის „დაჩაზე“ და ერთმა მეორეს გადაუჩურჩულა: ნახე, ვირი მოდისო. ეს მამამ გაიგონა და შვილი სცემა. საღამოს, მეორე ტყუპისცალი მივიდა მამასთან და უთხრა: რატომ სცემე ჩემს ძმას? თავს იკლავსო. მამა გაემართა შვილების ოთახისკენ და დაინახა, რომ მისი შვილი რაფაზე ზის და ხტება. გადახტა ბავშვი და გადაჰყვა მამაც. მამამ ორივე ფეხი მოიტეხა, შვილი კი რადიატორზე იყო მიბმული და კედელზე ეკიდა მაშინ, როცა მამამისი ფეხებს მისტიროდა. აბსურდა“.

კიდევ ერთი მადლობა

„დღეს მგზავნელები შევიკრიბეთ. ღელუჩია, ჩორი, იკჩო-სიხჩო, მამაცი თოჯინა, პარიჟანკა, პავლიკა, მაესტრო, ლორელაი, ლიმონა, მგელი; ცოტა ხნით მგლის და და უზნეო ანგელოზიც შემოგვიერთდნენ. ზოოპარკის შესასვლელიდანვე გაგვაფრთხილეს, — ცხოველები „ყრაზე“ გვყავსო, — და ჩვენი გეგმაც, რომელიც ზოოპარკში დასახლებას ითვალისწინებდა, ნემსშერჭობილი ბუშტივით ჩაიფუშა. ზოოპარკში სუნი იდგაა... მთელი დღე სარეცხის „შპილკას“ ვნატრობდი. :) მერე ნავზე დაჯდომა გადავწყვიტეთ. პარიჟანკას „პრარეზიანი“ კაბა ეცვა და ორივე ხელით იყო ჩაფრენილი. რომ ავედით ზევით და ჩავრთე სირენა, ორივე ხელი კაბას უშვა და პირზე ამაფარა. კაბა დაიჭიმეთქი! — ვუყვირე. — უი, თურმე არ ფრიალებსო, — მიპასუხა. :) ღელუჩია ისე აბჯენდა ფეხს ნავის კიდეს, რომ ზოოპარკიდან „განასკვული“ გამოვიყვანეთ. :) ძალიან მაგარი იყო.

გმადლობთ, მარ, ასეთი ხალხი რომ მაპოვნინე. ილინი“

კატასტროფა

„დიდი უცნაური თაობა მოდის. ხან ვინ უყვართ, ხან — ვინ. ვერ გაიგებ, ვინ ვისი შეყვარებულია. ერთი გოგო ტირილით კვდებოდა, — ჩემს „ლოვეს“ აღარ ვუყვარვარო. გავიდა ნახევარი საათი და მაგარი ბიჭი დაინახა. აუ, იქ თვალების ჟუჟუნი წავიდაააა!.. ნუ, „კაშმარ“, რა. ისე, ჩვენში დარჩეს და, ქართველ ერს გამრავლება სჭირდება, ისედაც „ციცქნა ერი“ ვართ და ჩინელებს მაინც მივბაძოთ, ვერ ხედავთ, რა „კატასტროფული“ სიჩქარით მრავლდებიან?! P.S. ჩემმა ნათესავმა ჩინელების მაღაზიაში შემიყვანა, რამეს გიყიდიო. ერთი თმის ჯოხი მომეწონა. ქართველს ვკითხე, — რა ღირს-მეთქი? 1 ლარიო. ჩინელმა 50 თეთრი გადამახდევინა. ოჰ, როგორ გვიყვარს ქართველებს ფული!.. ლუნა“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — უპასუხო კითხვა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. კითხვა მოკლე ჩართვისთვის: რა იქნებოდა, დედამიწაზე მამაკაცები რომ არ არსებობდნენ? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

მოწადინებული

„ამ მესიჯს ათენიდან გწერთ, თან — სანთლის შუქზე (გაფიცვებია ორი კვირა). ბებია მივაძინე, მე კი „გზავნილებს“ ვკითხულობ. ერთი ამბავი გამახსენდა. 5 წელი შვილი არ მყავდა. მკურნალობის შემდეგ დავფეხმძიმდი. ამ ამბის აღსანიშნავად გაიშალა დიდი სუფრა. მამაჩემია თამადა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ ამბობს: მინდა დავლიო იმ ექიმის (ფრიდმანის) სადღეგრძელო, ვინც ეს სიხარული მოგვანიჭაო. ამ დროს წამოხტა ჩემი მეუღლე და მამაჩემს ეუბნება: რის ფრიდმანის სადღერძელოს სვამ? 5 წელია, მუხლები გადამტყავდა, ამ ბავშვის „კეთებაზეო“! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ მამაჩემს ჭიქა პირზე მიეყინა... ეს იყო დიდი ხნის წინ. ჩემი ვაჟკაცი ახლა 19 წლისაა და დედას 4 წელია, არ უნახავს. ტრაგედია არ არის? ვიცი, თემას არ ეხება, მაგრამ მინდოდა და დავწერე. თამი“.

ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში დააკვირდი და საკუთარ შეგრძნებებს ყური მიუგდე. შემდეგ ფოტოტესტის პასუხებს დახედე და მიხვდები, იოლია თუ არა შენი ცდუნება.



1. თუ გაიფიქრე: „როგორ მისცა ქალს უფლება, ასე მოჰქცეოდა?" – წყნარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, მაგრამ საკუთარი ტემპერამენტის დემონსტრირებას მოულოდნელად ახდენ. თუ არჩევანის გაკეთება გრძნობასა და გონებას შორის გიწევს, ყოველთვის გონება იმარჯვებს. დაუჯერებელია, ოდესმე თავი დაკარგო და ვინმეს ცდუნების უფლება მისცე.

2. თუ გაიფიქრე, რომ ვიდრე ვინმე დაინახავს, პომადის კვალი აუცილებლად უნდა გააქროს, სავარაუდოა, რომ ფრთხილი, წინდახედული ადამიანი ხარ. თუ ვინმეს შენი ცდუნება სურს, აუცილებლად მოთმინებით უნდა აიჭურვოს. არ გაინტერესებს ხანმოკლე კავშირები და ნამდვილ, წრფელ გრძნობებს აფასებ.

3. „ასეთ კაცს არასოდეს ვაკოცებდი", – ეს გაიფიქრე? ალბათ ყოველთვის იცი, რა გინდა. საკმაოდ ჯიუტი და პრინციპული ადამიანი ხარ, ეს კი ხანდახან სასარგებლოა, რადგან ცოტა სისულელეს ჩაიდენ. ანგარიშიანობა შენს ცხოვრებას ერთგვაროვანს ხდის. შენი ცდუნება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ალბათ დადგება დრო, როცა თავად გაგიჩნდება სურვილი, ვინმემ გაცდუნოს.

4. „მაგარი ფოტოა, ამ კაცს ჰალსტუხზე ალბათ იმ ქალის ქმარი ეჭიდება, ვისი პომადის კვალიც ატყვია", – ეს გაიფიქრე? სავარაუდოა, რომ ცხოვრებას, როგორც თამაშს, ისე უყურებ და ვერანაირ ცდუნებას ვერ უძლებ. თუ ვინმეს შენს თამაშში მონაწილეობა არ სურს, მანამ არ მოისვენებ, ვიდრე არ აიყოლიებ. ერთგულებით ვერ დაიკვეხნი, მაგრამ სამაგიეროდ, მხიარულად ცხოვრობ და დროს უქმად არ კარგავ.

პუპსიკას ქმარმა მკვლელობის ტოლფასი საქმე ჩაიდინა

„გზის" წინა ნომერში ჩვენს ჟურნალისტ მკითხველებს ვთხოვე, აქტიურ მგზავნელებთან ინტერვიუ ჩაეწერათ. გამიხარდა, როცა რამდენიმემ, ამ კვირაშივე მოახერხა ჩემი თხოვნის გათვალისწინება და ინტერვიუც მოამზადა. ამჯერად მამაცი თოჯინას, იგივე ეთო ყორღანაშვილის მიერ მომზადებულ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც ჩვენი აქტიური მგზავნელის – პუპსიკას, იგივე ნინო აბაშიძის ცხოვრებაზე გვიამბობს. მაშ ასე, ეს შესავალი იყო, ახლა კი მამაცი თოჯინას შემოქმედებას გავეცნოთ.



ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ დგება პერიოდი, როცა არ იცი, რა იღონო, არასახარბიელო მდგომარეობის შესაცვლელად. უსაყვარლესი და უახლოესი პიროვნების ღალატით მიყენებული ტკივილის შემდეგ რთულია, საკუთარ თავში სიცოცხლის გასაგრძელებლად ძალა იპოვო. „გზავნილები" ის სამყაროა, რომელიც 20 წლის ნინო აბაშიძეს ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტში დაეხმარა. პუპსიკა „სტაჟიანი" მგზავნელია. ის ქალაქ რუსთავში, დედასთან და შვილთან, წლისა და 8 თვის გიორგისთან ერთად ცხოვრობს. ჩვენი ინტერვიუ რუსთავის საავადმყოფოში შედგა. პატარა გიორგის ანგინა აქვს და მკურნალობს.

— ჟურნალ „გზას" წლებია, ვკითხულობ, მაგრამ „გზავნილებში" დამესიჯება მაშინ დავიწყე, როცა სტრესულ მდგომარეობაში გახლდით. სულიერი ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ტირილის თავიც არ მქონდა. ფეხმძიმედ ვიყავი, როცა ერთ ღამეს, შინ დაბრუნებულმა ქმარმა გამომიცხადა, რომ ცოლად სხვას ირთავდა.

— კი, მაგრამ საქართველოში მრავალცოლიანობას ხომ კანონი კრძალავს?

— ურთიერთობა ოფიციალურად გაფორმებული არ გვქონდა. როდესაც ვკითხე, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, მიპასუხა: მკვლელობის ტოლფასი რამ ჩავიდინე, ახლა საქმე საციხედ მაქვსო. მისი თქმით, ციხე არ ასცდებოდა, თუ ერთ-ერთი გენერლის (თუ პოლკოვნიკის) ნათესავ გოგოს ცოლად არ შეირთავდა. მართლაც, შეირთო... გიორგის გაჩენის შემდეგ ხანდახან გვაკითხავდა და ბავშვს ნახულობდა.

— მატერიალურად გეხმარება?

— არა. არც ადრე და არც ახლა ბავშვის აღზრდაში არ მონაწილეობს.

— ალბათ ძალზე გულნატკენი ხარ...

— უზომოდ... შესაძლოა, ბავშვობის მეგობარს არ გავუზიარო ჩემი საწუხარი, მაგრამ „გზავნილებში" დაუფარავად დავწერო. სხვათა შორის, ჩემი შვილის მამამ იცოდა, აქ რომ ვამესიჯებდი.

— მეტსახელად პუპსიკა რატომ აირჩიე?

— ფეხმძიმედ რომ ვიყავი, ცოტა მოვსუქდი და ჩემმა აწ უკვე ყოფილმა ქმარმა პუპსიკა შემარქვა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ეს მეტსახელი ძალიან მომწონს და შევეგუე კიდეც. დაწესებ-

ულებებში, კედლებზეც ვაწერ ხოლმე. აგერ, პალატის კედელზეც კი მივაწერე.

— როგორც ვიცი, კოლეჯში დადიხარ. გაკვეთილების მომზადებაში ბავშვი ხელს არ გიშლის?

— კოლეჯში დავდივარ, რადგან საშუალო განათლების ატესტატი არ მაქვს და ძალიან მინდა, მქონდეს. თუმცა, მეცადინეობას ვერ ვასწრებ, რადგან ბავშვს ბევრი დრო ა. განათლების გარეშე თავს ვერ გაიტან. ერთხელ, გერმანიის ერთ-ერთ ქალაქზე ვსაუბრობდით და გადავწყვიტეთ, გლობუსზე გვენახა. ერთმა გოგონამ კი იკითხა — გლობუსი რა არისო?

— მგზავნელებიდან ბევრს იცნობ? მეგობრობ მათთან?

— ვიცნობ სევდიას, ბაჭიას, ნინო-მილანს, ოლეგარიოს და შენ. ზოგს მხოლოდ ტელეფონით ვიცნობ, ზოგიერთს კი — პირადად. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვიცი, რომ ოლეგარიო კარგი ადამიანია, თუმცა, პირადად არასოდეს შევხვედრივარ.

— რა არის იმის მიზეზი, რომ რუსთაველთა VIP-კლუბი ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა?

— მიზეზი ისაა, რომ თავი ვერ მოვაბით. შესაძლოა, ზოგიერთი „გზავნილებში" ისეთ ამბებს წერს, თავის გამჟღავნება არ უნდა. დიდი სურვილი მაქვს, მალე შევქმნათ კლუბი. ერთმანეთს გულისტკივილს გავუზიარებდით, ცხოვრებას გავულამაზებდით... იცი, როგორ მაქვს წარმოდგენილი? სკამებს წრიულად დავალაგებდით, დავსხდებოდით და გულახდილად ვისაუბრებდით.

— ჩარჩოში ჩასმულ, „განსაკუთრებულ" მესიჯებზე რას იტყვი? სწორადაა შერჩეული?

— სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი მესიჯი, რომელიც ჩარჩოში მოხვდა, ჩემი გახლდათ — „შპილკების" ქურდი". ჩარჩოს იდეა კარგია. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა გზავნილი წამიკითხავს და არ მომწონებია. უმეტეს შემთხვევაში, სწორადაა შერჩეული. სიმართლე გითხრა, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ჩემი მესიჯი ჩარჩოში იქნება თუ არა. მთავარია, რომ იბეჭდება. ისე, მარი მეც ხშირად „მბლოკავს", მაგრამ იმედს არ ვკარგავ ხოლმე: ვიცი, თუ ახლა არა, ჩემი მესიჯი მომავალ კვირაში მაინც იხილავს დღის სინათლეს. კიდევ, იმის მჯერა, რომ ცხოვრებაშიც გამიმართლებს. ძალზე მწარე გამოცდილება მივიღე და დიდი იმედგაცრუება ვნახე. ახალი სიყვარულისთვის ჯერ მზად არ ვარ. მეშინია, კიდევ არ მატკინონ გული.

— წარმატებებს გისურვებ!

— დიდი მადლობა. ჟურნალ „გზას" და „გზავნილებს" წარმატებას ვუსურვებ. ყველანი ძალიან მიყვარხართ.

მამაცი თოჯინა

რა იქნებოდა, დედამიწაზე ქალები რომ არ არსებობდნენ?

• ქალები რომ არ არსებობდნენ, ჩვენს „გზავნილებს" უშანგი ჯაფარიძე დაბეჭდავდა. აბსურდა.

• იცი, რა იქნებოდა, დედამიწაზე ქალები რომ არ არსებობდნენ? სამყარო სავსე იქნებოდა ნახევრად მშიერი და წვერგაუპარსავი მამაკაცებით, არავითარი ომის მიზეზიც არ ექნებოდათ! მოწყენილობისგან კი ნაადრევად დაიხოცებოდნენ. „ვოტ!" ფინტიკოზა".

• ჰმ, უჩვენოდ? კაცები თავისი ფეხით ავიდოდნენ სახრჩობელაზე. მაესტრომ ვერ შემნიშნა სიზმარში, თორემ მეც ილინთან და დუჩისთან ერთად ვიქნებოდი, კაცების ეშაფოტთან. :) პარიუანკა.

• ქალები რომ არ არსებობდნენ, მაშინ ერთი ფანდარასტი კოკოითი არ გვეყოლებოდა. ლოჩიევიჩი.

• ჩვენ, ქალები რომ არ ვარსებობდეთ, გლობალური კატასტროფა იქნებოდა დედამიწაზე.

• ქალები არ არსებობდნენოოო? ჰმ, საწყალი კაცები... ნიკოლი.

• ქალი რომ არ იყოს, კაცები ერთმანეთს დავერეოდით და ცისფრობაც „გრეხი" არ იქნებოდა.

• სუსტებო, ქალი რასაც იტანს, იმის ნახევარი რომ „გჭირდეთ", ინფარქტი გლეწავდათ. ქალობა არ გინდათ იმიტომ კი არა, რომ არ მოგწონთ, უბრალოდ, ვერ აიტანთ. წიკვინე.

• რა და, არც „გზავნილების" დედოფალი გვეყოლებოდა და საერთოდ, ქაოსი იქნებოდა. მგზავრი.

• იქნებოდა უკვდავი ადამი, მარადიული სამოთხე და უშენობა, მარი. ჩვენი „უგზავნილებოდ" ცხოვრება ისეთი წარმოუდგენელია, რომ მაგ შეკითხვისთვის მგონი, მზად არ ვარ. ლოკოკინა.

• ისე, უქალებოდ ფეხბურთიც განსხვავებული იქნებოდა ანუ 22 კაცის ნაცვლად, წარმოიდგინეთ, 1 ბურთს გამოკიდებული მთელი კაცთა მოდგმა! სხვა გასართობი არ ექნებოდათ. ფინტიკოზა

>>> 17

რისი უნდა შეშინოდეს, ადამიანის გარდა?



1. პლანეტაზე მცხოვრები ყველაზე საშიში არსება მოსკიტია. კოღოს ნაკბენი უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ნაკბენი ადგილის მოფხანას გაიძულებს, მაგრამ ის ისეთი საშიში დაავადებების გადამტანია, როგორიცაა მალარია, ყვითელი ცხელება და სხვადასხვაგვარი ენცეფალიტი. მისი მიზეზით, ყოველწლიურად 3 მილიონი ადამიანი იღუპება. ამ შემთხვევათა 85-90% აფრიკის ქვეყნებზე მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალი 2 წლის განმავლობაში სიკვდილიანობა ამ მიზეზით ორჯერ გაიზრდება.

2. მეორე ადგილი შხამიან გველს უკავია. წლის განმავლობაში ის 50 ათას ადამიანს კბენს და ყველა შემთხვევა სიკვდილით მთავრდება; შემთხვევათა უმეტესობა კი აზიური კობრის მიერ დაკბენილებზე მოდის. როგორც წესი, გველი ადამიანს თავს პირველი არ ესხმის. ის მხოლოდ მაშინ იკბინება, როდესაც ვინმე მყუდროებას დაურღვევს.

3. მესამე დგილზე შხამიანი მედუზაა. განსაკუთრებით საშიშია ავსტრალიური მედუზა. მას სხვაგვარად, ზღვის კრაზანას უწოდებენ. ზომით მოზრდილი თეფშისხელა სხეული და 60 საცეცი აქვს. თითოეული საცეცის სიგრძე 4 მეტრს აღწევს და 5 ათასამდე შხამიან, მომცრო ბალიშს შეიცავს. ეს საკმარისია საიმისოდ, რომ 60 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმოს. მედუზების რიცხვის ზრდას მეცნიერები ოკეანის წყლის ტემპერატურის მომატებით ხსნიან.

4. ბევრ ტროპიკულ ქვეყანაში მაიმუნმა ტყის შუაგულიდან დასახლებული ადგილებისკენ გადაინაცვლა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მაიმუნების ჯოგი ბავშვებსა და მოზრდილებს თავს ესხმის. მაიმუნი გლეხების სახლებიდან პროდუქტის ზამთრის მარაგს იტაცებს. ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად მათი ჩვევებიც კი გადაიღო. მაგალითად, შეუძლია, კარზე დააკაკუნოს და შენობაში ისე შეაღწიოს.

5. დიდი, თეთრი ზვიგენი თბილ წყლებში ბინადრობს და სიგრძით 7-8, ზოგჯერ 12 მეტრს აღწევს. ის ზვიგენის სახეობებს შორის ყველაზე ძლიერ და საშიშ სახეობადაა მიჩნეული და მეტსახელად „თეთრ მკვლელს“ უწოდებენ.

6. მეექვსე ადგილს ნიანგი იკავებს. მას ავსტრალიასა და აფრიკის ბევრ სახელმწიფოში ყველაზე საშიშ ცხოველად მიიჩნევენ. ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ტროპიკებში 100 ათასამდე რეპტილია ცხოვრობს და მათ სახელმწიფო იცავს. ბოლო 20 წლის მონაცემებით, ამ ცხოველს რამდენიმე ათასი ადამიანი ჰყავს შეჭმული.

7. სპილო ერთ-ერთ საშიშ ცხოველად მიიჩნევა. ის ჭკვიანია და ხშირად ადამიანებისთვის სარგებლობაც მოაქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, წლის განმავლობაში სპილოს მიერ მოკლულთა

ზღვის ლომს 2 ტვინი აქვს. ან ცოლსა შეშინია ან ზუნდა ოფონგლოლმს ან ჭეშმარიტად იქცეს.

რიცხვი 500-ს აღწევს. განსაკუთრებით საშიში მძუვნობის პერიოდში მოხეტიალე სპილოა. ის ნებისმიერ მოძრავ საგანს თავს ესხმის.



8. 50 წლის წინ თეთრი დათვი გადაშენების საშიშროების წინაშე იდგა. ამიტომ მასზე მზრუნველობა ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ ითავა. დღესდღეობით მათმა რაოდენობამ კვლავ იმატა და დასაშვებ ნორმას გადააჭარბა კიდეც. გავრცელების არეალში ის სრულუფლებიან მბრძანებლად მიიჩნევა, აგრესიულია და შიშის გრძნობა არ გააჩნია. ადამიანს ხშირად ესხმის თავს.

9. საშიში ცხოველია ასევე აფრიკული და ინდური და კამეჩი. მას არც ადამიანების ეშინია და არც სხვა ცხოველების. ზრდასრული კამეჩი წონით თითქმის 1 ტონას აღწევს და ძალზე მსხვილი რქები აქვს. რქის რეკორდული სიგრძე 195 სმ-ია. ის მახვილი სმენით გამოირჩევა, შორი მანძილიდან ესმის ხმაური და ადამიანს პირველი ესხმის თავს. თავდასხმის წინ, წინა ფეხებით მიწას ბურღავს და ქშინავს. კამეჩი განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როდესაც თავის ნაშიერს იცავს.

10. ამ სიის ბოლო, მე-10 ადგილზე შხამიანი ბაყაყია. ის ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ბინადრობს. ბაყაყს შხამის გამომყოფი ჯირკვლები ზურგზე აქვს. ერთი ბაყაყის შხამს 10 ადამიანის მოკვლა შეუძლია.

●

მოკლე ჩართვა

<<< 15

რა იქნებოდა, დედამიწაზე ქალები რომ არ არსებობდნენ?

• იქნებოდა მოწყენილობის, მარტოობის გრძნობა, როგორც ადამის დროს იყო, სანამ ევა შეიქმნებოდა. მართალი ვარ? აბეზარა.

• ნუ, რას გვეკითხები, მარი? დედამიწა თვითონ ქალია! მე ვნახე ჩემი თვალით, ისეთი სიმრგვალეეები ჰქონდაااااა! :)

• ქალები რომ არ არსებობდნენ, კაცობრიობა გაწყდებოდა და ყველა კაცი იმპოტენტად გადაიქცეოდა, ცისფრების გარდა. ნინულია.

• კაცებს რა ეშველებოდათ ან კიდევ, ომს ვინ დაიწყებდა? სულიკო, ფოთი.

• ქალები რომ არ არსებობდნენ, ელტონ ჯონს პირველი მე „დავკერავდი", მაგრამ არსებობენ საბედნიეროდ და ანჯელინა ჯოლისთანაც კარგად მიმდის საქმეები. საბრალო.

• ქალები რომ არ არსებობდნენ, მაშინ გვექნებოდა გამონათქვამები: ლეკვი ლომისა სწორია, ხვადი იყოს, თუნდა მამალი; მამაენა"; „ქმარ-ქმარი" და მაშინ რა გვეშველებოდა კაცებს, უქალებოდ, ა? კოზანოსტრა.

• ქალები რომ არ არსებობდნენ, კაცები ცხოველებთან და ფრინველებთან დაამყარებდნენ სქესობრივ კავშირს (ალბათ). რის შედეგადაც მუტანტები მომრავლდებოდნენ.

• არაფერი იქნებოდა, არც მარი ჯაფარიძე იქნებოდა, „გზა" არ იქნებოდა და „გზავნილები" არ იქნებოდა. გრუზინკა.

• ქალები რომ არ არსებობდნენ, „გზავნილები" არ შედგებოდა! აი ასე! განაწყენებული რომანტიკოსი.

• კაი რა, მარ, ეგ არც კი უნდა გავიფიქროთ. ყველა უბედურებასთან ერთად, ყველა კაცი ცისფერი იქნებოდა და კაცობრიობა (რომ გავწელოთ მისი არსებობა) ას წელიწადში ამოწყდებოდა. თათა.

●

პროფილი



ახალგაზრდა ქალბატონი – ანა საკუთარ თავგადასავალს მოგვითხრობს და უკვე 2 კვირაა, მკითხველი ანას ცხოვრების დეტალებს ეცნობა. ანას ქმარი, მახო რუსეთში 7-წლიანი ვოიაჟის შემდეგ შინ დაბრუნდა. ანა მასზე გაბრაზებული გახლდათ და მასთან, როგორც ქმართან, ურთიერთობაზე უარი თქვა, თუმცა, მახოს ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე მხოლოდ შვილის, სალომეს გამო დათანხმდა. ანამ გადაწყვიტა, თავისი მეგობრის, მაიკოს უცოლო, სიმპათიური შეფი შეაბას. საამისოდ მაიკოს მეგობარი მამაკაცი დაიხმარა და იმავე დაწესებულებაში მუშაობა დაიწყო. ამ კვირიდან უკვე ყოველდღიურ მოვლენებს მივადევნებთ თვალს.

დასაწყისი — „გზა", №11-12

მარი ხაფარიძე

მაიკოსგან რომ წამოვედი, გუნება საგრძნობლად გამოკეთებული მქონდა. ვღიღინებდი კიდეც, არადა, სულ 1 საათის წინ სიცოცხლეც კი აღარ მინდოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ გარშემო 3-4 თაყვანისმცემელი მუდმივად ტრიალებდა, რომელიმესთან სერიოზულ ურთიერთობაზე არასოდეს მიფიქრია. საქმე ჩემგან ძალზე დიდ ყურადღებასა და დროს მოითხოვდა და შესაბამისად, მთლიანად მასზე ვიყავი გადართული. თავიდან ნასესხები ფული ჩავდე საქმეში და ძალზე მეშინოდა, ვალები არ დამდებოდა. შემდეგ, როდესაც ვალი გავისტუმრე, ბიზნესის გაფართოებაზე დავიწყე ფიქრი. ისე გამიტაცა ფულის შოვნამ და ბავშვზე ზრუნვამ, რომ თითქმის გადამავიწყდა, ქალი რომ ვარ. ახლა, მახოს დაბრუნების შემდეგ, პირველი, რაც თავში მომივიდა, ის იყო, რომ საკუთარი ცხოვრებისთვის მიმეხედა. დათოც დაბარებულივით გამოჩნდა...

ყოველთვის დახვეწილი, გამორჩეული გარეგნობის მამაკაცები მომწონდა, ძვირფასი სუნამოს სუნს რომ აფრქვევენ და საკუთარი თავის ფასიც კარგად იციან. დათო სწორედ ასეთად მომეჩვენა. შინ დაბრუნებულმა კი მახოს დაუფარავად გავუმხილე, რომ ჩვენი, როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთობა აღარ შედგებოდა და თუ სურვილი ჰქონდა, შეეძლო, საცხოვრებლად დედამისის ბინაში გადასულიყო. არ გამკვირვებია, როცა მან ჩვენთან ყოფნა არჩია, მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როცა ჩემს წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა. თუმცა, დაამატა, რომ ეს მხოლოდ დროებითი იყო და ადრე თუ გვიან, მაინც შემირიგებდა. თან თითის ქნევით დამემუქრა:

— თუ გავიგე, რომ შენს ცხოვრებაში სხვა მამაკაცი არსებობს, იცოდე, არ გაპატიებ.

გულიანად გადავიხარხარე და პასუხის ღირსადაც არ ჩავთვალე — ნეტავ, მაგას ვინ ეკითხება-მეთქი? გულის სიღრმეში კი მესიამოვნა მისი სიტყვები და ისეთივე გრძნობა დამეუფლა, როგორიც წინათ, როცა ჩემზე ეჭვიანობდა ხოლმე.

პირველი შეხვედრის შემდეგ, დათოს სულ სამჯერ შევხვდი. ერთხელ მაიკოს დაბადების დღეზე, ორჯერ კი — მასთან, სამსახურში. დაბადების დღეზე თავისი საყვარელიც ახლდა. ის გოგო ქორივით აბრიალებდა თვალებს და ყველაზე ეჭვიანობდა. მათ ურთიერთობას რომ დავაკვირდი, მივხვდი — ქალს დიდი გავლენა ჰქონდა, მამაკაცი თითქოს დაჩაგრულადაც კი გრძნობდა თავს და მომეჩვენა, თუ მისი კლანჭებისგან გათავისუფლდებოდა, შვებასაც იგრძნობდა. ეს ჩემი სუბიექტური აზრი იყო, თორემ მაიკო მიმტკიცებდა, რომ დათოს ეკა ძალიან უყვარდა და მისი მორჩილებაც მხოლოდ ამაზე მეტყველებდა. ეკა ჩემზე რამდენიმე წლით ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ქალია, „კლასიკური ნაშის" იმიჯით: ქერა თმა, გრძელი ფეხები, დიდი მკერდი, ამობურცული ტუჩები, სარკესთან დამუშავებული მანერები, ძვირფასი კოსმეტიკა და სამკაულები... ასეთია მისი დახასიათება.

— მე, მასთან შედარებით, სადად და ბუნებრივად გამოვიყურები და დიდი უპირატესობაც მაქვს, — ჩავჩურჩულე მაიკოს, როგორც კი ამის საშუალება მომეცა. მან კი მხოლოდ მუჯლუგუნი მითავაზა გვერდში.

ეკა მთელი საღამო ისე მტრულად მიცქერდა, ალბათ დათოს მიმართ ჩემი გადამეტებული ყურადღება შენიშნა. მისი გამჭოლი მზერა არ მშორდებოდა, ხოლო როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდა, ტუჩებს ბერავდა, თვალებს ჭუტავდა და სიგარეტის კვამლს ჩემი მიმართულებით უშვებდა, თითქოს მიწვევდა. ჰოდა, მეც მივიღე გამოწვევა — კოლოფიდან სიგარეტის ღერი

ისე ამოვაძვრე, მისთვის თვალი არ მომიშორებია. სანთებელი ხელის ცეცებით მოვძებნე, მოვუკიდე, ტუჩები მასავით გავბერე, თვალები მოვჭუტე და ჩემ პირდაპირ მჯდარ ეკას კვამლი პირდაპირ სახეში შევაბოლე. როცა კვამლი გაიფანტა, ნაზად გავუღიმე. რამდენიმე წუთის შემდეგ, ეკამ წასვლა გადაწყვიტა და ფეხზე წამოდგა. დათოს კი დარჩენა უნდოდა და სთხოვდა, — ცოტა ხანს კიდევ ვიყოთ, ახლა იწყება ქეიფი და დროს ტარებაო. მამუკა მისი უფროსი გახლდათ და ადრე რომ წასულიყო, მისი ერიდებოდა. ეკა კი გაჯიუტდა — წავიდეთ და წავიდეთო. დათო რომ ვერ დაიყოლია, მერე მოითხოვა — მძღოლს დაურეკე, მოვიდეს და წამიყვანოსო. ისე ჭირვეულობდა, რომ უმალ ყველას ყურადღების ცენტრში მოექცა. დრო ვიხელთე, წამოვდექი და ვუთხარი: მეც წასვლას ვაპირებ და თუ ინებებ, ჩემი მანქანით მიგიყვან-მეთქი.

— გაჰყევი, გაჰყევი, — გაუხარდა დათოს.

ეკამ მტრული მზერა მესროლა და რესტორნის დარბაზი ჩემთან ერთად, უკანმოუხედავად დატოვა.

— ხვალ დათოს მაგრად მოხვდება, არა? — ვკითხე, როდესაც მანქანა დავქოქე და ჩემ გვერდით მჯდომ ეკას გადავხედე.

— წინ იყურე, — გაბრაზებულმა მიპასუხა ისე, რომ თავი არ მოუბრუნებია.

— ოჰო, საკუთარი თავი როგორ გყვარებია, — ახლა მე ვიწვევდი.

— ჰმ, შენ არ გიყვარს საკუთარი თავი?

— კი, როგორ არა, მიყვარს, თანაც — ძალიან.

— თავმოყვარე ქალი შენსავით არ იქცევა!

— აბა, როგორ ვიქცევი, მითხარი ერთი! ჩემზე გაცილებით გამოცდილი ჩანხარ, სიამოვნებით მოგისმენ, თუკი ჭკუის დარიგებას შეეცდები.

— აქ გააჩერე, — მიბრძანა მოულოდნელად. ისე უეცრად დავამუხრუჭე, რომ თავით ლამის საქარე მინა გაიტანა. მანქანიდან დაუმშვიდობებლად გადავიდა, კარი მთელი ძალით მოაჯახუნა და გზა ფეხით განაგრძო. თან უკან იყურებოდა. პირველსავე ტაქსის ხელი აუწია და მალე თვალს მიეფარა. მე კი უკან, რესტორანში მივბრუნდი და მოქეიფეებს შევუერთდი.

— ასე მალე მოხვედი? — ისე მკითხა დათომ, რომ მივხვდი, დარწმუნებული იყო, აუცილებლად დავბრუნდებოდი.

— ჰო, — მოკლედ, გულგრილად ვუპასუხე და მაიკოსთან საუბარი გავაბი. ვიცოდი, ეს მის ინტერესსა და გაოცებას გამოიწვევდა. მთელი საღამო ისე ვიქცეოდი, თითქოს დათო

— ეგ კი იმის მიზეზი გახდება, რომ ჩემი თამაშის წესებით ითამაშოს, რადგან რამდენიმე წუთის წინ ეს თამაში სწორედ მე შევთავაზე

იქ არც იყო. ჩვენი თვალები ერთხელაც კი არ შეხვედრია ერთმანეთს. ვგრძნობდი, რომ ჩემი ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. მე კი მის იგნორირებას ვახდენდი. რესტორნიდან სხვებთან ერთად ისე წამოვედი, დათოს არც კი დავმშვიდობებივარ. მხოლოდ მამუკას და მაიკოს დავემშვიდობე.

ამის შემდეგ თითქმის 8 თვე იყო გასული, როცა დათოს, სამსახურში, მაიკოსთან სტუმრობისას შევხვდი. როგორც პირველად, ახლაც მაიკოს ოთახში შემოიხედა და მე რომ დამინახა, ღიმილით მომესალმა. მაიას რამდენიმე დავალება მისცა, კართან მისული შემობრუნდა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— იცი, მე მაინც ვერ მივხვდი მაშინდელი საქციელის მიზეზს...

— რას გულისხმობთ? — „თ“ განგებ ხაზგასმით წარმოვთქვი, რითიც ვაგრძნობინე, რომ მასთან გაშინაურებას არ ვაპირებდი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ „შენობით“ მომმართა.

— ეკა რატომ წაიყვანეთ სახლში? — თვითონაც „თქვენობით“ ფორმაზე გადავიდა.

— ჯერ ერთი, სახლში არ წამიყვანია, შუა გზაში ჩამოხტა მანქანიდან და ტაქსით წავიდა. მეორეც, მისი წაყვანა იმიტომ ვითავე, რომ მივხვდი, წასვლა არ გინდოდათ, ის კი ცოტაც და, გაიძულებდათ, იქურობა მიგეტოვებინათ და მისი სურვილისთვის ანგარიში გაგეწიათ. უბრალოდ, დაგეხმარეთ, თქვენი სურვილის წინააღმდეგ რომ არ მოქცეულიყავით, პრინციპულობა გამოგეჩინათ და არც მამუკა გაგენაწყენებინათ.

— ჰმ, კარგი, გმადლობთ, — უხერხულად შეიშმუშნა. ასეთ პირდაპირობას ალბათ არ ელოდა. — მე კი მეგონა, მეტოქე ჩამოიშორეთ და ჩემთან ურთიერთობისთვის ნიადაგი მოამზადეთ.

— ისე, ცუდი იდეა არ არის, — ვთქვი მას შემდეგ, რაც მის ბოლო სიტყვებზე კარგა ხანს ვიხარხარე, — აუცილებლად ვიფიქრებ მაგ საკითხზე, — შევპირდი და დამაჯერებლობისთვის ხელი გულზე დავიდე.

დათო რომ გავიდა, მე და მაიკოს სიცილი აგვიტყდა.

— მგონი, გაება ჩიტი მახეში, არა?

— ჯერ ნაადრევია მაგაზე ლაპარაკი. ჩემი ასეთი პირდა-

პირობის შემდეგ შესაძლოა, ცოტა დაფრთხეს, მაგრამ მერწმუნე, ის აუცილებლად ეცდება, თავისი მამაკაცური ღირსებები დამანახვოს და მაგრძნობინოს, რომ მასზე შექმნილი ჩემი შთაბეჭდილება მცდარია.

— ანუ?

— ანუ მე მას ახლა ქვეტექსტით ვუთხარი, რომ ეკას „პოხონდრიების“ მორჩილია და მის ჭკუაზე დადის; რომ თავისი პრინციპის შენარჩუნებაში მე დავეხმარე და რომ თვითონ იმდენად სუსტია, სხვისი ჩარევა დასჭირდა. თავმოყვარე მამაკაცები ამას შეურაცხყოფად იღებენ. დარწმუნებული ვარ, დათო სწორედ ასეთ მამაკაცთა რიგს მიეკუთვნება. ჰოდა, ეცდება, ეს ლაქა ჩამოირეცხოს და საპირისპიროში დამარწმუნოს.

— ჰოდა, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც არ აგყვეს თამაშში და საკუთარი პრინციპები დაიცვას.

— ეგ კი იმის მიზეზი გახდება, რომ ჩემი თამაშის წესებით ითამაშოს, რადგან რამდენიმე წუთის წინ ეს თამაში სწორედ მე შევთავაზე. ყველაფერი კი აქედან იწყება. თუ საინტერესო მოთამაშესთან ექნება საქმე, აზარტი თავისას იზამს და ძლიერი გაიმარჯვებს.

ჩვენი მესამე შეხვედრა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა და მხოლოდ მისალმებით შემოიფარგლა. ახლა კი უკვე მისი თანამშრომელი ვარ და აქტიური ბრძოლის ფაზაში შევდივართ, თუმცა, პირველი პერიოდი უფრო მოთელვას დაემსგავსება და ერთმანეთის ძალების შეფასებისა და შორიდან დაზვერვის ფაზა იქნება.

მთელი კვირადღე საკუთარ თავს დავუთმე. მონდომებით ვემზადებოდი პირველი სამუშაო დღისთვის. ახალი ტანისამოსი შევიძინე, ნახევარი დღე სილამაზის სალონში გავატარე და დასაძინებლად ადრიანად დავწექი, რათა დასვენებულს და დამშვიდებულს გამღვიძებოდა.

სხვა თანამშრომლებივით 10 საათზე არ გამოვცხადებულვარ. ვინაიდან პირველი დღე *იყო, ცოტა დავაგვიანე. მივედი* თუ არა, ჯერ კადრების განყოფილებაში შევედი. იქ ჩემი „მისამართი“ მითხრეს, მაგრამ ერთი თანამშრომელი მაინც გამომაყოლეს, კაბინეტამდე რომ მივეყვანე.

კარი გავაღე და დათოს შესახვედრად მოვემზადე. სარკეში თმა გავისწორე, საკუთარი თავი შევათვალიერე და კმაყოფილი ფანჯარასთან მივედი

შუახნის ქალბატონმა ის კარი შეაღო, რომელსაც „იურიდიული განყოფილება“ ეწერა. კარს მიღმა პატარა ოთახი იყო, სადაც მდივანი, ახალგაზრდა ბიჭი იჯდა და კომპიუტერის ეკრანს შეჰყურებდა. ოთახში კიდევ 2 კარი იყო. ერთს „იურიდიული განყოფილების უფროსი“ ეწერა, მეორეს — არანაირი წარწერა არ ჰქონდა. ქალმა პირველი კარი შეაღო და შემიპატიჟა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, რა თანამდებობაზეც ვინიშნებოდი, თითქოს გაოცებული ვიყავი. ოთახი მოვათვალიერე. როგორც ჩანს, ქალმა ჩემი მზერა დაიჭირა.

— თუ გინდათ, ოთახი თქვენი სურვილის მიხედვით მოაწყვეთ, ამაში მიშა დაგეხმარებათ. კარზე აბრასაც შეცვლის და თქვენს სახელსა და გვარს დააწერს. გამოგიგზავნოთ?

— არა, ჯერ ნუ შეწუხდებით, მოვშინაურდები და მერე მოვიფიქრებ, როგორ მოვიქცევი.

— კარგი, მე დაგტოვებთ. წარმატებებს გისურვებთ. თანაშემწეს, წინა ოთახში რომ ზის, ნიკა ჰქვია. კარგი ბავშვია. რაც გინდათ, დაავალეთ. თანამშრომლებს კი ალბათ უფროსი გაგაცნობთ. ნახვამდის, — მითხრა და ოთახიდან გავიდა.

*კარი მაშინვე შიგნიდან გა*დავკეტე, უფროსისთვის განკუთვნილ სკამზე დავჯექი და ჩემი თავი შორიდან წარმოვიდგინე. ეს ჩემი პირველი სამსახური გახლდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ 3 წელს, როცა ადვოკატად ვმუშაობდი. ამხელა ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების უფროსობა ჩემთვის ძალზე საპასუხისმგებლო იყო. გამოსაცდელი ვადა 3 თვე მქონდა და ამ დროის განმავლობაში თავი უნდა გამომეჩინა, რათა თანამდებობა შემენარჩუნებინა. ცოტა შევშინდი, მაგრამ თავი გავიმხნევე. ტელეფონმა დარეკა. მოულოდნელობისგან შევხტი. არ ვიცოდი, უნდა მეპასუხა თუ არა. რომ არ გაჩერდა, ყურმილს გაუბედავად დავწვდი.

— ქალბატონო ანა, ბატონი დავითი გკითხულობთ, ალბათ რამდენიმე წუთში გინახულებთ, — ჩამესმა მამაკაცის ხმა. ალბათ თანაშემწე იყო.

— დიახ, აქ ვარ, — ხმადაბლა ვუპასუხე. თითქოს არ იცოდა, რომ აქ ვიყავი.

კარი გავაღე და დათოს შესახვედრად მოვემზადე. სარკეში თმა გავისწორე, საკუთარი თავი შევათვალიერე და კმაყოფილი ფანჯარასთან მივედი. არ მინდოდა, სავარძელში ვენახე უფროსს.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი გაიღო და დათო გამოჩნდა.

— ანა, შენ? — სახეზე ისეთი გაოცება გამოეხატა, რომ მივხვდი, აქამდე არ იცოდა, ვინ მიიღო სამსახურში. მე კი მეგონა, როცა მამუკამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა დაავალა, მაშინვე განუმარტა, ვის აძლევდა რეკომენდაციას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ზოგი საკნებს ოცოცებს
ფილოსოფიურად,
ზოგი — მაინ ვარ ბანს.

მოლაპარაკე ცოლი და ურნწმუნო შეყვარებული

ანუ როგორ უნდა მოიქცე, როცა ძმაკაცი შეგიყვარდება

ვინაიდან მკითხველთა შეკითხვები ბლომად დაგროვდა, ამჯერად, მხოლოდ მათზე პასუხებით შემოვიფარგლები, მომდევნო ნომერში კი, იესოს საფლავის შესახებ გიამბობთ და ახალ აღმოჩენებსა და მეცნიერულ მტკიცებულებებს გაგაცნობთ.

გრაფი თარხანი

? „არ მინდა ღალატი“

— გამარჯობა, გრაფო, გთხოვ, უპასუხოდ ნუ დამტოვებ. 21 წლის გავხდი და უკვე ორსულად ვარ. არადა, შვილის გაჩენა ჯერ არ მინდა. ვსწავლობ, ვმუშაობ კიდეც და ბავშვისთვის ჯერ არ მცალია. აბორტის ძალიან მეშინია. თანაც, შესაძლოა, მერე შვილი აღარ მეყოლოს. თქვენ რა გამოსავალს ხედავთ ამ სიტუაციიდან?

— ჩემი აზრით, ამაზე ფიქრი ახლა უკვე გვიანია. ადრევე უნდა გეზრუნათ, რომ არ დაორსულებულიყავით. სამწუხაროდ, არ ამბობთ, ქმარი გყავთ თუ არა. თუ გყავთ, მისი აზრი პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოთ. იცით, რომ ბავშვი უკვე გრძნობს, მისი დაბადება რომ არ გინდათ?.. თუ გაჩენას გადაწყვეტთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ინანოთ. ახალი არსების ქვეყნად მოვლინებას სიხარულით უნდა შეხვდეთ. ჩემი რჩევა იქნება, რომ ბავშვი შეინარჩუნოთ. მომავალში კი, ყველაფერი მოგვარდება. ამის უნდა გჯეროდეთ.

? მოლაპარაკე ცოლი

— გამარჯობა, გრაფო. ძალიან მრცხვენია იმის გამო, რაც ახლა უნდა მოგწეროთ, მაგრამ ფსიქოლოგთან პირისპირ შეხვედრის უფრო მერიდება. იმედია, ჩემი ტელეფონის ნომერს არ გასცემთ... საქმე ის გახლავთ, რომ 3 წელია, რაც ცოლი მოვიყვანე. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა. ჩემი ცოლი ჩემთან აღარ წვება და გულახდილად მეუბნება, რომ სხვა მამაკაცი მოსწონს. ახლა მეტყვით, ადექი და გაშორდიო, მაგრამ თან იმასაც მეუბნება, რომ ვუყვარვარ და ჩემი დაკარგვა არ უნდა. ღალატის პატიება არ შემიძლია. სულ გავგიჟდი, როცა შემომთავაზა, რომ ვნებების დასაოკებლად სხვასთან წავსულიყავი. მე ის მიყვარს და შექმნილი ვითარების გამო ძალიან ვიტანჯები.



— თქვენი მეუღლე ძალზე პრაქტიკული ადამიანი ყოფილა და ღალატის შემთხვევისთვის, წინასწარ გარანტიებს ითხოვს... ასეთ ცოლთან ცხოვრება შეუძლებელია. თანაც, ეს ორივეს ჯანმრთელობისთვის საზიანოა. ჩემი რჩევა იქნება, სასწრაფოდ გასცილდეთ მას ან ურჩიოთ, რომ იმავე პრობლემის გამო ფსიქოლოგს მიაკითხოს. იქნებ, ამ შემთხვევაში აზრი შეიცვალოს და ყველაფერს სხვა თვალით შეხედოს.

? მამა-შვილის კონფლიქტი

— გრაფო, ჯერ 17 წლის ვარ და უკვე სიცოცხლე აღარ მინდა. მამაჩემი ვერ მიგებს, სულ ვჩხუბობთ. მესმის, რომ ჩემთვის კარგი უნდა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ საკუთარი ცხოვრება ისე წარვმართო, როგორც მინდა? ის შეყვარებულთან შეხვედრას მიშლის, მე კი ის მამაკაცი ძალიან მიყვარს.

— მოდი, ჯერ სცადეთ დაინტერესდეთ, რა სურს მამათქვენს თქვენგან, კონკრეტულად, რას მოითხოვს? იქნებ, თქვენ და თქვენს შეყვარებულს სხვადასხვა სოციალური სტატუსი გაქვთ ან მისი ცხოვრების წესი არ მოსწონს? იქნებ, დიდი ასაკობრივი სხვაობაა ან ის ცოლიანია? მაშინ, მართალი ყოფილა. უბრალოდ, ცუდად გესმის მისი. ვფიქრობ, რომ მამის მოთხოვნები სამართლიანია და უნდა დაუჯერო.

? აგრესიული შეყვარებული



— გრაფო, საქმე ისაა, რომ ჩემი შეყვარებული ძალიან აგრესიულია და სულ ტყუილუბრალოდ, შეუძლია, შეურაცხყოფა მომაყენოს. უკვე ყველაფერი მომბეზრდა, მაგრამ ვერ ვშორდები.

— რას ჰქვია, ვერ შორდები? ამას ფსიქოლოგიაში, „დამოკიდებულება" ჰქვია და სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემად მიიჩნევა. თუ ბედის შეცვლას მოიწადინებ, აუცილებლად შეცვლი. თუმცა, ამას ფსიქოლოგის დახმარებით უფრო იოლად გაუმკლავდები.

? „ძმაკაცი შემიყვარდა"...

— გრაფო, საკუთარი ძმაკაცი შემიყვარდა, რომელთან ერთადაც, მთელი ბავშვობა მაქვს გატარებული. ლამაზი გოგონა ვარ, მაგრამ ის ჩემ მიმართ გულგრილია და დად აღმიქვამს. ძალიან ვიტანჯები.

— ნუ ნერვიულობ, საშიში არაფერია. ჩვენ ხომ იმისთვის დავიბადეთ, რომ გვიყვარდეს და ვუყვარდეთ! უბრალოდ, შთამომავლობის გასამრავლებლად ვირჩევთ ერთ-ერთს. აგრძნობინე, რომ გიყვარს. რადგან ერთად გაიზარდეთ, ალბათ კარგად იცნობ და კარგი ადამიანი რომაა, იმიტომაც შეგიყვარდა. შესაძლოა, მასაც უყვარხარ, მაგრამ თქმას ვერ გიბედავს. იმოქმედე პრინციპით — დაუჟეჟილს გატეხილი სჯობია და პირველი ნაბიჯი თამამად გადადგი.

? მწარე გამოცდილება

— მამაკაცი, რომელიც მიყვარს, ცოლს გაცილებულია. პირველმა ქორწინებამ არ გაუმართლა. როგორც ის ამბობს, თურმე, სწორედ ამის შემდეგ აღარ სჯერა სიყვარულის და მხოლოდ იმ შემთხვევაში იმეგობრებს ქალთან, თუ მასთან თავს კომფორტულად იგრძნობს. სიყვარულს მხოლოდ ტანჯვა მოაქვსო, — ამბობს. როგორც გამიმხილა, თურმე მოვწონვარ. მაინტერესებს, აქვს თუ არა მომავალი ჩვენს ურთიერთობას?

— თქვენს საყვარელ მამაკაცს ცუდი გამოცდილება მიუღია, რომელმაც მას დაკარგული გრძნობის, ნდობისა და შიშის სახით, სულზე იარა დააჩნია. ადრინდელი ურთიერთობა მასზე ჯერ კიდევ გავლენას ახდენს. რაც უფრო ახლობლები არიან ადამიანები, მით მეტად სტკივათ მიყენებული ჭრილობა. გირჩევთ, მიიღოთ ის ისეთი, როგორიც არის. ნუ დააძალებთ ოჯახის შექმნას, რადგან შიში ჯერ კიდევ არ განელებია. რამდენიმე ხნის შემდეგ მას შესაძლოა, ისე ძლიერ შეუყვარდეთ, რომ წარსული აღარც კი გაახსენდეს.

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს"-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.

მძღოლი ქალის ცოლები

ქალი საჭესათნ უკვე დიდი ხანია, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამბობენ ქალი უკანა ხედვის სარკეში მხოლოდ იმისთვის იხედება, წამწამებზე – ტუში და ტუჩებზე პომადა რომ დაიმატოსო. მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ბოლო დროის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქალები გაცილებით ფრთხილი მძღოლები ყოფილან. მათი დაყოფა სოციალური მდგომარეობისა და გზებზე ქცევის წესების მიხედვით ვცადოთ.

გრაფი თარხანი

ბიზნესლედი

დღესდღეობით, ქალაქის ქუჩებში ბევრ ისეთ ქალ მძღოლს შეხვდები, რომელიც ყველაზე გამოჩენილ „ავტომაჩოსაც“ კი დააკომპლექსებს და თავს დამწყებ მძღოლად აგრძნობინებს. ასეთი ქალების უმეტესობა ძვირად ღირებულ ავტომობილს მართავს, რაღაც თანამდებობა უკავია ან საკუთარი საქმე აქვს. ქართულ სივრცეში ბიზნესის გაძღოლა არცთუ ისე იოლია, ხშირად გადაწყვეტილებების ელვისებურად მიღება ხდება საჭირო. ამან კი ქალ მძღოლებს ოსტატობა შესძინა და ავტომობილის მართვაში დაახელოვნა. ასეთი ქალი, მამაკაცებს ყოველთვის ზემოდან უყურებს. მისი დადებითი თვისება ის გახლავთ, რომ ტრასის „წაკითხვა“ და საავარიო სიტუაციების პროგნოზირება შეუძლია. გზაზე მოძრაობის წესებს ყოველთვის იცავს. საგზაო ფლირტის მიმართ გულგრილია, რადგან ასეთი სისულელეებისთვის დრო არ რჩება. შუქნიშანთან გაჩერებულ ბიზნესლედის თვალს ნუ ჩაუპაჭუნებთ, ამაზე რეაქციას შუქნიშნისგან უფრო უნდა ელოდე, ვიდრე მისგან. ის მხოლოდ D და E კლასის მანქანას მართავს და ყოველთვის ზუსტად იცის, რა უნდა.

ახალბედა

ახალბედა ქალი მძღოლი ზოგ მამაკაცს აღიზიანებს, ზოგიერთს კი — ღიმილს ჰგვრის. მას შეუძლია, თვალით განიშნოს, რომ უნდა გაატარო. შენ კი ამ დროს თავს რაინდად გრძნობ, რადგან ქალს საცობიდან გასვლაში ეხმარები. მას, როგორც წესი, ცხოვრებასთან ბრძოლა არ უწევს, რადგან ავტომობილი, რომლის საჭესაც უზის, არცთუ ისე ძვირად ღირებულია და მის შენახვას საშუალო ხელფასიც ეყოფა. ის ცხოვრებისგან უბრალოდ, სიამოვნებას იღებს. სწორედ ამიტომაა, რომ ის წლების განმავლობაში ახალბედა მძღოლად რჩება და მოძრაობის წესებს ბოლომდე ვერ ეუფლება. ასეთი ქალი, უმეტესწილად, მომხიბვლელი გარეგნობისაა. ის საგზაო ფლირტშიც იოლად აგყვება და შენთან კეკლუცობით გართული, მანამ ვერ შეამჩნევს, რომ დიდი ხანია, „მწვანე“ აინთო, ვიდრე უკან მდგომი ავტომობილების მძღოლები საგანგაშო სიგნალს არ ატეხენ.

დიასახლისი

ის ისეთი შეუმჩნეველია, რომ ქალადაც კი არავინ აღიქვამს. არასოდეს არღვევს საგზაო წესებს და მოძრაობის დროს, არც არავის უშლის ხელს. ყოველთვის შეგიძლია მისი მოქმედების პროგნოზირება. მოსახვევთან, მოხვევის ნიშნის ჩართვა არ ავიწყდება, ოღონდ შესაძლოა, უცებ დაამუხრუჭოს, თუკი მოშორებით, ფეხით მიმავალ ადამიანს დაინახავს.

ავტობარბი

ბუნჩულა ტუჩები, პაწია ცხვირი, გრძელი ფეხები... ასეთია ავტობარბის პორტრეტი. ერთ ხელში მობილური უჭირავს, მეორეში — სიგარეტი. უცნაურია, რით უჭირავს საჭე? თან, ამ დროს, ისეთი სისწრაფით მიქრის, თითქოს სილამაზის კონკურსზე აგვიანდება. ასეთი ქალი მძღოლის ყველა მამაკაცს ეშინია, რადგან უკან არაფერზე იხევს და თუ მანქანას დაამტვრევს, მამიკო ახალს უყიდის. საკუთარი თავის გამო კი არ ღელავს, რადგან ვერ აცნობიერებს, რა სერიოზული საფრთხე შეიძლება დაემუქროს. თუ ასეთი მძღოლი დაგეჯახა, არ ინერვიულო, პატრული კი არა, ავტობარბის მამიკოს დაცვის თანამშრომლები მოვლენ და ყველაფერში დაგეხმარებიან.

ტაქსის მძღოლი

პირველად მამამ საჭესთან 5 წლის ასაკში დასვა. 10 წლისა, მამის მანქანის კარბურატორში იქექებოდა, რომელიც 15 წლის ასაკში მამისგან საჩუქრად მიიღო. ასეთი გოგონებისგან შესანიშნავი ტაქსის მძღოლები გამოდიან. კარგად ერკვევა მოძრაობის წესებში, მაგრამ ხშირად არღვევს მათ. ნამდვილი შუმახერია და ქარივით დაქრის. თუ მის გასწრებას შეეცდები, აუცილებლად გაიფიქრებ: „რისთვის გადავიხადე ავტომანქანაში 20 ათასი დოლარი, თუ ამ ქალის დანგრეულ ჯაბახანას ვერ გაუვსწრებ?“ ●

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ჯრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის ფავორიტი ქალბატონი მე-13 მესიჯის ავტორია, 36 ხმით. მეორე ადგილზეა მე-19 ნომერი, – 24 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე – პირველი მესიჯის ავტორი, 17 ხმით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 39-ე მესიჯის ავტორმა დაიმსახურა, 25 ხმით. მეორე ადგილზე 22-ე მესიჯის ავტორია, 18 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე, მე-17 მესიჯის ავტორი, 11 ხმით.

ქალები



1. ვეძებ ფულიან, მანქანიან, ბინიან, დასაქმებულ, უცოლო მამაკაცს, 35 წლამდე. ვარ 20 წლის, ძალიან ლამაზი გოგო. ვსწავლობ უნივერსიტეტში. კიკინო.

2. საშინლად დავიღალე მარტო ცხოვრებით და უკვე მეშინია, მთელი ცხოვრება მარტო არ დავრჩე. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-45 წლის მამაკაცს.

3. ვარ 32 წლის, ვეძებ ოჯახის შექმნის მიზნით, 37 წლამდე ასაკის მამაკაცს. თუ სერიოზულად ფიქრობთ, გთხოვთ დამირეკოთ, თუ არა და, ნუ შეწუხდებით.

4. კარგ გოგოს უნდა გაიცნოს ოჯახის შექმნის მიზნით ჭკვიანი და სამსახურიანი ბიჭი. ცანცარებმა თავი არ შეიწუხოთ.

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ და დასაქმებულ მამაკაცს. სასურველია, ცხოვრობდეს თბილისში. დანარჩენი — პირადად. გასართობად ნუ გამომეხმაურებით.

6. ვარ 35 წლის, მაღალი, ქერა, სიმპათიური, დასაოჯახებელი, მედიცინის მუშაკი. დასაქმების მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, სერიოზული ადამიანი, ნორმალური ანაზღაურებით. ინგა.

7. სამეგობროდ გავიცნობ სერიოზულ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს, 35-წლამდე.

8. მხოლოდ სამესიჯოდ ვეძებ მამაკაცს. უცოლოს, ერუდირებულს და ერთგულს. ასე რომ, ვინც ამ პირობას აკმაყოფილებს, მხოლოდ მან დაამესიჯოს. მხოლოდ სამესიჯოდ!

9. ვარ 34 წლის, პატიოსანი და სუფთა წარსულის მქონე. მოხარული ვიქნები, სიყვარულით შევქმნა ოჯახი. გავიცნობდი ნორმალურ და სერიოზულ ადამიანს, 36-დან 44 წლამდე.

10. ვარ 29 წლის, სასიამოვნო გარეგნობის. გავიცნობ 37 წლამდე ასაკის მამაკაცს. რა თქმა უნდა, დასაქმებულს და აუცილებლად, თბილისელს. მეც თბილისში ვცხოვრობ. ოღონდ — სერიოზულად.

11. ვარ 39 წლის, გასათხოვარი. მაქვს კარგი სამსახური, ბინა. ვცხოვრობ დასავლეთ საქართველოში. მინდა გავიცნო მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით, 47 წლამდე ასაკის მამაკაცი.

12. ვარ 72 წლის, მოხუცებული, უკბილო ქალი. თვალში სინათლეც მაკლია, მაგრამ ეგ არაფერი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 32-36 წლის მამაკაცს.

13. ვარ ქართველი, 38 წლის, გასათხოვარი, ლამაზი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზი სულის მქონე ქართველ მამაკაცს, 45 წლამდე, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილს, თბილისელს.

14. ვარ 38 წლის, ცისფერთვალება, ქერათმიანი, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი. მსურს გავიცნო ასეთივე, ქუთაისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი, სამეგობროდ.

15. გავიცნობ არანაგლ, არაეჭვიან, არალოთ, არანარკომან, უბრალოდ, ჯანმრთელ მამაკაცს. ჯანმრთელი.

16. გამომეხმაურეთ სულით ლამაზი მამაკაცი, 33-40 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით.

17. ვარ გაუთხოვარი, 39/170/70, თბილი, ერთგული, ყურადღებიანი, დასაქმებული, საიმედო დასყრდენი მეგობარი. მინდა შევქმნა ბედნიერი ოჯახი, შესაბამისი მონაცემების მამაკაცთან.

18. ვარ 23 წლის, ქერათმიანი, სიმპათიური გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით სიამოვნებით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ, სამსახურით უზრუნველყოფილ, თბილ, ერუ-

დირებულ, თბილისელ მამაკაცს.

19. არ გინდათ, გამილამაზოთ ცხოვრება? გამომეხმაურეთ, 35-45 წლამდე მამაკაცი, ყველაფრით უზრუნველყოფილი.

20. გავიცნობდი „გზის“ მე-12 ნომერში დაბეჭდილ, 31-ე მესიჯის ავტორს. მისი ასაკი არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები. ნუცა.

21. მყავს 35 წლის მეგობარი, საკმაოდ განათლებული და საყვარელი ადამიანი. მინდა, ბედნიერი იყოს. გთხოვთ, გამოეხმაუროთ 35-40 წლის, სერიოზული მამაკაცი.

22. ვარ 38 წლის ქვრივი, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. გამომეხმაუროს 38-45 წლის მამაკაცი, რომელიც მაჩუქებს დიდ სიყვარულს. არასეროზულებმა თავი შეიკავეთ.

23. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №11, მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.

24. ვარ 40 წლის, ქართველი მამაკაცი. გავიცნობ 28-35 წლის, ქართველ ქალს. რომელსაც არ უნდა, მარტო დარჩეს და უნდა, ბედნიერი იყოს.

25. თუ შეიძლება, 13 მარტის ნომერში, მე-11 მესიჯის ნომერი მომეცით.

26. გთხოვთ გამომიგზავნოთ მე-10 ნომრის ტელეფონის ნომერი.

27. ვარ 29 წლის, სიმპათიური მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ კარგი გარეგნობის, ლამაზ გოგონას, დასავლეთიდან.

28. სიამოვნებით გავიცნობდი პუტკუნა ნანკას, თუ მართლა სერიოზული და პატიოსანი გოგოა. შიო.

29. მოგესალმებით თბილი სურვილებით. ვარ 47/77/186, ოჯახს გაცილებული ომის გარეშე და ბინის გარეშე. თბილი და ყურადღებიანი, თბილისელი მამაკაცი. დასაქმებული.

30. გთხოვთ, დაამესიჯოთ გარეგნულად ლამაზებმა და განათლებულებმა. მყავს ძმაკაცი, უმაღლესი განათლებით დასაქმებული. არის მატერიალურად უზრუნველყოფილი, ძალიან სიმპათიური.

31. ფარული, ჩუმი შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, 40 წლამდე ასაკის ქალბატონს. გპირდებით უდიდეს ხორციელ სიამოვნებას. დამიმესიჯეთ მხოლოდ რეალურმა მსურველმა. ლაშა, 28 წლის.

32. გავიცნობ თბილისელ, 45 წლამდე ასაკის ქალბატონს, ფარული, ინტიმური შეხვედრებისთვის. დაუვიწყარ, ვნებით სავსე წუთებს გპირდებით! დამიმესიჯეთ! ნიკუშა29.

33. გამომეხმაუროს ქალბატონი, 45 წლამდე. მხოლოდ, არა — ოჯახის შექმნის მიზნით. გპირდებით ნამდვილ სიყვარულს. მსუქნებმა, დაბლებმა და უსაქმურებმა თავი შეიკავეთ.

34. ვარ 34 წლის. დიდი სურვილი მაქვს, შევქმნა ლამაზი, თბილი, კეთილი ოჯახი. გავიცნობ სერიოზულ გოგოს, ჯერ სამეგობროდ, მერე კი მომავალი გვიჩვენებს. მარტვილი.

35. ვარ 25 წლის, სიმპათიური, სერიოზული და ყურადღებიანი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობდი 25-30 წლის, თბილ და ყურადღებიან, სიმპათიურ ქალბატონს. დამიმესიჯეთ.

36. პრივეტ! მინდა გავიცნო ლამაზი გოგო, ლამაზი ურთიერთობისთვის. კარგი იქნება, თუ ათენში იქნება.

37. გავიცნობ 22-25 წლის გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ ცოლს გაცილებული, არ ვარ მდიდარი, არც თბილისელი, მაგრამ ამჟამად თბილისში ვარ. ლევანი.

38. ვარ 24/179/68, მამაკაცი. ვარ დასაქმებული. დაოჯახების მიზნით გავიცნობდი ჩემს ტოლ გოგოს. ვარ რუსთაველი და მქვია გიორგი. ველი ძვირფასო, შენს მესიჯს და ზარს.

39. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №12, მე-15 გზავნილის ავტორთან.

40. ვარ 49 წლის, ძალიან სიმპათიური მამაკაცი. მარტოდმარტო დავიღალე, ყველაფრით. მსურს თბილი და სულიერად ლამაზი, მარტო მცხოვრები საქალბატონეს გაცნობა. აბა, დავაი!

41. ვარ 39 წლის, დაოჯახებული, თბილისელი მამაკაცი. ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ შესაბამის მდგომარეობაში მყოფ, თბილისელ ქალბატონს.

42. მომაწოდეთ „გზა“ №12, მე-14 მესიჯის ავტორი ქალბატონის ნომერი.

43. „გზა“ №12, მე-9 მესიჯის ავტორი ქალბატონის ნომერი მინდა.

44. ვარ 34/197/82, დასაოჯახებელი მამაკაცი. ვცხოვრობ მარტო. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს პატიოსანი, დასაქმებული, 25-35 წლის ქალბატონი.

45. ვარ 25 წლის, თბილი, ყურადღებიანი, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 25-45 წლის მანდილოსანს, სამეგობროდ. მაიორი.

46. მე ჩემს დარდებს სულ არაფრად არ ჩავაგდებ, ოღონდ შენ ნუ გამწირავ და მითანაგრძნე. ვისაც თანაგრძნობა, სიყვარული და მოფერება შეუძლია, გამომეხმაურეთ.

47. გამარჯობა. თუ შეიძლება, დამაკავშირეთ მე-16 მესიჯის ავტორთან ან მომეცით მისი ნომერი.



48. ვეძებ ფოთელ გიორგი თოდუას, დაბადებულს 1981 წლის მარტში. ამჟამად უნდა იყოს ინგლისში. თუ ვინმე მისი ახლობელი წაიკითხავს ამ მესიჯს, გთხოვთ, გამომეხმაუროთ. სოფო.

49. ვეძებ თბილისში მცხოვრებ მარლენ აბულაძეს. ერთად ვმსახურობდით ჯარში, ჩიტაში. მერე — მონღოლეთში, 1989-91-ში. მე ვარ ზაზა ჯალაღონია, აბაშიდან. გმადლობთ.

50. ვეძებ ქუთაისელ გაგა ტყეშელაშვილს, 27-28 წლის არის, დედისერთა. თუ იცით მის შესახებ რამე, „გზის“ საშუალებით დამიკავშირდით. მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე.



• ლიმონა-მანიუს მინდა ვკითხო: ამ ზაფხულს ნიკორწმინდაში ხომ არ ისვენებდა, ცოტა ხნით მაინც? მაგრად მეცნობა და... თუ შევცდი, „იზვინი“, რა. აბსურდა.

• ძველების საყურადღებოდ! არ გინდათ, დავბრუნდეთ „მობილი-ზაციაში“ და გავხადოთ იქაურობა ისეთივე კარგი და მხიარული, როგორც მანამდე იყო? აბა, დაფიქრდით. მგონი კარგი აზრია, არა, ლეო? :) p.s. ლიმონ-ჩიკა, სიცოცხლე გოგო ხააარ! ნიკოლი.

• ხალხებო, მომენატრეთ მაგრად. როგორ ვქრები ხოლმე, გასამართლების ღირსი ვარ, ნამდვილად. მაგრად მინდა თქვენი ნახვა. ნეტავ, თქვენ? მარი, კოცნები ჩემგან. მეჩე.

• გრანდიოზული სიზარმაცის ვირუსი შემეყარა და მესიჯის წერაც ამიტომ მეზარება. არადა, მოსაწერიც მაქვს, სურვილიც, მაგრამ მეზარება. ჰო, პარიჟანკას გამოჩენა ძალიან გამიხარდა. კიდევ? ჰო, ყველა მიყვარხართ და გკოცნით! :) ფინტიკოზა.

• როგორ ხართ, სიხარულებო? დავიკარგე, 2 კვირაა, „გზა“ არ წამიკითხავს. მოკითხვა ყველას. გაკოცეთ ბევრი. :-) ბოტოტა17.

• გამარჯობა მარიამ, როგორ ხარ? ერთი „სკრომნი“ თხოვნა მაქვს: ამ მესიჯს აღირსე ჟურნალში მოხვედრა. მეტს მართლა აღარ გთხოვ, რადგან „გზის“ გამოსვლის დღეს ან პარასკევს საქართველოდან მივფრინავ. ბილეთი დღეს უნდა შევიძინო. ძალიან მომენატრება „გზავნილები“ და ხუთშაბათი „გზის“ გარეშე აუტანელი იქნება. არ მიცნობს, მაგრამ მოვიკითხავ პარიჟანკას. ძალიან, ძალიან მომენატრება საქართველო, მშობლები, მეგობრები... არ დამივიწყოთ, მხოლოდ ამას გთხოვთ... გკოცნით ყველას. ფრანცუზი...

• „მარი, ქალი — დაფეთება, როგორ ხარ? აუ, ძაან მაგარი ხარ, მართლა, მართლა, მართლა! მე და ლანკა სულ ვჭორიკანიზატორობთ. იცი, ლანამ შენზე თქვა, ჩვენებური ანუ ჯექერია გოგოაო. მპაჰ! მგელო.

• მარი, ძაან გამახარე, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდე. ჩემი გახარებისთვის გაიხარე! გუ-ათენი.

• აუ, ერთი კვირით ჩამსვა საქართველოში! ხონელებო, რავა ხართ? გუ-ათენი.

• ქართველებო, როგორ ხართ, ათენში? რატომ არ გინდათ ერთმანეთის გაცნობა? ბოტოტა17.

• ლიმონა-მანიუს სურათი დაიბეჭდა. იცი, მე და შენ ერთმანეთს ჩამოვგავართ. შემეხმიანე, რა. ბოტოტა17.

• ჩემი კაცი მენატრება, რომელიც 2 თვეა, საქართველოშია. როდის მოვა აპრილი, რომ ჩამოხვიდე? მიშ, მიყვარხარ და მენატრები. ბოტოტა17.

• ეჰ, ვის ესმის ჩვენი, ათენიდან? აპა, სად გავაგონო მარის ხმა? ემიგრანტებო, მიყვარხართ და გაძლება მოგვცეს, ღმერთმა. იცით, აქ უკვე ნახევარი საქართველოა, ხალხო. ქართულად უწმაწური სიტყვა ვეღარ მითქვამს, სულ ქართველები არიან. ვარდენა.

• გერასიმე, მე სალონიკში ვცხოვრობ. გავიცნოთ, მეგობრულად ერთმანეთი? მითხარი, თბილისში მოდიხარ, სააღდგომოდ? პირობითად „ჯ“-ს დავირქმევ. შემეხმიანე, გელოდები. საქართველოვ, 1 თვეში განახავ!

• მარი, როგორ ხარ? მაგრად მომენატრეთ. სიზმარში ვნახე, ვითომ ჟურნალი „გზა“ დაიკარგა და შენც არსად ჩანდი. მე, ნიკოლი, დუჩი, მაესტრო და ვიღაც უცნობი მგზავნელი გამწარებულები გეძებდით. ბოლოს, ვიპოვეთ „გზა“, ომის მონაწილეთა ნეკროლოგებით. იმდენი ვიტირე... თან მგზავნელები ისეთი კარგები იყვნენ, ერთ მუშტად ვიყავით შეკრული. როგორც გავიგღვიძე, „გზას“ ვეცი იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს საშინელი კოშმარი იყო და რომ შენ სულ ჩვენთან იქნები. :) ამალთეა.

• მინდა იმ მგზავნელს გამოვეხმაურო, რომელიც კობას ეძებს. ვინ კობას ეძებ, ყრუ? მაგრად მაინტერესებს. კობრა.

• ქალი? ქალს ნუ მიენდობი, ქალი ქალია, ქალი ქარია, ქალი მარტია, ქალი წვიმაა, ცვალებადია, ქალი მზეა და ქალი მთვარეა, ციური ვარსკვლავია, ღრუბელი, ნისლია, უცხო პლანეტაა, ქალი აპრილია, პირველი აპრილია! ქალის ნათქვამი ბევრი ტყუილია, ქალი გიშერია, ძოწია, ალმასია, იგი მაცდურია, მაგრამ ლამაზია, ქალი ღვინოა, თავბრუდამხვევია, კაცის წყურვილია, გონის ამრევია, ქალი რა არის? ბედის ირონია, ფანტასტიკურია, ეგზოტიკურია, ამოუცნობია, ნახატი, რითმია, ქალი ქმნილებაა... ეძღვნება ყველა ქალს. ათენი-23.

• უკარებავ, თუ გინდა, გავიცნოთ ერთმანეთი, მე თანახმა ვარ. სად და როდის? მე ათენში ვცხოვრობ. ათენი-23.

• ეს ხალხი მართლა სულელია თუ თავს სპეციალურად ისულელებენ, ვითომ საკალელები არიაან? ცოტა აზრზე მოდით, რაა!

• ილინ, ნელკა და საერთოდ ყველას ბოდიშს გიხდით, რომ ვერ გიპასუხეთ მესიჯებზე. დავბრუნდები მალე. :) ყველანი ძალიან მიყვარხართ. ცელუიუ, :) ზმიზმი.

• სალამი, გამარჯვება და მადლობა, „მობილიზაციას“. ახლა, 2008 წლის 17 მარტს, საღამოს, „გზის“ ფურცლებზე ჩემი მესიჯი ვნახე. იცით, როგორი შეგრძნებაა? ენით ვერ აღვწერ. გმადლობთ. გურუ.

• ისმინა „მობილიზაციამ“ ჩემი თხოვნა. კართან ვიდექი და შემომიშვეს. რა მაგრები ხართ, გაიხარეთ!



ზოლაში ამაყი ეჩინგელია.
თუ ჭანტოში ამ ამოაცყი,
ამ ეეჩინდება.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ კამელია და კანიბალკა მაგრები არიან.

• enkey, მიღებული ხარ, რა თქმა უნდა. ashley pcd, გაგეცნობი. გენაცვალეთ, ყველანი კარგები ხართ და ძალიან მიყვარხართ. ჩორი-ჩორი.

• გმადლობთ, non nocere, მაგრამ სადღაა ჩემთან ინტერნეტი? გაიხარე, ჯიგარი ხარ. მის კაპასა.

• ჰო, იმედია, მოგვილოცავთ მარტში დაბადებულებს. თქვენი იმედი გვაქვს. :) აუ, რა კარგი ამინდებია, გარეთ საბოდიალოდ, მაგრამ რად გინდა? მე ვმუშაობ და... ეჰ, ესაა საქმე? :) სალუკა.

• მინდა, თამოს გამოვეხმაურო. თამ, თანაგიგრძნობ და ზურასთან ერთად ბედნიერებას გისურვებ. თამ, არავის დაუგდო ყური, რაც გინდა, ის დაწერე. მილანკა.

• მეგობრობა უკვდავების წყალია, თუ შემთხვევით ბოროტმა არ დალია. ვეხმაურები ყველა კარგ ადამიანს. ქუთაისიდან, ირმა.

• დაო, შენი თამადობით ყველა იმ გოგოს გაუმარჯოს „პივით“, რომელიც ბიჭთან პაემანზე წასვლისას ყველა მისი ოჯახის წევრს საჩუქარს უძღვნის. ბიჭი კი ფაფულა! შენ კი დღესაც ელი.

• პრივეტები, როგორ ხართ? მე ბოლოს და ბოლოს დავითრიე მამაჩემის „ჯეოსელი“. ყველანი ძალიან მიყვარხართ, იმის მიუხედავად, რომ არც ერთს არ გიცნობთ. გკოცნით.

• არავის გამო ნიკს არ ვთმობ. ჰოდა, მინდა, გრუზინკებმა გამიგონ. მე „დედიკოს ბიჭის“ ავტორი ვარ და ყოფილი უგულო. კლინიკური სიკვდილიდან გამოვედი. მოკითხვა.

• პრივეტ, მარიშ, გმადლობთ ყველა იმ მესიჯისთვის, რომლებმაც „გზის“ ფურცლები განვლეს და უამრავი სიხარული მომანიჭეს. დეეპ ჰეართ.

• ყველას, ყველას! შეხვედრას თუ გეგმავთ, იქნებ გამახაროთ და მეც შემეხმიანოთ? თქვენი გაცნობა მსურს, „ვიზუალში“. deep heart.

• „თუ გინდ დამშანთე ორივე თვალი, მე მაინც გნახავ. თუ გინდ მომკვეთე ეს ტკბილი ენა, მე მაინც გეტყვი. თუნდაც დამაძრო ორივე ფეხი, მე მაინც მოვალ, გეტყვი მიყვარხარ, მე შენს ხატებას სულში ვინახავ... კიდევ კარგი, „სხვა არაფერზე“ მიგიწვდა ხელი. deep heart.

• ჩემი ოჯახი ძალიან მიყვარს! თქვენი ათინათი.

• ჰოდაა, გრუზინკა, მინდა შენს კლუბში. :-) ვასასი.

• ვაიმე, მოკლე ჩართვაში კაკუ გამოჩნდაა! ვერმახტ, მართლა ასე ფიქრობ? სულაც არ ვართ სუსტები. :-) ბაო, რატომ დაიკარგნენ, მერე? ამაზონკას გამოცანაზე ვპიქრობ. 9122.

• მის რეალ, ზიზუ, ლევა მადრიდ, ashley, არ იდარდოთ, რას ვიზამთ? ბურთი მრგვალია! ეს წელი „მანჩესტერისაა“! ყოველ შემთხვევაში, ასე მინდა, რომ იყოს. გენაცვალეთ, ყველას. 9122.

• ჰოოდა, იმას გეუბნებოდით, ახალი ვარ-მეთქი, პაცან შენ ჩათბოქსზეც ამესიჯებ? აი, სათვალით და კეპით რომ იჩითები, ის ხარ? ემიგრანტებს მოვიკითხავ. dancer.

• ჰოოოდა, მარიკუნა, მესიჯების შეხვილიპებებს არ ვართ! მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. გრუზინკა, green girl, მაგრები ხართ. ქაჯან, მოგიკითხაااااავ. დანცერ.

• აუ, ბაო, შენი მესიჯის წაკითხვის მერე, ცოტა არ იყოს, დავიგრუზე. არ შეიძლება, ჩვენც ვიყოთ და თქვენც? პენსიონერი მგონი ბიჭია, არა? ამაზონკა, გენაცვალეეე! 9122.

• პრივეტ, ბანძო ბერძნებო, გამოგექეცით, მაგრამ დღეს მაინც მოვდივარ. ქართველებო, რა ხდება ათენში? არის გართობა? ისევ მოვდივარ. გიგა. მარი, მენატრები და მალე გნახავ.

• სევდიანი მესიჯის ავტორო (ცუდო გოგო), გთხოვ, დამიმესიჯე. სანი პლანტი.

• კი, შე გიჟო, გიცანი, აბა არა? ჩემი გადარეული ხარ! ახლა უკვე მარტოხელა დედა ვარ. მიმატოვა, შენმა მამიკომ. :) პუპსიკ, გილოცაავ! ილინ, გააიხარე. :) ბაო-ბაო.

• როგორც დღესა, მზისა სხივი, შვენის ღამეს ვარსკვლავები, ისე შვენის „გზისა“ ფურცლებს, მარიკუნას „გზავნილები“. აუ, ჩუქჩას ნანა ჰქვია, ხომ? მაინტერესებს. ლუნა.

• სესი, მე 11 მარტს მაქვს დაბადების დღე. enkey, მეც გამეცანი, სიხარულო, რაა! :) რაღაც, მოვიწყინე. ნეტავ რატომ? :(თამო, შენკენ ვარ. ashley pcd.

• ღამეა, ირგვლივ სიჩუმე მეფობს, ცამ რა ხანია, თვალი დახუჭა და მეც რაღაცა ციურმა ძალამ, ერთი სიზმარი თქვენზე მაჩუქა. ნონ სტოპ.

• ამაზონკა, მივხვდი, ასო „წ“, ხომ სწორია? თამო, შენ გვერდით ვარ, გენაცვალე, ყველა პატიმარს მოკითხვა, განსაკუთრებით, დათო შაფათავას. 9122.

• ამაზონკა, გამოცანაზე პასუხია — ასო-ბგერა „წ“. როგორ ხართ? სულ დამივიწყეთ. ჩორი-ჩორი, გამიხარდა შენი გაცნობა, ქალუკ. მოგიკითხავთ ყველას, დიდი სიყვარულით.

• მეგრელო მგელო, მოგიკითხავ. ილინი და სესი, ძალიან ლამაზები ყოფილხართ, ძვირფასებო. მოგიკითხავთ ყველას, განსაკუთრებით — მარის. მარი, მაგრად მიყვარხარ. მაზოხისტკა.

• პრივეტ, მგზავნელებო, როგორ ხართ? დაგიბრუნდათ თქვენი ჯონი დეპი. მაგარი ბედნიერი კაცი ვარ, ჩემი სიკალულები მიყვარს. ყველას წარმატებებს გისურვებთ. ჯონი დეპი.

• მე მოგონებას იცი, როდის გთხოვთ? როცა საფლავში ღრმად მეძინება და ჩემს საფლავზე საბნის მაგივრად, მწვანე ბალახი აბიბინდება. ირმა091.

• მაესტრო21, მე არ ვიყავი, შენს სიზმარში? გაიხარე, კარგი ხარ! ჰოდა, იცით, რა მაინტერესებს? თქვენი სახელები. არ მეტყვით? :-) მეც გეტყვით, მერე. ბაო-ბაო.

• იცით, რაღაც უზომოდ მინდა, მყავდეს მეგობრები, თან ისეთი მაგრები, თქვენ რომ ხართ. რამდენი ხანია, ამ ჟურნალს ვკითხულობ, მაგრამ ვერ ვამესიჯებ.

• გიო მგალობლიშვილო, ჩემო ცხოვრების აზრო, მე უშენობამ სულ შემცვალა. მენატრება, ჩვენი ერთად გატარებული დღეები, შენი მოფერება და ღიმილი. მეუღლე გაღმერთებს. მაკა.

• კობა, მე შენ ადამიანი მეგონე. ახლა მივხვდი, არაკაცი და ნაძირალა ხარ. მეცოდები, გესმის, მეცოდები! გამოჩნდი, რომ შენი ნამდვილი სახე დაგანახვო.

• მოგესალმებით ყველას, როგორ ხართ, ჩემო კარგო ხალხო? ამაზონკას გამოცანას მინდა პასუხი გავცე. ეს არის ასო „წ“. ყველანი მაგრები ხართ. მარი, ძალიან კარგი ხარ.

• კახუჩა, ძალიან გვივარხარ და გვენატრები! შენი ოჯახი შენს გვერდითაა, მთავარია, შენ იყო კარგად და ყველაფერი მოგვარდება.

• ამაზონკა, კურიოზულია, მაგრამ ესაა ასო „წ“. იმედია, დამეთანხმები და შენი ვერსია არ გაქვს. გრუზინკა.

• გამარჯობა, მარი. თქვენი წყალობით გავიცანი გელა, რომელიც ახლა უზომოდ მიყვარს. ჩემს ცხოვრებას აზრი დაუბრუნა ამ გრძნობამ. მიყვარხარ, გელა! ნატა.

• რატომ მიმატოვე, გიო? არადა, გელოდი. გეთქვა მაინც, რამე. იმედი მაქვს, რომ ცუდად არასდროს გაგახსენდები. ნეტავ, რა ჩაუთქვი, იმ სანთლებს? დაბადების წელი —1992, თვე, რიცხვი — 13 მაისი. სახელი — მაკა. მეტსახელი — პრინცესა. ეშინია — ადამიანების დაკარგვის. თმა — ქერა, თვალები — თაფლისფერი. აღარ გახსოვარ, გიო? ბოლოს რომ გნახე, თოვლი იყო. შენ მეუბნებოდი, არასდროს მიგატოვებო. მერე წახვედი... დრო გავიდა. შენ დაბრუნდი, მაგრამ სხვასთან. რატო დატოვე პრინცესა, გიო? უშენობა გამიჭირდა. გული დამწყდა და სულს მიხუთავს სიმარტოვე. შენ ხომ ღრუბლებამდე გიყვარდი. ახლა სხვას დამალავ ყელში? არ გიყვარს გიო, პრინცესა?



ვალენტინა

• ჩვენს პატარებს, თოკო და ვახო ამბროლაძეებს გვინდა შორიდან ვუთხრათ, რომ ძალიან, ძალიან გვენატრება. გკოცნით და გეხუტებით. ათენიდან, მამიდა ლუიზა და მამიდაშვილი, ეკა.

• ჩემი სიხარული მაგრად მენატრება და ვიცი, რომ მასაც ვენატრები. ეს ადამიანი უსაზღვროდ საყვარელია და თბილი. ალეკო პაიჭაშვილო, გკოცნი ბევრს. ნასტასია27. ათენი.

• ჩემი პატარა ოცნება ხართ, ნატვრა — აუხდენელი, მინდა გულში ჩაგიკრათ და გეფეროთ ულევი. ეძღვნება ჩემს ბებოს, უსა ფიცხელაურს და დედას — ნანა ბადაგაძეს.

• ჩემს უსაყვარლეს შვილებს, სოფიკო და ლიკა არაბულებს მინდა ვუთხრა: მიყვარხართ და უზომოდ მენატრებით. თქვენი დედიკო, ლალი, ათენიდან.

• ბესო და ცირა წამალაიძეებს მინდა ვუთხრა: მიყვარხართ და მენატრებით, ძალიან. მეგრელო, ათენიდან.

• გამარჯვების ქურდს, მახო გოგოჭურს მინდა ვუთხრა: მიყვარხარ და მენატრები. მეგრელო, ათენიდან.

• ჩემო სანატრელო ზაზა, როგორ მენატრები, სიხარულო. ჩემო სულო და გულო, ჩემი ცხოვრების აზრი შენ ხარ, სიყვარულო. არ იდარდო, გავა ეს სატანჯველი დრო და ერთად ვიქნებით. დილა შენზე ფიქრში იწყება და ღამე შენზე ფიქრით თენდება. მე აქ წამოსვლა სატანჯველად მექცა, რადგან უშენოდ ვერ ვძლებ. შორიდან გკოცნის შენი მონატრებული სიყვარული.

• ათენში დროებით მცხოვრებ ეკა ქავზინაძეს თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს და მალე მოვიტაცებ კიდეც. უცნობი.

• სულ მინდა მიყვარდე,/ სულ მინდა შეხება,/ სულ მინდა, რომ ჩემთან იყო,/ ნუ ეძებ მიზეზებს,/ ნუ ეძებ ნურაფერს,/ უბრალოდ სიყვარულს გაგიყოფ... მიყვარხარ, დაათ.

• ერაყში მყოფ ენდელაძე გელას: მიყვარხარ და მენატრები. დამირეკე, გთხოვ. ვგიჟდები, ისე მიყვარხარ. შენი დაკარგვა არ მინდა. შენზე უზომოდ შეყვარებული ნინო, თელავიდან.

• ლევან ვარშალომიძე, ჩემი სიყვარული შენდამი, გულწრფელი და უანგაროა. მინდა, ეს გრძნობა არასოდეს მოკვდეს. ჩემი ოცნება და მონატრება ხარ. გკოცნი და გეფერები.

• გიო მგალობლიშვილო, ვიცი, მალე ერთად ვიქნებით. იცოდე, შენს მეუღლეს უზომოდ უყვარხარ და შენი ერთგულია, სიკვდილამდე. გაღმერთებ, ჩემო სიცოცხლევ, თავს გაუფრთხილდი. მაკა.

• ჩემს უსაყვარლეს ქმარს, ნიკას მოვიკითხავ და ვეტყვი, რომ სიგიჟემდე მიყვარს და უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ჩემო გიჟო ბიჭო, მიყვარხარ. შენი ფისო, ანასტასია.

• გიო მგალობლიშვილო, ნეტავ იცოდე, როგორ ძალიან მიყვარხარ. ჩვენს ჯერ არდაბადებულ პატარას გეფიცები, სიკვდილამდე მეყვარები. უფალი გფარავდეს, ჩემო სიცოცხლევ. მეუღლე.



მიხეილ

• საბერძნეთში მყოფ ფიქრია ბაღდავაძეს დაბადების დღეს ვულოცავთ. დაესწარი მრავალს, შვილთან და ოჯახთან ერთად. უფალი გფარავდეს. დიდი სიყვარულით, ლუიზა, თათო.

• მე შენ გაჩუქებ ვარდების კონას, რომელსაც ასდის წითელი ალი, არ დაიჯერო, რომ ამ ქალაქში არსებობს შენზე ძლიერი ქალი. რიტა კონჯარიას ვულოცავთ დაბადების დღეს. ლუიზა, თათო.

• რუსთავში, მადონა ჩიქოვანს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 მარტს. გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, ამ ქვეყანაზე, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. თამუნა. ათენი.

• გიორგი, გილოცავ დაბადების დღეს, 1-ელ აპრილს. ბედნიერება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს დაიკოსთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად. დიდი მონატრებით და სიყვარულით, დედიკო და მამიკო.

• ლუკა ზარიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩემო პატარავ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს. სასახელო ვაუკაცი გაზრდილიყავი. დიდი სიყვარულით, თამუნა და ამირანი. ათენი.

• მინდა, ჩემს საყვარელ ადამიანს, შორენა დოლაბერიძეს მივულოცო დაბადების დღე. შოკო, გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს, ცხოვრებაში. ღმერთმა სულ ჯანმრთელად გამყოფოს, შენს ქმარ-შვილთან ერთად. დიდი სიყვარულით, ელზა. ათენი.

• ვულოცავ დაბადების დღეს დიდი სიყვარულით, ჩემს დაიკოს, რიტა მახათაძეს. გისურვებ წინსვლას და ბედნიერებას. მალე მიგეღწიოს მიზნისთვის. ელზა, ათენიდან.

• გიორგი ბოცვაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ყოველივე კარგს ვუსურვებ. ბოტოტა17.

• ჩემს სიხარულს და სიცოცხლეს, თემუკა როსტიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე, ჩემო ბიჭო, დიდი, ბედნიერი და სასახელო ვაუკაცი. მალე ჩამოვალ და ბევრს მოგეფერები.

• ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, ჩემი შვილის ნათლიას მინდა, იუბილე მივულოცო. მთვარემ მზეს მიულოცა, ღამემ — დღეს, ქარმა — ხეს, ნამმა — ველს, მე კი შენ გილოცავ, დაბადების დღეს! ჩემო მზიკუნია, ღმერთმა მრავალ 19 მარტს დაგასწროს. გისურვებ ლამაზ სიყვარულსა და ბედნიერ მომავალს. ყოფილიყავი ჯანმრთელი და მუდამ სითბოთი სავსე. გახარებული მენახე, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. დიდი სიყვარულით, მაკა, სალონიკიდან.

• ჩემს ვაჟიშვილს, მერაბ ჯანაშიას ვულოცავ დაბადების დღეს, 25 მარტს. ვუსურვებ დღეგრძელობას, უამრავ სიხარულს, ბედნიერ მომავალს და ლამაზ სიყვარულს. ღმერთი გფარავდეს, მუდამ! შენი მონატრებული დედიკო, ათენიდან.

• ჩემს დაუვიწყარ დაიკოს, მზია გოდუაძეს ვულოცავ შეუსრულებელ 62-ე წლის იუბილეს. დაო მზია, ჩემ მიერ გამოგზავნილი წმინდა სანთლები გზას გინათებდეს, სასუფევლისკენ. უფალს ვევედრები, შენი სული უკვდავებაში მიმყოფოს. დაიკო ნათელა, ათენიდან.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო ჩემს შვილს, ქეთის. გილოცავ, სიხარულო და გისურვებ უამრავ სიხარულსა და ლამაზ სიყვარულს. არ მოგშლოდეს მომავლის რწმენა. გფარავდეს ღვთისმშობლის კალთა და მისი წყალობა არ მოგკლებოდეს. მუდამ მართალი გზით გევლოს. გისურვებ წარმატებებს სწავლაში. შენი მონატრებული დედა, ათენიდან.

• დაბადების დღე მინდა მივულოცო ქეთი და მურიკა მარდალეიშვილებს. გილოცავთ, ჩემო კარგებო და გისურვებთ, მუდამ ასეთი კარგები ყოფილიყავით, გაგეხარებინოთ თქვენი ტანჯული დედის გული და თქვენით ეამაყოს, კარგი შვილების გაზრდისთვის. ზაირა, ათენიდან.

• ვაკო თედიაშვილს: ბებოს უცნობო, პატარა კაცო, დღეს ხომ 5 წლის გახდი...მინდა, ჩემო ლამაზო და სურათებით გაცნობილო შვილიშვილო, მოგილოცო დაბადების დღე. ჯანმრთელი ყოფილიყავი, გაზრდილიყავი სასახელო, დაგეფასებინოს მშობლები და ყველა ის ადამიანი, ვინც შენთვის სიკეთეს მოისურვებს. გკოცნის შენი თამრიკო ბებო, ათენიდან.

• მინდა, მოვიკითხო მთელი საქართველო და ჩემს თავს მივულოცო დაბადების დღე. 29 მარტს 23 წლის ვხდები. ახმეტაში მოკითხვა ჩემებს.

• შორენა, გილოცავ დაბადების დღეს. გახარებული მენახე, შენს ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. შენი დედიკო, ზაირა, ათენიდან.

• ჩემს ანგელოზებს, ლიკა და გიორგი ედიშერაშვილებს, 9 და 20 მარტს, ერთად ვულოცავ დაბადების დღეს. დედიკოს სიხარულებო, ღვთის წყალობას და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ.

• ყველა მარტში დაბადებულს ვულოცავ დაბადების დღეს (ჩემს თავსაც). :) ღმერთის მადლი გფარავდეთ. მარი, მადლობა, რომ მიბეჭდავ. ლეო91, რა უბნელი ხარ? ქუთაისი მაგარია! სალუკა.

• ახალგორში ლევან ყველაშვილს დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ სამხედრო კარიერაში უბადლო წინსვლას. ლევან, მე შენი მჯერა! ირინკა.

• შეწირულო, დაბადების დღეს გილოცავ. ლამაზ და ხალისიან ცხოვრებას, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ, ბატონო დავით. თათია დეიდა. :-) მავნე და თეკო, შემოგევლეეთ! ლიმონა.

• ნიკეაზე მცხოვრებ თიკო ფინთიხაშვილს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ ყოველივე კარგს. შვილის ნათლიები, ინგა და ია, ქუთაისიდან.

• დაბადების დღეს ვულოცავ მარინა მამაგეიშვილს, 27 მარტს. იცოცხლე და იხარე, შვილებთან ერთად. მარი.

• დათო მერებაშვილს! დათ, გილოცავ დაბადების დღეს. ცხოვრება კიბეა და დარწმუნებული ვარ, ყოველივე საუკეთესო წინ გელის. გისურვებ ზღვა სიხარულს, დათო ექიმო! :) მარიკა.

• სურამში, დათო ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 მარტს. ვუსურვებ დღეგრძელობას, სიხარულს, დიდ ბედნიერებას და ლამაზ მომავალს!

ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფეტიკალენდარი

1 აპრილი

ტყუილის საერთაშორისო დღე

მიიჩნევენ, რომ წელიწადში ერთხელ ტყუილის თქმის ვალდებულება საფრანგეთის დამსახურებაა. თუმცა, ჯერ კიდევ ძველი ბერძნები 17 თებრვალს სულელის დღეს აღნიშნავდნენ. მშვენიერი დღეა არჩევნების ჩასატარებლად, დაპირებების მისაცემად და სიყვარულის ასახსნელადაც. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ და ეცადეთ, დღესასწაული აუცილებლად აღნიშნოთ.

6 აპრილი

გამომძიებლის საერთაშორისო დღე

ეს დღესასწაული პირველად, 1963 წელს, რუსეთში აღნიშნეს. შემდეგ, ისე მოეწონათ სხვა ქვეყნებს, რომ თვითონაც შემოიღეს და ახლა, ის უკვე საერთაშორისო დღესასწაულია. ვულოცავთ გამომძიებლებს პროფესიულ დღესასწაულს, თქვენ კი გისურვებთ, რომ ამ პროფესიის ადამიანები თქვენით არასოდეს დაინტერესებულიყვნენ. ნუ... თუ შენ გასათხოვარი გოგონა ხარ, ის კი სიმპათიური, უცოლო გამომძიებელი, ეს უკვე სხვა თემაა და პროფესიულ დღესასწაულთან არანაირი კავშირი არ აქვს.

8 აპრილი

ბოშების საერთაშორისო დღე

ისტორიულ წყაროებში ბოშა პირველად 1501 წელსაა მოხსენიებული. მათთვის დღესასწაული კი 1971 წელს, ბოშების საერთაშორისო კონგრესზე(?!) (ეჰ, რა დაჩაგრულები ვართ, სვანები!) დააწესეს. თუ ამ დღეს ერთ „ჟუვაჩკა, ჟუვაჩკა, კევას“ ან „ნასკებს“ იყიდი, ან ციგნის გოგოს 3 ოქროს ბეჭდის საფასურად ამკითხავებინებ, ჩათვალე, რომ დღესასწაული ღირსეულად აღნიშნე.

17 აპრილი

გაუთხოვრების (გასათხოვრების) საერთაშორისო დღე

მე თუ მკითხავთ, ძალიან მაგარი დღესასწაულია. განსაკუთრებით კი ისლამური წეს-ჩვეულება მომეწონა. თურმე ამ დღეს სოფლის ყველაზე უფროსი ბერბიჭა საჩუქრად ყველაზე უფროს გაუთხოვარ ქალს იღებს. დანარჩენები, ქუდში ჩაყრილ, ქაღალდებზე ჩამოწერილ, უცოლო მამაკაცების სახელებს თვალდახუჭული იღებენ და შემდეგ ერთმანეთს ეცნობიან. მგონი, ღირს ამაზე დაფიქრება. ვულოცავ ყველა გასათხოვარს და გაუთხოვარს „პროფესიულ“ დღესასწაულს.



23 აპრილი

ფსიქოლოგის მსოფლიო დღე

გასული საუკუნის ცნობილმა ფსიქოლოგმა, ჟან პიაჟემ იწინასწარმეტყველა, რომ XXI საუკუნეში ფსიქოლოგია წამყვანი მეცნიერება იქნებოდა. როგორც ხედავთ, ეს პროგნოზი მართლდება. მათ უკვე საკუთარი დღესასწაულიც კი აქვთ. გრაფი თარხანის თამადობით ყველა იმ ფსიქოლოგს გაუმარჯოს, ვინც ადამიანთა ურთულეს კითხვებს პასუხს სცემს და მათი მოქმედების ანალიზს აკეთებს.

29 აპრილი

ცეკვის საერთაშორისო დღე

იუნესკოს გადაწყვეტილებით, ამ დღესასწაულს მსოფლიო 1982 წლიდან აღნიშნავს. ვის-ვის და, ქართველებს კი ნამდვილად არ გვეპატიება მისი არაღნიშვნა. ამ დღეს მთელი „მოცეკვავე“ მსოფლიო ღირსეულად ხვდება. ასე რომ, იცეკვეთ, ბატონებო და სამყარო მშვენიერი გახდება (ოღონდ, ცეკვას და ძიგ-ძიგს ერთმანეთში ნუ აურევთ).

30 აპრილი

მეფის მსოფლიო დღე

ერთ-ერთი უძველესი სამეფო, ევროპაში (6 ასოა, „შ“-ზე იწყება) — შვეცია.

მონარქი ანუ... (4 ასოა, მესამეა — „ფ“) — მეფე.

დაბადების დღე ანუ.. (6 ასოა, „ი“-ზე იწყება) — იუბილე.

ჰოდა, ამ „ლოგოვორდის“ პასუხების მიხედვით, ალბათ მიხვდით, რომ 30 აპრილი შვეციის მეფის დაბადების „მსოფლიო“ დღეა. მაგრამ ამაში უცნაური ის გახლავთ, რომ მეფის დაბადების რეალურ თარიღს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. შვედები უკვე 5 საუკუნეა, ყველა მეფის იუბილეს 30 აპრილს აღნიშნავენ, ერთ-ერთი, ყველაზე „წარმატებული“ მეფის პატივსაცემად. გაუმარჯოს მეფეს!

რიგორი ტანისამოსი უნდა შეარჩიონ პუტკუნებმა?

ალბათ ყველა პუტკუნა ქალი გახდომაზე ოცნებობს და დიეტას დიეტით ცვლის. ეს იმის ნიშანია, რომ საკუთარი გარეგნობა აღელვებს და მის შეცვლაზე ფიქრობს. საამისოდ კი მხოლოდ დიეტა არ კმარა. უნდა შეეძლოს ისეთი ტანისამოსის შერჩევა, რომელიც ნაკლსაც დაუფარავს და მოხდენილსაც გამოაჩენს.

1. ქსოვილი

პუტკუნებისთვის შერჩეულ ტანისამოსზე ძირითად ნახატს გრძივი ზოლები უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ თუ კაბა ტანზე მომდგარია, მააშინ ვერტიკალური ზოლები დაგრეხილ ხაზებად გადაიქცევა ხოლმე, რაც არასასურველ ეფექტს ქმნის და ზედმეტ წონას უსვამს ხაზს. ხშირი, ვერტიკალური ზოლები სხეულს ვიზუალურად ათხელებს და უფრო მოხდენილს აჩენს. ასევე, სასურველია, თუკი ქსოვილი დიაგონალურხაზიანი ან დიაგონალურ-კუბოკრული იქნება. დადებით ეფექტს ახდენს გრძივად შეხსნილი ჭრილები და გრძივი, ღრმა ნაკეცები.

2. ტანისამოსის სიგრძე

იმისათვის, რომ ბლუზის მაქსიმალური და მინიმალური სიგრძე დაადგინოთ, სარკის წინ უნდა დადგეთ და თეძოს ყველაზე განიერი ადგილი შეათვალიეროთ. „სამი თითი“ ზევით — ეს თქვენთვის ყველაზე მოკლე ბლუზის სიგრძეა, ხოლო „სამი თითი“ ქვევით — ყველაზე გრძელი. თქვენთვის არასასურველი სტილია: მოკლე ზედატანი და მოკლე ქვედაბოლო; ან გრძელი ზედატანი და გრძელი ქვედაბოლო.

3. დეტალები

უარი თქვით მკვეთრი ფერის ქამრებზე, დიდი ზომის ბაფთებზე, ღილებსა და ისეთი დეტალებზე, რომლებიც ყურადღების კონცენტრირებას მუცელზე ახდენს.

4. ფეხსაცმელი

პუტკუნა ქალები ხშირად დაკუთხულცხვირიან და დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ატარებენ, რაც შეცდომა გახლავთ. ასეთი ფეხსაცმელში, ფეხი ტანთან შედარებით არაპროპორციულად გამოიყურება. ამიტომ, უმჯობესია, თუ წაწვეტებულცხვირიან და და ოდნავ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს შეარჩევთ. ამგვარი ფეხსაცმელი აღნაგობას ვიზუალურად დააბალანსებს.

5. კაბა

ლამაზი კაბის ჩაცმის სურვილი ყველა ქალს უჩნდება. კარგი იქნება, თუ წელში გადაჭრილ, სწორბოლოიან კაბას მიანიჭებთ უპირატესობას. მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოთ კაბის ფერს. საუკეთესო ვარიანტია ლურჯის და თეთრის ან შავისა და თეთრის შეხამება.

აღნაგობის მიხედვით პუტკუნების 2 ტიპი არსებობს.

I ტიპი: განიერი თეძოები და ბარძაყები. თუკი ასეთი აღნაგობის ხართ, მხრების ბალანსირება უნდა მოახდინოთ. ეს კი ტანისამოსის ზედა ნაწილში ჰორიზონტალური ზოლების არსებობით მიიღწევა. შესანიშნავი ვარიანტია კორსეტისმაგვარი, განიერსაყელოიანი, გულამოჭრილი ზედატანი. ვინაიდან, შავი ფერი აღნაგობას ვიზუალურად ათხელებს, კარგი იქნება, თუ შავი ქვედატანისა და თეთრი ბლუზის კომბინაციას მიანიჭებთ უპირატესობას.

II ტიპი: მხრები — განიერი, თეძოები — ვიწრო. ამ ნაკლის დასაფარავად, სასურველია, ღია ფერის ქვედაბოლოს მუქი ფერის ბლუზა შეუხამოთ. უმჯობესი იქნება, თუ ქვედაბოლო თეძოზე მომდგარი და ქვევით გაშვებული იქნება. არ მოგიხდებათ ე.წ „ბუტილკა“ სტილი — ანუ ქვევით დავიწროებული ქვედაბოლო. ●

პოპულარული, მაგრამ „ხახელგაფეხილი" თექა

„შერატონ მეტექი პალასში" სამოდელო სააგენტო „ჯეი ემის" მოდელებმა გაზაფხული-ზამთრის კოლექცია წარმოადგინეს. ჩვენება ამერიკის საელჩოს თანამშრომლებისთვის მოეწყო და ქართული თექის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. წარმოდგენილი გახლდათ სამი დიზაინერის: თეა კურტანიძის, ნინო მაღლაკელიძის, თამუნა კობიაშვილის მიერ შექმნილი პალტოები, ჟილეტები, ქვედაბოლოები...

ანუ რატომ ფუჭდება თანამედროვე ტანსაცმელი იოლად

ლელა ჭანკოტაძე

თეა:

— ეს ჩვენი, რიგით მესამე ჩვენება გახლდათ. წარმოდგენილ კოლექციაზე მუშაობა ძალიან სწრაფად, სულ რაღაც ორ კვირაში დავასრულეთ. განსაკუთრებული მოწონება იმ საგაზაფხულო ტანსაცმელს ხვდა წილად, რომლის თხელ ქსოვილზე თექის ყვავილები გახლდათ დამაგრებული. ამ ბოლო დროს თექა ძალიან პოპულარული გახდა, მაგრამ ცუდია, რომ თვითმარქვია ოსტატებმა მას სახელი გაუტეხეს, სერიოზული ანტირეკლამა გაუწიეს. როცა თექის ტანსაცმელს არაპროფესიონალი კერავს, ის ძალიან მალე ფუჭდება.

ნინო:

— ჩვენ, სამივენი ჯგუფელები ვიყავით — კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტი დავამთავრეთ. თექაზე მუშაობა ქალბატონმა თინა კლდიაშვილმა გვასწავლა. ის გახლავთ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც თექა გაათანამედროვა. მას საოცარი ნამუშევრები აქვს და დიდ წარმატებასაც მიაღწია.

— ჩვენი წინაპრები როგორ ამზადებდნენ თექას?

თეა:

— ისინი მატყლს ფენდნენ ქსოვილზე, რომელიც ძაღლის ქონისგან დამზადებული საპნით ჰქონდათ გაპოხილი. შემდეგ ამ ქსოვილს ჯოხზე ახვევდნენ, რომელსაც ორი კაცი თავსა და ბოლოში ჰკიდებდა ხელს და ნელ-ნელა ატრიალებდა. ასე ითელებოდა თექა. მას ძირითადად, მეცხვარეები იყენებდნენ. ეს ქსოვილი წყალგაუმტარი და ძალიან თბილია. ამასთან, მატყლს სამკურნალო თვისებები აქვს, რომელსაც ქიმიურად დამუშავების შემდეგაც არ კარგავს.

თამუნა:

— სხვათა შორის, ადრე თექისგან ისეთ ნაბადს ამზადებდნენ, რომელიც არ ფუჭდებოდა. მაგალითად, მეცხვარეს ჰქონდა ერთი ნაბადი, რომელსაც წვიმასა თუ თოვლში არ იშორებდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ, მას საფლავში ატანდნენ. უწინ, საოცრად სქელი თექა კეთდებოდა, ჩვენ კი თხელს ვამზადებთ.

— ამიტომაც ფუჭდება თანამედროვე თექის ტანსაცმელი იოლად?

ნინო:

— არა, ეს იმის ბრალია, რომ ზოგი თექაზე მუშაობას ერთ კვირაში სწავლობს. არადა, ეს იმდენად რთული და შრომატევადი საქმეა, რომ ასეთი მცირე დროის მანძილზე შეუძლებელია, მისი დამზადება შეისწავლო.

— შეგიძლიათ, დაინტერესებულ მკითხველს მუშაობის პროცესიც გააცნოთ?

— რა თქმა უნდა! ვიღებთ „ტკაცუნა" ცელოფანის პარკს, რომელზეც მატყლს ვალაგებთ. ზემოდან ვაფენთ რაიმე ქსოვილს ან თხელ „წულეს" და მასზე ისევ მატყლს ვაწყობთ. ამ ყველაფერს ზემოდან ვაფარებთ უფრო მყარ „წულეს", ვასველებთ და სარეცხი საპნით კარგად ვპოხავთ. შემდეგ, მყარ „წულეს" ვაშორებთ. ვახვევთ, ვკოჭავთ და ვიწყებთ თელვას. მიღებულ გრაგნილს იდაყვებით აქეთ-იქით ვატრიალებთ. შემდეგ ვხსნით, ვრეცხავთ, ვაშრობთ, ვაუთოებთ და ვკერავთ. ეს ქალისთვის საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. თექას თუ მოთელვა დაეკლდა, ის აუცილებლად გაფუჭდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი პალტოს შეკერვას დაახლოებით ათი დღე სჭირდება.

— თექის დასამზადებლად, ყველანაირი ხარისხის მატყლი გამოიყენება?

თეა:

— საუკეთესოა „მირინოსი". ამ მატყლს გვაძლევს გრძელკუდიანი ცხვარი, რომელსაც მელი ჰქვია. ამ ცხვრის გამოსახულება ძველ ხატებზე გვხვდება. შობის სცენაზეც ყოველთვის მელია გამოსახული. ეს ცხვარი გადაშენების პირასაა მისული, მხოლოდ ტაოკლარჯეთისა და კაბადოკიის ტერიტორიაზეა შემორჩენილი. ავსტრალიაში მცირე

რაოდენობით, მაგრამ სწორედ აქ ხდება „მირინოსის“ წარმოება. ვინაიდან მელის მატყლი ძალიან ძვირი ღირს, ჩვენ ძირითადად, თუშური ბეკეკის მატყლს ვიყენებთ. მართალია, ცოტა უხეშია, მაგრამ საბოლოოდ, მისგან კარგი თექა გამოდის. ჩვენი ნამუშევრები ნორვეგიაში, ხელნაკეთი ნივთების ფესტივალზეც გამოიფინა. ახლა პანოების პერსონალური გამოფენის მოწყობას ვაპირებთ.

თეა:

— როცა ადამიანი გვეუბნება, როგორი ფერის ავეჯი აქვს, რა თემაზე უნდა, პანო რომ შევქმნათ, პატარა ესკიზს ვუკეთებთ, შემდეგ კი მოწონების შემთხვევაში, ის პანოზე გადაგვაქვს. სხვათა შორის, ნამუშევრებს არასდროს ვიმეორებთ. მაგალითად, ჩვენი პანო — „ნატვრის ხე“ პირველი ლედის, სანდრა რულოვსის დედას აქვს. ის ანზორ ერქომაიშვილმა შეგვიკვეთა და საჩუქრად წაუღო. ქალბატონ რულოვსს ჩვენი გაკეთებული ორი შარფიც აქვს...

— თქვენი ნამუშევრებით მამაკაცები თუ ინტერესდებიან? ქართველ კაცებს თუ აცვიათ თექის ტანსაცმელი?

თამუნა:

— პირველად მამაკაცისთვის ძალიან დიდი ზომის ჟილეტის შეკერვა შეგვიკვეთეს. შემდეგ, ამ კაცის მეგობარიც მოვიდა — მასაც ჟილეტი უნდოდა... ჩვენი ნამუშევრებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, თექისგან დამზადებული პორტრეტებია, რომლებზე მუშაობაც ძალიან რთულია. შარშან ბათუმის თეატრში მსახიობის — იუსუფ კობალაძის 100 წლის იუბილე აღნიშნეს და ჩვენ მისი პორტრეტის დამზადება შეგვიკვეთეს. ის მართლაც, არაჩვეულებრივი გამოვიდა და შესაბამისად, დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

— თქვენი მომხმარებელი სალონში სქელი ჯიბით უნდა შემოვიდეს?

ნინო:

— პატარა პანოს ფასები 40 ლარიდან იწყება. გააჩნია, როგორი ნამუშევარია, რა არის მასზე გამოსახული და ა.შ. თექის პალტოს შეკერვა შრომატევადი საქმეა და ფასიც შესაბამისად, 450 ლარიდან იწყება. ასევე ვკერავთ ქუდებს, ჩანთებს. ვინც ჩვენთან პალტოს იკერავს, ვასაჩუქრებთ: შესაფერის საფულეს ან საყურეს ვუმზადებთ.

— თექისგან დამზადებული ტანსაცმელი ძნელი მოსავლელია?

თამუნა:

— ცხადია, მისი ხშირი გარეცხვა რეკომენდებული არ არის. თექისგან დამზადებულ სამოსს ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორიც შალის ტანსაცმელს. გვქონდა შემთხვევა, როცა ერთ ქალბატონს საახალწლოდ პალტო შევუკერეთ. სულ რაღაც ერთ თვეში, მასთან მივედი და ვთხოვე, — იქნებ, მათხოვოთ-მეთქი: ის პალტო ერთ-ერთი კლიენტისთვის უნდა მეჩვენებინა. როცა გამოიტანა, თვალებს ვერ დავუჯერე და ხასიათი გამიფუჭდა: მას ფორმა ჰქონდა დაკარგული. მგონი, იმდენს უნდა ვხვდებოდეთ, რომ პალტო, მის საყელოზე მიმაგრებული პაწაწინა საკიდრით არ უნდა ჩამოვაკონწიალოთ. ის ისე უნდა ჩამოიკიდოს, თითქოს ისევ ადამიანის მხრებზეა მორგებული. ■

„პოეზიის ღმერთქალის“ იდუმალი საძებარი

ვფიქრობდი, რომ ანა კალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატია მისი ოჯახის წევრების, კოლეგებისა და მეგობრების მოგონებებზე ამეგო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ინტერვიუში ამოვიკითხე ანა კალანდაძის ნათქვამი — „ადამიანის ხასიათს არავინ იცნობს, არც ახლობლებმა იციან რამე. ორასი წლის შემდეგ რომ ენდობიან ხოლმე ცნობილი ადამიანების ახლობლების მოგონებებს, ამისი არ მწამს“, — გეგმა შევცვალე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული, მისი თითქმის ყველა ინტერვიუ გადავიკითხე და იქიდან ყველაზე საინტერესო მონაკვეთები ამოვიწერე. ინტერვიუ არც ისე ბევრია, რადგან პოეტი ჟურნალისტებთან ურთიერთობას ყოველთვის გაურბოდა და ამას ასე ხსნიდა: „ეს რატომ გიყვართ, ის რატომ გიყვართ? — მეკითხებიან. ამ კითხვებს ისევე ვერ ვცემ პასუხს, როგორც თქვენ ვერ იტყვით, რატომ სუნთქავთ“.

„ადამიანის ხასიათს არავინ იცნობს...“

თამუნა კვინიკაძე

„იგი მომცრო ტანისაა, მშვენიერი თვალები და მიმზიდველი სახე აქვს. თავი უბრალოდ უჭირავს, მაგრამ ღირსეულად. რა მშვენიერია მისი კითხვის მანერა, უკეთ ვთქვათ, — უმანკოება. მისი ხმის მუსიკა ახლაც მესმის“, — ეს გერონტი ქიქოძის მიერ 1946 წლის 26 მაისს ნათქვამი სიტყვებია. არადა, ანა კალანდაძის ლექსები ცალკე წიგნად პირველად, მხოლოდ 1953 წელს გამოვიდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

„რას ვიფიქრებდი იმ ზაფხულს თუ გურიიდან, სადაც არდადეგებს ვატარებდი, ქუთაისში პოეტად დავბრუნდებოდი! ბავშვები ძალიან ვცელქობდით და ჩვენს დასაწყნარებლად, ფოცია მამიდამ, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურს ასწავლიდა, ერთად დაგვსხა და საინტერესო ამბავს გვიყვებოდა. უეცრად ყურადღება გაგვფანტა, მთების წვერები განათდა და სავსე მთვარე ამოიწვერა. მამიდამ შენიშნა, რომ ამ სილამაზით მოვიხიბლეთ და მეორე დღისთვის რაიმის დაწერა გვთხოვა. იმ ღამეს ჩემ გარდა, ყველას ეძინა... დილით მამიდას 2-სტროფიანი ლექსი ვუჩვენე, რომელსაც „ბადრი მთვარე“ ერქვა. მან ძალიან მოიწონა პირველი ლექსი, ამ პატარა ბიძგმა გამოიწვია ჩემში პოეტური სიმის შერხევა“.

ჟურნალისტებთან ურთიერთობას ყოველთვის გაურბოდა

იმ დღიდან მოყოლებული, ანა ლექსებს სულ წერდა, მაგრამ არავის უჩვენებდა, გამონაკლისს ფოცია მამიდა წარმოადგენდა. ის ძმისშვილს რჩევას აძლევდა, სათქმელს ნელ-ნელა აპარებდა. მისი ნაწერები პირველად 1946 წელს გამოქვეყნდა. გერონტი ქიქოძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, ალექსანდრე აბაშელმა, სიმონ ჩიქოვანმა, ანას კრებულის გამოცემაზე ზრუნვა დაიწყეს, მაგრამ... 1946 წლის აგვისტოში ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალების იდეოლოგიურ დამუშავებას ჩვენთანაც გამოეხმაურნენ. „კრიტიკის საშინელ გრიგალში მოვხვდი“... — იგონებს ანა კალანდაძე. იმდროინდელი კრიტიკა წერდა: „ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს აშკარად დაეტყო დეკადენტური აპოლიტიკური მოტივებით გატაცება, ამის ყველაზე მკაფიო

გამოხატულებას წარმოადგენს ანა კალანდაძე და მისი ლექსები... ვის ესაჭიროება დღეს ასეთი ლექსები?“ ვის სულიერ განწყობილებას გამოხატავენ ისინი? ფორმალიზმი, უიდეობა, აპოლიტიკურობა, ამაზე „შორს ვერ წავა“. ანა კი „უფრო შორს“ იყო წასული:

„ჩამოფრინდა ანგელოსი
ფრთათა რხევით,
გადააგდო ლოდი იგი
თეთრი ხელით...
და შეშინდნენ და
შეძრწუნდნენ მცველნი,
რადგან ქრისტე აღდგა!“

ანა „პოეზიის დედოფლად“ აღიარეს.

„ჯერ კიდევ ხელნაწერების გავრცელების შემდეგ უამრავი ხალხი მოდიოდა, უცნობები პირდაპირ სახლში მაკითხავდნენ. მახსოვს, ამ პერიოდში ერთმა ლექტორმა მკითხა — კალანდაძე ყოფილა, პოეტი, რომლის ლექსები ხელიდან ხელში გადადის და შენი ხომ არაფერია, ხომ არ იცნობო? არა-მეთქი. ასე უარვყავი პირველად ჩემი თავი“...

ანა ლექსებს ჯერ გონებაში „წერდა“, შემდეგ კი ფურცელზე გადაჰქონდა. ერთდროულად რამდენიმე ლექსზეც უმუშავია. უთარიღო არაფერი მიყვარს, — ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში, — მათ შორის — ლექსიცო. მუშაობდა მაშინ, როცა მარტო იყო ჩაკეტილი. *„თუ ვიცი, რომ ვინმე უნდა მოვიდეს, ან მე ვარ გასასვლელი, ვერაფერს ვაკეთებ. დღეს კი მოგეხსენებათ, აღარავის რჩება დრო სიმყუდროვისთვის“...* ანა ყველა ლექსს ღვთისგან ბოძებულად მიიჩნევდა. სამწუხაროდ, მაშინ ღმერთის ხსენება იკრძალებოდა და ანას კომუნისტური ცენზურა ლექსებს „უჩეხდა“. მის პირველ კრებულში არ შევიდა ლექსები — „მოდიოდა ნინო მთებით“, „ლოცულობს გველი“, „ვარსკვლავების შარავანდით“ და სხვა. *„ეს იყო ძალიან თხელი წიგნი, — იხსენებს ანა, — მასში „საქართველოო ლამაზო“ საოცრად დასახიჩრებული ფორმით შევიდა (მაშინ სიტყვას „საქართველო“ ადვილად ვერ ახსენებდით, აკრძალული იყო), მას მოაშორეს გრიგოლ ორბელიანის, როგორც ძველი ავტორის ეპიგრაფი, ყურადღება ამასაც კი მიაქციეს. ამ ისედაც გრძელ ლექსს ახალი ყოფის ამსახველი 36 სტრიქონი დავუმატე. თქვენ წარმოგიდგენიათ, რა გაუკეთე საკუთარ თავს? მაგრამ სხვა საშველი არ იყო“.* ის მკითხველები, რომლებსაც ანას ლექსები ხელნაწერებიდან ახსოვდათ, პოეტს საყვედურობდნენ, — რატომ ამოიღე ეს სტრიქონიო? ანას მათი აქტიურობა ახარებდა. როცა „მოდიოდა ნინო მთებით“ დაიბეჭდა, სტროფი — „მიეძინა, ერთ წალკოტში მიეძინა და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს. ო, ეს ვინ არის, გამოცხადდა მგზავრის წინა. — ნუ გეშინინ!“ — მიუგებდა იესო“ — მთლიანად იყო ამოღებული.

ანა კალანდაძის შემოქმედებაში ბევრი უსათაურო ლექსია. როგორც თავად ამბობს, ყოველთვის უსმენდა იმ „მოკარნახეს“, რომელიც მის გულში იყო. *„ასეთი რამეები საიდანღაც, „იქიდან“ მოდის, თავისით, თითქოს ვიღაც გეუბნება ქვეცნობიერად, დაწერ რაღაცას და ფიქრობ, ეს ასე უნდა დარჩეს! რატომ? არ იცი!“* მის შემოქმედებაში სასიყვარულო მოტივებზე დაწერილი სტროფები იშვიათობაა. *ჟურნალისტის შეკითხვას, — ნუთუ ძალიან არ გყვარებიათო? — ანა ასე პასუხობს: „როგორ არა! როცა ძალიან ვიყავი შეყვარებული, სწორედ მაშინ დავწერე „ლოცულობს გველი“ და არა მხოლოდ... ჩემი ლექსების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ გრძნობის წყალობით დაიწერა. ის მაძლევდა საოცარ ენერგიას, რომელსაც ლექსებად ვღვრიდი. სიყვარულს ყველა თავისებურად გამოხატავს. ზოგს ჰგონია, რომ სიყვარული არის მხოლოდ გაშლილი საწოლი. მე კი მიმაჩნია, რომ ეს არ არის ყველაფერი. ეს სულ სხვა რამაა (სხვა რამეს გულისხმობს და სხვა რამეს მოითხოვს) და პოეზია — სულ სხვა. პოეზიაში უნდა ავმაღლდეთ ლოგინზე, მაგრამ ამას ხელოვნურად ვერ გააკეთებ. ერთი რუსი პოეტის სიტყვები მაგონდება, ლექსს მაჟორული განწყობილება ქმნისო, ამბობდა. მართლა ასეა. როცა რაიმე მწყინს და ცუდ ხასიათზე ვარ, საერთოდ არ არსებობს ჩემთვის არაფერი. ლექსს ენერგია ქმნის, ენერგიას სიყვარული მაძლევს. ასე რომ, როცა მიყვარდა, ყველაზე ნაყოფიერად მაშინ ვწერდი. რამდენიმე უსათაურო ლექსი მთლიანად ამ გრძნობას მივუძღვენი“.* ანა ამბობდა, რომ ამ ძალას არასდროს დამონებია, ყოველთვის მალე ფხიზლდებოდა, აქვე იმასაც დასძენს, რომ ეს კარგი არ არის: *„არ ვარგა, ყველაფერს ფხიზელი თვალით უყურებდე. ხელახლა რომ მოვიდე ამქვეყნად, ისევ ისე ვიცხოვრებდი, როგორც აქამდე მიცხოვრია. სხვათა შორის, ბრძენი ხალხია სოფელში, იქ სანამ ქალი რჩევაში შევა, მანამდე აბამენ უღელში“.*

ანა კალანდაძე ყოველთვის მკითხველთა ყურადღების ცენტრში იყო. ამიტომ ბოლო წლებში გავრცელებულ მოსაზრებას, — მკითხველმა წიგნს ზურგი შეაქციაო, — უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. ამის დამადასტურებლად, ერთ შემთხვევას იხსენებდა: *„ეს რამდენიმე წლის წინ მოხდა, თებერვლის სუსხიან დღეს, როცა ჩვენი სახლის სადარბაზოში ელექტროკაბელებს ცვლიდნენ, კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. მუშები იყვნენ. გავიგეთ, ამ სახლში ცხოვრობთ და თქვენი გაცნობა გვინდაო. ერთი ახალგაზრდა, საჩხერელი აღმოჩნდა, მეორე — ხონელი, ორივე — უმაღლესი განათლებით. ჩემი ლექსები ზეპირად იცოდნენ. ოთახში მორიდებით, ფრთხილად დააბიჯებდნენ, რომ არაფერს შეხებოდნენ და არაფერი დაესვარათ... კარგია, რომ ამ დროში ხელობა მაინც გაქვთ თავის სარჩენად-მეთქი. ხელობა და პოეზიის სიყვარულიო, — მიპასუხეს. ორივეს*

ლექსს ენერგია ქმნის, ენერგიას სიყვარული მაძლევს

ჩემი კრებული ვაჩუქე. ყინვაში, სუსხიან ამინდში, როგორც იტყვიან, ძვალსა და რბილში რომ ატანდა, ისინი პურის ფულისთვის მუშაობდნენ... უსაშველოდ ამაღლებულები და პატიოსნები!.. ამის შემდეგ ვის უნდა მოუბრუნდეს ენა და თქვას: ახალგაზრდობამ წიგნს ზურგი შეაქციაო“.

დაბოლოს, როგორ ახასიათებდა საკუთარ თავს ანა კალანდაძე? „ადამიანის ხასიათს არავინ იცნობს, არც ახლობლებმა იციან რამე. ორასი წლის შემდეგ რომ ენდობიან ხოლმე ცნობილი ადამიანების ახლობლების მოგონებებს, ამისი არ მწამს. დედაჩემმა არ იცოდა ჩემი ხასიათი და სხვაზე რა უნდა ვთქვა?! ამაზე ხშირად მიფიქრია. ჩემი ხასიათია ის, რომ თხოვნა და არავის შეწუხება არ მიყვარს. ჩემი ყველა წიგნიც გამომცემელთა ინიციატივითაა გამოსული... რა ვქნა, იმდენად არ მიყვარს განსაკუთრებული ყურადღება, მაღაზიაშიც კი რომ მიცნონ, იქ მეორედ აღარ შევალ... საკუთარი თავის მიმართ ძალიან ობიექტური ვარ, პუნქტუალურობით კი ვერც ერთი გერმანელი ვერ შემედრება, ორი საათით ადრე მივალ, მაგრამ არ დავაგვიანებ. ხასიათის ეს თვისებები გადმოდის პოეზიაშიც. პოეზია მისი ავტორის ანარეკლია“.

■

ქალის სიტყვიერი...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-12

სვეტა კვარაცხელია

იმ დღიდან ჩემი ცხოვრება თითქოს გაუფერულდა. ბექა გამირბოდა, თავს მარიდებდა. მესიჯებს აღარ მიგზავნიდა, არც ჩემს კაბინეტში შემოდიოდა ძველებურად. დავღონდი. ოთახში მყოფს, გულისყური გამუდმებით კარისკენ მქონდა, იმ იმედით, რომ უცებ გაიღებოდა და ბექა შემოვიდოდა თავისი დიდრონი თვალების ბრიალით. დერეფანში გასული კი წარამარა აქეთ-იქით ვიყურებოდი, იქნებ სადმე მომეკრა თვალი და მისი ყურადღება მიმეპყრო. ერთადერთი, სადაც შედარებით ხანგრძლივად გვიწევდა ურთიერთობა, საოპერაციო ბლოკი იყო. იქ საათობით გვიწევდა „იძულებით“ ერთად ყოფნა — ანესთეზიოლოგი ოპერაციის მიმდინარეობის დროს ხომ არ გამაგდებდა. ძალიან მინდოდა, მივსულიყავი მასთან და მეკითხა, რატომ მექცეოდა ასე, რა იყო მისი გულგრილობის მიზეზი — ის, რომ სანდროს სიყვარული ვერ მაპატია, თუ, უბრალოდ, გაუარა ჩემით აღფრთოვანებამ. ამის გაგება სულს მიფორიაქებდა, მაგრამ დალაპარაკება მაინც ვერ გავბედე. შემეშინდა, პასუხად მეორე მიზეზი არ დაესახელებინა. ვგრძნობდი, რომ ბექას სახით რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ვკარგავდი ცხოვრებაში, ძალიან ღირებულს და ვერ ვხვდებოდი, როგორ შეიძლებოდა მისი შენარჩუნება. მე ხომ ბრძოლის უნარი არ გამაჩნდა, არასდროს მიბრძოლია ჩემი ბედნიერებისთვის. არც არასდროს არავის უსწავლებია ჩემთვის. სხვა გზა არ მრჩებოდა, უნდა დავლოდებოდი როგორ წარიმართებოდა მომავალში ჩემი ცხოვრება.

სანდროს შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენი დამოკიდებულება. მართალია, არაფერი უთქვამს, მაგრამ ხანდახან ისეთ ორაზროვან ღიმილს მესროდა, თითქოს ნიშნს მიგებდა, ხომ მივაღწიე ჩემსასო. ვხვდებოდი, ფარულად როგორ მაკონტროლებდა, თითქოს აჩრდილივით ფეხდაფეხ დამყვებოდა, რომ ჩემსა და ბექას ურთიერთობიდან წვრილმანიც არ გამორჩენოდა. ამასთან — არც თვითონ მეკარებოდა ახლოს და არც ბექას მაკარებდა.

არა, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რაღაც უნდა მომხდარიყო, რაღაც უნდა შეცვლილიყო, ასე დიდხანს ველარ გავძლებდი.

ამასობაში უფრო და უფრო დათბა, გაზაფხულმა პიკს მიაღწია. თეთრად აფეთქებული კვირტების საამო სურნელი უხვად იფრქვეოდა ჰაერში. შეისრუტავდი ამ სურნელს და გრძნობდი, რა საამურია ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ მარტო ხარ. გაზაფხული ყოველთვის სხვანაირად ზემოქმედებდა ჩემზე, სხვა ძალით, სხვა ენერგიით მავსებდა. თუმცა... მაინც შემიპყრო სევდამ. ვგრძნობდი, რაღაც აკლდა ამ პეიუაზს, რაღაც შტრიხი, მხოლოდ ერთი ფუნჯის მოსმა, რომელიც წინ, უკეთესისკენ მიბიძგებდა. ვიცოდი, რაც იყო ეს შტრიხი. ქარი... დიდი ხანია, ქარი არ ამოვარდნილა, მისი ხმაური მაკლდა.

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ქარი იყო ერთადერთი, რომელიც სევდას მიფანტავდა. იგი საიდუმლო განგაშის შეგრძნებას მიტოვებდა, სასიამოვნო განგაშის. მას ქაოსი და ანარქია მოჰქონდა. ანარქისტი ქარი... კარგი ნათქვამია... მუდამ მსიამოვნებდა მისი „გამოჩენა“, როგორც დიდი ხნის უნახავი მეგობრის, რომელსაც ძალიან ბევრი პირადული, ინტიმური დაუგროვდა მოსაყოლად. ქარიან ამინდში საოცრად კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ამ დროს შემეძლო საათობით ვმჯდარიყავი ფანჯარასთან და მეყურებინა, გამეხსენებინა, მეფიქრა, მეოცნება... ჰმ, მეჩვენება, რომ დავბერდი... ჰო, ცოტა ნაოჭებიც შემომეპარა, თვალებმა თითქოს დაკარგეს უწინდებური ბრწყინვალება, აღარსად ჩანს ის მაცდური სხივი, მამაკაცებს თავბრუს რომ ახვევდა. თუმცა ძლიერი სქესის ყურადღება მაინც არ მაკლდა, ისინი დღესაც აღფრთოვანებული არიან ჩემით. არასდროს მიმაჩნდა ჩემი თავი ჩვეულებრივ ქალად. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ბევრი რამით ვიყავი გამორჩეული სხვა ქალებისგან. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი ვარ, ჩემი მახვილი გონებითაც ვიზიდავდი მათ. შინაგანად მქონდა იმის ნიჭი, ლამაზად წარმომეჩინა ჩემი ღირსებები — გარეგნულიც და სიღრმისეულიც. ახლაც ვხედავ, რა აღტაცებით მომჩერებიან მამაკაცები შინ და გარეთ. ისინი გრძნობენ, როგორი ვიყავი ადრე და ხედავენ, როგორი ვარ ახლა. რა თქმა უნდა, შევიცვალე. გარეგნულად ადრე უკეთესი ვიყავი, სამაგიეროდ ბუნებით უკეთესი ახლა ვარ, რადგან ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა, შეცდომებმაც, გამოცდილებამაც... უფრო კეთილი გავხდი, უფრო დამთმობი, უფრო მოწყალე და შემწყნარებელი. რაც მთავარია, ვიცი, უნდა ვიყო ისეთი, როგორიც ვარ და არც ის უნდა დამავიწყდეს, როგორი ვიყავი. ეს ყველას არ შეუძლია...

დღეს მშვიდი დღეა, ოპერაციები არ არის. კლინიკაშიც სიწყნარეა, ყველა თავისი საქმით არის დაკავებული. მე კვლავ შემომაწვა ნაღველი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გიზელას ვესაუბრე. ისიც ხვდება, რომ რაღაც ცუდი ხდება ჩემსა და ბექას შორის. გაუვლისო, მითხრა, ცოტაც აცალე, კაცებს ახასიათებთ ასეთი ცვლილებებიო. როგორც ჩანს, ჯერ ვერ გარკვეულა საკუთარ გრძნობაში, ცხოვრებაში პირველად ვნახე შეყვარებული ბექა და ჩემთვისაც ისეთი მოულოდნელი იყო, დაჯერება გამიჭირდაო.

— ის ისე იყო ყოველთვის გათქვეფილი ქალებში, რომ არ მიკვირს, ახლა რაც სჭირს. დღეს რომ ერთთან დაინახავდი, ხვალ სხვასთან „გაგეჩითებოდა“. შენ გაგიცნო და დაიბნა, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ცოტაც აცალე და ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება, — მომეფერა გიზელა.

ეჰ, რომ იცოდეს, რა იმალება ამ ყველაფრის უკან, ალბათ მასაც გაუჭირდებოდა რჩევის მოცემა. თვალები ცრემლებით ამევსო. კაბინეტიდან გავედი და ახალგარემონტებულ საპროცედუროს შევაფარე თავი. აქ ჯერ არავინ შემოდის, ცარიელია ოთახი, არ ფუნქ-

ციონირებს, სანამ საჭირო ინვენტარს არ შემოიტანენ. ვიფიქრე, ცოტას ვიტირებ, გულს მოვიოხებ-მეთქი. მოულოდნელად კარის სახელური ჩამოიწია. შევკრთი, არ მინდოდა ვინმეს თვალცრემლიანი დავენახე. გვერდით მდებარე წამლების საცავი გავაღე და ფეხის წვერებზე აწეული იქ შევიპარე. ყოველი შემთხვევისთვის, ფანჯარასთან დავდექი, იმ ვიღაცას აქ რომ არ შემოეხედა და არ ეფიქრა, რომ ვიმალებოდი.

— აუცილებელია, მაინცდამაინც აქ ვილაპარაკოთ? — მომესმა სანდროს ხმა.

სისხლი გამეყინა ძარღვებში.

— ეს ერთადერთი ადგილია, სადაც კედლებს ყურები არა აქვს, — ეს ბექა იყო.

მუხლები მომეკვეთა. რა ვქნა, გავიდე თუ მივაყურადო? საშინელ სიტუაციაში აღმოვჩნდი. შიშისგან ადგილიდან ვერ ვიძვროდი. არც ის მინდოდა, რომელიმე მათგანს ნამტირალევი ვენახე, არადა, არც აქ დარჩენა მსურდა და არც მათი საუბრის მოსმენა. თუმცა, ვიტყუები. მათი საუბრის მოსმენა ნამდვილად მსურდა.

— მაპატიე, სანდრო, ვიცი, უფლება არა მაქვს შენს პირად ცხოვრებაში ჩავერიო, მაგრამ, მინდა თუ არ მინდა, ეს ყველაფერი მეც მეხება ნაწილობრივ.

— რას გულისხმობ?

— რას კი არა, ვის ვგულისხმობ. ამწუთას სოფიზე გელაპარაკები.

— ჰო-ო-ო! მეც არა ვთქვი, რა საქმე გამოუჩნდა-მეთქი. კი ბატონო, მე მზად ვარ, მკითხე და გიპასუხებ. მითხარი, რა გაინტერესებს.

— შენ კარგად იცი, რომ ბედისწერა ადამიანს საჩუქრად არაფერს აძლევს და ყველაფერ იმას, რასაც ბედი გარგუნებს, თავისი განსაზღვრული ფასი აქვს. დამეთანხმები, ალბათ.

— მერე?

— მერე ის, რომ ამ ბედისწერამ მე მისი თავი გამომიგზავნა.

— ჰა-ჰა-ჰა! — გაისმა სანდროს სარკასტული სიცილი, — საინტერესოა... რა შემოგითვალა მერე, რა ღირსო? ძალიან ძვირი დაგიფასა?

— შენ წარმოიდგინე, კი.

— მაინც, მაინც?

— მისი თავი ჩემი სიცოცხლის ფასად მიჯდება.

ამის გაგონებაზე სასიამოვნო და უსიამოვნო ჟრუანტელმა ერთდროულად დამიარა სხეულში, ცივმა ოფლმა დამასხა.

— ჩემგან რა გინდა, ბექა, მე რა შუაში ვარ?

— სამწუხაროდ, სოფის შენ უყვარხარ.

— სოფის... თვითონ გითხრა, ასე დამიძახეო?

— არა, ჩემმა შინაგანმა ხმამ მიკარნახა, ასე დაუძახეო. პრობლემაა რამე?

— არა, არაფერი.

— ახლა მაინტერესებს, როგორ მოვიქცეთ მე და შენ.

— როგორც გონება გიკარნახებს, ისე მოიქეცი. მე რა...

— რა ურთიერთობა გაქვს მასთან?

— „ჩისტა“ თანამშრომლური... ჯერჯერობით, — ისევ საზიზღარი სიცილი გაისმა, ღვარძლიანი, ბოროტი.

— როგორ გავიგო ეს?

— შენ რა უფრო გაინტერესებს, ძმაო, ჩემი გრძნობები სოფიოს მიმართ თუ მისი შენ მიმართ?

— პირველ რიგში, შენი მის მიმართ.

— იცი რა-ა? მე შემიძლია ახლა ისეთი რამ გითხრა, საბოლოოდ დაგაკარგვინო ეგ ქალი. არ გეშინია?

— მირჩევნია, მიყვარდეს და დავკარგო, ვიდრე ასეთ გაურკვევლობაში ვიყო.

— ვაჰ! გიყვარს კიდეც? სერიოზულად ცუდად გქონია საქმე.

— ცუდად მაქვს თუ კარგად, ამის გარჩევა მე მომანდე. შენ შენი მითხარი, მორალის კითხვა არ მჭირდება.

— სიმართლე გითხრა, ცოტათი მიჭირს შეყვარებული ბექა მჭედლურის წარმოდგენა. უცნაურია, შენ ისეთი გულთამპყრობლის იმიჯი გაქვს შექმნილი... რა გითხრა, არც კი ვიცი, რას ითხოვ ჩემგან.

— რა გეგმები გაქვს სოფის მიმართ, ამის გაგებას ვითხოვ... კაცურად. თუ გიყვარს, ღირსეულად მაინც მოექეცი, რატომ ამცირებ.

— ერთი კარგი რჩევა მაინც უნდა მოგცე, ბექა. სანამ ღრმად არ შეგიტოპავს, გაჩერდი. ქალები ყოველთვის ყველაფერს თავდაყირა აყენებენ. ერთხელ თუ შემოუშვებ ქალს შენს ცხოვრებაში, მაშინვე მიხვდები, რომ მას სულ სხვა რამე უნდა, შენ კი — სრულიად სხვა.

— ხომ გითხარი, მორალის წაკითხვა არ მჭირდება-მეთქი.

— კარგი... მაშინ სხვანაირად გეტყვი. სოფიოს თავისი ცხოვრებით სურს ცხოვრება, მე — ჩემით. ის ცდილობს, თავის რელსებზე გადამიყვანოს, ამ დროს თვითონაც სცდება სწორ გზას. მე რომ მარჯვნივ ვიწევი, ის მარცხნივ მექაჩება. სინამდვილეში იცი, რა გამოდის? ორივეს უკან დაბრუნება გვიწევს, ზურგისკენ შეტრიალება, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი ვერ ვიტანთ ზურგის ქარს.

— ფილოსოფოსობ!

— სულაც არა. მას მე ვუნდივარ, ვუყვარვარ სიგიჟემდე, გულის წასვლამდე. რაც უნდა მტკივნეული იყოს შენთვის, ეს ფაქტია. ის თავისი საქციელით მეც იძულებულს მხდის, მისკენ ნაბიჯი გადავდგა, თუმცა ეს ნაბიჯი სასიკეთო ვისთვის იქნება, ჯერ არ ვიცი. შეიძლება ორივესთვისაც, მაგრამ ვიღაც ამით მაინც დაზარალდება.

— თქვენ შორის?

— არ არის აუცილებელი, ჩვენ შორის, თუმცა არც ეგ არის გამორიცხული.

— შეიძლება ერთი ძალიან პირადული რამ გკითხო?

— მკითხე.

— რატომ დაშორდით ერთმანეთს, არ გიყვარდა? ნიტა როგორ გახდა შენი ცოლი, ისინი ხომ მეგობრები იყვნენ?

— მე შეცდომა დავუშვი წარსულში, გამოუსწორებელი შეცდომა.

— ჩემი აზრით, არ არსებობს გამოუსწორებელი შეცდომა. ყველა ჩვენგანი ცდება, შეცდომა ხომ წარსულის განუყრელი ნაწილია, რომელსაც ვერავინ გაექცევა. მთავარი ის არის, ძვირი არ დაგიჯდეს იგი და ერთი და იგივე შეცდომა ორჯერ არ დაუშვა ცხოვრებაში.

— ახლა შენც მორალს მიკითხავ, როგორც ვატყობ, — ისევ გაიცინა სანდრომ, ამჯერად ღვარძლი არ იგრძნობოდა მის ხმაში.

— ესე იგი, გიყვარდა...

— სანამ ის გამოჩნდებოდა, წარსულის გარეშე ვცხოვრობდი, მხოლოდ დღევანდელი დღე იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, ახლა კი...

— წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს, სანდრო.

— არსებობს, რატომაც არა. მე ბედნიერი კაცი ვარ. მყავს ცოლი, რომელსაც ვუყვარვარ, შვილები, თბილი ოჯახი... მე ბედნიერი ვარ ამით. არ მინდა მახსოვდეს, რა იყო უწინ, ტკივილს მაყენებს.

— ბედნიერი ხარ? მაშინ რა გაყენებს ტკივილს? ბედნიერ ადამიანებს ხომ მოგონებები არა აქვთ.

— ჰოდა, არც ვიგონებდი, სანამ თვითონ არ შემახსენა თავი. ახლა კი საშველს არ მაძლევს. უნდა, ყველაფერი დამინგრიოს, ყველაფერი წამართვას,

მხოლოდ თავისთვის დამიტოვოს.

— როგორ ფიქრობ, რატომ იქცევა ასე?! ეს სიყვარულია თუ შურისძიება?

— ერთიც და მეორეც. თუმცა არ არის გამორიცხული, თავად ვერც ხვდებოდეს ამას. ერთ ჭკვიან კაცს აქვს ნათქვამი, ადამიანმა ცხოვრებაში სამი რამ უნდა გამოცადოს — სიღარიბე, სიყვარული და ომიო. მე სამივე გამოვცადე, მაგრამ სამივე ერთდროულად. ამან გამანადგურა, გამაცამტვერა. მერე ძალიან დიდი ხანი დამჭირდა, ფეხზე წამოვმდგარიყავი, წელში გავმართულიყავი, ყველაფერი თავიდან დამეწყო, პარალელურად — ძველი ჭრილობები მომეშუშებინა. ახლა ისევ თავიდან იწყება. ვგრძნობ, რაღაცები იცვლება ჩემში. როგორც ჩანს, წარსულმა ძალიან დიდი ტკივილი დამიტოვა. ამწუთას, არ დაგიმალავ და, გაორებული ვარ. არ ვიცი, ვარ კი მზად იმისთვის, ისევ დავიწყო თავიდან? ღირს კი, ერთს მივანიჭო ბედნიერება, მეორეს წავართვა? მაქვს ამის უფლება? საკუთარ თავს რას მივცემ? მე თვითონ რა მელის? ბედნიერება თუ უბედურება? ამ კითხვებზე პასუხი არ მაქვს, გესმის?

— იქნებ ჯობია, განზე გადგე და...

— და გზა შენ დაგითმო? ჰა-ჰა-ჰა! ეს ომის გამოცხადებას ნიშნავს.

— ომის გარეშეც შეიძლება ამის მოხერხება. შენ შენი წილი ბედნიერება გაქვს, მე კი უნდა შევიქმნა. მომეცი ამის საშუალება.

— მევაჭრები?

— არ გევაჭრები, უბრალოდ, კაცურად გთხოვ. შენ არც იცი, რას ეძებ. მე კი ვიცი. შენ დაბნეული ხარ, შედეგსაც ვერ ხედავ, ვერც გამოსავალი გიპოვია. მე კი განსაზღვრული მიზანი მაქვს, რომლის მიღწევაში მხოლოდ შენი გაურკვევლობა მიშლის ხელს.

— მაგრამ მას მე ვუყვარვარ, ხომ არ გავიწყდება? პოეტურად რომ ვთქვათ, იგი მთელი ცხოვრება მე მიმღერის.

— ჰმ, სოფიმ რომ იცოდეს, რაზე მღერის, რატომ მღერის და რა მღერის მასში, არასდროს გიმღერებდა.

— შეურაცხყოფას მაყენებ.

— არც მიფიქრია. შენ თვითონ ამბობ, რომ არ იცი, რა გინდა მისგან, რას მოითხოვ. არც ეშვები, არც უშვებ. ოჯახის შენარჩუნებაც გინდა და სოფის გვერდით ყოფნაც. ის ქალია, შეყვარებული ქალი, ამიტომაც ადვილია მისი მართვა. საყვარლობაც რომ შესთავაზო, თანახმა იქნება. შემდეგ მაინც მიაგდებ. ამით კი საბოლოოდ გააუბედურებ. არ გეცოდება? თუ გიყვარს, ასე არ უნდა მოექცე.

— როგორ გეტყობა, რომ არ იცნობ მას. გგონია, რომ სუსტია? გგონია, რომ სხვა ქალებს ჰგავს? ცდები. ის იმაზე ძლიერია, ვიდრე შენ წარმოგიდგენია. დარწმუნებული რომ ვიყო, ასე მოიქცევა, ერთი წამით არ დავფიქრდებოდი, ისე განვახორციელებდი ჩემს ჩანაფიქრს, მაგრამ... მე თვითონაც არ ვიცი, რა მსხვერპლის გაღებას მოითხოვს ჩემგან, ამიტომაც ვყოყმანობ. ის არის ქალი, რომელსაც შესწევს უნარი, ყველაფერზე უარი გათქმევინოს. ფაქტი სახეზეა, ბოლო ხანებში მის გარდა ვერავის ვხედავ, ვერავისზე ვფიქრობ... ამის მოსმენა გინდოდა ჩემგან? აჰა, მიიღე! ახლა უკვე იცი, რომ მე და შენ ომი არ აგვცდება. ან შენ მოგიწევს უკან დახევა, ან — მე. მაგრამ გაფრთხილებ, მე ადვილად არ ვყრი ფარ-ხმალს. ვიცი, რომ ძლიერი მოწინააღმდეგე იქნები, ამაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი. ამიტომაც საინტერესო იქნება შენთან მეტოქეობა. და კიდევ იმიტომ, რომ ძლიერი სიძულვილი თანაბარი ძალის მქონე მოწინააღმდეგეს მოითხოვს.

— მე შენ არ მძულხარ.

— სამაგიეროდ, მე მძულხარ. მაპატიე, მაგრამ ასეა. სოფიოც მძულს, ისევე, როგორც მას ვძულვარ. კიდევაც ვუყვარვარ და კიდევაც ვძულვარ. და ეს სიძულვილი ისევე ძლიერად გვაკავშირებს ერთმანეთთან, როგორც სიყვარული. ასე რომ, ვერაფერს შეგპირდები, ჩემო ბექა. ვიომოთ და ვნახოთ, ვისი აჯობებს. ისე, ეს არ იქნება პირველი ომი ჩვენ შორის. ნანკას გამოც გვქონია მსგავსი რამ, თუმცა ის სულ სხვა იყო.

— ნანკა სერიოზულად არასდროს მაინტერესებდა, შენ ეს იცი.

— სხვათა შორის, არც მე, ამიტომაც არც შენ და არც მე არ ვუყურებდით ამას სერიოზულად. ის ომი მაშინ თამაშს უფრო ჰგავდა, ვიდრე ძლიერ ორთაბრძოლას. ამიტომაც არ ვიცით, ვინ დარჩა ჩვენ შორის მოგებული საბოლოოდ, ამაზე არ დავფიქრებულვართ. არ გვაინტერესებდა და იმიტომ.

— შენი აზრით, როგორი იქნება ეს ომი?

— ვფიქრობ, არცთუ უაზრო.

— როგორ გგონია, ვინ მოიგებს? მართალი მითხარი.

— ალბათ შენ.

— მე-ე? რატომ ფიქრობ ასე?

— იმიტომ, რომ შენ გამოუცდელი ხარ სიყვარულში.

— შენი აზრით, გამოუცდელები ყოველთვის იგებენ სიყვარულში?

— ყოველთვის არა, გარკვეულ ეტაპზე. შენ სწორედ ამ ეტაპს გადიხარ ახლა და რომ მოიგებ, შენც გამოცდილი გახდები.

— ფილოსოფოსობ, სანდრო.

— ეს ფილოსოფია არ არის, ძმაო, ეს ცინიზმია. რა უცებ დაიჯერე ჩემი სიტყვები. მე შენ ამ ომს არ მოგაგებინებ, რადაც უნდა დამიჯდეს იგი.

— მეც იმავეს გეტყოდი.

— რა თქმა უნდა, სხვა რამე რომ გეთქვა, არც დაგიჯერებდი. ისე, გადამწყვეტი სიტყვა მაინც სოფიოზე იქნება. მთავარი ის არის, ის ვის მოაგებინებს ამ ომს, თვითონ ვის მხარეზე დადგება. ჯერჯეროობით უპირატესობა ჩემ მხარეზეა. ის ითხოვს ჩემგან, რაღაც მისთვის ძვირფასი მივცე და რომც არ მივცე, თავად აიღებს ამას. შენ კი მისთვის მხოლოდ იარაღი ხარ, იარაღი ჩემს გასაღიზიანებლად, ჩემი ყურადღების მისაქცევად, მეტი არაფერი. ასე რომ... ნაკლები შანსი გაქვს... თუმცა ბრძოლა ცხოვრების კანონია. ადვილად არ უნდა დანებდე, თუნდაც მარტო იყო ბრძოლის ველზე.

უცებ ჯერ ნაბიჯების, მერე კარის გაღების და დახურვის ხმა შემომესმა. ვიღაც აშკარად გავიდა ოთახიდან. რომელი? სანდრო თუ ბექა? იქნებ ორივე?

გაშეშებული ვიდექი, განძრევასაც ვერ ბედავდი, სუნთქვასაც კი ვიკავებდი შიგადაშიგ. ფეხები დამიბუჟდა. გაოგნებული ვიყავი მოსმენილით. ეს ვინ ყოფილა, ეს ვინ მყვარებია თურმე, რა გვიან ამეხილა თვალები... ვნანობდი, ვნანობდი ყველაფერს, რაც სანდროსთან მაკავშირებდა.

კვლავ გაისმა ნაბიჯების ხმა, მერე — ისევ კარის გაჯახუნების. მივხვდი, მეორეც გავიდა. შვებით ამოვისუნთქე. იქვე, იატაკზე ჩავჯექი, სული რომ მომეთქვა და ცრემლები შემშრობოდა. საწყალი ბექა, რამხელა ტკივილი მივაყენე. არა, უნდა ველაპარაკო, ვიდრე გვიან არ არის, ვიდრე ყველაფერი არ გამიფუჭებია. ჯანდაბამდე გზა ჰქონია

სანდროს. ის ჩემი სიყვარულის ღირსი არ არის, არც ჩემი ცრემლების, არც ჩემი უძილო ღამეების. ის არ იმსახურებს ამას.

ძლივძლივობით წამოვდექი ფეხზე, წვივები ისე მიბჟუოდა, ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა. ძალიან ნელა გამოვაღე კარი და ქურდულად მიმოვიხედე დერეფანში. ჩემდა ბედად, ვერავინ დავლანდე. სწრაფად გამოვედი საპროცედურიდან და ჩემს კაბინეტში შევვარდი, სავარძელში ჩავესვენე და თავი ხელებში ჩავრგე.

— ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე, — ხმამაღლა წამომცდა ფიქრები.

ფეხები დავიზილე, რომ სისხლი ამოძრავებულიყო ძარღვებში. ცოტა შვება რომ ვიგრძენი, ყავა მოვიდუღე, დავლიე და საბოლოოდ ჩამოვაყალიბე, რა უნდა გამეკეთებინა. ჩანთა გავხსენი, „კოსმეტიჩკა“ ამოვიღე, სარკის წინ დავდექი და მაკიაჟის განახლებას შევუდექი. როცა საბოლოოდ მოვწესრიგდი, საფუძვლიანად შევათვალიერე თავი სარკეში. ჩემი ორეული შესანიშნავად გამოიყურებოდა. თვალი ჩავუკარი მეორე სოფის და მხრებში ამაყად გამართული ბექასკენ გავეშურე მტკიცე გადაწყვეტილებით.

კარი შევაღე. ტელეფონზე ლაპარაკობდა. თითქოს შეცბა ჩემს დანახვაზე, მაგრამ მაინც გამიღიმა და ხელით მანიშნა, შემოდი და დაჯექიო. ასეც მოვიქეცი.

— მაპატიე, მერე დაგირეკავ, პაციენტი მყავს, — მოუბოდიშა ვიღაცას და ყურმილი დაკიდა.

რამდენიმე წამის განმავლობაში გამომცდელად შევყურებდით ერთმანეთს.

— როგორ ხარ? — დაარღვია ბოლოს დუმილი.

— შენ? — კითხვა შევუბრუნე.

— არა მიშავს, ატმის წვენს დალევ?

— დავლევ.

მაცივრიდან ორი ქილა წვენი გამოიღო, გახსნა და ერთი მომაწოდა.

— მოიყუდე, ასე უფრო გემრიელია.

— მე შენთან სალაპარაკოდ მოვედი, — ვთქვი და მოვსვი.

— გისმენ.

— შეგიძლია მითხრა, რა ხდება?

— რა უნდა ხდებოდეს? — მიამიტური სახე მიიღო და მაგიდის კიდეზე ჩამოჯდა.

— აღარ მეკონტაქტები.

— ჰო-ო... რა ვიცი, ვიფიქრე, აღარ ვჭირდები-მეთქი. არ მინდა, ვინმეს ცხოვრებაში ზედმეტად ვიგრძნო თავი.

— ბექა, ახლა არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ცოტა ხნის წინ მეუბნებოდი, მიყვარხარო, რაღაც შანსებზეც კი საუბრობდი. ხომ არ მეშლება?

— არა, არ გეშლება, — სინანულით ჩაიცინა.

— შეგიძლია მითხრა, თუ მართლა გიყვარდი, რატომ შეგიყვარდი?

როგორც ჩანს, ამ შეკითხვას არ ელოდა. გაოცებით აზიდა წარბები და მომაშტერდა. კარგა ხანს გაწელა პაუზა, მერე ალაპარაკდა.

— განა რაიმე მიზეზის გამო შეიძლება შეგიყვარდეს? რა ვიცი, მე მგონია, რომ უყვართ... დაუფიქრებლად, არაფრის გამო, უბრალოდ, გულს უნდა ასე და იმიტომ. გული ერთადერთია, რომელსაც შეკვეთას ვერ მისცემ, ვერ უბრძანებ; რომელიც არც დაწერილ კანონებს ემორჩილება და არც დაუწერელს, — მერე უცებ გაიცინა, — ნაოჭები გაგჩენია.

დაბნეულმა მექანიკურად თვალებზე მოვისვი ხელი. ეს რა მოსატანი იყო ამ დროს?

— იცი? ნაოჭი ადამიანს ორი მიზეზით უჩნდება — ან სიბერისგან, ან მხიარულებისგან. ზედმეტად მხიარულობ, ალბათ, — ორაზროვნად დააყოლა.

— ნაოჭი ტკივილმაც იცის, დიდმა ტკივილმა და დარდმა.

— იმედია, მე არ მომიყენებია შენთვის ასეთი ტკივილი.

— სამაგიეროდ, დარდის საბაბი მომეცი.

— ეს როგორ გავიგო, ჩემზე დარდობ? არ გამაცინო.

— მე არასდროს ვიტყუები.

— ჰო, ტყუილი ხომ ღალატის ტოლფასია... რატომ, ჩემზე რატომ დარდობ? ვფიქრობ, ბევრს არაფერს წარმოვადგენ შენთვის. რა საჭიროა ასეთი სიტყვები?

— მე მასთან სექსი არ მქონია, ბექა, — ვთქვი უცებ.

ამის გაგონებაზე სახე შეეცვალა.

— არ მესმის, რისი თქმა გინდა.

— მე სანდროსთან სექსი არასდროს მქონია, — ხაზგასმით წარმოვთქვი და ჯიქურ შევხედე.

— იქნებ ისიც მითხრა, რომ...

— არა, ქალიშვილი არა ვარ. იყო ჩემს ცხოვრებაში სხვა მამაკაცი, რომელთანაც რაღაც მაკავშირებდა, თუმცა ძალიან ცოტა ხნით. სიყვარულით კი მხოლოდ სანდრო მიყვარდა ყოველთვის, ამას არ ვმალავ.

— მე რატომ მიყვები ამ ყველაფერს?

— იმიტომ, რომ შენ მთხოვე.

— რაღაც არ მახსენდება.

— გაგახსენებ. შენ მითხარი, შენზე ყველაფერი მომიყევიო, არ მითხარი? ჰოდა, მეც გიყვები.

— იქნებ არ ღირს...

— ღირს. ამაში ისე ვარ დარწმუნებული, როგორც... რატომ მალაპარაკებ? ხომ იცი, ახლა ისეთ ბანალურ ტექსტს ვიტყვი, შენც რომ გაგეცინება.

ამ სიტყვებზე მართლა გაეცინა, მერე ისევ დაუსერიოზულდა სახე და ნაღვლიანი გამომეტყველებით მომაჩერდა.

— იცი რა, სოფი? შენ კარგად იცი, რაც ხდება ჩემს თავს. ისიც კარგად იცი, რატომ გერიდები ბოლო ხანებში.

— არ ვიცი, ამიხსენი. აქ ამიტომაც ვარ მოსული.

— კარგი, გეტყვი. მე მგონია, რომ შენს გულში ჩემი ადგილი არ მოიძებნება. მოიცა, არ შემაწყვეტინო... შეიძლება მოიძებნება კიდეც, მაგრამ არ მინდა, ის ადგილი სადღაც ბოლო რიგებში, ან თუნდაც მეორე რიგში იყოს. ჩემი სურვილია ერთადერთი მაყურებელი ვიყო შენს კინოთეატრში და აუცილებლად პირველ რიგში ვიჯდე, მარტო, სხვა შენი თაყვანისმცემლების გარეშე. მე მინდა იმხელა ვიყო, რომ სხვა ვეღარ ეტეოდეს ამ პატარა, სითბოთი სავსე გულის დარბაზში და მხოლოდ მე ვავსებდე. მინდა, რომ ყველას მაგივრად მე გისმენდე, მე გიყურებდე, მე გიკრავდე ტაშს, მე ვყვიროდე „ბრავოს“, მე მოგართვა ყველას მოსართმევი თაიგული... მე, ერთი ვიყო. ამის პრეტენზია მაქვს. ვშიშობ, შენ ამას ვერ შეძლებ. ვშიშობ, რომ ერთი ადამიანისთვის არ გამართავ სპექტაკლს, რაც უნდა კარგად ითამაშო, თვალი მაინც ყოველთვის შემოსასვლელისკენ გაგექცევა იმ მაყურებლის მოლოდინში, რომლისთვისაც სინამდვილეში თამაშობ, რომელიც თავისი ყოფნით ავსებს იმ დარბაზს. გასაგებად გითხარი?

— შენ გინდა, რომ მე ბედნიერი ვიყო?

— ძალიან მინდა, მაგრამ ეს შენ არ გინდა. მე კი შენი სურვილის წინააღმდეგ ვერ წავალ. ხოლო თუ წავალ და ჯიუტად ვეცდები, ბედნიერი გაგხადო, ეს იმას ნიშნავს, რომ არასაკმარისად მყვარებიხარ.

— და ვინ გითხრა, რომ არ მინდა?

— არ ვიცი... ალბათ შენმა თვალებმა. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი — რა არის სიყვარული. ამას ძალიან გვიან, მაგრამ მაინც მივხვდი. შენ ჩემზე ადრე იცოდი, რადგან დიდი ხნის წინ გამოცადე ეს გრძნობა. სიყვარული თურმე უფრო სასტიკი და დაუნდობელი გრძნობა ყოფილა, ვიდრე წყურვილი ან შიმშილი.

— ჰოდა, დამეხმარე, რომ არ მშიოდეს და არ მწყუროდეს. სამაგიეროდ, მე შენ იმ არცთუ უაზრო ომს მოგაგებინებ, — ორაზროვნად გავუღიმე, მის გაოცებულ თვალებს თვალებით მივეფერე და სანამ რამეს იტყოდა, კაბინეტი დავტოვე...

ჩემს ოთახში შევედი და ფანჯარა გამოვაღე, რომ გახურებული სახე ნიავისთვის მიმეშვირა. მოულოდნელად ისეთი ქარი ამოვარდა, კედლები შეაზანზარა. გამეღიმა, ეს კარგის ნიშანი იყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცალოთ თვალი.

1. ზოგიერთი მედიკამენტი ორგანიზმის სისხლით მომარაგებას იმით უწყობს ხელს, რომ კარგად მომარაგებული ორგანოებიდან იღებს ჭარბ სისხლს და სისხლნაკლულ ორგანოებს აწვდის. რას ეძახიან ექიმები ამ მოვლენას?

2. რა არის ამ გამოცანის პასუხი: „მამა დაგრეხილი, დედა დაჭყლეტილი, შვილი გადარეული“?

3. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ჯონ კენედი, ამერიგო ვესპუჩი, ქრისტეფორე კოლუმბი, მოჰამედ V, ბენ-ჰურიონი, სადამ ჰუსეინი, მუსტაფა ქემალ ათათურქი, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი, ჯონ ლენონი. რა ნიშნით შეიძლება ჩამოთვლილი ადამიანების გაერთიანება?

4. 1829 წელს ნიკოლაი გოგოლმა წიგნად გამოსცა თავისი პოემა „ჰანც კიუხელგარტენი“, რომელიც კრიტიკამ დაიწუნა. რა მოიმოქმედა ამით გულნატკენმა ავტორმა?

5. ამ ამერიკელმა მწერალმა ერთხელ ანონიმური წერილი მიიღო, რომელშიც ერთი სიტყვა ეწერა — „ღორი“. მეორე დღეს მან გაზეთში განათავსა პასუხი: „ანონიმურ წერილებს მე ტრადიციულად, ხელმოწერის გარეშე ვიღებ, მაგრამ გუშინ მივიღე ბარათი, სადაც მარტო ხელმოწერა იყო“. დაასახელეთ ეს მწერალი.

6. რა ჰქვია მოწყობილობას, რომლის ამოქმედებასაც თვითმხილველთა მტკიცებით, ასეთი ხმიანობა მოჰყვება: „კლიკ, კლაკ, ბუმ“.

7. პლინიუსის აზრით, სამი რამ იყო ესქილეს სიკვდილის მიზეზი: მელოტი თავი, კუ და არწივი. როგორი ქრონოლოგიით მოხდა მოვლენების განვითარება?

8. დაცინვისა და ბოროტსიტყვაობის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში მომოსი ერქვა. იგი საკუთარმა ბოღმამ იმსხვერპლა. რა ბედი ეწია მომოსს?

9. ვინ არის სიმღერის — „ჩიტო, გვრიტო, ჩიტო-მარგალიტო“ — მუსიკისა და ტექსტის ავტორი?

10. დაასრულეთ შილერის სიტყვები: „ორი რამ მართავს მსოფლიოს — სიყვარული და...“

11. რომელ მეფეს გამოუთქვა ქართველმა ხალხმა ლექსი: „ქართლის მეფემ ააშენა ეკლესია მთაზედაო, საქართველო სხვას დაუთმო, თვითონ დარჩა მშრალზედაო“?

12. რა ჰქვია ქართლში იმას, რასაც ფშავში — „სასხიპურას“, ხევსურეთში — „საჩიტურას“, თუშეთში — „ბალუსა“ და „სასხლეტს“, სვანეთში — „ნეჯიდსა“ და „ღერენჯიკას“ ეძახიან?

13. პაპუასი ქალები ტყეში ზურგზე მოკიდებული, უზარმაზარი ბადე-ჩანთებით დადიან. ჩანთას ორი განყოფილება აქვს: ქვედა — ფესვებისა და ნაყოფისათვის არის განკუთვნილი. რისთვისაა განკუთვნილი ზედა განყოფილება?

ანეკდოტები

***

— წამო, რესტორანში გეპატიჟები.

— ვა, ასეთს რას აღნიშნავ, შე ყმოტო?



— ცოლის დეპეშა მივიღე კურორტიდან. მწერს: შენ მაინც ყველას სჯობიხარო.

***

გურული სტუმრად მივიდა, მაგრამ სახლში არავინ დახვდა და წერილი დატოვა: „ვიყაი. არ იყაი. სა იყაი?!“

***

ანონსი. ლონდონი. „მერლინ მენსონი ალბერტ-ჰოლის სამეფო დარბაზში იმღერებს, დათვრება, გაიხდის, იჩხუბებს და აღებინებს ლონდონის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად“.

***

მიწისძვრის შემდეგ, სახლის ნანგრევებში მდგომ ვანოს მეზობელი გამოელაპარაკა:

— თუ დამიჯერებ, ვიცოდი, რომ მიწისძვრა იქნებოდა.

— ჰო, ცხოველები წინასწარ გრძნობენ ხოლმე, — შეუღრინა ვანომ.

***

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ქალი სახლში აიყვანა, ლოგინში ჩააწვინა და... ააცილა.

***

— სექსის მერე ცოლს ელაპარაკები ხოლმე?

— რავი, თუ დარეკა...

***

მეცნიერები დიდხანს ფიქრობდნენ, რა აკლია იმ ადამიანის ორგანიზმს, რომელიც პოლიეთილენის საგნებს ჭამსო და ბოლოს, მივიდნენ დასკვნამდე — ტვინი!

***

— შვილო, სამზარეულოდან ხუთი თეფში გამომიტანე.

— რად გინდა?

— მამაშენს უნდა ველაპარაკო.

***

სვანეთში ორი ქალი ჭორაობს:

— გაიგე, რომ ზვიადას თავი მოუკლავს?!

— ისევ?

— ჩუმად, აგერ მოდის, არ გაიგოს.

***

დოინჯშემორტყმული კახელი მილიციაში შედის:

— უფროსო, ბაზარში ფული მომპარეს?

— დოინჯი რატომღა გაქვთ შემორტყმული!

— უი, საზამთროებიც მოუპარავთ!



***

წარწერა სვანურ კოშკზე: „კოშკში ავი სვანია!“

***

— კეთილო ხალხო, დაგვეხმარეთ გაჭირვებულებს! ჩვენმა ბავშვებმა ახლახან ისადილეს, გვიწყალობეთ „დიროლი“ ან უშაქრო „ორბიტი“! ნუ დაგვიღუპავთ ბავშვებს კარიესით!

***

მამა ზრდასრულ ქალიშვილს მოძღვრავს:

— შეყვარებული სიგიჟემდე უნდა მიიყვანო. მამაკაცი მხოლოდ ამ მდგომარეობაშია მზად, ცოლი მოიყვანოს!

***

ორი კაცი საუბრობს:

— გენეტიკა, მემკვიდრეობითობა — ეს ყველაფერი სისულელეა. პაპაჩემი ლოთი იყო, მამაჩემიც, მე კი — არა.

— ნუთუ?

— რა თქმა უნდა, მე ნარკომანი ვარ.

***

ქალმა გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა: „ვეძებ მამაკაცს, რომელიც არასოდეს მომაყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას, სხვა ქალებთან არ ივლის და სქესობრივად დამაკმაყოფილებს“. მეორე დღეს კარზე ზარია. ქალი კარს აღებს და გაკვირვებული უყურებს კაცს, რომელსაც არც ხელები აქვს და არც ფეხები.

— განცხადება თქვენ გამოაქვეყნეთ? — ეკითხება კაცი.

— დიახ...

— ჰოდა, მეც აქა ვარ. საყვარლებთან არ ვივლი, რადგან ფეხები არა მაქვს; ცემითაც, როგორც ხედავთ, ვერ გცემთ.

— მამაკაცური ღირსების ამბავი როგორღაა?! — ირონიულად ჰკითხა ქალმა.

— ჰმ, თქვენი აზრით, ზარი როგორ დავრეკე?!

***

ინფექციური საავადმყოფოდან გაიპარნენ ავადმყოფები, კუჭ-ნაწლავის აშლილობით. ექიმებმა ისინი სწრაფად იპოვეს, ცხელ კვალზე.

***

ოთახში ბავშვი შევარდა და დედას ეუბნება:

— დედა, მამიკო ფანჯრიდან აპირებს გადახტომას!

— ფუ, რა იდიოტია, მე ხომ რქები დავადგი და არა — ფრთები.

ჯრნალის საპასუხელი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რობინ ჰუდის ეფექტს.
2. ვაზი, ყურძენი და ღვინო.
3. ყველა აქ ჩამოთვლილი პიროვნების სახელები სხვადასხვა ქალაქის აეროპორტებს აქვს მინიჭებული.
4. გოგოლმა თავისი წიგნის ყველა ეგზემპლარი შეისყიდა და დაწვა.
5. მარკ ტვენი.
6. გილიოტინა. თვითმხილველთა თქმით, სწორედ ასეთი ხმები გაისმის, სიკვდილმისჯილისათვის თავის მოკვეთის დროს („კლიკ“ — ნაჯახის მოსხლეტა, „კლაკ“ — თავის მოკვეთა, „ბუმ“ — მოჭრილი თავის კალათში ჩავარდნა).
7. არწივმა დაიჭირა კუ, აიტაცა ჰაერში, რათა ზემოდან გადმოეგდო და ქვაზე დაემსხვრია მისი ბაკანი. ხოლო ის, რაც მან ქვად მიიჩნია, ესჭილეს მელოტი თავი აღმოჩნდა.
8. მან აფროდიტეს ნაკლი ვერ უპოვა და ბოლმისგან გასკდა.
9. მუსიკა გია ყანჩელის დაწერილია, სიტყვები — პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ეკუთვნის.
10. „...შიმშილი“.
11. საქართველოს უკანასკნელ მეფეს, გიორგი XII-ს.
12. კაკანათი (ფრინველთა დასაჭერად განკუთვნილი, ძოს მახე).
13. ბავშვისთვის.

ჩვენი ფოტოგალერეა

ძვირფასო მკითხველებო!

ეს ფოტო ჩვენმა მკითხველმა ზვიად გოგოლაძემ გამოგვიგზავნა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით და შეგახსენებთ, რომ „ჩვენი ფოტოგალერეა“ ყველავე თქვენს ნამუშევრებს ელის! ნებისმიერი აპარატით (მათ შორის, მობილური ტელეფონით) გადაღებული ყურიოზული ფოტოსურათი ამ გვერდზე გამოქვეყნდება.

ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ნიღბები ტუჩების მოსავლელად

როდესაც სახის ჯანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის ჯანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები – მზე, ქარი, ყინვა... ტუჩის ჯანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი ჯრემი, წინაალმდეგ შემთხვევაში, ჯანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც ვერ დაფარავს.

ტუჩის ვარჯიში

• ტუჩები წინ წამოსწიეთ და პირი ოდნავ გააღეთ. შემდეგ დამუწეთ და ტუჩები მოადუნეთ. გაიმეორეთ 10-20-ჯერ.

• ქვედა ყბა რიგრიგობით ამოძრავეთ მარჯვენა და მარცხენა მიმართულებით. ვარჯიში 10-20-ჯერ გაიმეორეთ.

ტუჩის ნიღბები

√ ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

√ ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

√ თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

√ თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■

ჩანთა და ქალის ხასიათი

ქალის ნივთებში არის ისეთი წვრილმანები, რომლებიც პატრონის ხასიათზე მეტყველებს. ამჯერად, ჩანთის სტილსა და მისი ტარების მანერაზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

• ვინც პატარა ზომის ხელჩანთას ატარებს, თავდაჯერებული ეგოისტია. მასთან ურთიერთობა არცთუ ისე იოლია. ამ ტიპის ქალს მამაკაცები მასწავლებლებს ადარებენ და არც მაინცდამაინც სწყალობენ.

• ის, ვინც მდიდრულ, დახვეწილ ჩანთას ატარებს, თვითონაც დახვეწილი მანერებით გამოირჩევა; დიდ დროს უთმობს საკუთარ ჯანმრთელობასა და გარეგნობაზე ზრუნვას. სამუშაოს მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებს. სიყვარულში რეალისტია და არა ფანტაზიორი.

• დიდი ზომის ჩანთები უმეტესწილად კარიერისტი ქალების გატაცებაა. ამ ტიპის ქალს განსაკუთრებით სიამოვნებს, როცა მის ჩანთას სასიამოვნო „კომპლიმენტით ამკობენ“.

• მკაცრი სტილის ჩანთას კონსერვატორი ქალი ირჩევს. ის ელეგანტური ჩაცმის სტილს ანიჭებს უპირატესობას, ჭკვიანია და მასთან ურთიერთობა საინტერესოა.

√ *თუ ქალი ჩანთას გულზე მიკრულს ატარებს, შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანს მალავდეს და გარშემო მყოფთ არ ენდობოდეს.*

√ *თუკი ქალს ჩანთა ცალი კუხით უჭირავს, იგი თავდაჯერებულია. ჩანთის ამგვარი ტარების მანერა, უმეტესწილად, პრეტენზიულ ქალებს ახასიათებს.*

√ *მხარზე გადაკიდებულ ჩანთას ძირითადად მხიარული ქალები ატარებენ. საერთო ჯამში, ამ ტიპის ქალი კმაყოფილია საკუთარი თავით და ზოგადად, ცხოვრებითაც.*

√ *წელზე მიბჯენილ ჩანთას, კარგი მეოჯახე ქალები ატარებენ.*

√ *ქალი, რომელიც ჩანთას იღლიაში ამოჩრილს ატარებს, საკუთარ თავში ჩაკეტილი და უთქმელია.* ■

შენი რჩეულის მეგობრებს თავი შეაყვარე

თუ გგონია, რომ ეს არაფერში გჭირდება, სასტიკად ცდები: თუ შენი რჩეული შენზე დაქორწინებას გადაწყვეტს, ამის შესახებ მეგობრებს უფრო ადრე აცნობებს, ვიდრე შენ. მათ ჯი თუ არ მოეწონე, ყველანაირად ეცდებიან, მეგობარს გადაწყვეტილება შეაცვლევინონ.

მაგრამ შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს, ეს ჯი შენზეა დამოკიდებული:

პანიკაში არ ჩავარდე

აუცილებელი არ არის, ყველა მათგანი უცებ მიიღო და შეიყვარო. პირველ ხანებში შესაძლოა, გაგიჭირდეს ურთიერთობის აწყობა, მაგრამ ხომ გსურს, რაც შეიძლება მეტი გაიგო მამაკაცზე, რომელიც გიყვარს?! გახსოვდეს: მის მეგობრებთან ურთიერთობით გაცილებით მეტს შეიტყობ მასზე.

დაინტერესე

შეიძლება თავიდან, მათ ყურადღება არც მოგაქციონ, გამოგცადონ. მხოლოდ მოთმინებისა და დიდი ძალისხმევის შედეგად მოიპოვებ მათ ნდობას. დაინტერესე იმით, რაც არ იციან: შენი თვალსაწიერით, ჰობით... ერთი ცდით არ დაკმაყოფილდე — იბრძოლე მათი ყურადღების მოსაპოვებლად.

შენს რჩეულს მისი მეგობრების შესახებ პირველი შთაბეჭდილებები გააცანი

ისეთი რამ უთხარი, რაზეც იფიქრებს, დაიმახსოვრებს და ამის შესახებ, დაინტერესებულ პირებსაც აცნობებს. შენი შეფასება უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ არც ძალიან რთულს. მეგობრები უნდა შეუქო, ოღონდ ზომიერების ფარგლებში, რათა მასში ეჭვიანობის გრძნობა არ აღძრა.

შენს რჩეულს შესთავაზე, მეგობრები შეკრიბოს

მოძველებული, მაგრამ უტყუარი მეთოდია — ამით ერთბაშად რამდენიმე კურდღელს დაიჭერ: 1. ყველას ისეთი შეგრძნება ექნება, რომ შენი შეყვარებული ძველებურად „ხელმისაწვდომია“; 2. მეგობრები შეიტყობენ, რომ მის მიმართ წრფელი და ნაზი გრძნობა გაქვს; 3. შენი რჩეული დიდად გაიხარებს; 4. შეგეძლება უკეთ გააკონტროლო სიტუაცია; 5. რომელ მამაკაცს არ მოსწონს, როცა ქალი გემრიელად ამზადებს?

უკიდურეს შემთხვევაში მოთმინებით აღიჭურვე

თუ მისმა მეგობარმა აგითვალწუნა, არ დაღონდე, მიზეზი შენში კი არა, მასშია. ამას მსუბუქად მიუდექი. მოიქეცი ისე, როგორც კარგად აღზრდილ ადამიანს შეეფერება და „ზავიც დაიდება“.

დაუმატე „ორი წვეთი“ ფლირტი

თუ, რა თქმა უნდა, სწორად გესმის სიტყვა — „ფლირტი“. საუბარი წარმართე და კითხვები დასვი. ფლირტის დროს მთავარი იარაღი ადამიანისადმი ინტერესის დემონსტრირებაა. უნდა აგრძნობინო, რომ ის პიროვნულად გაინტერესებს. ამისთვის გამოიყენე მხოლოდ „ორი წვეთი“ ფლირტი, მაგრამ — ისე, რომ გაუგებრობა არ მოხდეს.

მათ დახმარება სთხოვე

მისი მეგობრები რომ შეიჩვიო, ამისათვის გამოიყენე უკვე ბევრჯერ ნაცადი ქალური რეცეპტი: თავი სუსტ და უმწეო ქალად მოაჩვენე. დაურეკე მის საუკეთესო მეგობარს და უთხარი: „შენი დახმარება მჭირდება: როგორ ფიქრობ, მოეწონება თუ არა მას...“ ეს ნიშნავს, რომ შენი შეყვარებულის მეგობრებს აფასებ და მათ აზრს პატივს სცემ.

ზოგჯერ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინე

მისი მეგობრები მოსვენებას არ გაძლევენ? სავარაუდოა, რომ ისინი, უბრალოდ, ვერ შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მეგობარი პრაქტიკულად „დაკარგეს“: ის მარტო აღარ ცხოვრობს; გამოსასვლელ დღეებში მობილური გამორთული აქვს და ნებისმიერ დროს, როცა მოეპრიანებათ, მასთან სტუმრად მისვლას ვეღარ მოახერხებენ. თუ გრძნობ, რომ ისინი ზურგს უკან შენი რჩეულის დაგესვლას ცდილობენ, მათთან მტკიცედ დალაპარაკება მოგიწევს, მაგრამ არ გადაამლაშო — გაიხსენე, რომ მეგობრები შენც გყავს. ■



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-12

— ხეჩო ღუკასიანი მეორე „სროკზე“ გავიცანი. სოხუმელი სომეხი იყო, ავტორიტეტი ჰქონდა, სიტყვაც ეთქმოდა და სათქმელიც არ ეშლებოდა. „სროკის“ ბოლო წელი ზონის „ობშიაკსაც“ უყურებდა. მოკლედ, კაი ტიპად ითვლებოდა და კარგი „ატნაშენიეც“ გვქონდა. მაგის გათავისუფლების მერე, ზონიდან წელიწად-ნახევარში გამოვედი. იმ დროისთვის ხეჩო აღარ „შავობდა“. „მაფიოზურს“ მიაწვა და სოჭში გადაბარგდა. შენც იცი, რა ძნელია „სროკის“ მერე საქმის აწყობა. ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. სოხუმში ჩასვლა უაზრობა იყო. იქ სხვა ხალხს მიჰყავდა „პარადი“. ვიცოდი, რომ მაგრად გამიჭირდებოდა. არც „ფეესბესთან“ მქონდა „ატნაშენიე“ და არც იქაურ მთავრობასთან. იმ დროს კი ხეჩო მაგრად ამომიდგა მხარში. „სასტავშიც“ ჩამსვა და საქმეც გამიჩინა. ხეჩოსთან შვიდი წელი ვიჩალიჩე. კარგად ვიყავით. მილიონებს ვერა, მაგრამ ჩვენს წილ მაყუთს მაინც ვშოულობდით. მერე ხეჩოს თბილისელი ბიძაშვილი ესტუმრა, გურგენ პეტროსიანი. საქმე შემოგვთავაზა. ხეჩო მაშინვე დაინტერესდა, მე კი თავიდან არ მომეწონა, მაგრამ მერე, რომ დავუფიქრდი, მივხვდი, გურგენი ნაღდს ბაზრობდა...

— რა საქმე? — ჰკითხა ლუკამ.

— არ ვიცი, გურგენს თბილისში ვისთან ჰქონდა კავშირი. როგორც მივხვდი, ის ხალხი მთავრობის წევრები ან მათი ახლობლები და „პადელნიკები“ უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, გურგენი მარტო შუამავალი იყო და ჩვენ „ჩერეზ“ საქართველო, ჰეროინის „ტრასის“ ამუშავებას გვთავაზობდა. მისი ხალხი თავზე იღებდა წამლის გალში შემოტანას. ჩვენ კი რუსეთსა და უკრაინაში უნდა გაგვეტანა. ამისთვის სოხუმში უნდა დაფუძნებულიყო ახალი კომპანია, რომელიც რუსეთში გაიტანდა ჩაის, ციტრუსსა და ღვინოს. მოკლედ, ათას ხარახურას, რის გამონახვასაც შეძლებდა. იმ ხარახურას გაჰყვებოდა წამალიც. „კაროჩე“, მოვილაპარაკეთ. გურგენმა თავისი ახლობელი, კრასნოდარელი სომეხი, არმენ ტატეოსიანი გაგვაცნო და თბილისში დაბრუნდა. ცოტა ხნის მერე, არმენამ მოსკოველი „დელეცი“, ბიკოვი გაჩითა, რომელსაც საქმეში მაყუთი უნდა ჩაედო... თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. სოხუმში საჭირო ხალხს შევხვდით. შევთანხმდით. მერე ჩაჩბასა და გუმბას „სასტავებთან“ გავარკვიეთ ურთიერთობა...

— ჩაჩბას შენც ხვდებოდი?

— არა, — თავი გაიქნია ტარბამ, — არ გვინდოდა ზედმეტი „დვიჟენიე“. ამ საქმეებს ხეჩო აგვარებდა. მე არსად გამოვჩენილვარ.

— რიჟკოვს რა აკავშირებს ამ საქმესთან?

— ოო... ეს განსაკუთრებული მოვლენაა!.. არ მეგონა, თუ ასეთი სერიოზული კავშირი ჰქონდა ჩაჩბასა და გამზათის ხალხთან. მაგრამ მერე გაირკვა, რომ ყველაფრის თავიდათავი რიჟკოვი იყო. გარდა ამისა, ერთი „ტრასა“ უკვე არსებობდა, რომელსაც „ფეესბე“ ანუ რუსეთი აკონტროლებდა. ამ ბაზარში აფხაზეთის მთავრობა და იქაური ავტორიტეტები სუფთა „შნირები“ იყვნენ. ამ „ტრასით“ წამალი საპირისპირო მიმართულებით, რუსეთიდან საქართველოში იგზავნებოდა და ვინ მოგვცემდა დინების საწინააღმდეგოდ შეტრიალების საშუალებას?! ხეჩო ამ ამბავს შეეწირა. ზუსტად არ ვიცი, საიდან გაბაზრდა ჩვენი ამბავი. მგონი, ხეჩოს ერთმა სომეხმა ახლობელმა გაგვშიფრა. ხეჩო დაბრიდეს. ჩაჩბასა და გუმბას ხალხი კი ტატეოსიანისა და ბიკოვის „სასტავს“ დაერია. ისინიც არიფებივით მოიქცნენ. მოსკოვში გაიქცნენ და იქაურ ავტორიტეტებს „კრიშობა“ სთხოვეს. ეს არ გამოვიდა. მოსკოვში ყველამ იცოდა, ვისთან თანამშრომლობდნენ ჩაჩბა და გუმბა. არავინ შეეტენა „ფეესბეს“ და არც საქმეში ჩაერია. ამასობაში ბიკოვიც დაბრიდეს და ტატეოსიანი მე მომადგა. იმ სირს ეგონა, რომ ჩაჩბასთან გავქაჩავდი. მე კი კარგად ვიცოდი, რისი ტრაკი მქონდა და რისი — არა. „კაროჩე“, სამ ასოზე დავუპირე გაგზავნა, მაგრამ მაგრძნობინა, რომ „პადერჟკას“ თუ არ მივცემდი, ჩაჩბასთან ჩამიშვებდა. მაშინ მოცდა ვთხოვე. დავპირდი, რომ ყველაფერს მოვაგვარებდი... რამე დამალევინეთ, — მოულოდნელად ითხოვა ტარბამ, — კონიაკი... უკეთესია — არაყი!..

ლუკამ ირაკლის ანიშნა, სასმელი მიეცი. ის სათავსიდან გავიდა და ორიოდ წუთში რამდენიმე ბოთლი არყით დაბრუნდა. ტარბას ჭიქისთვის აღარ მოუცდია, ირაკლის ბოთლი ჩამოართვა და მოიყუდა. მერე განაგრძო:

— ადრე ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ თურმე რამხელა მნიშვნელობა აქვს ერთ ან ათ წუთს. ტატეოსიანი მაგრად მიშლიდა ხელს. იმ საქმის გამკეთებელი არ ვიყავი, ის კი არ მომეშვებოდა. მოკლედ, „ლიშნი“ გახდა. უკვე გადაწყვეტილი მქონდა სომხის დაბრედვა. ამ საქმეზე ერთ კაცს ვხვდებოდი. მარტო ფასი გვქონდა შესათანხმებელი. ამ დროს შენ გაიჩითე!.. ერთი ან ათი წუთით გვიან რომ ჩაგევლო იქ, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა...

— სოჭს გულისხმობ? — ჰკითხა ლუკამ.

— ჰო... მაშინ ამაზე არ მიფიქრია. გინდ დაიჯერე, გინდ — არა. გაგონილი მქონდა, დაიბრიდაო და ნაღდად, ალაღად გამიხარდა შენი ნახვა, მაგრამ მერე ეშმაკი შემომიჩნდა. საქმეში ჩადებული მაყუთი იკარგებოდა. ტატეოსიანის დაბრედვა ძნელი არ იყო, მაგრამ გურგენი მოიკითხავდა. „კაროჩე“, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა და შენ ყველაზე ნაღდი ვარიანტი იყავი. გახსოვს, როგორ ვცდილობდი შენთან დაბაზრებას?.. „იასნია“, რომ წამალზე არაფერს გეტყოდი. უბრალოდ, ტატეოსიანის „კრიშობა“ უნდა მეთხოვა. მაგრამ შენ სამ ასოზე გამგზავნე!.. თავი არ გამიყადრე. ჩვენ ბოდიში — სად ჩვენ, „დიშოვკები“ და სად თქვენ — „კრისტალები“!.. რა მოხდებოდა, რომ დამბაზრებოდი?! გეტყოდი ჩემსას. თუ არ მოგეწონებოდა, მერე გაგეშვი სამ ასოზე!..

— მართალი ხარ. ჯობდა, დაგბაზრებოდი... იქვე მიგაბრიდავდი და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი! — შენიშნა ლუკამ.

— ასე იყო თუ ისე, მაინც მოგიხდა ჩალიჩი, მგელო! — ღვარძლიანად უპასუხა ტარბამ. — მაგრამ ეს შენი დამსახურება არ არის. შენ ალბათ გაინტერესებს, როგორ მოხვდი ამ საქმეში. ვიდრე მკითხავ, თვითონ აგიხსნი. სულ უბრალოდ. ეს ჩემი დამსახურებაა. ასე თუ ისე, მაინც ვიცნობ საძმოს ცხოვრებას. მართალი გითხრა, გამაკვირვე. მართლა, სხვა კაცი ყოფილხარ. არ გქონია კავშირი ძაღლებთან. გურგენს დავუკავშირდი: კაცი გამოჩნდა, ვინც ჩაჩბას „დააზადნინებს“-მეთქი. მერე გავიგე, რომ შენი სახელი საერთოდ არ სმენია. თუმცა, საიდან უნდა სცოდნოდი „დიშოვკა“ ბარიგას?! მაგრამ იმ ბაზრის მერე დამპირდა, რომ თავის ხალხთან განიხილავდა შენს „კანდიდატურას“!.. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი „შეფები“ უფრო კარგად „გიცნობდნენ“, მაგრამ არ სჯეროდათ, რომ ცოცხალი იყავი. შეცდომად ჩამითვალეს. გურგენმა ორჯერ დამირეკა. მკითხა — ნაღდად ეგ კაცია თუ არაო? დავარწ-

მუნე, რომ ნაღდად შენ იყავი. მერე იმაზე წავიდა ბაზარი, როგორ უნდა შეგება ჩაჩბა და გუმბა!.. უკვე ვიცოდი, რომ შენთან ბაზარს აზრი არ ჰქონდა: მაგათ არც დაელაპარაკებოდი. დანარჩენი შენც კარგად იცი. „ვტიხარია“ აგაგდეს და თავისი „უსლოვიები“ შემოგთავაზეს: შენს შვილსა და საყვარელს მაშინ მიიღებდი, თუ ჩაჩბას საქმიდან გაიყვანდი!.. ცოტა ხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მერე შენ მოხიე და მონასტერიც აირია... საქმეში ვოლინა ჩაერთო. რიჟკოვი „ზადნის“ მიცემას არ აპირებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შენ და შენი ხალხი ნებისმიერი გზით უნდა შეეჩერებინე. ამაში გამოიყენეს ჩაჩბა!.. ისე, ტყუილად აწვებოდი ზენერს: ის საქმე რიჟოკვმა გამზათის ხელით გაგიჩალიჩათ. არავის უნდოდა შენთან დაჯახება. ჩაჩბას „სასტავი“ შეგატოვეს ხელში. ყველა ფიქრობდა, რომ ის ხიპიში აფხაზების ან შენი „სასტავის“ ამოხოცვით დამთავრდებოდა. შენს მეორედ გამოჩენას აღარავინ ელოდა. საღად მოაზროვნე ადამიანი ძაღლებს არ უნდა შეტენოდა, მაგრამ შენ იმაზე შორს წახვედი!.. ეტყობა, ძალიან გყვარებია შვილი და ის ქალიც!.. კინაღამ გავგიჟდი, ტატეოსიანმა რომ დამირეკა და მითხრა, — გეგეშიძე შეხვედრაზე მიბარებსო!.. მერე იყო „სხადნიაკი“. ჩაჩბა ხვდებოდა, რა ხორცსაკეპშიც ჩაითრიეს გამზათმა და რიჟკოვმა და გარიდება სცადა, მაგრამ სისხლი უკვე დაღვრილი იყო...

— ჩაჩბა არ მაინტერესებს. შენზე იბაზრე! — ცივად შეაწყვეტინა ლუკამ.

— შენ საქმეში მაგარი ხარ, მაგრამ ნაბოზარი რიჟკოვიც მაგარი აღმოჩნდა. მალე მივხვდი, რომ საქმე მკვდარი იყო. ვერ გავქაჩავდით. შენ მარტო შვილი და საყვარელი გაინტერესებდა და როგორც კი ისინი შენთან დაბრუნდებოდნენ, ყველას დაერეოდი. მაშინ უნდა ამერჩია, ვის მხარეს დავიჭერდი. შენთან ბაზარს აზრი არ ჰქონდა. სოჭშიც თავიდან მომიშორე და მერეც. სხვა რა გზა მქონდა? ისევ რიჟკოვს მივადექი და ყველაფერი „გავუიასნე“. მაშინ მარტო ერთი მიზანი მამოძრავებდა — რიჟკოვის სახით „კრიშის“ მიღება და შენი საქმიდან გაყვანა მინდოდა. მეგონა, „ფეესბე“ შენზე დაიწყებდა ჩალიჩს. მაგრამ რიჟკოვი ვერ შევაფასე. სულ სხვა აზროვნების კაცი ყოფილა. შენზე კი არა, გურგენსა და მის საახლობლოზე დაიწყო ჩალიჩი. ეტყობა, ჩემზე კარგად გიცნობდა. შენ ალბათ არ იცი, მაგრამ შენი შვილი და საყვარელი რიჟკოვის ხალხმა წაართვა ქართველებს. მერე ერევანში გადაიყვანეს და შენს ხალხს ჩააბარეს. როგორც რიჟკოვმა თქვა, იქ რაღაც გაუგებრობა მოხდა. შენი შვილის დედამ, გერმანელმა ქალმა ისტერიკები მოაწყო, მაგრამ ეს ზედმეტი იყო. შენს აყვანას არავინ აპირებდა. უბრალოდ, რიჟკოვის ხალხს შენთან ბაზარი უნდოდა...

— რაზე?

— „პროსტო“, ვითარებას „გაგიიასნებდნენ“. აგიხსნიდნენ, ვინ — ვინ იყო. ვინ აგიყვანა საქართველოში, ვის ჰყავდა შენი შვილი და საყვარელი...

— და რა ამით?

— „ბოი“ შეწყდებოდა. შენებს რომ დაიბრუნებდი, რაღა გექნებოდა საომარი?!

— შეწყდებოდა! — ბრაზით ჩაილაპარაკა ლუკამ. — ვოლინას სისხლს ვინ ზღავდა?! ან — იცი, რა კაცი მომიკლეს საქართველოში?

— პროკურატურის გამომძიებელი?! — გაიკვირვა ტარბამ.

— ეგ შენი საბაზრო არ არის, ახვარო! — ხმას აუწია ლუკამ. — ვინც არ უნდა ყოფილიყო, იმ კაცს ათასჯერ მეტი ჰქონდა დათესილი ჩვენთან, ვიდრე მთელ შენს „მასკიან“ საახლობლოს!.. „დალშე“ იბაზრე“...

— რიჟკოვიც მიხვდა, რომ შენ გაჩერებას აღარ აპირებდი. გარკვეულწილად, ეს მასაც აწყობდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შენ მარტო შვილისა და საყვარლის გამტაცებლებს დაერეოდი. მაგრამ ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ აფხაზებსაც და, ესე იგი, მის ხალხსაც არ



მარტო ერთ რამეს გთხოვ: მაგ ნაბიჭვართან ერთად ნუ დაბრიდაე!.. ამის გაგონებაზე, ნოვაკი თეთრზოდ დაეშვა იატაკზე, მოიკუნტა და ატირდა.

მოეშვებოდი. მაშინ ჩაჯდა საქმეში შენი ყოფილი „ბრატი“, — ნოვაკზე მიანიშნა ტარბამ, — რიჟკოვი თვითონ დაუკავშირდა და შენი მოქესტვა შესთავაზა.

— რაღაც არ გამოდის... კავშირს ვერ ვხედავ, — შეაწყვეტინა ლუკამ, — რა უნდა შეეთავაზებინა რიჟკოვს მისთვის? ის რუსული „ფეესბეს“ თანამშრომელია, ეს — უკრაინის სამინისტროს კურატორი!..

— ჰო, მაგრამ ეგ შენს „სასტავთან“ ახლობლობს. ის, რომ შენი საახლობლო ძალიან დიდ მაყუთს ატრიალებს, მეც კარგად ვიცი. მაყუთის გარდა, შენ გყავს „სასტავი“, რომელიც ლამის მთელ უკრაინას აკონტროლებს... ეს რიჟკოვის გეგმა იყო. ტატეოსიანი ცხელ გულზე დააბრედვინა, როგორც კონკურენტი და მოწინააღმდეგე. მაგრამ მერე კიდევ ერთხელ გადახედა საქმეს და მაშინ გაუჩნდა გურგენის თავის სასარგებლოდ გამოყენების იდეა. მე ხომ მასთან ისევ მქონდა კავშირი. გურგენის საახლობლო თავზე იღებდა აფხაზეთში წამლის შემოტანას და რა მნიშვნელობა ჰქონდა, საით წავიდოდა შემდეგ ჰეროინი?! ძველი გეგმით, წამალი რუსეთში უნდა გავრცელებულიყო. ეს ხელს არ უშლიდა გამზათისა და ნეჯეთის ხალხს. ისინი ხომ სხვა „კანალს“ აკონტროლებდნენ. ნეჯეთის ხალხს ჰეროინი ავღანეთიდან, „ჩერეზ“ შუა აზია და ჩეჩნეთის გავლით შემოჰქონდა რუსეთში და აფხაზეთის გავლით უშვებდა საქართველოში. გურგენს სხვა „ტრასა“ ჰქონდა: საქართველო-აფხაზეთის გავლით — რუსეთი!.. სისულელე იყო ასეთი შანსის ხელიდან გაშვება. მარტივი ჭეშმარიტებაა — როცა არსებობს საქონელი, მომწოდებელი და მომხმარებელი, რეალიზატორი თავისთავად გამოჩნდება!.. რიჟკოვი დარწმუნებული იყო, პირველი წარუმატებლობის მიუხედავად, გურგენი არ გაჩერდებოდა. მეორედ, მესამედ ცდიდა ბედს და საბოლოოდ, მაინც გავიდოდა ისეთ ხალხზე, რომლებზეც მას ხელი არ მიუწვდებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა, გამზათისა და ნეჯეთის ხალხის დახმარებით გაეკონტროლებინა „ტრასა“. ამ ბაზარში ტატეოსიანი ზედმეტი იყო, თანაც მან ბევრი იცოდა და თავიდან მოიშორეს. რაც შეეხება შენს ყოფილ ძმაკაცს, — ნოვაკს გახედა ტარბამ, — შენ და შენი „სასტავი“ უკვე ჩართული იყავით საქმეში. მისი იდეა, შენი გამოყენების თაობაზე, ილუზია აღმოჩნდა. თავიდან თვითონ იყო იმის მომხრე, რომ გურგენი და მისი საახლობლო შენ გაგენადგურებინა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ჩვენ რეალურ მომწოდებლებს ვკარგავდით. ასე გადაიქეცი სავარაუდო მოკავშირისგან დაუძინებელ მტრად, შენი ძმაკაცი, ნოვაკი კი — მეგობრად. გარდა ამისა, რიჟკოვს სხვა ინტერესიც ჰქონდა: სივრცე, რომელსაც შენი ხალხი აკონტროლებდა!..

— თქვენ რა, გეგონათ, რომ ჩემი ხალხი „ბარიგობას“ დაიწყებდა?! — ცივად ჩაიცინა ლუკამ.

— ვინ იცის, რა მოხდებოდა შენი წასვლის მერე?.. მაგრამ მარტო შენშიც არ იყო საქმე. რიჟკოვი სულელი არ არის და თვითონაც კარგად ხვდებოდა, რომ შენი „სასტავის“ „ვერხუშკა“ — ჯაბა, ვოვა

და სხვა მაყურებლები არასოდეს წავიდოდნენ ამაზე. მაგრამ შენი წასვლის შემდეგ ყველა ჯიუტი უკან გამოგყვებოდა. ამას გამზათის ხალხი გააკეთებდა. შენი და შენი ხალხის გარეშე კი ნოვაკი თავის გავლენას გაზრდიდა და ადრე თუ გვიან, მთლიანად დაითრევდა „ვერშინას“.

— მერე?.. რას ვერ მოაბით თავი? — გამოკითხვა განაგრძო ლუკამ.

— ერთმა ახვარმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა!

— ვინ?

— მოსკოველმა გამომძიებელმა, გვარად რიბკინმა, ცენტრალურ აპარატში მუშაობს!

— ვიცი... მსმენია, მაგრამ რაში შეუშალა გამომძიებელმა ხელი რიჟკოვს?

— ის მარტო არ მუშაობს. შენს საქმეზე შექმნილია ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი, რომელშიც ქართველი და უკრაინელი გამომძიებლებიც ჩართეს. რიბკინს „პრესის“ ქვეშ ჰყავს ქართველიცა და უკრაინელიც. საჭირო თუა, მაგრადაც აწვება. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. როგორც რიჟკოვმა გაარკვია, რიბკინი შენი შვილისა და საყვარლის გამტაცებლებზე გავიდა და ოფიციალურად მოითხოვა გურგენის დაკითხვა...

— გურგენი პირადად მონაწილეობდა ჩემი შვილის მოტაცებაში?

— არა... ის ხეჩოსავით, შუამავალი იყო. მან ჩემგან გაიგო, რომ შენ საქართველოში ჩახვიდოდი. გარდა ამისა, შენს შვილსა და საყვარელს მის აგარაკზე მალავდნენ... მოკლედ, პირველი კაცი არ იყო, მაგრამ ყველაფერი იცოდა... გასაგებია, რომ ქართველები ასეთ ტიპს რიბკინს არ დააკითხვინებდნენ...

— გურგენი მკვდარია? — არ დაამთავრებინა ლუკამ.

— მარტო გურგენი არა. მაგის მერე ამ საქმემ კიდევ ერთი ტიპი გადაიყოლა — საქართველოს უშიშრობის საბჭოში მუშაობდა. გურგენმა თავი ჩამოიხრჩო, ის ტიპი კი, თავისი კაბინეტის ფანჯრიდან გადმოხტა!

— ვიზიარებ შენს მწუხარებას... — ირონიულად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— მწუხარებას?! — ბრაზით შეხედა ტარბამ. — მაგან ყველაფერი გააფუჭა. გამზათი და რიჟკოვი მაგრად მეკიდა. მაგრამ გურგენის დაღუპვით, თბილისთან კავშირი დაიკარგა. შეიძლება, მომავალში გურგენის ახლობლებს ისევ ეცადათ „ტრასის“ ამოქმედება, ისევ გასულიყვნენ რიჟკოვის ბოზბანდაზე, მაგრამ ამით ჩემთვის აღარაფერი შეიცვლებოდა. იმ ბაზარში მე უკვე „ლიშნი“ ვიყავი — „პასაჟირი“, რომელმაც ძალიან ბევრი იცოდა. ეს რიჟკოვმაც მაგრძნობინა. როცა ერთი-ორჯერ ტელეფონით დავურეკე და არც მიპასუხა, მივხვდი, რომ უკვე ჩემს მომავალს წყვეტდა. თუ ჩემს რამეში გამოყენებას შეძლებდა, ვიცოცხლებდი, თუ არა და... არმენის გზას გამიყენებდნენ. ისე, შენი მადლობელი ვარ. ცოტა ხნით მაინც გამიხანგრძლივე სიცოცხლე. ხარკოვში გამზათის კილერების დაბრედვამ და ჩაჩბას „სასტავის“ გაფარჩაკებამ გამზათი მიახვედრა, რომ შენ უფრო შორს წახვიდიდი და ადრე თუ გვიან, მასაც მიადგებოდი. მათ ყველაზე მეტად, ჩაჩბას გაქრობა აშინებდა. რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ჩაჩბა ცოცხალი იყო და შენ გამზათის წინააღმდეგ მის გამოყენებას აპირებდი...

— საიდან გაუჩნდათ ეს აზრი? — შეაწყვეტინა ლუკამ.

— „სასტავი“ პატივს სცემდა ჩაჩბას. აფხაზებს გუმბას დაბრედვამ მაგრად „ააკრეფინა“. რამდენიმე მათი კაცი სვანებს შეაკვდა. ისედაც გაცოფებულები იყვნენ და ჩაჩბას დაბრედვის მერე საერთოდ გარეკავდნენ. შენ კი რა გააკეთე? მაგათ დაბრედილებს კიდევ ექვსი თუ შვიდი „ტრუპი“ დაამატე, ჩაჩბა დაითრიე... ამის მერე თორია გაუშვი და თანაც, აფხაზებს მშვიდობა შესთავაზე!..

— სულ ეს არის? — გაიკვირვა ლუკამ.

— რიჟკოვს ესეც აკმაყოფილებდა. თვითონ მითხრა: გეგეშიძე ასეთ რამეს არ გააკეთებდა, ჩაჩბა მკვდარი რომ იყოს, თორიასაც დაბრიდავდაო. თანაც, მერე აფხაზეთში გაბაზრდა, ზენერი ცოცხალიაო!.. ასე ბაზრობდა მისი ხალხი... მაშინ რიჟოვის თვალში მეც დამედო ფასი. უფრო სწორად, რიჟკოვმა „ზაპასნოი“ ვარიანტად მაქცია...

— რისი თქმა გინდა? — ჰკითხა ლუკამ.

— გამზათი და ნევჯეთის ხალხი დიდხანს ნადირობდნენ შენზე. მაგრამ ყველა, ვინც რუსეთში ჩამოვიდა, უკან „ცინკის“ კუბოთი დაბრუნდა. ამან რიჟკოვი დაარწმუნა, რომ გამზათი შენთან ვერ გაქაჩავდა. თანაც შეაშინა, რომ გამზათის შემდეგ, მისი ჯერი დადგებოდა. შენ რომ არ შეხებოდი, თავისი ხელმძღვანელობა არ აპატიებდა ამდენ შეცდომას. მეორე მხრივ, რიბკინი უტრაკებდა. ქართველების მერე ის რიჟკოვს მიაწვა. მოკლედ, მათში გარკვეული შეთანხმება დაიდო. რიბკინი იმ პირობით არ გააბაზრებდა აფხაზეთის საქმეებს, თუ რიჟკოვის „სასტავი“ შენს აყვანაში დაეხმარებოდა. გამზათსა და ნევჯეთს კი ამის ტრაკი არ ჰქონდათ!.. ვრჩებოდი მე — კაცი, რომელსაც რაღაც ურთიერთობა მაინც ჰქონდა შენთან და რაც მთავარია, შენთან მოახლოება შეეძლო!

— არ გეშინოდა?.. დავუშვათ, მართლა გაგეჩალიჩებინა ჩემთვის. ჩემი ხალხი ხომ მაინც არ გაცოცხლებდა!

— შენს ხალხზე ადრე, რიჟკოვი მომიყომარებდა. ჩემი ოჯახი მძევლების მდგომარეობაში ჰყავდათ. „ლიშნი“ რომ მეთქვა რამე, ყველას ამოხოცავდნენ. ქალი და ბავშვი იმ ნაბიჭვარ არაბს ვერ შეაჩერებდა. უარესებიც გაუკეთებია!.. შენი ხალხი შორს იყო, ის კი — ცხვირწინ მედგა!.. თანაც, შენი „სასტავი“ შენ გარეშე ბევრს ვერ გაქაჩავდა. რიბკინს და მის უკრაინელ გამომძიებელს უკვე მზად ჰქონდათ მაგათი აყვანის გეგმა. ისინი მარტო რიჟკოვსა და ნოვაკს ელოდნენ. რიჟკოვს შენი საკითხი უნდა გადაეწყვიტა, ნოვაკი კი „ვერშინაზე“ მუშაობდა.

— რამ „დაგატორმუზა“?.. ორჯერ ზედიზედ შემხვდი. რატომ არ გააგებინე რიჟკოვს „სტრელკის“ ადგილი?

— შემეძლო, მაგრამ, — ტარბამ ხარბად მოსვა არაყი და განაგრძო: — რაც გინდა, ის დაარქვი — სიხარბე, „ბალვანის“ თავდაჯერებულობა, შეცდომა!.. „კაროჩე“, მაგრად ვთოხლე. დავიჯერე, რომ მენდობოდი. მეორე კი ის იყო, რომ შენი ჩაშვება ასე არ გამოვიდოდა. ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავზეც ხომ უნდა მეფიქრა. „ლუბოი“ გოიმი მიხვდებოდა, რომ ჩემი ჩაშვებული იყავი. თანაც, არ მჯეროდა, რომ ძაღლები ხელის ერთი მოსმით აყრიდნენ მთელ შენს „სასტავს“. ჩემთვის ერთი-ორის გარეთ დარჩენაც საკმარისი იქნებოდა: ულაპარაკოდ მომიყომარებდნენ. ეს საქმე ძალიან სუფთად უნდა გაკეთებულიყო. ისე სუფთად, რომ ჩემთვის ვერავის უნდა წამოეყენებინა პრეტენზია. ამას კი დრო სჭირდებოდა. იყო კიდევ ერთი რაღაც: „აჩოკის“ დაწერა მინდოდა. რიჟკოვს ვახვედრებდი, რომ ამ ბაზარში გამზათი ჩემ შემდეგ იდგა. ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული.

— ეს ნაბიჭვარი?.. — ნოვაკზე ანიშნა ლუკამ. — რა ბაზარი ჰქონდა რიბკინთან?



რაც არ უნდა მოხდეს, უნდა დამპირდე, რომ ეკას მოძებნი და ჩემს შვილზეც იზრუნებ!..

— არანაირი... რიბკინი აზრზე არ იყო, რომ ეგ რიჟკოვთან ერთად ჩალიჩობდა. რომ გაეგო, მთელ ამბავს ატეხდა.

— წეღან თქვი, რომ რუსებსა და უკრაინელებს ერთობლივი გეგმა ჰქონდათ.

— ვთქვი, მაგრამ ეგ ძაღლებს ეხება. უბრალოდ, ნოვაკი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს კურატორი, ბოლომდე იყო ჩახედული საქმის დეტალებში და წინასწარ იცოდა, რომ მალე შენს ხალხს აიყვანდნენ.

— როდის მოასწარი ასე დაწვრილმანება?! — ლუკამ ცივად შეხედა ნოვაკს. — ასე რამ გაგაცოფა?! „ვერშინაზე“ ძაღლების „ნაეზდს“ ელოდი და მაყუთზე გვეჩალიჩებოდი?! ჩვენ თუ აგვყრიდნენ, მთელი „ვერშინა“ შენ არ დაგრჩებოდა?!

ნოვაკმა თავი ჩაქინდრა.

— კიდევ რამე გაქვს სათქმელი? — ტარბას მიუბრუნდა ლუკა.

— რა, მოვრჩით? — შეყოყმანდა აფხაზი.

— მე აღარაფერი მაინტერესებს.

— ლუკა, — გაუბედავად ჩაერია ნოვაკი, — ყველაფერი მესმის... გამართლება არ მაქვს, მაგრამ იქნებ...

— შენთვის არაფერი მიკითხავს! — ბრაზით შეაწყვეტინა ლუკამ და ტარბაზე გადაიტანა მზერა.

— ესე იგი, მოვრჩით, — ამ სიტყვებთან ერთად, აფხაზმა ბოთლში ჩარჩენილი არაყი გამოცალა და თქვა: — ცოტა კიდევ დამალევინე და მერე, რაც გინდა, ის მიქენი. მარტო ერთ რამეს გთხოვ: მაგ ნაბიჭვართან ერთად ნუ დამბრიდავ!..

ამის გაგონებაზე, ნოვაკი უღონოდ დაეშვა იატაკზე, მოიკუნტა და ატირდა.

ლუკამ ზიზღით გახედა. მერე ისევ ტარბას მიუბრუნდა:

— რა, არ გეკადრება?.. რითი განსხვავდებით ერთმანეთისგან?!

— მე შენთან არასოდეს მქონია კარგი ურთიერთობა, სწორად თუ არასწორად — შენ და შენმა ძმაკაცმა ჩემი ბიძაშვილი დაბრიდეთ!.. ცოტა ხნის წინ კი ჩემთვის ხელის ჩამორთმევაც „გიტყდებოდა“!.. მე მქონდა შენი სიძულვილის მიზეზი და თანაც, არასოდეს მქონია სერიოზული მაყუთი!.. ეს კი... — ტარბამ ზიზღით გახედა იატაკზე მოკუნტულ ნოვაკს. — რა აკლდა ამ ნაბიჭვარს?! მაყუთიც ჰქონდა, მდგომარეობაც და შენს ძმაკაცადაც ითვლებოდა, მაგრამ მაინც გადაგაგდო!.. ვერ გაძღა, ნაბიჭვარი!.. ახლა კი შენ თქვი, განვსხვავდებით ერთმანეთისგან თუ არა!..

— არ განსხვავდებით!.. ბოზი მხოლოდ ბოზია, მაგრამ იმედი უნდა გაგიცრუო: დღეს ჩემი ხელით არავინ მოკვდება!..

— რა?! — უნებურად წამოსცდა ტარბას. დარწმუნებული იყო, რომ მომხდარის შემდეგ, ლუკა მას და ნოვაკს ცოცხლებს არ დატოვებდა და ახლა მისი სიტყვები სრულიად დაუჯერებლად ეჩვენა.

— გმადლობ, ლუკა, — უმალ აღაპარაკდა ნოვაკი, — ვიცოდი, რომ არ გაგვიმეტებდი...

— გაჩუმდი, იდიოტო! — დაუყვირა ტარბამ. მერე კი ლუკას გაუსწორა მზერა და თქვა: — ტონი მონტანას მითამაშებ?.. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მესვრის — შენ თუ რომელიმე შენი „პადელნიკი“?!

— მე არ მითქვამს, რომ გაპატიეთ, მაგრამ დღეს აქ არავინ მოკვდება! — ცივად მიუგდო ლუკამ.

— დიდი შეღავათია, — ავად ჩაიღაპარაკა ტარბამ.

— როგორც გინდა, ისე მიიღე!.. ახლა კი — დავლიოთ. ისე ამამღვრიე, რომ თუ არ დავლიე, გული ამერევა, — ზიზღით თქვა ლუკამ, მერე არყის ბოთლს გადასწვდა, მოსვა და ტარბას ანიშნა, — თუ გინდა, დალიეო.

შეხვედრამდე ნახევარი საათი რჩებოდა, როდესაც ჯაბამ სასტუმრო „ლაზურნაიას“ მახლობლად შეაჩერა მანქანა, რომელშიც ტარბა, ირაკლი და ვოვა ისხდნენ. ირგვლივ არავინ ჩანდა. ხშირ ბუჩქნარს მხოლოდ სასტუმროს სარეკლამო აბრა ანათებდა. ორმოცდაათიოდე მეტრში, ავტოსადგომი და დარაჯის ჯიხური მოჩანდა.

— რისთვის მომიყვანე აქ? — შიშით იკითხა ტარბამ, როგორც კი „ლაზურნაიას“ მოჰკრა თვალი. აქამდე დაჟინებით ცდილობდა, ლუკას ჩანაფიქრის ამოცნობას. როდესაც სარდაფიდან ამოიყვანეს და მანქანაში ჩასვეს, დარწმუნდა, რომ მოსაკლავად მიჰყავდათ. რამდენიმე წამში თვალი მოჰკრა ნოვაკს, რომელსაც სხვა მანქანაში სვამდნენ. ალექსანდრე ისეთი შეშინებული იყო, დაუხმარებლად სიარულიც აღარ შეეძლო. მაგრამ როგორც კი სამგზავროდ გამზადებულ მანქანებსა და ლუკას ხალხს მოჰკრა თვალი, უმალვე გამოფხიზლდა და წინააღმდეგობა სცადა. მაგრამ ლუკას ხალხმა მაშინვე გააკავა და უკანა სავარძელზე დააგდო. სწორედ მაშინ დარწმუნდა ტარბა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო — ისინი მოსაკლავად მიჰყავდათ და ზედმეტი ხმაურის თავიდან ასაცილებლად ჩასვეს სხვადასხვა მანქანაში. ოღონდ, მიყრუებული გარეუბნის ან ტყის მაგივრად, სადაც უფრო ადვილი იქნებოდა გვამების გადამალვა, მანქანა სასტუმრო „ლაზურნაიასთან“ გაჩერდა.

— რა არ მოგწონს? — უკანა სავარძლისკენ მიბრუნდა ლუკა.

— აქ ხომ რიჟკოვი უნდა მოვიდეს.

— მერე?.. არ გინდა, ძველ ძმაკაცს შეხვდე?!

— რა განიზრახე?

— თავის დროზე ნახავ! — უხეშად მიუგდო ლუკამ, მერე ჯაბას ანიშნა, გამომყევიო და მანქანიდან გადავიდა.

როგორც კი მანქანას მოშორდნენ, ჯაბამ იქაურობა მოათვალიერა და ჩაილაპარაკა:

— ეს სიგიჟეა, ლუკა. ამ ნაბიჭვრის გაშვება არ შეიძლება. ნუ გეწყინება, მაგრამ არ მჯერა, რომ ამ საქმიდან რაიმე გამოვა!

— დამშვიდდი... მაგის გაშვებაზე კი ნუ იდარდებ. ბაზარი არ არის, რომ ეგ ნაბიჭვარი ტყვიის მეტს არაფერს იმსახურებს, მაგრამ ამჯერად ჩვენ ნუ ჩავერევით ამაში. ეგ აღარაფრის მთქმელია და შენც ვეღარასოდეს ნახავ მაგის სახეს. კარგად ვიცნობ „კრისებს“. ეგენი უჩვენოდ ამოხოცავენ ერთმანეთს და ისე გააკეთებენ ჩვენს საქმეს, რომ აზრზეც ვერ მოვლენ!..

— კიდევ ერთხელ დაფიქრდი, ლუკა. არ ღირს ამის გაკეთება... მოდი, უკან გავბრუნდეთ და სხვანაირად ვიჩალიჩოთ.

— არა... აქ მოსული, უკან არ გავბრუნდები. ძალიან ღრმად შევტოპეთ და საქმე მარტო ჩვენში აღარ არის. ყველაფერი დღესვე თუ არ გადაწყდა, „ვერშინას“ ვერ შევინარჩუნებთ. კომპა-

აპრილში!
იხილეთ
ნიგნად
გამოცემული

ნიას მიწასთან გაასწორებენ. ჩვენს ხალხს კი ციხეში ჩაყრიან. ამდენს ვეღარ გავწვდებით, ჯაბა. ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევს!..

— თავიდან?! ამ საქმის მერე შენ უკრაინაში ვეღარ დარჩები!..

— ვიცი, მაგრამ დარჩებით — შენ, ჩვენი ბიჭები და საქმე!.. ძებნა კი... ძებნა ჩემთვის პირველი და უკანასკნელი არ იქნება. მთელი ცხოვრება დამდევდნენ და სიკვდილამდეც ასე იქნება...

— მე არ დავრჩები აქ!..

— მოგიწევს! — მშვიდად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— მომისმინე...

— არა, — ლუკა წამით შეჩერდა და მერე დაამატა: — ყოველთვის ჩქარობდი. ახალგაზრდაც ასეთი იყავი და ახლაც არ შეგცვლია ხასიათი!

— რისი თქმა გინდა? — გახედა ჯაბამ.

— უშენობა მართლაც, გამიჭირდება, მაგრამ სხვა გზა არ არის. საერთო საქმეს და „ვერშინას“ ბიჭები თავისუფლად გაართმევენ თავს, მაგრამ არის კიდევ ერთი რაღაც, რასაც შენ გარდა, ვერავის ვანდობ.

— რა არის ის რაღაც? — დაინტერესდა ჯაბა.

— ეკა უნდა მომიძებნო! — მძიმედ ჩაილაპარაკა ლუკამ.

ჯაბა რამდენიმე წამს დუმდა და მერე თქვა:

— არ ვიცი, მართალი იყო თუ არა და რა მოხდა თქვენ შორის, მაგრამ მაინც თვითონ გადაწყვიტა წასვლა. იქნებ, არ ღირდეს მისი უკან დაბრუნება... მეცოდება, ლუკა... ვერ გაძლებს შენ გვერდით. რაც მოხდა, ისევ მოხდება და ვინ იცის, რა დროს უღალატებს ნერვები?.. ამას...

— შენ ყველაფერი არ იცი! — შეაწყვეტინა ლუკამ. — ეკა ბავშვს ელოდება!..

— რა?! — სწრაფად შეხედა ჯაბამ.

— ბავშვს ელოდება და ამიტომაც გამეცალა.

— და აქამდე არაფერი გითქვამს?! — ხმა გაებზარა ჯაბას.

— ეს ხელს შეგიშლიდა!

— ახლა რატომ მეუბნები ამას?

— იმიტომ, რომ მერე, ან დრო არ გვექნება, ან — ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალება!

— ლუკა!..

— არ გინდა! — ისევ შეაწყვეტინა ლუკამ. — იაღლიში ყოველთვის ხდება. ჩვენც არა ვართ დაზღვეულნი, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, უნდა დამპირდე, რომ ეკას მოძებნი და ჩემს შვილზეც იზრუნებ!.. ეს ისეთი ტვირთია, ჯაბა, რომ მარტო ვერ ვზიდავ. მთელი ცხოვრება ძმებად გავატარეთ და ახლაც იმავეს გთხოვ. მომიძებნე შვილი. ხომ ხედები, რომ მე ამის საშუალება აღარ მექნება!..

— ამას შენზე კარგად ვერავინ... — წამოიწყო ჯაბამ, მაგრამ ვიდრე დაამთავრებდა, მობილური აწკრიალდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

„რიჟა“ ზურიე

მორენა ჭუმბურიძე

სანამ სასიმამროს და ცოლის ურიცხვ ნათესავ-მეზობელს თავს აწონებდა, მანამ წვეთი ღვინოც არ დაულევია „რიჟა“ ზურიეს. ქალის გადასანახულებლად პირველად რომ მიდიოდა, მეზობლის ქვრივმა — ნაზიკომ კიდევ ერთხელ, კარგად შეათვალიერა დაბანილ-გაპარსული და ნათხოვარ კოსტიუმში გამოწყობილი ზურიე, ჰალსტუხი შეუსწორა და წასვლის წინ ბოლოჯერ დაარიგა.

— იცოდე, რაც უნდა დაგაძალონ, თავი არ მომჭრა და წვეთი არ დალიო. თვარა იმდღევანდელივით თუ დეგემართა, ბუხუტას ელამი ბოვშის ნათლობის მერე, მამაშენს რომ ვეღარ ცნობდი და ფანჯრიდან აგდებდი — ამ ბანჯგვლიან დათვს ჩემს საწოლში რა უნდაო?! — დევიღუპებით და ეგაა.

— ეგ იმის ბრალი იყო, ბუხუტიემ თაგვის წამალგარეული წუმპე რომ გვასვა, თვარა შენი ძმისშვილის დაბადების დღეზე სუფთა ღვინო რომ ვურტყიათ, აბა, მაშინ თუ გამიჭირდა დედაჩემის და მამაჩემის ცნობა? — თქვა და კიდევ უფრო დაიმორცხვა ისედაც წითლად აღაჟღაჟებულმა სასიძომ და ფეხსაცმლის წვერით ნერვიულად გაჩიჩქნა მიწა.

— სამაგიეროდ, ეზოში რომ დეეკოსე, იქიდან მეორე დილამდე ვეღარ აგაძვრეს, — არ ცხრებოდა ნაზიკო, — გდებულიყავი იმ სკამზე, რას დეეძებდით, მარა თუ ვინმეზე რამე გქონდა გაგონილი, ბოლო ხმაზე გაყვიროდი და მთელი უბანი გადაკიდე ერთმანეთს.

— ჰე, წეეეით ახლა, წეეეით, თვარა გაცივდება ღმერთივით პურმარილი, — გასძახა მათ ნაზიკოს მხოლოდშობილმა ვაჟმა და თავისი ყვითელი „03“ „ააჭყვიტინა“.

— ერთი სიტყვით, იმათ შენ ჭკვიანი, ინტელიგენტი ჰგონიხარ და ასეც უნდა მოაჩვენო თავი, თვარა ჩემგან სხვა ქალის გარიგების იმედი აღარ გქონდეს და ეგდე მერე, ბებიაშენის ცალი კალოშივით. იცოდე, მე მიყურე და სანამ არ განიშნებ, მანამდე ხმის გაღება არ გაბედო, რამე სისულელე არ წამოაყრანტალო და იქნება, ქე მოვატყუოთ ის კაცი, — თქვა მაჭანკალმა და უკვე სულშეხუთულ ზურიეს მანქანისკენ უბიძგა.

კარგად შემელოტებული მედუქნე გოგიას ქალიშვილი მართალია, სილამაზით არ ბრწყინავდა, მაგრამ ისეთი მეოჯახე იყო, რომ მთხოვნელების სიმცირეს არ განიცდიდა. მთელ დუნიაზე ჰყვებოდნენ მისი სიყოჩაღის ამბავს, — ფქვილით სავსე ტომრებს, როგორც ბუმბულის ბალიშებს, ისე დასტაცებს ხელს და მამამისის წითელი ნივიდან სულ ციმციმ შეაცუნცულებს ხოლმე მარანშიო. არცთუ ისე სულელი მედუქნე კარგად ხვდებოდა, რომ მის კართან, მაჭანკლების მიერ აზელილი ტალახი მისი შესქელებული ჯიბის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე პუტკუნა ქალიშვილის სილამაზისა, მაგრამ შვილზე მეტად, სწორედ ეს, საკუთარი შრომითა და ოფლით მოპოვებული ქონება ენანებოდა „ვიღაც ვიგინდარას ხელში ჩასაგდებად“. ამიტომაც, სიძედ ჭკვიანსა და მოხერხებულ კაცს ეძებდა, რომელიც არც ზედსიძედ შესვლას ითაკილებდა და არც წლობით ნაშრომ-ნაწვალებს გაანიავებდა უაზროდ სმასა და ქეიფში. ასეთი კი ნაზიკოს თქმით, ზუსტად ზურიე უნდა ყოფილიყო.

მართალია, გოგია მომავალი სიძის გარეგნობით დიდად არ მოხიბლულა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ღამაზი კაცი მის ქალიშვილს არც გამოადგებოდა და ზურიეს მოღუნული ცხვირის დანახვა ესიამოვნა კიდეც. რაც მთავარია, მისი სიტყვაძუნწობა და უფროსი ადამიანებისადმი თვალებში ციცინი, ძლიერ დასაფასებელი იყო. გოგიას სასიძომ იმითაც მოაწონა თავი, რომ მას შემდეგ, რაც კმაყოფილმა ოჯახის უფროსმა სუფრის გაშლის ბრძა-

ნება გასცა და ყანწებიც შეავსეს, საპატარძლოზე მეტად დამორცხვებულმა ზურიემ ხელი გაასავსავა, — რას ამბობთ, კაცს ოჯახი მაქვს შესაქმნელ-ასაწყობი და რა მესმევაო?!.

ერთი სიტყვით, ბიჭი ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც მელოტი გოგია ნატრობდა და ყველაფერი — ნიშნობისა და ქორწილის ამბავიც იმ საღამოსვე გადაწყდა. ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა. დამშვიდობებისას კი კმაყოფილ და ღვინით შეზარხოშებულ მედუქნეს გულიც კი აუჩუყდა და მადლიერების ნიშნად, ნაზიკო გულში ისე მაგრად ჩაიკრა, რომ ქალი კინაღამ გაგუდა. ჰოდა, მის მკლავებში მომწყვდეულმა ქალმა ვეღარ შეძლო, სხვების ქეიფით პირზე ნერწყვმომდგარი ზურიესთვის ენიშნებინა, — გაჩუმდიო და იმ უბედურმაც, სულელური ღრეჭით წამოაყრანტალა:

— ნაზიკია, გონია, ქე მეეწონე ჩემს სასიმამროს და რომ დაქვრივდება, მაჭანკლობა ჩემზე იყოს.

მაჭანკლის ბურჯგვნაში გართულმა გოგიამ სასიძოს ნათქვამი ვერ გაიგონა, მაგრამ ეს ნაზიკოს არ გამოჰპარვია და ნერწყვი ყელში გაეჩხირა. საბედნიეროდ, სხვებმა ერთი კი ჩაიქირქილეს სასიძოს ნათქვამზე, მაგრამ მალევე მიივიწყეს. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იმ დღემაც მშვიდად ჩაიარა და ნიშნობამაც. ქორწილის დღეც ისე დაიწყო, როგორც დაგეგმილი გახლდათ. შეთანხმებისამებრ, ვინაიდან ზედსიძეობაზე იყო ლაპარაკი, „მოკრძალებული“, ორასკაციანი სუფრაც პატარძლის ოჯახში გაიშალა. ყველაფერმა ტრადიციისამებრ ჩაიარა: სასიდედრო სიძე-ქალიშვილს კართან ბროლის სამურაბით ხელში დახვდა და ცისფერი ყვავილებით მოხატული თეფშიც გაატეხინა. მერე წყვილმა ზურიეს სასიდედროს თავზე ჭრელი თავშალიც გადაახია. ამ ნატეხებისა და ნახევების მოპოვებაზე ერთი რუზრუზი ატეხეს სოფლის გასათხოვარმა თუ გაუთხოვარმა ქალიშვილებმა. მათ შორის, ყველაზე მეტად, გონებასუსტი შინაბერა ლალიე აქტიურობდა. იქნებ, თავისი ტოლი და სწორი საქმრო ლალიესაც ეპოვა, მაგრამ არავის სურდა მის უქნარა და მოჩხუბარ ძმებთან დამოყვრება. ჰოდა, ასე ჭკნებოდა გაუხარებლად საბრალო ქალი. ახლა ვიღაცას უსწავლებია: თუ გინდა, გათხოვდე, დედოფლის „ბუკეტი“ უნდა დაიჭიროო. ამიტომაც იყო, რომ როცა პატარძალმა თაიგული ისროლა, მუჯლუგუნებით სულ აქეთ-იქით მიყარ-მოყარა მოკისკისე გოგონები და თეთრი „ბუკეტი“ მხსნელივით ჩაიხუტა გულში...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, საქმე ყანწებამდეც მივიდა და სწორედ მაშინ, თავი ვეღარ შეიკავა ამდენი ხნის „ნამარხულევმა“ ზურიემ და პირველი ყანწი ისე გამოცალა, ნაზიკოსკენ არც კი გაუხედავს; მეორე ყანწისკენ ხელი ცოტა უფრო თამამად წაიღო, ხოლო მესამე და მეოთხე, თითქოს, თავისით მირაკრაკებდა ყელში და უკვე, ნაზიკოს ლამის ბუდიდან ამოცვენილი თვალების აღარ ეშინოდა სიძე ბატონს.

როცა ახალშეძენილი თანამეცხედრის ამღვრეული თვალები დაინახა, მედუქნის ქალიშვილი მიხვდა, რომ იმ ღამეს ისევ ქალიშვილად დარჩებოდა, მაგრამ ეს სმა-ქეიფი თუ ასე დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, ამასაც ვერ იფიქრებდა... მაგრამ არც მამამისის მარანში რომ არ გამოილია პურმარილი და არც მისი და ახალგამომცხვარი ქმრის ნათესავები დაილივნენ, მაშინ კი დაეწყო ნევროზი საბრალო ქალს.

უკეთეს დღეში არც მედუქნე ჩავარდა: სანამ თითონაც მთვრალი იყო, მანამ სიძის უაზრო ბუუტურსაც არ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ღვინო რომ გამოუნელდა, სიძის სიბრიყვემ გულ-მუცელი აუწვა. ერთი კვირა მაყრების სტუმრობაც მოთმინებით აიტანა, მერე და მერე კი შუბლიც შეიკრა და სხვების გასაგონად რამდენჯერმე ცოლსაც შეუღრინა:

— ქორწილი და სტუმრობა გამიგია ერთი, ჰა-ჰა, ორდღიანი. ორი კვირა რა უბედურებაა, ქალო, ძილის წამალს ხო არ ურევ საჭმელში, რო დაწყდნენ და აღარ გამოფხიზლდნენ ეს ჩემი ცოდვით სავსეები?!

ბოლო-ბოლო, მაყრებმა იფიქრეს: სანამ პოლის ჯოხით გაგვრეკეს, ჯობს, აქედან თავადვე გავიპაროთო და წასვლა გადაწყვიტეს. ზურიემ გადაწყვიტა, მის პატივსაცემად მოსული სტუმრებისთვის ბოლომდე საკადრისი პატივი ეცა და რომ არ დაკარგულიყვნენ, მათ ავტობუსის გაჩერებამდე გაჰყვა. „საცდელთან“ სანამ მივიდოდნენ, სლოკინ-სლოკინით, კიდევ ერთხელ დაამღერეს — „ეს თამადა ჩანჩალაო“, მერე კი ერთმანეთს ჩახუტებულებმა „ჭირიმე, შენ გენაცვალე“ ეძახეს ურთიერთს და ბოლოს, როგორც იქნა, ბოლო მაყარმაც დატოვა სოფელი. ამასობაში, კარგად შებინდდა. მოტრიალდა ახალი სიძე, შინ წასასვლელად, მაგრამ ვაი, შენს ზურიეს — ვერ იქნა და ვეღარ მიხვდა, ამ ჩაბნელებული სახლებიდან რომელი იყო მისი ცოლოურის. ხან აქეთ მიაწყდა და ხან — იქით, მაგრამ დაბინდულ გონებას ვერაფერი მოუხერხა. რამდენჯერაც არ სცადა, გამოფხიზლებულიყო, სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ თავში მოფარფატე პეპლები. ბოლოს და ბოლოს, იდეა მოუვიდა: ერთ-ერთი სახლის ჭიშკართან დასაკლავი ხარივით აბღავლდა, — მასპინძელოოო.

— გისმენთ, — გამოიხედა მასპინძელმა.

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, ზურიე ჭრაქაძე სად ცხოვრობს? ამ უბნის ახალი სიძეა, — გასძახა მას ზურიემ იმ იმედით, რომ ვერ მიცნობსო.

მედუქნე გოგიას, სიძის სახელი და გვარი რომ უხსენეს, გულმა რეჩხი უყო: ალბათ, კიდევ ერთი მისნაირი ბედოვლათი მოადგა კარს და ახლა, ორი კვირა ამის ატანა მომიწევსო — მაგრამ შემდეგ, ჭიშკართან მდგარ მოქანავე „უცნობში“ თავისი სიძე რომ შეიცნო, უმალვე აუღო ალღო სიტუაციას. გაიფიქრა: მე შენ გიჩვენებ სეირსო და ხმა დაითაფლა.

— კი, გენაცვალე, როგორ არა?! უკან უნდა დაბრუნდე. მთავარ გზაზე 50 მეტრს რომ გეივლი, მარჯვნივ ამნაირი გადასახვევია ზუსტად. ორღობეში შეხვალ თუ არა, უჭირე „დოკანცა“ და პირდაპირ მიადგები ჭრაქაძის სახლს.

ზურიემ — მადლობაო, — ამოისლოკინა და მითითებული სახლისკენ გაეშურა. გზად ქორწილის ამბებს აანალიზებდა, როგორც შეეძლო და როდესაც პატარძლის ნამტირალევი თვალები და სასიმამროს შეკრული შუბლი წარმოუდგა თვალწინ, დაბინდული გონების მიუხედავად, იმას მაინც მიხვდა, რომ თუ სასწრაფოდ, იმ ღამესვე მაინც არ შეასრულებდა ცოლქმრულ მოვალეობას, მისი საქმე ცუდად იქნებოდა. სახლთან მისულს იქაურობა კი ეუცნაურა, მაგრამ იმის შიშით, სიდედრ-სიმამრმა „საქმის“ მოკვარახჭინებამდე ჩემს მაყრებს უკან არ მიმაყოლოსო, ფეხაკრეფით შევიდა შინ, საწოლი ოთახი მოძებნა და ქალს ლოგინში უსიტყვოდ შეუგორდა.

დილით, აივანზე გამოსულმა ლალიეს ძმებმა ნიფხვის ამარა მყოფი ზურიე რომ შენიშნეს, თავიდან თვალებზე აიფარეს ხელი, მერე კი საცოდავს გვერდები დაუზილეს. მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ მისი მოკვლა არაფერში არგებდათ. ჰოდა, შერცხვენილი და დაბეგვილი ზურიე, რომელიც ყველაფერზე თანახმა იყო, ორ კვირაში პირველ ცოლთან უკვე გაყრილი და მეორეზე დაქორწინებული გახლდათ. ხოლო გოგია, თავისი ქალიშვილისთვის კვლავ შესაფერის საქმროს ეძებდა.

საქართველოს ღვთივკურთხეული მიწა მდიდარია ქრისტიანული სალოცავებით, ჩვენი წინაპრები ხომ უძველესი საუკუნეებიდანვე აგებდნენ ტაძრებს უფლის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და წმინდანთა სახელზე. ამჯერად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე აგებული, დიდუბის ტაძრის შესახებ მოგითხრობთ. ეს ტაძარი საუკუნეების მანძილზე აწვდის სულიერ საზრდოს ღვთის მორწმუნეთ...

ტაძარი, რომელშიც თამარ მეფეს დაუწერია ჯვარი

მორენა მერკვილაძე

დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აგების ზუსტი თარიღი უცნობია. ძველ ისტორიულ წყაროებს ამ ტაძრის შესახებ არავითარი ცნობა არ შემოუნახავს. მისი აგების შესახებ მხოლოდ ორი გადმოცემა მოგვითხრობს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, იმ ადგილას, სადაც ამჟამად ტაძარია აღმართული, ძველად საძოვარი ყოფილა. ადგილი დიდუბედ იწოდებოდა. ერთ მართლმორწმუნე მწყემსს, რომელიც საძოვარზე ნახირს აძოვებდა, სიზმრისეული ჩვენებისას, უფლის ანგელოზმა აუწყა: დიდუბის მინდორში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია დასვენებული, მიდი, თაყვანი ეცი და სასწაულს გიჩვენებო, — თან ხატის ზუსტი ადგილსამყოფელი მიანიშნა. მეორე დღეს მწყემსმა ხილვის შესახებ ოჯახის წევრებსა და თანასოფლელებს აცნობა. ყველამ მოისურვა სასწაულმოქმედი ხატის ხილვა, მათ შორის, ერთი უსინათლო მოხუციც იყო. მინიშნებულ ადგილას მართლაც, აღმოჩნდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. თაყვანი სცეს და გადაწყვიტეს, ლიტანიობით, მახლობლად მდებარე ეკლესიაში გადაებრძანებინათ. უსინათლო მოხუცსაც სურდა, თან გაჰყოლოდა თანასოფლელებს, მაგრამ უარი უთხრეს. ბრმა გულმხურვალედ შეევედრა თურმე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს: „ნათლის მომცემლისა ქრისტეს მშობელო ყოვლად უბიწოო დედოფალო, ნუ შეურაცხყოფ გულითადსა ამას ვედრებასა ჩემსა და მეოხმეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩვენისა, რათა ნათლითა თვისითა განმანათლოს მეცა, ცოდვითა დაბნელებული ესე, და ღირსმყოს ხილვად და თაყვანისცემად დიდებულსა ხატსა შენსა!“

მართლაც, სასწაულებრივად დაუბრუნდა უსინათლო მოხუცს თვალისჩინი. გახარებულმა, მადლობა შესწირა უფალს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ტაძრისკენ გაემართა, რათა თაყვანი ეცა სასწაულმოქმედი ხატისთვის, რომლის ძალითა და მადლითაც დაუბრუნდა თვალისჩინი.

სასწაულით განდიდებული ხატის პოვნის ადგილას ნიში აღმართეს, სასწაულმოქმედი ხატიც იქვე დააბრძანეს, მოგვიანებით კი იმ ადგილას ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი აღუმართავთ. ეს გადმოცემა დიდუბეში აგებულ პირველ ეკლესიას VI საუკუნეს მიაკუთვნებს.

არსებობს მეორე გადმოცემაც, რომლის თანახმადაც, ტაძარი XII საუკუნეში აუგია თამარ მეფის მამას — გიორგი მესამეს. მისი მეუღლე, დედოფალი ბურდუხანი მძიმე სენით დასნეულებულა. გიორგი მესამეს ღვთის წინაშე აღთქმა დაუდვია — თუ მისი მეუღლე გადარჩებოდა, დიდუბეში ეკლესიას ააგებდა. მართლაც, სასწაულებრივად გამოჯანმრთელებულა დედოფალი. მეფე გიორგის კი აღთქმულ ადგილას ეკლესია და სასახლე აუგია. დიდუბედ წოდებულ ადგილზე მდებარეობის გამო, ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ტაძარსაც დიდუბის ტაძარი ეწოდა, ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს კი — დიდუბის ღვთისმშობლის ხატი.

როგორც მოგახსენეთ, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის შესახებ ძველი ისტორიული წყაროები არავითარ ცნობას არ გვაწვდის. სავარაუდოდ, არაბთა ბატონობის პერიოდში, ეკლესია საერთოდ, დანგრეულა. შესაძლოა, სწორედ ამ პერიოდში ააგო მეფე გიორგი მესამემ მეორედ დიდუბის ტაძარი....

დიდუბის ტაძარში დაუწერია ჯვარი თამარ მეფეს, რასაც ადასტურებს XIII საუკუნის თხზულება — „ისტორიანი და აზმანი შარავადედთანი“.

მომდევნო საუკუნეებში დიდუბე თითქმის გაუკაცრიელდა — ტაძარმა და მისმა შემოგარენმა არაერთგზის განიცადა მომხდურთაგან რბევა-აწიოკება. მეფე ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში ამ ადგილას კვლავ გაჩენილა დასახლება. XVII-XVIII საუკუნეებში დიდუბეში მხოლოდ ტაძრის ნანგრევები ყოფილა შემორჩენილი.

მოგეხსენებათ, XIX საუკუნეში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. პირველ ხანებში, დიდუბის ტაძარზე ზრუნვა არავის მოუფიქრებია, საუკუნის მეორე ნახევარში — 60-იან წლებში კი ნანგრევებად ქცეული ნაგებობის აღდგენის საკითხი დამდგარა. ამ საქმის ინიციატორი — დეკანოზი ბესარიონ ზედგინიძე გახლდათ. ეგზარქოს პავლეს არ სურდა, ტაძარი ქართული, ტრადიციული, ჯვარ-გუმბათოვანი სტილით აგებულიყო. მან არქიტექტორ ჩიჟოვს რუსული, ხუთგუმბათიანი ეკლესიის პროექტი შეადგენინა. დეკანოზ ბესარიონს დიდი ბრძოლა დასჭირდა თურმე, რომ ტაძრის პროექტიდან ზედმეტი გუმბათები მოეშორებინათ და ქართული ელემენტები შეეტანათ.

დიდუბის ახალი ტაძრის მშენებლობა 1884 წელს დასრულდა. მის მახლობლად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თაოსნობით, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიც დაარსდა.

გადმოცემის თანახმად, დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში დიდძალი საგანძური ყოფილა დაცული, მათ შორის — ოქროს პერანგითა და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი, დიდუბის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატიც. მტრების შემოსევებისას ძვირფასეულობა დაკარგულა.

1950 წელს, რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ, რომელსაც უდიდესი კრძალვა ჰქონდა დიდუბის ღვთისმშობლის ხატისა, ძველი პერანგის ასლი დაამზადებინა.

1978 წელს, დიდუბის ეკლესია მხატვარ ალექსანდრე ბანძელაძეს მოუხატავს. ტაძრის უმთავრეს სიწმინდეს დიდუბის ღვთისმშობლის ხატი წარმოადგენს. 1982 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უქმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წმინდა თამარ მეფის ფრესკა მოუხატავს. ■

თანასწორობის მოქადაგე ქალბატონები

და აფრიკაში აღმოჩენილი ღომი...

იქ, სადაც მხოლოდ მამაკაცებს ვხედავთ, გარემო რუხი და მოსაწყენია! მაგრამ როგორც კი მათ საზოგადოებას მანდილოსანი შეუერთდება, მამაკაცები უფრო ელეგანტურები ჩანან, გარემო — სიცოცხლისუნარიანი და საინტერესო ხდებაო, — ამბობს პროექტის — „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ — კოორდინატორი ნინო ლაგვილავა, რომლის ინიციატივითაც, ამ ცოტა ხნის წინ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა გამოფენა — „ევოლუციური გენდერი“. იგი, გაეროს განვითარების პროგრამის, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით განხორციელებული კვირეულის პროგრამით მოეწყო. ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ, დამებადა კითხვა: ქვეყანაში, სადაც XII საუკუნეში ითქვა — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ — რატომ გახდა საჭირო იმის მტკიცება, რომ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ქალებსა და მამაკაცებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარი პირობები უნდა შეექმნათ?

ლეა ცუცქირიძე

ნინო ლაგვილავა:

— ეს მხოლოდ ჩვენი საზოგადოების პრობლემა არაა, დასავლეთშიც საკმაოდ აქტუალურია. ამგვარად, გენდერული თანასწორობის იდეის დაცვა მთელი პატრიარქალური სამყაროსთვისაა საჭირო.

— მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ იმავე დასავლურ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ქალის მიმართ დამოკიდებულება სრულიად განსაკუთრებული და ფაქიზია.

— ენა გენეტიკის მატარებელია. ქართულ ენაში კი მკაფიოდ ჩანს, რომ ჩვენი კულტურა საოცრად „დედობრივია“. ქალისადმი, დედისადმი მოწიწება, რომელიც საუკუნეებით მოგვდგამს, სწორედ ქართულმა ენამ შემოგვინახა.

— გამოდის, რომ ქართველები გენეტიკურად, „გენდერები“ ვართ...

— ყოველგვარი ხუმრობის გარეშე უნდა ითქვას, რომ გენდერულად მგრძნობიარე ერი ვართ. მაგრამ მთავარია ისაა, რომ ადამიანმა საკუთარ მოვალეობებზე უარი არ უნდა თქვას, მან (ქალმა — ქალისა და მამაკაცმა — მამაკაცის) თავისი ტვირთი უნდა ზიდოს.

— ოღონდ, რა არის ქალის ტვირთი და რა — მამაკაცის? ალბათ, „გენდერი“ ამაში გარკვევას ცდილობს.

— თანასწორობა არ ნიშნავს მსგავსებას. ქალის და მამაკაცის გათანაბრება იმას კი არ გულისხმობს, რომ ქალს ხელში ურო უნდა

ნინო ლაგვილავა

დავაჭერინოთ, მამაკაცს კი — ცოცხი. ორივე მხარე თავის სახეს ინარჩუნებს, მაგრამ როდესაც საქმე გადაწყვეტილების მიღებამდე მიდის, ორივე მხარე თანაბარია.

— ქართველებს საოცრად გვიყვარს უცხო სიტყვების გამოყენება. „გენდერი“, რომელიც რამდენიმე წლის წინ ბურუსით მოცული ცნება იყო, ახლა აქტუალურ სიტყვად იქცა. ეს თქვენი მუშაობის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ?

— თავად განსაჯეთ. მართლაც, ქართველებს უცხო სიტყვების გამოყენება გვიყვარს, მაგრამ ამ შემთხვევაში, სხვანაირად ვერც ვიტყვით. „გენდერ“, „ჯენდერ“ — სქესს ნიშნავს, მაგრამ როდესაც ვიყენებთ სიტყვას — „გენდერი“, მაშინ გამოდის, რომ მას სოციალურ დატვირთვას ვანიჭებთ და სულაც არ ვლაპარაკობთ ფიზიოლოგიურ სხვადასხვაობაზე. რამდენიმე წლის წინ ეს სიტყვა მართლაც, ირონიულ დამოკიდებულებას იწვევდა, მაგრამ ვფიქრობ, ახლა საქმე სხვაგვარადაა. როცა ადამიანი ამ სიტყვას მიზანმიმართულად და სწორ კონტექსტში ამბობს, ეს მის სწორ პოლიტიკურ აზროვნებასა და განათლებაზე მეტყველებს. გენდერი სტერეოტიპების ნაჯახით მსხვრევას არ გულისხმობს. ძალადობა საჭირო არაა, ეს არაფერს მოგვიტანს. როგორ შეიძლება, ქალი ასპარეზზე ძალით გაიყვანო? ამისთვის ნიადაგია მოსამზადებელი.

— მთელ კაპიტალისტურ სამყაროში ქალი ანგარიშგასაწევი ფენომენია.

— ეს ბაზარმა დაარეგულირა. ქალი წარმატებული გახდა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ბიზნესშიც. ეს საქართველოშიც კარგად ჩანს: გახედეთ ქუჩებს, რამდენი ქალბატონი უზის საჭეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში უამრავი ისეთი საქმიანი მანდილოსანია, რომელსაც საქმის კეთებაც ძალუძს და ღირსეული შემოსავალიც აქვს. პატრიარქალურ სამყაროში საოცრად მყარი სტერეოტიპებია. ეს მამაკაცურად დომინირებული სამყაროა და ამიტომ ვცდილობთ, ქალი ამ სტერეოტიპებს ჰარმონიულად მივუსადაგოთ. კაპიტალისტურმა წყობამ მოიტანა, რომ ბაზარზე ქალისა და მამაკაცის როლები დაერეგულირებინა. ახლა ვცდილობთ დავსაბუთოთ, თუ რატომ იქნება უკეთესი, გადაწყვეტილების მიღებ თანამდებობებსა და პოლიტიკაში ქალის გააქტიურება.

— ანუ თქვენ მიზანი ქალების პოლიტიკურ სტრუქტურებში მიყვანაა?

— დიახ, გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში. მანდილოსნები მოსახლეობის ნახევარს მაინც ხომ შეადგენენ? დემოკრატიის ერთ-ერთი მახასიათებელი კი თანაბარი მონაწილეობაა. დაკვირდით — იქ, სადაც მხოლოდ მამაკაცები არიან, რა რუხი და მოსაწყენი გარემოა! მაგრამ როგორც კი მათ საზოგადოებას მანდილოსანი შეუერთდება, მამაკაცები უფრო ელეგანტურები ჩანან, გარემო სიცოცხლისუნარიანი და საინტერესო ხდება... ქალი ძალზე ფრთხილი, ნაკლებად რისკიანი, ნაკლებად კორუმპირებული არსებაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის სოციალურად ორიენტირებულია.

— თქვენ ხშირად მოგყავთ ნორვეგიის მაგალითი, სადაც პარტეტი ქალ და მამაკაც დეპუტატებს შორის, ყველაზე მეტადაა დაცული...

— დიახ, როგორც კი ამ პარიტეტს მიაღწიეს, ნორვეგიაში სოციალურმა პროექტებმა წინ წამოიწია.

— ახლა ვიფიქრე: აი, მე და თქვენ სრულიად სერიოზულად ვსაუბრობთ, ტახტზე დასასვენებლად წამოწოლილი მამაკაცი კი ამ ჩვენს ნაზრევს შეიძლება, ირონიულადაც კითხულობს...

— სქესობრივი „ომები“ ყოველთვის იქნება, რადგან ჩვენ ფიზიოლოგიურად ორი დაპირისპირებული მხარე ვართ, მაგრამ ეს საშიში არაა, რადგან მათ შეუძლიათ ურთიერთთანამშრომლობა. პატრიარქალური სამყარო ქალის როლს ყოველთვის აკნინებდა, მაგრამ ქალი საკუთარი ძალის დემონსტრირებას მაინც ახერხებდა.

— მე ვალაგებ სახლს, ჩაჩოქილი ვხეხავ კიბეს, ვამზადებ ნაირ-ნაირ სადილს და, საკუთარი უძილობის ხარჯზე, საზოგადოებრივ ასპარეზზეც ვილვწი. რა უნდა ჰქონდეს მამაკაცს

ამის საწინააღმდეგო? ნუთუ ადგილი, რომელსაც ქალი იკავებს? მაგრამ დედამიწა ხომ საკმაოდ დიდია!

— ამ თვალსაზრისით, უცხოელი ქალები მართლაც, განებივრებულნი არიან: ჯერ ერთი, მათი მამაკაცები თავს ვალდებულად მიიჩნევენ, რომ მანდილოსანს, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზეა გასული, საოჯახო საქმეში ხელი შეაშველონ, მეორეც — განვითარებული ტექნოლოგიები ქალს დროს უთავისუფლებს. თანასწორობა არ ნიშნავს იმას, რომ თუ დღეს ხაჭაპური მე გამოვაცხვე, ხვალ — შენ უნდა გამომიცხო; მაგრამ ხომ შეიძლება, როდესაც სადილს ვამზადებ, შენ მაგიდაზე თეფშები დაალაგო?!

— საქართველოში მამაკაცებს ახლა არცთუ ულხინთ. ვინც მოახერხა და ოჯახის მარჩენალის მისია შეინარჩუნა, ფაქტობრივად, ოჯახიდან განიდევნა. ისინი საკუთარ შვილებს ძილის დროს ხედავენ. მგონი, მათაც სჭირდებათ დაცვა...

— რა თქმა უნდა, მე ყოველთვის ვამბობ — როდესაც გენდერულ თანასწორობაზეა ლაპარაკი, საჭიროა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ოჯახს მამა დავუბრუნოთ. ამაზე სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებით ქალიც და მამაკაციც თანაბრად დაიტვირთოს, უნდა შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, სადაც მათი შვილი დაცულ და უსაფრთხო გარემოში იქნება. სამწუხაროდ, დღევანდელი ბაგა-ბაღები ამ ფუნქციას ვერ ასრულებენ: ისინი გრაფიკსაც არ უსადაგებენ სამუშაო დღეს. და გამოდის, რომ დედა (თუკი ოჯახში ბებია არ არის), სანამ შვილი სკოლის ასაკს არ მიაღწევს, საზოგადოებრივ ასპარეზზე ვერ გავა. ასეთ შემთხვევაში, ქალი დისკვალიფიკაციას იღებს, მისი მეორე ნახევარი კი იძულებულია, ოჯახის რჩენის მიზნით, ცოლ-შვილს საერთოდ ჩამოშორდეს.

გამოფენის გახსნაზე (შუაში – დავით ლორთქიფანიძე)

— მამაკაცებისთვის ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში საუკეთესო მოდელი საკუთარი ოჯახი, მეუღლის ხელით მომზადებული საკვები და სამზარეულოდან გამოსული მადისაღმძვრელი სურნელი იყო. გაგეღიმათ, არა? მოკლედ, მამაკაცს ჩემი როლი რომ დაეკნინებინა, ალბათ, გაგბრაზდებოდი...

— რადგან მთელი ცხოვრება ვსწავლობდი და ვმუშაობდი, ჩემზე ამბობენ, რომ არაფრის კეთება არ ვიცი. მათ გასაგონად, ვინც ასე ფიქრობს, უნდა ვთქვა — როდესაც მჭირდება, ძალიან კარგ საჭმელს ვამზადებ.

— ისე გამოდის, რომ დიასახლისობა გენეტიკაში გვიდევს ქართველ ქალებს? რაიმე განსაკუთრებული კერძის რეცეპტს ხომ არ შემოგვთავაზებდით?

— აღმოვაჩინე, რომ ინგლისში, ზამბიაში, ზიმბაბვესა და სხვა აფრიკულ სახელმწიფოებში, იმავე რეცეპტითა და იმავე ტექნოლოგიით, როგორც ამას მეგრელი ქალები აკეთებენ, არც მეტი, არც — ნაკლები, ღომს ამზადებენ.

— ღერღილით?

— დიახ, ღერღილით. სხვათა შორის, ინგლისში ღერღილი იყიდება კიდეც. ერთმა აფრიკელმა ნაცნობმა მითხრა, რომ ღომის მომზადება ძალზე რთულია, რადგან მას ბევრი და გულმოდგინე ამოზელა უნდაო. სხვათა შორის, აფრიკაში საპატარძლოს შესაძლებლობები ღომის მომზადებით იზომებოდა. როდესაც სასიძოს ოჯახი სტუმრად მოდიოდა, საპატარძლოს მისთვის, საკუთარი ხელით გაკეთებული ღომი უნდა მიერთმია.

— საინტერესოა, ღომს აფრიკაშიც ყველთან ერთად მიირთმევენ?

— არა, ვცადე, მათთვის ეს ცოდნა გამეზიარებინა, მაგრამ არ მოეწონათ. ყველთან ღომის ჭამის კულტურა მხოლოდ ჩვენ გვაქვს. ისინი რაღაც ხარჩოს მსგავს, ქათმის შეჭამადს ამზადებენ.

— ნიგვზიან ხარჩოს?

— ნურას უკაცრავად! ნიგვზიანი ხარჩო, საციკი ან მსგავსი რამ არსად მინახავს. ეს სრულიად უნიკალური რამ მხოლოდ ჩვენი საკუთრებაა. ჩემმა პორტუგალიელმა მეგობარმა მათი სამზარეულოდან ორი კერძი დამაგემოვნებინა და სიახლის სახით, მათზე შევჩერდები. ირკვევა, რომ პორტუგალიელები, როგორც ჩვენი რაჭველები, ლობიოს ლორთან ერთად ხარშავენ, ოღონდ ამ კერძს, ლორის გარდა, პატარა, ოთხკუთხედებად დაჭრილ ძროხის ან ღორის ხორცს და ესპანურ-პორტუგალიური ძეხვის — ჩორენცოს მოხარშულ ნაჭრებსაც ურევენ. ჩორენცო თბილისშიც იყიდება, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. სასურველია, რომ ხორცის და ძეხვის ნაჭრები მოხარშულ ლობიოში ჩავყაროთ და შემდეგ, ამ ყველაფერს დავუმატოთ მწვანილი, მარილი, შავი პილპილი. მაგრამ აქ ერთი პრობლემაა — ეს საკვები საკმაოდ კალორიულია. ამიტომ, ვინც საკუთარ წონაზე ზრუნავს, ამ კერძს მაინცდამაინც ნუ მიეძალება... მეორე საკვები ზღვის პროდუქტებისგან მზადდება. გვჭირდება: ხახვი, კარტოფილი, პომიდორი, თევზის ფილე, კრაბის ჯოხები და ზღვის პროდუქტი. მომზადების წესი კი ასეთია: ღრმა ტაფაზე ვასხამთ ზეთს და ზედ ვალაგებთ მრგვლად დაჭრილ ხახვს, თხელ ფენებად დაჭრილ კარტოფილს, თევზს, მრგვალად დაჭრილ პომიდორს, შემდეგ ამ ფენას ვიმეორებთ და ბოლოს, კრაბის ჯოხებსა და ზღვის პროდუქტებს ვაწყობთ (იმედია, ჩვენი დიასახლისები ზღვის პროდუქტებს კერძში ნიჟარიანად არ ჩაყრიან და არც მარილსა და წიწაკას დაივიწყებენ). შემდეგ, ტაფას თავსახურს ვაფარებთ და ნელ ცეცხლზე ვდგამთ.

— ამ კერძმა ფრანგული ჟულიენი გამახსენა, მაგრამ ზღვის პროდუქტებმა დამაფიქრა...

— სხვათა შორის, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირა ქვეყანა ვართ, მედუზებს, მოლუსკებს, ლოკოკინებსა და მსგავს საშინელებებს არ მივირთმევთ. ეს ფაქტი ძალიან მომწონს.

— იმედია, ჩვენი დიასახლისები ამ რეცეპტებს გამოიყენებენ. მითხარით, თქვენი გენდერული სტატუსის ფონზე, როგორია თქვენ მიმართ მამაკაცების დამოკიდებულება?

— ჩემმა ერთმა კოლეგამ ხუმრობით გენდერფიურერიც კი დამარქვა... თუმცა, მამაკაცები პალტოს ისევ ისე მაწოდებენ, სკამსაც გამომიწევენ და პატივისცემის სხვა ფორმებსაც მიმართავენ. ჩვენ არც ერთი თავს მოხვეული, ძალადობრივი აქცია არ ჩაგვიტარებია. გამოფენები, ფილმის ჩვენება, გენდერული კუთხით წარმატებული კომპანიების, ბიზნესმენების დაჯილდოებები — ვფიქრობ, ძალზე ზომიერი იყო. XX საუკუნე დიდი რყევების, სიახლეების, რეფორმების საუკუნე გახლდათ და სწორედ ამ საუკუნემ მოიტანა ქალის როლის გააქტიურება. ქალი, მამაკაცთან ერთად, ურო-თი და ჩაქუჩით ხელში შრომობდა.

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

— ეს მართლაც, იმდენად ხელოვნური იყო, რომ თქვენი რეაქცია ბუნებრივია. სწორედ ამ ხელოვნურობას ვეწინააღმდეგებით. ჩვენი მიზანია — ბუნებრივად, ახსნით, ჩვენებით და არა — ძალადობით, მიტინგებით, მოწოდებებით მივიყვანოთ ადამიანებამდე გენდერული თანასწორობის იდეა. ჩვენ შეგვეძლო, მხოლოდ ტრენინგებით შემოვფარგლულიყავით, მაგრამ სხვა გზა ავირჩიეთ. მაგალითად, დავინტერესდით — რამდენი კაცი და ქალია ხელმძღვანელ თანამდებობაზე ამა თუ იმ კომპანიაში. დავითვალეთ და ერთ-ერთ ცნობილ ფირმაში პარიტეტი იყო დაცული და ეს კომპანია დავაჯილდოეთ. მართალია, მის მესვეურებს ეს პარიტეტი შეგნებულად არ გაუკეთებიათ, მაგრამ ამ დაჯილდოების შემდეგ ალბათ, სხვებიც დაფიქრდებიან იმაზე, რომ შეიძლება, თავის რიგებში მანდილოსნებსაც მიუჩინონ სათანადო ადგილი.

— ეს საკითხისადმი ქალური, ჭკვიანური მიდგომაა. მეტიც, ეს ქართველი ქალის მიდგომაა... რამდენადაც ვიცი, ინტერვიუს შემდეგ იმერეთში მიემგზავრებით. ორიოდე სიტყვით მინდოდა, თქვენი და სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლობაზეც შეგვეჩერებინა ყურადღება.

— წლეულს, ეროვნულ მუზეუმთან მეორედ ვთანამშრომლობთ. მისი დირექტორი — ბატონი დავით ლორთქიფანიძე ამჯერადაც სიამოვნებით დათანხმდა ამ თანამშრომლობაზე და გამოფენის გახსნის დღეს იმედი გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა გაგრძელდება. ■

სექსუალური სკანდალები

— დემოკრატია უბადრუკთათვის...

ახლახან, ამერიკის შეერთებულ შტატებში აგორდა სექსუალური სკანდალი, რომლის მთავარი ფიგურანტი, VIP-მეძავებთან ახლო ურთიერთობებში მხილებული, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ელიოტ სპიცერი იყო (ამის შესახებ „გზის“ წინა ნომერში ვწერდით). სკანდალიდან ერთი დღის შემდეგ გამოქვეყნებული სოციალური გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 70% უკიდურესად აღშფოთებული იყო სპიცერის უზნეობით და მიიჩნევდა, რომ მას გუბერნატორის პოსტი უნდა დაეტოვებინა. სპიცერმა ხალხის მოთხოვნა შეასრულა და ჟურნალისტების წინაშე სათანადო მონანიებისა და ოჯახისთვის ბოდიშის მოხდის შემდეგ, პოსტიდან გადადგა.

მსგავს სკანდალებზე ესოდენ რადიკალური რეაქცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ერთგვარ შურსაც კი იწვევს, რადგანაც ხალხს მიაჩნია, რომ სექსუალური ცოდვებისთვის დასჯა ნამდვილი დემოკრატიის ნიშანი და საზოგადოების წინაშე ხელისუფლების წარმომადგენელთა რეალური პასუხისმგებლობის დასტურია. ასეთი შეხედულებების ჩამოყალიბებაში განსაკუთებულ როლს ის საჯარო მონანიებები ასრულებს, რომლებითაც თითქოს, ის ფაქტიც დასტურდება, რომ საზოგადოებას ჩინოვნიკებისთვის ზნეობის განსაკუთებული სიწმინდის მოთხოვნის უფლება აქვს. და ეს მაშინ, როცა საზოგადოების რიგით წევრებს იმავე ნორმების მშვიდად დარღვევა შეუძლიათ... თუმცა, ახსნა ამასაც მოეძებნება, უფრო მეტიც — განსაკუთრებული თეორიაც კი არსებობს, რომლის თანახმადაც, ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანები ასე მკაცრად, „გადაწყვეტილებების მიმღებ ცენტრებთან სიახლოვისა და იმ პრივილეგიებისთვის“ ისჯებიან, რომლებთანაც მათი მდგომარეობაა დაკავშირებული. მაგრამ ეს უკვე კანონთანაც წინააღმდეგობაში მოდის, რადგან იქ, ზნეობის სიწმინდეზე კი არა, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაზეცაა საუბარი. საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვედრილი, პიკანტური თავგადასავალი კი მსგავს სიუჟეტებში მხოლოდ სკანდალის შეუქცევადობის გარანტიის მომცემი კატალიზატორის როლს თუ ასრულებს.



ელიოტ სპიცერი

ამგვარი პარადოქსის კლასიკური მაგალითია ყბადაღებული „მონიკაგეიტი“, რომლის დროსაც, პროკურორი კენეტ სტარი სრულიად უშედეგოდ ირწმუნებოდა, რომ გამოძიების საგანს არა თავად შეცოდების ფაქტი, არამედ ბილ კლინტონის დანაშაულებრივი ქმედებანი ანუ — გამოძიებისთვის ხელის შეშლის მცდელობა წარმოადგენდა. არადა, თავად კლინტონსაც ხომ, სწორედ ეს ფორმალური მიდგომა დაეხმარა იმპიჩმენტის პროცედურისა და სენატის მიერ წარმოებული გამოძიების პირობებში ხელისუფლების შენარჩუნებაში. თუმცა, პრეზიდენტისა და პრაქტიკანტი გოგონას ურთიერთობის ინტიმური წვრილმანები ამერიკული და მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების პირველი გვერდებიდან მაინც, მთელი წლის განმავლობაში არ ჩამოსულა. და კლინტონიც ისტორიაში იმ პრეზიდენტად შევიდა, რომელმაც „ოვალური კაბინეტი წაბილწა და ამერიკელებისთვის ესოდენ ძვირფასი ოჯახური ფასეულობები შეურაცხყო“. ამ დროს, არავის ეჩოთირება ის უცილობელი ფაქტი, რომ საკითხისადმი ოდნავ მეტი კრიტიკული მიდგომის შემთხვევაშიც კი, „მონანიე ცოდვილთა“ რიცხვი ბევრად უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. თუმცა, სხვაგვარად როგორღა უნდა იყოს, როცა ქორწინების გარეშე კავშირების სიხშირეს თავად პროსტიტუციის არსებობაც ადასტურებს, ხოლო 1960 წლის სექსუალური რევოლუციის შემდეგ, ასეთი ურთიერთობები საყოველთაო პრაქტიკადაც კი იქცა. მეტიც, უკვე გარკვეული ნორმებიც კი ჩამოყალიბდა, რომლებიც არჩევანის თავისუფლებას, გენდერულ თანასწორობასა და ტექნიკის მეშვეობით მოზარდებში ამგვარი ურთიერთობების პრევენციულ ინსტრუქტირებას გულისხმობს. გაჩნდა „სექსუალური ხარასმენტის“ ცნება, ხოლო „სექსუალური ძალადობის“ ნიშანთა სიაში ისეთი უწყინარი ქმედებებიც კი მოხვდა, როგორიც ქალბატონისთვის პალტოს მიწოდების ანდა მისთვის ყავის ფულის გადახდის მცდელობაა. პარალელურად, მასობრივი კულტურა ღალატსა და სექსუალურ აღვირახსნილობას პროპაგანდას უწევს და თუ ასეთ კავშირებს სამსახურებრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არ ერთვის, მაშინ მათ თავისებური მიმზიდველობის საბურველშიც კი ხვევს.

გამოდის, რომ რიგით მოქალაქეს ან წარმატებულ ბიზნესმენს გოგონას „მოხსნის“ სრული უფლება აქვს და „საკუთარი მდგომარეობის გამოყენებით“, მასთან სრულფასოვანი რომანის გაბმაც შეუძლია (გაიხსენეთ ფილმი „ლამაზმანი“). ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის კი პრაქტიკულად, მსგავსი რამ აკრძალულია. ასეთ კონტექსტში, გარყვნილი ჩინოვნიკების საქციელით აღშფოთებისა და მათ ჭუჭყიან თეთრეულში ქექვისთვის საზოგადოების მზაობა „პროტესტანტული ეთიკის“ იმ რუდიმენტად მოჩანს, რომელიც მისი მკაცრი, პრაქტიკულად დაკანონებული ნორმების დარღვევით გამოწვეული დანაშაულის გრძნობის კომპენსირებას ახდენს.

ზედაპირზე ამოტივტივებული ეს წინააღმდეგობა და „საზოგადოებრივი აღშფოთების“ კომპენსატორული ბუნება გარკვეულწილად, სექსუალური სკანდალების აგორების ტექნოლოგიაზეც მოქმედებს. როგორც წესი, ყველაფერი გავლენიანი პირის სექსუალური გართობების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებით იწყება. დანარჩენი კი თავად ამ „გარყვნილი“ პირის საქციელზეა დამოკიდებული: ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა, ელიოტ სპიცერმა ამ მდგომარეობაში სულ რამდენიმე დღე გაძლო; მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი — დევიდ ბლანკეტი იმაში დაადანაშაულეს, რომ მან გათხ-

ოვილი საყვარლის ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა, ის თანამდებობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გადადგა; ქვეშევრდომი ქალების გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ისრაელის პრეზიდენტი, მოშე კაცავი და ბილ კლინტონი კი ამგვარ სიტუაციას მთელი წლის განმავლობაში უმკლავდებოდნენ. ბოლოს, კაცავმა ამას ვეღარ გაუძლო და გადადგა, კლინტონმა კი გაუძლო და დარჩა.

„მონიკაგეიტის“ გმირები

მოშე კაცავი

ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ყველა ამ სიუჟეტის „ამოქმედება“ ერთსა და იმავე სქემით ხდებოდა: გამოძიება, მედიის საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება, სკანდალი, წვრილმანების ტირაჟირება და საზოგადოებრივი გულისწყრომის გაძლიერება. უბრალოდ, პირველ ორ შემთხვევაში ფიგურანტები სწრაფად გატყდნენ და ამიტომაც, საქმე „მძიმე არტილერიის“ გამოყენებამდე აღარ მივიდა.

ტვინის გამორეცხვის მეთოდების შესწავლა კი ალბათ, ყველაზე უკეთ მონიკა ლევინსკის კლასიკური ისტორიის მაგალითზე შეიძლება. თავად ისტორიას ბიძგი ინტერნეტპუბლიკაციამ მისცა. მასში „ყვითელმა“ ჟურნალისტმა, მეთ დრაჯმა ჯერ ჟურნალ Newsweek-ის ნომრიდან იმ პუბლიკაციის მოხსნის შესახებ გამოაცხადა, რომელსაც მკითხველისთვის პრეზიდენტ კლინტონისა და თეთრი სახლის ყოფილი სტაჟიორის ინტიმურ ურთიერთობებზე უნდა მოეთხრო, მეორე დღეს კი ისიც გაამხილა, რომ სტაჟიორს მონიკა ლევინსკი ერქვა. სხვა საინფორმაციო საშუალებებმა ამ „სენსაციის“ ტირაჟირება მხოლოდ ამის შემდეგღა დაიწყეს და ყურადღების ცენტრში მაშინვე ოვალურ კაბინეტში მოწყობილ ორგიებთან და მონიკას კაბაზე დარჩენილ სპეციფიკურ ლაქებთან დაკავშირებული პიკანტური წვრილმანები მოექცა. ამ წვრილმანებმა საზოგადოებრივი შეგნებიდან მომხდარის იურიდიული სარჩული გამოდევნა. არადა, ჯერ კიდევ ამ ამბამდე ერთი წლით ადრე, ვინმე პოლა ჯონსმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და პრეზიდენტი კლინტონი (არკანზასის გუბერნატორობის დროს) მის მიმართ სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. ამ საქმის ირგვლივ წარმოებული გამოძიების შესახებ ინფორმაცია პრესაშიც გამოჩნდა, მაგრამ ამას საზოგადოების დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, რაც ალბათ, „წარსული დღეების საქმედ“ მიჩნეული სიუჟეტის უფერულობით აიხსნებოდა. სამაგიეროდ, ახალ-ახალი პიკანტური დეტალებით დოზირებულად შევსებულმა ლევინსკის ამბავმა ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ჩვეულებისამებრ, მსგავსი ამბების შედეგი უფლებამოსილებების ხელახალი გადანაწილებაა. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც შედარებით მშვიდობიანად დასრულებული „მონიკაგეიტი“ აღმოჩნდა. ის საკმაოდ ნეგატიურად აისახა დემოკრატიული პარტიისა და უშუალოდ ვიცე-პრეზიდენტ ალბერტ გორის იმიჯზე, რომელმაც 2000 წელს ჯორჯ ბუშთან საპრეზიდენტო კამპანია წააგო. ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ცნობილი პოლიტიკოსების შესახებ აგორებული სექსუალური სკანდალების უკან კონკრეტული მიზნები დგას ანუ მსგავსი სპექტაკლები საოცარი გულმოდგინეობით იდგმება და როლებიც მიზანმიმართულად ნაწილდება. ეს იმ როლითაც დასტურდება, რომელიც „მონიკაგეიტში“, ამ სკანდალის თითქმის ყველა მონაწილის მეგობარმა და მონიკა ლევინსკის ქმედებების უშუალო წარმმართველმა ლინდა ტრიპმა შეასრულა. ამბავს პიკანტურობას ის ფაქტიც სძენდა, რომ მაშინ, ლინდა ტრიპი კლინტონის ადმინისტრაციაში მუშაობდა, მანამადე კი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსის აპარატში იყო და მასვე (ბუშს) „აღმერთებდა“.

ბოლო სკანდალის გმირმა, ელიოტ სპიცერმა შტატის პროკურორის პოსტზე დანაშაულთან შეურიგებელი ბრძოლით გაითქვა სახელი. მის მიერ ჩატარებული ხმაურიანი გამოძიებები არაერთი მსხვილი საინვესტიციო ბანკის, საბროკერო ფირმის, სადაზღვევო კომპანიისა და თვით ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობასაც შეეხო, თავად სპიცერმა კი მეტსახელი — „ქარიშხალი ელიოტი“ დაიმსახურა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ელიოტის მაშინდელი პრინციპულობის „მსხვერპლნი“, ამ სკანდალის შემდეგ სიამოვნებას ვერ ფარავდნენ?!

ცალკე საკითხია სექსუალური სკანდალების „მსხვერპლთა“ პოზიცია. მათი უმეტესობა, სკანდალების აგორების კვალდაკვალ, მხოლოდ უშუალოდ შეურაცხმყოფელს კი არა, მათ ოჯახების წევრებსაც „ჯალათად“ ევლინება. ყოველთვის არც ისაა გასაგები, თუ რა აიძულებს ამ ადამიანებს იმისკენ, რომ საკუთარი ინტიმური ცხოვრების დეტალები გამოამზეურონ — შურისძიების სურვილი, სამართალდამცავი ორგანოების ზეწოლა თუ მერკანტილური მოსაზრებები. თუ ამერიკულ საინფორმაციო საშუალებებს დავუჯერებთ, მონიკა ლევინსკის წიგნის წარმატებამ ძალიან გააღიზიანა პოლა ჯონსი, რომელიც ასევე წიგნის გამოცემასა და პირადი ცხოვრების წვრილმანების გამომზეურებას აპირებს. სამოქმედოდ შემართულ პოლას გადაწყვეტილებას ვერც ის გარემოება აცვლევინებს, რომ შეიძლება, ამით არასრულწლოვან შვილებს მხოლოდ ზიანი და ფსიქოლოგიური ტრავმაც კი მიაყენოს.

„სექსუალური სკანდალების“ პრაქტიკა აჩვენებს, რომ მას თვით ისეთი ბუნებრივი რეაქციების წარეცხვაც კი შეუძლია, როგორიცაა — სირცხვილი და ზიზღი, ის ყველაზე უფრო ქვენა გრძნობებზე — შურზე, სხვისი დამცირების ხარჯზე თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვაზე, სექსუალურ თუ სხვა კომპლექსებზე თამაშობს და ამ გზით საზოგადოების ყურადღებას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებისგან წყვეტს.

მეზობელ რუსეთში კი, სექსუალურ მხილებებზე საზოგადოების „შესმის“ მცდელობას, რომელსაც 1990-იან წლებში ჰქონდა ადგილი, შემდგომი გაგრძელება არ მოჰყოლია. პირველი სკანდალი 1997 წელს აგორდა. მაშინ საზოგადოებას ის ვიდეოჩანაწერი უჩვენეს, სადაც იუსტიციის მინისტრი, ვალენტინ კოვალიოვი „სოლნცევოს აბანოში“, გოგონებთან ერთობოდა. ორი წლის შემდეგ, ამბავი განმეორდა და ახლა, გენერალური პროკურორი იური სკურატოვი აღმოჩნდა კომპრომეტირებული. ვიდეოჩანაწერში სკურატოვიც იმავეს აკეთებდა, რასაც კოვალიოვი, მაგრამ ამისთვის აბანოს კი არა, მსგავსი დროს ტარებისთვის სპეციალურად აღჭურვილ ბინას იყენებდა. ორივე შემთხვევაში, საქმე გადადგომითა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრით დასრულდა. ხოლო იმ ფაქტმა, რომ ორივე ფირი ცენტრალური ტელეარხებით უჩვენეს, ისიც დაადასტურა, რომ ამ სიუჟეტებს სარჩულად სერიოზული კონფლიქტები ედო, რომლებშიც ძალზე გავლენიანი პერსონები მონაწილეობდნენ.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას ეყო ჭკუა და ეს საჩოთირო პრაქტიკა დროულად შეწყვიტა, რაშიც გარკვეული როლი საზოგადოების საკმაოდ დუნე რეაქციამაც შეასრულა. ალბათ, არც ისაა გამორიცხული, რომ შეთავაზებული „კლუბნიჩკა“ ხალხს ღამის უწყინარ ცელქობადაც კი მოეჩვენა იმ ამაზრზენ უკანონობებთან შედარებით, რომელთა სიხშირე, სწორედაც რომ, რუსული დემოკრატიის არასრულყოფილებაზე ლაპარაკის საშუალებას იძლევა. ■

სკანდალები მრძელდება

ნიუ-იორკის შტატის ახალი მეთაურიც დონჟუანი აღმოჩნდა

ამ ბოლო ხანებში, ნიუ-იორკის შტატში ფრიად უცნაური ამბები ხდება. სუსტი სქესისადმი გადამეტებული სიყვარულის გამო, გუბერნატორის პოსტს გამოთხოვებული ელიოტ სპიცერის კვალდაკვალ, დიდი სექსუალური სკანდალის გმირი, ახლა მისი მემკვიდრე, შტატის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი, 53 წლის დევიდ პატერსონი გახდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ფიცის დადების შემდეგ, ნიუ-იორკის პირველმა შავკანიანმა (და პრაქტიკულად ბრმა) გუბერნატორმა ინტერვიუ მისცა გაზეთ New York Daily Nevs-ს, რომელშიც განაცხადა, რომ ცოლს ისიც ღალატობდა. კონკრეტულად კი 1999-დან 2001 წლის ჩათვლით საყვარელი ჰყავდა, რომელსაც ყველაზე ხშირად, მანჰეტენზე მდებარე სასტუმრო Days Inn-ში ხვდებოდა. პატერსონის თქმით, ამ საქციელით მეუღლის — მიშელ პეიჯის ღალატს პასუხობდა. მიშელმა მეუღლის სიტყვები დაადასტურა და თან, ისიც დასძინა: მაშინ ჩვენს 16-წლიან ოჯახურ კავშირს რთული პერიოდი ედგაო.

პატერსონის აღიარების შემდეგ, ბევრმა ნიუ-იორკელმა შვებით ამოისუნთქა — ნახეთ, ამიერიდან როგორი პატიოსანი გუბერნატორი გვიხელმძღვანელებსო. მაგრამ ამ სკანდალს სრულიად მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვა: ნიუ-იორკის ახალმა გუბერნატორმა ოლბანიში ნახევარსაათიანი პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. თუ საგაზეთო ინტერვიუში მხოლოდ ერთ ქალთან რომანზე ილაპარაკა, ამჯერად, კიდევ რამდენიმე ქალთან ინტიმური კავშირიც აღიარა. პატერსონმა ჟურნალისტებს ისიც კი გაანდო, რომ ერთ-ერთი ამ ქალბატონთაგანი მისი წინამორბედის, ელიოტ სპიცერის თანამშრომელი იყო. კირკიტა ჟურნალისტებსაც სხვა რა უნდოდათ და უმალ გაარკვიეს, რომ პატერსონი გუბერნატორის ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსს, 49 წლის ლილი კირტონს გულისხმობდა. მოგვიანებით, სირბილში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დაინა დიქსონმა გაზეთ Nevs York Post-ის რედაქციაში დარეკა და ჟურნალისტებს ლამის საზეიმოდ აუწყა, რომ „არცთუ შორეულ წარსულში“ (ანუ მიმდინარე წლის დასაწყისში), დევიდ პატერსონთან ინტიმური ურთიერთობა მასაც ჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გუბერნატორისგან ერთგვარი ელექტრონული გზავნილი მიიღო, დაიანამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის და პატერსონი „მხოლოდ მეგობრები“ არიან. ■

ეშლი დიუპრე მაცდუნებელ წინადადებებს ვერ აუდის

ამასობაში კი, ბევრ მაცდუნებელ წინადადებას სთავაზობენ დევიდ პატერსონის წინამორბედის, ელიოტ სპიცერის კარიერის დამღუპველ ელიტურ მეძავს, 22 წლის ეშლი დიუპრეს. შოუების დამდგმელმა კომპანია Girls Gone Wild-მა გოგონას ფოტოსესიასა და შოუს მორიგი სერიის ჩასაწერ საავტობუსო ტურში მონაწილეობა მილიონი დოლარის საფასურად შესთავაზა. მაგრამ მანამდე, კომპანიის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, საკუთარი არქივებიც გულმოდგინედ შეემოწმებინათ და აღმოაჩინეს, რომ დამწყები მომღერალი დიუპრე Cirls Gone Wild-ისთვის ჯერ კიდევ 2003 წელს, 18 წლის ასაკში გაშიშვლებულა.

მაგრამ ამის გამო თავად ეშლი დიუპრეს პოპულარობას ბევრი არაფერი დაჰკლებია. მეტიც, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნიუ-იორკის აწ უკვე ყოფილმა გუბერნატორმა ინტიმური მომსახურებისთვის სწორედ დიუპრე შეარჩია, გოგონას ინტერნეტგვერდზე მარტო ერთი დღის განმავლობაში მილიონი ადამიანი შევიდა, ასობით ათასმა კი მისი სიმღერებიც გადაქაჩა. გარდა ამისა, ეშლი დიუპრემ ჟურნალ Hustel-ისთვის შიშვლად პიზირების მილიონიანი წინადადებაც მიიღო, მაგრამ გამომცემელ ლარი ფლინტის თქმით, ეშლი ამ წინადადებით დიდად არ დაინტერესებულა, რადგან მთელ დროს წიგნის წერას ახმარს და კინოკარიერის გაკეთებასაც სერიოზულად გეგმავს. ■


ეშლი დიუპრე

კრისტინ
იგივე ეშლი
დიუპრე

მსოფლიოთმოვალური სპეციი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-12

როდესაც სტალინმა ჟუკოვი უკრაინის მე-3 ფრონტის შტაბში გაგზავნა, რათა ფრონტი მოემზადებინა ბულგარეთთან ომისთვის, რომლის მეფის მთავრობაც გერმანიასთან თანამშრომლობდა, ურჩია მას, აუცილებლად შეხვედროდა ბულგარეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელს — გიორგი დიმიტროვს. *„თბილი შეხვედრა გვქონდა, — იგონებდა ჟუკოვი, — და მან ძალზე ვრცლად მიამბო იმის შესახებ, რაც აუცილებლად უნდა მცოდნოდა. ჩანდა, რომ მას ძალიან კარგი და ქმედითი კავშირები ჰქონდა ბულგარეთის მუშათა პარტიის იატაკქვეშა ორგანიზაციებთან“.*

დიმიტროვი ეუბნებოდა ჟუკოვს:

„— მართალია, თქვენ უკრაინის მე-3 ფრონტში, იმისთვის მიდიხართ, რომ ბულგარეთთან ომისთვის მოამზადოთ ჯარები, მაგრამ ომი ალბათ არ იქნება: ბულგარელი ხალხი მოუთმენლად ელოდება წითელი არმიის მიახლოებას, რათა მისი დახმარებით დაამხოს ბაგრიანოვის მეფის ხელისუფლება და სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის ხელისუფლება დაამყაროს. საბჭოთა ჯარებს ბულგარელები არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით კი არ შეხვდებიან, არამედ ჩვენი ძველი სლავური ჩვეულების თანახმად — პურითა და მარილით. რაც შეეხება სამთავრობო ჯარებს, ისინი ძნელად თუ გარისკავენ ბრძოლას წითელ არმიასთან“.

სტალინი ფართოდ იყენებდა შტაბის წევრთა, ფრონტებისა და არმიის სარდლების, სამეთაურო შემადგენლობის ნიჭსა და გამოცდილებას. *„რადგან კარგად ესმოდა ომის მართვასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი სირთულე და მრავალმხრივობა, იგი ბევრ რამეს ანდობდა ხოლმე პოლიტბიუროს, ცეკასა და თავდაცვის კომიტეტის წევრებს, სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებს, — წერდა სტალინზე, მის გვერდით მრავალი წლის განმავლობაში ნამუშავარი, მარშალი უსტინოვი, — ბელადმა შეძლო შეექმნა მმართველობის ყველა რგოლის ძალზე მოწესრიგებული, მოქმედი სისტემა, მიაღწია მიღებული გადაწყვეტილებების უსიტყვოდ შესრულებას. მიუხედავად მისი მბრძანებლური, მკაცრი, მე ვიტყოდი, სასტიკი ხასიათისა, ის უმალ ეხმაურებოდა ყოველგვარი გონივრული ინიციატივის გამოვლენას, დიდად აფასებდა დამოუკიდებელ აზროვნებაზე დამყარებულ მსჯელობას. სტალინს, მისი საოცარი, ყოვლისმომცველი მეხსიერების წყალობით, დეტალურად ახსოვდა ყველაფერი, რაც კი დაკავშირებული იყო ამა თუ იმ საკითხის განხილვასთან და მიღებული გადაწყვეტილებებიდან არავითარ გადახვევას არ უშვებდა. იგი სახელებით იცნობდა, ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების სფეროს ყველა ხელმძღვანელს, ქარხნების დირექტორებისა და დივიზიების მეთაურების ჩათვლით, ახსოვდა ის თვისებები, რომლებითაც ისინი გამოირჩეოდნენ და კარგად იცოდა ისიც, თუ რა მდგომარეობა იყო მათთვის მინდობილ უბნებზე. მას ჭეშმარიტად, ანალიტიკური გონება ჰქონდა, რომელსაც შესწევდა უნარი, ინფორმაციისა და ფაქტების უზარმაზარი მასიდან გამოეყო უმთავრესი, ყველაზე არსებითი. თავის აზრებსა და გადაწყვეტილებებს სტალინი მუდამ ნათლად, მკაფიოდ, ლაკონიურად, საოცრად ლოგიკურად აყალიბებდა. ზედმეტი სიტყვები არ უყვარდა და მისგან არც არასდროს მსმენია“.*

სტალინს უდიდესი როლი მიუძღვის პარტიზანული მოძრაობის ჩამოყალიბებაში. გერმანელ დამპყრობთაგან დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე ჩვენი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის ამ ფორმას ის, როგორც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას, ისე აღიქვამდა. სწორედ ამიტომ, ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რათა პარტიზანულ მოძრაობას მაქსიმალურად ფართო, საყოველთაო ხასიათი მიეღო. უკვე 1941 წლის 3 ივლისს თავის რადიოგამოსვლაში ბელადმა მოუწოდა ხალხს: *„მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში საჭიროა შეიქმნას პარტიზანული რაზმები, საცხენოსნო თუ ქვეითი; უნდა ჩამოყალიბდეს დივერსიული ჯგუფები, მტრის არმიათა ნაწილებთან საბრძოლველად, იმისთვის, რომ ყველგან გაჩაღდეს პარტიზანული ომი; უნდა ავაფეთქოთ ხიდები, გზები, დავაზიანოთ სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზები, გადავწვათ ტყეები და საწყობები. დაპყრობილ ტერიტორიებზე უნდა შეიქმნას გაუსაძლისი პირობები მტრისთვისაც და ყველა მისი დამხმარისთვისაც, ყოველ ნაბიჯზე უნდა ვდიოთ მას და გავანადგუროთ, ჩავშალოთ ყველა მისი ღონისძიება“.*

ცეკამ დაავალა რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო, საოლქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს, სათავეში ჩასდგომოდნენ პარტიზანული ბრძოლის ორგანიზებას. პარტიზანთა საბრძოლო საქმიანობის კოორდინაციისა და საბჭოთა ჯარებთან მათი ურთიერთქმედების ორგანიზებისთვის საგანგებო ორგანოები იქმნებოდა. 1942 წლის 30 მაისს უმაღლესი მთავარსარდლის შტაბთან ჩამოყალიბდა პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბი, რომელსაც პონომარენკო ჩაუდგა სათავეში. *„გენერალურ შტაბში ჩემი მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, — იგონებდა ვასილევსკი, — შემიძლია ვამტკიცო, რომ პარტიზანულმა მოძრაობამ და მტრის ზურგში გაჩაღებულმა ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უმაღლესი მთავარსარდლობის საერთო სტრატეგიულ გეგმებში და მუდამ მხედველობაში იყო მიღებული, მსხვილი შეტევითი ოპერაციების გეგმების შემუშავებისას, რომლებიც საბჭოთა ტერიტორიაზე ხორციელდებოდა“.*

სამამულო ომის დასკვნით ეტაპზე, უკიდურესად რთული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას, როცა მტრის მედგარ წინააღმდეგობას ვებრძოდით, სრული სიგრძე-სიგანით გამოვლინდა წითელი არმიის სამხედრო ოსტატობა, მისი მებრძოლების მასობრივი გმირობა. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ ხორციელდებოდა, როცა ვერმახტი ეყრდნობოდა არა მარტო თვით გერმანიის, არამედ ზოგიერთი ევროპული ქვეყნის რესურსებსაც. ამასთან, ფაშისტური გერმანია განაგრძობდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოყენებას, როგორიც იყო, ინგლისისა და ამერიკის მიერ მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურება. საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთით 1944 წლის ივნისში, ინგლის-ამერიკის ჯარების შესვლის შემდეგაც, ჰიტლერულმა სარდლობამ თავის ძირითად ძალებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოუყარა თავი, რათა როგორმე შეეჩერებინა წითელი არმიის იერიში ბერლინზე.

მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგის გადაწყვეტილებების შესახებ სარწმუნო მონაცემები მიიღო, 1945 წლის 17 აპრილს — ანუ ბერლინის ოპერაციის დაწყებიდან მეორე დღეს — უმაღლესმა მთავარ-

სარდალმა ასეთი დეპეშა გაუგზავნა ბელორუსიის პირველი ფრონტის სამხედრო საბჭოს: *„ჰიტლერი ბერლინის მიდამოებში რაღაც ქსელს ხლართავს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს უთანხმოება რუსებსა და მათ მოკავშირეებს შორის. ეს ქსელი უნდა გავწყვიტოთ, საბჭოთა ჯარების მიერ ბერლინის აღების გზით. ჩვენ ეს შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ კიდეც“.*

როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბერლინი ინგლისურ-ამერიკულ ჯარებს აეღოთ. ის აღნიშნავდა, რომ თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ, მაშინ *„ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას გავაკეთებთ“.* მაგრამ მოკავშირე საექსპედიციო ჯარების მთავარსარდალი დუაიტ ეიზენჰაუერი იმასაც აღნიშნავდა, რომ *„სამხედრო თვალსაზრისით, არაგონივრულია, მოცემულ პირობებში ბერლინი მთავარ სამიზნედ გადავაქციოთ, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისგან რუსების პოზიციებამდე 35 მილია“.*

მტრის დედაქალაქის აღება მუდამ, როგორც ომის დასრულების მომასწავებელი და ამასთანავე, სრულყოფილი საიერიშო ოპერაციისა და არმიის ვაჟკაცობის გამოვლინების დამადასტურებელი მოვლენა, ისე აღიქმებოდა. მაგრამ ბერლინის — ფაშიზმის ბუნაგის დაკავება, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე წარმოებული ომებისგან სრულიად ახალი, განსხვავებული გახლდათ. წითელი არმიის მიერ განხორციელებული ოპერაცია გამოირჩეოდა შეტევის არნახული გაქანებითაც, საომარ მოქმედებათა უზარმაზარი სცენის თვალსაზრისით და სამი ფრონტის — ბელორუსიის მე-2, ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტების, ჯარების სხვადასხვა სახეობის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, პოლონეთის არმიის ჯარების ურთიერთქმედებითაც და აგრეთვე, მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების ალყაში მოქცევის და კიდევ, მჭიდროდ დასახლებულ დიდ ქალაქში საომარი მოქმედებების წარმოების უნარისა და თვით ოპერაციის ჩატარების ვადების თვალსაზრისითაც: ოპერაცია 1945 წლის 16 აპრილიდან 8 მაისამდე გრძელდებოდა.

„ახლა, იმ დღეებში მომხდარი მოვლენების გააზრებისას, — წერდა შემდგომში, მარშალი კონევი, — იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ბერლინის ოპერაციის დროს ყველაზე ნათლად გამომჟღავნდა უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბისა და გენერალური შტაბის ორგანიზაციული და წარმმართველი როლი. სტალინმა ყურადღებით მოისმინა ფრონტების სარდლების მოსაზრებები. მან გენერალური შტაბის წინადადებების გათვალისწინებით, ბერლინის ოპერაციის გეგმის მთავარი აზრი გამოკვეთა, შემდეგ კი ფრონტებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ოპერატიული ამოცანები დაუსახა. ამ მითითებების საფუძველზე, სარდლებმა შეიმუშავეს ოპერაციების გეგმები, რომლებიც შტაბმა განიხილა და დაამტკიცა. უმაღლესი მთავარსარდალი, მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით ხელმძღვანელობდა ბერლინის ოპერაციას, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მის განვითარებას, პირადად ახდენდა პირველი ბელორუსული და პირველი უკრაინული ფრონტების მოქმედებათა კოორდინაციას, აუცილებელ მხარდაჭერას უწევდა მათ“.

სამი ფრონტის შემადგენლობაში სულ მოქმედებდა: 19 საერთო საჯარისო, 4 საჰაერო და 4 სატანკო არმია. საბჭოთა ჯარებმა ბერლინის ოპერაციის დროს გაანადგურეს — 70 ქვეითი, 12 სატანკო, 11 მოტორიზებული დივიზია და ვერმახტის ავიაციის დიდი ნაწილი.

1945 წლის 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ფაშისტური გერმანიის დედაქალაქი — ბერლინი. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ მხოლოდ გერმანიის ჯარების სრული კაპიტულაციის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება. სტალინმა განაცხადა: *„კაპიტულაცია თავს უნდა მოვახვიოთ გერმანიას, როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტი და მივიღოთ არა გამარჯვებულთა ტერიტორიაზე, არამედ იქ, საიდანაც მოვიდა ფაშისტური აგრესია, — ბერლინში, და არა ცალმხრივად, არამედ აუცილებლად, ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლობის მონაწილეობით. მას ხელი უნდა მოაწეროს ყოფილი ფაშისტური სახელმწიფოს რომელიმე მეთაურმა ან იმ ნაცისტთა მთელმა ჯგუფმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ყველა ბოროტებისათვის“.*

1945 წლის 8 მაისს კარლსჰორსტში (ბერლინის გარეუბანი) ხელი მოაწერეს აქტს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უპირობო კაპიტულაციის შესახებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქართველმა ფეხბურთელმა «ლოკომოტივის» გულშემატკივრები განარისხა

მუჯირი „იუვენტუსში" „დინამოს" ხელმძღვანელობამ არ გაუშვა

სამარის „კრილია სოვეტოვიდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" დავით მუჯირის გადასვლას საინტერესო ამბავი უძღოდა წინ. კერძოდ, ქართველი ფეხბურთელი სამარელებს ესპანეთში შეკრებაზე უნდა შეერთებოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მის გზა-კვალს სამი დღის განმავლობაში ვერ მიაგნო. საბოლოოდ, მუჯირი ესპანეთში მაინც ჩავიდა, მაგრამ უკვე, „ლოკომოტივის" საწვრთნელ ბანაკში აღმოჩნდა. მართალია, სამარელებმა ეს ტრანსფერი გააპროტესტეს, მაგრამ დათოს სანაცვლოდ 110.000 დოლარის მიღების შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

მუჯირმა ახალ გუნდში 10-ნომრიანი მაისურით თამაში ისურვა, რითიც „ლოკომოტივის" გულშემატკივრების განრისხება გამოიწვია, ვინაიდან ამ ნომრით თავის დროზე, კლუბის ღირსებას მისი გულშემატკივართა კერპი — დმიტრი ლოსკოვი იცავდა. ამის გამო, მათ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა კრიტიკის ქარცეცხლში მოაქციეს. ერთ-ერთი რუსული გამოცემის ჟურნალისტმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთან საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო:

— „ლოკომოტივის" ფანები არაერთგვაროვნად შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ 10-ნომრიანი მაისური აირჩიეთ. როგორც ამბობენ, ასეთი არჩევანი იმიტომ კი არ გააკეთეთ, რომ ეს ნომერი მოგწონთ, არამედ იმის გამო, რომ იგი დმიტრი ლოსკოვს ეცვა.

— მართალი გითხრათ, არ მესმის, ამის გამო ასეთი აჟიოტაჟი რატომ ატყდა. კარგად ვიცი, რომ ლოსკოვი „ლოკომოტივის" „ლეგენდა" იყო და ამ ადამიანმა გუნდისთვის ბევრი გააკეთა. მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ხშირად მომხდარა, რომ უდიდეს ფეხბურთელებს, რომლებიც 10-ნომრიანი მაისურით თამაშობდნენ, კარიერა დაუსრულებიათ და მერე ამ მაისურით სხვებს უასპარეზიათ. შეგვიძლია გავიხსენოთ — პელე, მარადონა, ზიდანი.

— ალბათ შეიძლებოდა, სხვა ნომერი აგერჩიათ, რათა უსიამოვნო შედარებებისთვის თავი აგერიდებინათ...

— საქმე ისაა, რომ ან 20-ნომრიანი, ან 10-ნომრიანი მაისურით ვთამაშობდი ხოლმე. ჩვეულებრივ, გუნდებში „ათიანი" ყოველთვის დაკავებულია, ხოლო ამჯერად იმის საშუალება მომეცა, რომ იგი ამეღო. გასულ წლებში ლოსკოვი მართლაც, „ლოკომოტივის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, მაგრამ დრო იცვლება და ახლა ის სხვა გუნდში თამაშობს. ამიტომ, გულშემატკივრებს მოვუწოდებ, რომ უკვე მათ „ათიანს" და მათ „ლოკომოტივს" დაუჭირონ მხარი. ვეცდები, ფანების იმედი გავამართლო და ისინი კარგი თამაშით გავახარო.

— მართალია, რომ რუსულის გარდა, კიდევ სამ უცხოურ ენას ფლობთ?

— სინამდვილეში, 5 ენაზე ვლაპარაკობ — რუსულად, ინგლისურად, გერმანულად, სერბულად და ცხადია — ქართულად. ინგლისურის სწავლა სკოლაში დავიწყე და შემდეგ ვცდილობდი, ცოდნა უფრო გამეღრმავებინა. ამიტომ, როდესაც საშუალება მომეცემოდა, ინგლისურად ვლაპარაკობდი. გერმანული მას შემდეგ ავითვისე, რაც 2001 წელს, მოლდავეთის „შერიფიდან" ავსტრიის „შტურმში" გადავედი სათამაშოდ. სერბული ავსტრიაში ასპარეზობის დროს შევისწავლე, ვინაიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი და „შტურმის" რამდენიმე ფეხბურთელი ყოფილი იუგოსლავიიდან იყვნენ.

— მართალია, რომ თავის დროზე, იტალიაში კარიერის გაგრძელების საშუალება გქონდათ?

— ტურინის „იუვენტუსის" შეთავაზება მართლაც, სერიოზული იყო. მაგრამ თბილისის „დინამოს" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიმე გუნდში ჩემს გაშვებაზე უარი თქვა. ამის შემდეგ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში, „დინამოს" მეპატრონეებთან საერთო ენა ვერ გამოვნახე. იმ დროისთვის ჩემი სატრანსფერო ფასიც საგრძნობლად დაეცა. საბოლოოდ, „იუვენტუსის" მაგივრად 2000 წელს, მოლდავეთის „შერიფში" მოვხვდი.

— როდესაც წარსულს იხსენებთ, ალბათ, გული გწყდებათ, ტურინში გადასვლა რომ ვერ მოახერხეთ?

— მართალია, „იუვენტუსში" მომავალ პერსპექტივაზე გათვლით მიწვევდნენ, მაგრამ ასეთ კლუბში უბრალოდ ყოფნაც კი ჩემს კარიერას ძალიან წაადგებოდა. თუმცა, კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მომდევნო წლებში საკუთარი შრომით მივაღწიე.



— ავსტრიაში როგორ აღმოჩნდით?

— „შერიფში" თამაშის დროს, ავსტრიელები ჩემი შეძენით დაინტერესდნენ, მაგრამ პირდაპირ კონტრაქტის გაფორმება არ მოინდომეს და ერთკვირიან სინჯებზე მიმიწვიეს. თუმცა, მეორე ვარჯიშის შემდეგ, უკვე ხელშეკრულების დადება შემომთავაზეს. „შტურმში" ოთხი წელი გავატარე, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო პერიოდში ავსტრიის ჩემპიონატის დონემ დაიკლო, კარიერის გაგრძელება სამარის „კრილია სოვეტოვში" გადავწყვიტე. წელს კი „ლოკომოტივში" აღმოვჩნდი.

— ახალ გუნდს ადვილად შეეჩვიეთ?

— პირველსავე დღიდან და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მალხაზ ასათიანი დამხვდა. იმ 15 წლის განმავლობაში, რაც ფეხბურთში გავატარე, მცირე ნიუანსების გათვალისწინებაც კი ვისწავლე. „ლოკომოტივი" ჩემთვის უკვე მშობლიური გუნდი გახდა და აქ თავს, როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობ.

— ბუნებით ლიდერი ხართ?

— საკუთარ თავზე საუბარი ცოტა ძნელია. მაგალითად, „კრილია სოვეტოვში" გადასვლიდან 10 თვეში, გუნდის კაპიტანი გავხდი. თავად განსაჯეთ, თუ რას ნიშნავს რუსულ კლუბში ქართველის კაპიტნობა...

— მამათქვენმა — დავით მუჯირმა-უფროსმა ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება მოახერხა. თქვენ რის მიღწევაზე ოცნებობთ ფეხბურთში?

— მე არცთუ ისე ბევრი დრო დამრჩა სათამაშოდ, რომ მსგავს გამარჯვებებზე ვიფიქრო. თუმცა, ძალიან მინდა, რომ საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ვითამაშო. რაც შეეხება საკლუბო დონეზე ასპარეზობას, „ლოკომოტივში" ჩემი გადმოსვლის ერთ-ერთი მიზანი, გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა და თამაშია. ■

მოამზადა ლაშა თაბაგარმა

„შენ ვამო პლასტიკური ოპერაცია როგორ გავიკეთო?..“

„ბარი 4“-ის გამარჯვებულს, დეა ადამიას თაყვანისმცემლებთან შეხვედრაზე უარი არ უთქვამს, პირიქით, ის თქვენთან შეხვედრას სულმოუთქმელად ელოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენს „საპატარძლოს“ ძალზე მორცხვი თაყვანისმცემლები ჰყოლია. თითოეული მისი ფანი, რომელიც გვიკავშირდებოდა და დეასთან შეხვედრას გვთხოვდა, ულტიმატუმს გვიყენებდა: ამ გოგონას სიამოვნებით შევხვდები, მაგრამ იმ პირობით, რომ იქ თქვენ არ იქნებითო. შეგახსენებთ, „გზის“ გარეშე მსგავსი შეხვედრები გამორიცხულია. ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ „ესემესებს“ გთავაზობთ.

რა უნდა ისწავლოს დეამ იმისათვის, რომ ცოლობა სთხოვონ

სოფო ჭონიშვილი

„შენ ახლა ჩემგან ისე შორსა ხარ,/ ხმას ვერ მოგაწვდენ, თუნდაც ვიყვირო,/ ცივმა ნიავმა თუკი გაკოცა,/ ეს მე ვიქნები, არ გაიკვირვო“.

„დეა, ამ მესიჯს საბერძნეთიდან გწერ. 23 წლის გახლავართ, თანაც — „კირჩხიბი“. პროფესიით ჟურნალისტი ვარ და აქ, ერთ-ერთი გაზეთში კორესპონდენტად ვმუშაობ. შენთან მეგობრობა მინდა. აღდგომის დღესასწაულზე თბილისში ჩამოვალ და იქნებ, ჩემთან შეხვედრა მოახერხო. ისე, შენთან ინტერვიუს ჩაწერაც მინდა. გელოდები“.

„იმ დღეს „ქლაბ-შოუს“ ჩაწერაზე გნახე, ძალიან მაგარ ფორმაში იყავი. ანი“.

„გამარჯობა, დეკო. ახლა შენი ინტერვიუ წავიკითხე და იცი, იმაზე მეტად შემიყვარდი, ვიდრე მიყვარდი. მეც შენნაირი ხასიათი მაქვს და ვფიქრობ, ერთმანეთს კარგად გავუგებთ. მოდი, ვიმეგობროთ, რა...“

„ძალიან მაგარი ქალი ხარ. ისე, შენ გამო პლასტიკური ოპერაცია როგორ გავიკეთო?.. მე თბილისში არ ვცხოვრობ, ამ მესიჯს სტამბოლიდან გწერ. სხვათა შორის, „ბარი 4“-საც აქედან ვადევნებდი თვალს და ამ ინტერვიუსაც უცხო ქვეყანაში ვეცნობი. მოკლედ, სექსი ხარ, რა. ეკა, სტამბოლიდან“.

„დეა, ვფიქრობ, მართლაც ძალიან ალალი და ჭკუამხიარული გოგო ხარ. შენი გაცნობა ძალიან მინდა. გკოცნი ბევრს. თამუნა“.

„მინდა, შენს ტუჩებს დავასვა „ზასი“,/ თანაც ველური, მაგრამ თან ნაზი,/ რომ აგაფრინოს მაღლა ზეცაში,/ და შენ ტუჩების გაიგო ფასი“.

„მაგრად „მევასები“ და სად შეიძლება გნახო? გთხოვ, დამიკავშირდი. ლუკა, 19 წლის“.

„ძალიან უბრალო და სათნო გოგონა ხარ, ქართველი ქალი კი სწორედ ასეთი უნდა იყოს. გამიხარდა, რომ „ბარი 4“-ის გამარჯვებული შენ გახდი. წარმატებებს გისურვებ! მიყვარხარ“.

„არსად არ მინდოდა გამეშვი,/ ვიცოდი, უშენობა შემშლიდა,/ იმ დღეს ცამ თვალებში ჩამხედა,/ იტირა, იმდენად შეშინდა“.

„მუდამ წყნარი და თავაზიანი,/ საყვარელი და ხალისიანი,/ ბუნებრივი და თანაც, ჭკვიანი,/ შენ ხარ ასეთი ადამიანი“.

„დეა, „ბარი 4“-ს ხშირად ვუყურებდი. შენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ძალიან გულწრფელი ადამიანი ხარ და გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდი. წარმატებებს გისურვებ! იქნებ, დამიკავშირდე. კოკა“.

„მართლა კარგი გოგო ხარ, მაგრამ ქართველებისთვის დამახასიათებელი კომპლექსები რომ არ გქონდეს, უკეთესი იქნებოდი“.

„მე ნათია ვარ და იმის დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს მესიჯს წაიკითხავ. არაჩვეულებრივი გოგო ხარ და გთხოვ, სხვების ლაპარაკსა და ჭორაობას ყურადღება არ მიაქციო. მიყვარხარ და გკოცნი“.

„დიდი ხანია, შენთან დაკავშირებას ვცდილობ და მიხარია, რომ ახლა ამის საშუალება მომეცა. თუმცა, ცოტა არ იყოს, დავიბენი და აღარ ვიცი, რა გითხრა. მიყვარხარ, მაგარი „ჯიგარი“ გოგო ხარ“.

„მამა თუ ბიზნესმენი გყავს, ისეთ სახლში როგორ ცხოვრობდი? მგონი, რაღაცას გვატყუებ. შენ გამარჯვების ღირსი ნამდვილად არ იყავი, რადგან ამისთვის არაფერი გაგიკეთებია. შეიძლება, გეწყინოს, მაგრამ ეს სიმართლეა. გთხოვთ, ეს მესიჯი აუცილებლად დაბეჭდეთ. მწარე“.

„დეა, მე კახელი ბიჭი ვარ. მინდა, ცოლად შეგირთო და იცოდე, არ დამაღალატო. თუმცა, ისეთი კარგი ვარ, უარს ვერ მეტყვი. თანაც, ხელისგულზე გატარებ. სხვა რაღა გინდა?!.“

„გისურვებ სიყვარულს და ლამაზ სიხარულს,/ ოცნების ახდენას, ვარსკვლავის ანთებას,/ ცხოვრების სიხარულს, უგრძეს სიცოცხლეს,/ და ისეთ თანამგზავრს, შენთვის რომ ილოცებს. ზურა“.

„წლების შემდეგ თეთრი ფიფქი,/ შენს შავ თმას რომ დაგიფარავს,/ მაშინ იგრძნობ, მხოლოდ მაშინ,/ თუ რა კაცი დაგიკარგავს“.

„სილამაზის ანგელოზო, ბრწყინავ, როგორც მზეო,/ რა იქნება, სიხარულო, დამიმესიჯეო,/ შენი ლამაზი სიტყვებით, გული ამივსეო,/ წუთიერი ეს ცხოვრება, გამიხალისეო“.

„ოცნებით მხოლოდ შენთან ვტრიალებ,/ გულისტკივილსაც შენ გიზიარებ,/ მხოლოდ შენა ხარ, ვისაც ვინატრებ,/ ვინც მომიშუშებს გულის იარებს“.

„დეა, შენი ინტერვიუ ძალიან მომეწონა და შენც მომწონხარ, მაგრამ არ მესიამოვნა, საოჯახო საქმეების კეთება რომ არ გეხერხება. ჯერ სადილების მომზადება ისწავლე და ცოლად მერე შეგირთავ. გემრიელი კერძების ჭამა ძალიან მიყვარს. გკოცნი“.

„ტირილს შეწყვიტავს ტირიფის ტოტი,/ და გადააქცევს ეკლებს იებად,/ ერთხელ გაკოცებ ტუჩებში მაგრად,/ ერთხელ ხომ მაინც მეპატიება“.

„ცხოვრებაში ერთხელ მღერის თეთრი გედი,/ ეს ცხოვრება ერთი დიდი ნაბადია,/ რა გაჩუქო სიყვარულზე უკეთესი,/ გულის მეტი არაფერი მაბადია“.

დასაწყისი იხ. გვ. 17

ბოდა, სიამოვნებდა ბიჭისგან ყურადღება და თავის თავშიც ვერ დაიტია, მეც შემატყობინა. მიზეზი მხოლოდ ეს იყო და არა შიში ან სიფრთხილე. ამ ასაკის ბავშვისგან ეს გასაგებიცაა, არც გამკვირვებია. მისთვის ასეთი რამ ახალი იყო და ემოციაც — შესაბამისი. თუმცა, მე ბეროძის ასაკიც არ მავიწყდებოდა. უკვე ზრდასრული იყო და ვიცოდი, რამეს თუ აიჩემებდა, ეს სერიოზულ სახეს მიიღებდა. არ მავიწყდებოდა არც მისი ხასიათი და დედის გულმა მაშინვე მიგრძნო რაღაც უსიამოვნო. როცა ვკითხე ბავშვს, — რამდენი ხნის ამბავია-მეთქი? გამოტყდა, რომ თითქმის ერთი თვე ასე გრძელდებოდა. თვალწინ ყველა ის ჩხუბი, გარჩევები და დაჭრები წარმომიდგა, რაც ბეროძის მონაწილეობით მქონდა ნანახი. ვიცოდი, რომ ამ ამბის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა და მაშინვე გადავწყვიტე მენახა და დავლაპარაკებოდი. სხვათა შორის, გულში სხვა შიშიც გამიჩნდა. შემეშინდა, ბავშვზე არ ემოქმედა, რომ იტყვიან, მისთვის ტვინი არ გადაეტრიალებინა. ინგას განსაკუთრებული ასაკი და პერიოდი ჰქონდა, ემოციურად გაუწონასწორებელი იყო და მის ფსიქიკაზე თამაში შეიძლებოდა. თანაც, ბეროძე თავზე ხელაღებული, მაგრამ უბანში პოპულარული (ამის გამო თუ რა, არ ვიცი) და ლამაზი ბიჭი იყო. შეიძლებოდა, ამას ემოქმედა ჩემს შვილზე. ინგა მიმტკიცებდა, რომ ბეროძე არ მოსწონდა, მაგრამ მე მაინც ვნერვიულობდი. მობილურს ვამოწმებდი, ტელეფონზე ვაყურადებდი. მასთან საუბრისას მისთვის არასდროს შემისწრია... ბეროძეს ქუჩაში შევხვდი. დავუძახე და ვუთხარი, — ბავშვმა მითხრა, თურმე დაჰყვები და ძალიან გთხოვ, შეეშვი, ჯერ პატარაა, არ დამიზაფრო-მეთქი. — არაფერს არავის ვუშავებო, — მიპასუხა და გავარდა, ლაპარაკიც კი არ დამაცადა. ამის შემდეგ, დედამისს დავურეკე და სიტუაცია ავუხსენი. ვთხოვე, შვილზე როგორმე ემოქმედა. მან მითხრა, რომ ამის შესახებ პირველად ესმოდა და შვილთან ყველაფერს გაარკვევდა. ეს ყველაფერი ჩემი მხრიდან წყლის ნაყვა აღმოჩნდა. საშინელების თავიდან აცილება მაინც ვერ შევძელი...“

არაერთგზის გაფრთხილებისა თუ თხოვნის მიუხედავად, ბეროძე გოგონას დევნას კვლავ განაგრძობდა. დაზარალებულის კლასელები, რომლებიც გამოძიებამ მოწმის სახით დაჰკითხა, ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ ბეროძე გოგონას შუა გაკვეთილზე ტკბილეულსა და საჩუქრებს უგზავნიდა. ინგა ამ ყველაფერს უკან არ უბრუნებდა, მაგრამ მასთან ურთიერთობას აშკარად გაურბოდა. *„ტელეფონზე მესიჯებს წერდა, სხვადასხვა ნომრიდან ურეკავდა“,* — ამბობენ დაზარალებულის კლასელები და აქვე აღნიშნავენ, რომ ამის გამო ინგასთვის წუხილი ან შიში არასდროს შეუნიშნავთ.

როგორც ჩანს, ამდენი უარითა და უყურადღებობით გაღიზიანებულმა ბეროძემ გოგონას დაუფლება მიზნად დაისახა და ერთ დღესაც, გადაწყვეტილება მიიღო. ახალგაზრდებს შორის შეთანხმების თანახმად, დანაშაულის ჩადენა ანუ ცოლად შერთვის მიზნით გოგონას გატაცება დღის 3 საათისთვის დაგეგმეს, მაშინ, როცა ის ჩვეულებრივ, სკოლის შენობიდან გამოდიოდა და ორ მეგობარ გოგონასთან ერთად, შინისკენ გზას ფეხით აგრძელებდა. საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის თანახმად, ბეროძე, მოლაშხია, სანოძე და ვინმე ზაზა, „ფორდით“ სკოლის ჩასახვევთან ჩასაფრდნენ. მალე დაქალებთან ერთად, ინგაც გამოჩნდა. მანქანიდან ბეროძე, მოლაშხია და ზაზა ერთდროულად გადახტნენ, სანოძე კი საჭესთან დარჩა. ძალის გამოყენებით, გოგონა მანქანაში შეაგდეს და ხელებშებოჭილი, სალონში, უკანა სავარძელზე მოათავსეს. ძლიერ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ბეროძემ გოგონას ხელები ზურგს უკან თოკით გაუკრა, შემდეგ ფეხებიც გაუკოჭა. გაირკვა, რომ ასეთი ზომების მიღება წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. ამ დეტალიდან გამომდინარე, მოსალოდნელი ძალადობისა და სისასტიკის შესახებ აზრი ბევრს გაუელვებდა თავში, მაგრამ დაზარალებული, როგორც თავად აღნიშნავს ჩვენებაში, იმას, რაც შემდეგ მოხდა, ბეროძისგან მაინც არ ელოდა...

გეზი სამეგრელოსკენ აიღეს. ზემოთ დასახელებულ სახლში შესვლისთანავე, ბეროძემ დრო არ დაკარგა და მოტაცებული გოგონა ოთახში მიიმწყვდია. მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება სცადა, მაგრამ წინააღმდეგობა რომ შეხვდა, გოგონა ჯერ სასტიკად სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა. მერე, დაუძლურებული და თითქმის გონდაკარგული, იქვე მიატოვა, თავად კი მეგობრებთან გვერდით ოთახში გავიდა. ბიჭებმა წინასწარ მომარაგებული ღვინო და საკვები პროდუქტები გაამზადეს და ქეიფი გამართეს. მეგობრები ბეროძეს ოჯახის შექმნას ულოცავდნენ...

„შუა ქეიფში რომ იყვნენ, თურმე, ინგამ იფიქრა — დროს ვიხელთებო, ოთახიდან გამოვარდა და გასასვლელისკენ გაიქცა. ეზოში დაიჭირეს. ბეროძეს, ძმაკაცების დახმარებით, ისევ იმ ოთახში შეუყვანია. რკინის საწოლის თავზე თოკებით მიუბამთ. ჩემი შვილი კანკალით მიყვებოდა, თუ როგორ ათრია თმით ის ბეროძემ, სცემა და დაემუქრა, მშობლებს ცხოვრებაში არ გაჩვენებ, ჭკუით თუ არ მოიქცევიო“, — ჰყვება დაზარალებულის დედა.

ნასვამმა ბეროძემ გოგონას ოთახში ისევ შეაკითხა და როცა მისგან ამჯერადაც უარი მიიღო, კვლავ გააუპატიურა.

„...შვილი რომ დავინახე, უთქმელადაც მივხვდი ყველაფერს. ბავშვი საშინლად იყო ნაწამები, თვალები ჩასისხლიანებოდა, ირგვლივ უზარმაზარი მოწითალო-მოიისფრო ლაქები ჰქონდა — ცემის შედეგად მიღებული სისხლჩაქცევები. სადისტურად მოექცა, ბავშვს პირდაპირ თვალებში ურტყა მუშტები. დანარჩენები ამ ყველაფერს უყურებდნენ და თავში აზრადაც არ მოსდიოდათ, შეეჩერებინათ...“ — დაზარალებულის დედა მომხდარში ბეროძის თანმხლებ პირებს არანაკლებ ადანაშაულებს. მათი მკაცრად დასჯის საკითხი სასამართლოში თავიდანვე დააყენა, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავს, მოსამართლეზე ზემოქმედება, „საჭირო კავშირების“ გამოყენებით, განსასჯელების მხარემ თავიდანვე მოახერხა.

დაზარალებულის მშობლები სახლს, სადაც გამტაცებლები მოტაცებულთან ერთად იმალებოდნენ, შემთხვევიდან მეორე დღეს, პოლიციასთან ერთად მიადგნენ. *„ვარაუდი იმისა, რომ შესაძლოა, ისინი მარტვილის რაიონში წასულიყვნენ, თავად ბეროძის მშობლებმა გამოთქვეს. რამდენიმე პოლიციელთან ერთად, მე და ჩემი მეუღლე მათ ბინაში ვისხედით და იქიდან ფეხს არ ვიცვლიდი მანამ, სანამ შვილს არ მაპოვნინებდნენ. პოლიციას მაშინვე, უყოყმანოდ შევატყობინე. ქალაქიდან გასასვლელი გზები გადაკეტეს, მაგრამ მათ გასვლა მაინც მოასწრეს. სიტუაცია ძალიან რომ დაიძაბა და ბეროძის ოჯახის წევრები მიხვდნენ, უკან დახევას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდით, თავადაც მოინდომეს მათი პოვნა და ამ საქმისთვის წერტილის დასმა. მისამართიც გაიგეს; არ თქვეს, ვისგან და საიდან. სამწუხაროდ, უკვე ძალინ გვიანი იყო...“* — ამბობს დაზარალებულის დედა.

სასამართლო პროცესი რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა. დაზარალებული მხარე პროცესის გაჭიანურებაში განსასჯელების ადვოკატებს ადანაშაულებდა. პროცესზე განსასჯელებმა ბრალდება უარყვეს. გოგონას წაყვანის ფაქტი დაადასტურეს, მაგრამ მათი თქმით, ძალადობას ან ინგასგან რაიმე წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. *„...მანქანიდან ლადო გადავიდა და ინგას დაუძახა. არ გამიგონია, რა უთხრა, მაგრამ ინგა თავისით ჩაჯდა მანქანაში. ჩვენც წავედით. გზაში მას ხმა არ ამოუღია, არც ხელ-ფეხი შეგვიკრავს მისთვის... სახლში რომ მივედით, სუფრის გაშლაში თავადაც გვეხმარებოდა. კარგ ხასიათზე იყო...“* — წერს **სანოძე** ჩვენებაში. *„...ლადომ ხელი გადახვია. ხაჭაპურს თავისი ხელით აჭამევდა. ინგა იცინოდა — ძალიან მშია, მეორეც შენ უნდა მაჭამოო“,* — წერს **მოლაშხია**. რაც შეეხება განსასჯელს,

გოგონას ცემა და გაუპატიურება მან კატეგორიულად უარყო. *„...ინგას ცუდად არ მოვქცევივარ. ის ცალკე ოთახში არ გამიყვანია. მთელი ღამე არ გვიძინია და ყველანი ერთად ვიყავით, დილით მისი და ჩემი მშობლებიც მოვიდნენ. მათ უკან პოლიცია მოჰყვა და ჩვენ დაგვაკავეს... იქ მხოლოდ მე, მოლაშხია და სანოძე ვიყავით, სხვა არავინ გვახლდა... არ ვიცი, დაზიანებები საიდან მიიღო, მაგრამ როგორც შემდეგ მითხრეს, სახლში მიყვანისას, ინგა მამამისს უცემია სასტიკად,“* — აღნიშნა ჩვენებისას **ბეროძემ**. მან საქმეში მეოთხე პირის მონაწილეობაც უარყო. დაუდგენელმა პირმა, გამოძიების ვერსიით, სახლიდან ჩუმად გაქცევა და უკანა ეზოდან გაპარვა მოახერხა.

რომელიმე განსასჯელის აღიარებითი ჩვენება საქმეში არ არსებობს. მათ მიერ ბრალის უარყოფის საპასუხოდ კი ბრალდების მხარემ, დაზარალებულისა და მოწმეების (გატაცების ადგილზე მყოფი ინგას მეგობრების) ჩვენებების გარდა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც წარმოადგინა. დასკვნაში გარკვევით წერია, რომ ცემის შედეგად მიღებული დაზიანებების, ძალადობისა და გაუპატიურების კვალზე, მძიმე ბრალდება სასამართლომ დაადასტურა, ვლადიმერ ბეროძეს — 4, ხოლო მოლაშხიასა და სანოძეს — 3-3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დაზარალებულის დედა:

„ამ განაჩენს ყველგან, თუკი სადმე შეიძლება, გავასაჩივრებ. ჩემს შვილს ცხოვრება სამუდამოდ დაუნგრიეს და მის უბედურებას არავის ვაპატიებ. ისეთი ტრავმა მიაყენეს, რომელსაც ვერც ის, ვერც ჩვენ — მისი მშობლები ვერასდროს დავივიწყებთ. ყველაზე მწარე კი უსამართლობა და იმის დანახვაა, რომ ამ სასტიკი დანაშაულისთვის, დამნაშავეებს პასუხისგებაც არ უნდათ. წარმოუდგენლად მტკივნეულია, როცა სასამართლო ასეთ ადამიანებს ხელს აფარებს, თვალს გვიხვევს, თითქოს გამამტყუნებელ განაჩენს აცხადებს და სინამდვილეში, მათ საერთოდ არ სჯის. თუ მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდების მიმართ ლმობიერება გამოიჩინეს, მწარედ ცდებიან. ეს მშობლების, ნათესავების, ადვოკატებისა თუ სასამართლოს მხრიდან, განსასჯელებისთვის გაწეული, დათვური სამსახურია. ასეთი დამნაშვეები უნდა დაისაჯონ, მომავალში სხვაც რომ არ გააუბედურონ. ბევრი ცდილობს, ხელი შემიშალოს და ამ მიზნით, სატელეფონო მუქარებს, ანონიმურ ზარებს ხშირად აქვს ადგილი. აშკარაა, ამას განსასჯელის მხარე აკეთებს, მაგრამ არ გავჩერდები და სიმართლეს — იმას, თუ რა სისასტიკე ჩაიდინეს, ყველგან ვიტყვი და დავამტკიცებ“.

პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი 23 წლისაა

პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერს, მარკ ცუკერბერგს სოციალური ქსელის — Facebook — შექმნის იდეა, რომელის წყალობითაც მალე უმდიდრესი ადამიანი გახდა, 2004 წლის თებერვალში, ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ერთ პატარა ოთახში გაუჩნდა. პირველად, „დამწყები გენიოსის“ პროექტის სარფიანობა საგადასახადო სისტემა PayPal-ის თანადამფუძნებელმა, პიტერ ტილმა ირწმუნა და მასში 500 ათასი დოლარიც ჩადო. მოგვიანებით, მას სხვა, უფრო ფრთხილი ინვესტორებიც შეუერთდნენ.

სადღეისოდ, Facebook 66 მილიონ აქტიურ მომხმარებელს ითვლის, ხოლო საიტის წლიური გაყიდვები 150 მილიონ დოლარად ფასდება. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტების საურთიერთო საიტად ჩაფიქრებული Facebook მსოფლიოში სიდიდით იმ მეორე სოციალურ ქსელად იქცა, რომელიც მხოლოდ MySpace-ს (200 მილიონი მომხმარებელი) თუ ჩამოუვარდება.

გასული წლის ოქტომბერში, Microsoft-მა Facebook-ის აქციების 1,6% 240 მილიონ დოლარად შეიძინა, რამაც ზოგიერთ ანალიტიკოსს მთელი კომპანიის 15 მილიარდ დოლარად (შედარებისთვის: რუსული „ავტოვაზის“ კაპიტალიზაციამ Renault-თან გარიგების შემდეგ, 4,5 მილიარდ დოლარზე ოდნავ მეტი თუ შეადგინა) შეფასების საშუალება მისცა. Microsoft-ის მიერ გადახდილ თანხაში (2011 წლამდე) Facebook-ის საიტზე რეკლამების გაყიდვის განსაკუთრებული უფლება შედის. საძიებო გიგანტმა Google-მა კი MySpace-სთან გაფორმებულ ანალოგიურ კონტრაქტში თითქმის მილიარდი გადაიხადა.

თუ Microsoft-ის გადახდილი თანხით ვიმსჯელებთ, მარკ ცუკერბერგი 4 მილიარდზე ოდნავ მეტი მაინც „ღირს“.

თუმცა, ჟურნალმა Forbes-მა (მთელ რიგ ანალიტიკოსთა და თვით Facebook-ის ზოგიერთი ინვესტორის მოსაზრებებზე დაყრდნობითაც), მილიარდერების ყოველწლიურ სიაში, მისი ქონება „მხოლოდ“ 1,5 მილიარდად (785-ე ადგილი) შეაფასა. როგორც არ უნდა იყოს, მარკ ცუკერბერგი მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია, რომელმაც ეს თანხა თავადვე გამოიმუშავა...

ნარკობარონების მანქანებს აგენტი 007-იც ჯი ინატრებდა

მექსიკის პოლიცია დარწმუნდა, რომ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები იმდენად აქტიურად სარგებლობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით, რომ მათ სუპერავტომობილებს თვით ჯეიმს ბონდიც კი ინატრებდა.

წესრიგის დამცველთ ხელში ჩაუვარდათ პოლიციასთან შეტაკების შემდეგ გაქცეულ ნარკომოვაჭრეთა „გრანდ ჩეროკი“, რომლის დათვალიერებისას, გაოცებას თვით ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების მრავლისმნახველი თანამშრომლებიც კი ვეღარ ფარავდნენ. მანქანა აღჭურვილი იყო ე.წ. „კვამლის საფრის“ შესაქმნელი დანადგარით და სპეციალური მოწყობილობით, რომელიც გზაზე ბასრ „შიპებს“ აბნევდა.

ალბათ, არაერთ გულუბრყვილო ადამიანს სჯერა ყველა იმ ტრიუკისა, რომელთა დემონსტრირებასაც აგენტი 007, ყოველ სერიაში ახდენს. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი ფულის გადახდის შემთხვევაში, თანამედროვე ტექნიკის შესაძლებლობები ნებისმიერი, თვით ყველაზე თამამი სტრატეგიული ჩანაფიქრის რეალიზების საშუალებასაც კი იძლევა. ამის დასტურია ის „ექსკლუზიური“ საბრძოლო აღჭურვილობებიც, რომლებსაც მექსიკელი პოლიციელები თაროებზე, ნივთმტკიცებების სახით ინახავენ. მათ შორის, სარაკეტო დანადგარები, სხვადასხვა მძლავრი ცეცხლსასროლი იარაღი და მოოქრული ტყვიებიც კი მოიძებნება.

ზოგიერთი მონაცემით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველწლიურად, მექსიკელ ნარკოდილერებს მილიარდი დოლარის კოკაინი შეაქვთ და ალბათ, მათი საოცარი აღჭურვილობის საიდუმლოც სწორედ ამ გზით ნაშოვნ სოლიდურ თანხებში უნდა ეძებონ. ხშირად, ეს მდიდარი არსენალი პოლიციასთან შეტაკებისა თუ სხვადასხვა კლანს შორის გაჩაღებული შინაომების დროს გამოიყენება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლით მთავრდება. მარტო მიმდინარე წლის დასაწყისიდან, მექსიკის ტერიტორიაზე სპეცსამსახურებსა და ნარკოტიკების მწარმოებლებს შორის გამართულ ბრძოლებს 300 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა, გასულ წელს კი დაღუპულთა რიცხვმა 2500-ს გადააჭარბა.

ყველაზე არასექსუალურ ქალთა რეიტინგი

ყველაზე სექსუალურ ქალთა მსოფლიო რეიტინგი ჩვეულ მოვლენად იქცა და ახლა საზოგადოების თვალსა და გულს ყველაზე არასიმპათიურ ქალბატონთა სიები უფრო ახარებს. ჟურნალის — FHM — გერმანული გამოცემის თანამშრომლებმა დროულად განჭვრიტეს, რომ მხოლოდ მზეთუნახავთა რეიტინგის შედგენით შორს ვერ წავიდოდნენ და მკითხველს ყველაზე უსახურ ცნობილ ქალბატონთა სიის შედგენა შესთავაზეს. მათ მოწოდებას სიხარულით გამოეხმაურა 21000 მკითხველი და ანტისექსუალურ ქალთა სიის ნუსხაც შედგა.

„სახალხო ჟიურიმ“ პირველი ადგილი ერთხმად მიაკუთვნა 24 წლის ბრიტანელ მომღერალს — ემი უაინჰაუსს. ბოლო ხანებში ალკოჰოლსა და ნარკოტიკებთან დაკავშირებულმა სკანდალებმა მომღერლის ვოკალური მონაცემები ყველას დაავიწყა. ამიტომ, FHM-ის მთავარი რედაქტორის, კრისტიან კალენბერგის ვერდიქტი საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა: „ინგლისელ მომღერალს ბობოქარმა ცხოვრებამ კვალი დააჩნია. უშნო კბილებით, ფერადი თმითა და ცუდი სახის კანით მამაკაცებს თავს ვერ მოაწონებ“...

მეორე ადგილი ემი უაინჰაუსის კოლეგამ — 26 წლის ბრიტნი სპირსმა დაიკავა. თუ ვარსკვლავის ცხოვრების ყველა დეტალს გავითვალისწინებთ, ეს არჩევანი სრულიად კანონზომიერი უნდა იყოს. ბოროტი ხმები ირწმუნებიან, რომ ბრიტნის უსახური გარეგნული იერი კატასტროფული მოუცლელობის ბრალია: მომღერალი მორიგი სასამართლო პროცესიდან შინ მისვლას ვერ ასწრებს, რომ კვლავ სასამართლოშია მისასვლელი.

ახალგაზრდა, მაგრამ სკანდალებით ცნობილმა მსახიობმა — ლინდსი ლოჰანმა „საპატიო“ მესამე ადგილი ლოთობის, ნარკოტიკებისა და პატიმრობის „წყალობით“ მოიპოვა. სტილის ეტალონად და ამავდროულად, უგემოვნების განსახიერებად შერაცხულმა ვიქტორია ბექჰემმა რამდენიმე სახელოვანი კონკურენტი ჩამოიტოვა და მეხუთე ადგილზე გავიდა. ჰილარი კლინტონმა, პერის ჰილტონმა და სარა ჯესიკა პარკერმა შესაბამისად, მე-6, მე-7 და მე-8 ადგილები გაინაწილეს.

დევიდ და ვიქტორია — ინგლისელ მოსწავლეთა ეტალონები

ინგლისის ლექტორთა და მასწავლებელთა ასოციაციამ მოსწავლეთა შორის სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ბავშვების 53% დევიდ ბექჰემის კარიერასა და ლოს-ანჯელესში ცხოვრებაზე ოცნებობს, ხოლო 30%-ს სურს, ისეთივე იყოს, როგორიც ვიქტორია ბექჰემია. ალბიონელ ბიჭებში პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე ისეთი პერსონები, როგორებიც არიან: ფრენკ ლამპარდი და ლუის ჰემილტონი, ხოლო გოგონებს სურთ, ჰგავდნენ ჯგუფის — Sugarbabes — წევრებს, აგრეთვე — პერის ჰილტონს, კირა ნაიტლის და ემი უაინჰაუსს. „ეს არაა გასაკვირი და მხოლოდ რეალობას ასახავს. ვარსკვლავები ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან გვიყურებენ, ხშირად ჩანან ტელეეკრანებზე, — ამბობს ასოციაციის თავკაცი, მაერი ბუსტედი, — ასეთია დღევანდელი საზოგადოება. სხვათა შორის, არ ღირს ამ ფაქტის ნეგატიურად შეფასება. მრავალი ცნობილი პერსონა ხომ შეიძლება, ბავშვებისა და მოზარდებისათვის კარგ მაგალითად იქცეს“.

მოლხენა მორაგბეთა ქალებსაც ჰყვარებიათ

უელსის მორაგბეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, გევინ ჰენსონის მეგობარი გოგონა, შარლოტა ჩერჩი ექვსი ერის თასის გათამაშებაში გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად მოწყობილ წვეულებაზე ისე დამთვრალა, რომ თურმე, ნებისმიერ იქ მყოფს შეეძლო მისი მშვენიერი ბიუსტის ნატურაში ხილვა. გაზეთი The Sun არაფერს წერს იმის შესახებ, თუ როგორ დასრულდა შარლოტას მოლხენა... ამას წინათ, უელსის ნაკრებმა 6 ერის თასის გათამაშებაში საფრანგეთის ეროვნული გუნდი ანგარიშით 29:12 დაამარცხა და მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. შეხვედრის მთავარ გმირად, შეინ უილიამსი იქცა. სწორედ მისი შესანიშნავი თამაშის შედეგად, მატჩი უელსის სასარგებლოდ დასრულდა. გუნდმა ბოლო 4 წლის განმავლობაში, 6 ერის თასი მეორედ დაისაკუთრა. მესამე ადგილზე ინგლისის ნაკრები გავიდა, რომელმაც ტურნირის დასკვნით ტურში ირლანდიის გუნდი დაამარცხა (33:10).

ეშლი კოული 6 თვით სექსის გარეშე დარჩა?!

ლონდონის „ჩელსის“ მცველის, ეშლი კოულის ცოლმა შერილმა გადაწყვიტა, მეუღლეს ღალატი აპატიოს და მეორე შანსი მისცეს მას შემდეგ, რაც მეუღლემ იგი პარიკმახერ ეიმი უოლტონზე გაცვალა. The Sun იუწყება, რომ შერილმა, ეშლის პატიების სანაცვლოდ, საკმაოდ მკაცრი პირობა წაუყენა. არც მეტი, არც ნაკლები, მან ქმარს განუცხადა, რომ 6 თვის განმავლობაში მასთან არავითარი ინტიმური ურთიერთობა არ ექნება. ამის შესახებ ცნობილ ინგლისურ გამოცემას ვარსკვლავური წყვილის ახლობელმა აუწყა: „შერილმა ეშლის უთხრა, რომ მათ შორის სექსი 6 თვის განმავლობაში არ იქნება, ხოლო ეშლი ამ მძიმე პირობას დათანხმდა. ეშლი კოული ცნობილია ბურთის კონტროლის კარგი უნარით, მაგრამ ეს მისთვის ნამდვილი გამოცდა იქნება...“

სიმფსონმა ნოვიცკის ვერ უშველა...

ამერიკელი მომღერალი და მსახიობი ჯესიკა სიმფსონი დალასში გამართულ საკალათბურთო მატჩს დასწრებია, რომელშიც ერთმანეთს „მავერიკსი“ და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ ხვდებოდნენ. როგორც ცნობილია, სიმფსონმა პოპულარობა მოიხვეჭა „ახალდაქორწინებულების“ ცნობილ რეალურ შოუში მონაწილეობით, რომელიც MTV-ის ეთერში გადიოდა. ეს შოუ ახალდაქორწინებული სექსუალური გოგონასა და მისი იმჟამინდელი ქმრის, ლაშეს ცხოვრებაზე მოგვითხრობდა. შოუ 4 სეზონის განმავლობაში დიდი წარმატებით გადიოდა. იგი პოპკულტურის ერთგვარ ფენომენადაც იქცა. 2005 წელს „ახალდაქორწინებულებს“ People's Choice Award-ზე, „საუკეთესო რეალითი-შოუს“ პრიზი მიენიჭა. თუმცა ლაშესთან ოჯახური ცხოვრება მუდმივი არ ყოფილა. ისინი გაიყარნენ და შოუც დასრულდა. მცირე ხნით ლამაზმანი მარტო დარჩა. ამჟამად კი ამერიკული ფეხბურთის გუნდის, „დალას კავბოის“ ვარსკვლავს, ტონი რომოს ხვდება. ამ ცოტა ხნის წინ კი ისინი ერთად უჭერდნენ მხარს „დალას მავერიკსს“. მიუხედავად ამისა, კლუბსა და მის ლიდერს, დირკ ნოვიცკის ამან მაინც ვერ უშველა: მასპინძლებმა 100:102 წააგეს. ■

სელეში ავტობიოგრაფიას წერს

იუგოსლავიური წარმოშობის ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი, 34 წლის მონიკა სელეში მემუარებს წერს. იგი აღნიშნავს, რომ „სურვილი აქვს, მკითხველს გაუზიაროს, თუ როგორ აღმოაჩინა ბალანსი, ძლიერება და ბედნიერება“ თავის ცხოვრებაში, „დიადი მიღწევებით გამოწვეულ სიხარულსა და დამთრგუნველ ტრაგედიებს შორის „მოქანქარე“, მრავალი წლის შემდეგ“. წიგნი, რომელიც ჯერჯერობით დაუსურათებელია, 2009 წელს გამოიცემა. თავისი არაჩვეულებრივი კარიერის განმავლობაში სელეშმა „დიდი მუზარადის“ 9 ტურნირზე იმარჯვა და სავარაუდოდ, კიდევ არაერთ წარმატებას მიაღწევდა, 1993 წლის აპრილში, ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას ზურგში დანის ჩარტყმით რომ არ დაეჭრათ...

ბოლოს, მონიკამ 2003 წელს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში ითამაშა. ოფიციალურად კი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ მხოლოდ წინა თვეში განაცხადა. ბოლო პერიოდში სელეში ჭარბ წონას ებრძოდა და როგორც მისი გამომცემელი იტყობინება, „ამჟამად გაცილებით უკეთესად გამოიყურება. შესაბამისად, თავსაც უკეთესად გრძნობს“. ■

ენენი საჩოგბურთო აკადემიას ხსნის

ჩოგბურთელი ჟუსტინ ენენი მალე საკუთარ საჩოგბურთო აკადემიას გახსნის. აკადემია ორლანდოდან 50 კმ-ში, მიშნ-ჰილზში აშენდება და მას „მეექვსე გრძნობა“ დაერქმევა. ენენის განცხადებით, მის მიზანს, ასევე ფლორიდაში მდებარე, ნიკ ბოლეტერის ანალოგიური დაწესებულებისთვის კონკურენციის გაწევა არ წარმოადგენს. ბელგიელი ჩოგანი თავად, აკადემიაში დაბინავებას არ აპირებს. მისივე თქმით, იგი „მეექვსე გრძნობას“, თავის მწვრთნელთან, კარლოს როდრიგესთან ერთად დროდადრო ეწვევა. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

ჟურნალის დასახელება	1 ეკ. ფასი	6 თვე
1. ВРАЧ	37.85	226.9
2. МЕДИЦИНСКИЙ ВЕСТНИК	8.96	187.2
3. ФАРМАЦЕВТИЧЕСКИЙ ВЕСТНИК	14.80	254.1
4. ВЕСТНИК ДЕРМАТОЛОГИИ И ВЕНЕРОЛОГИИ	16.20	48.6
5. ВЕСТНИК ИНТЕНСИВНОЙ ТЕРАПИИ	5.75	11.5
6. ВЕСТНИК ОФТАЛЬМОЛОГИИ	16.80	50.4
7. ДЕТСКИЕ ИНФЕКЦИИ	15.10	30.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საagენტო
ელვა

ქ. თბილისი
თოხლიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ელექტრო-სუპერავტო

ბრიტანულმა კომპანიამ — Lightning Car — გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, მომავალ წელს სერიულ წარმოებაში ჩაუშვებს 700 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტროავტოს, რომელსაც GT ეწოდება. სიახლის ძარა კარბონისგან იქნება დამზადებული. ავტომობილს მოძრაობაში მოიყვანს ბორბლებთან დამონტაჟებული 4 ძრავა, რომელთა სიმძლავრეც (თითოეულის) 120 კილოვატია. ელექტრომოტორები NanoSafe-ს სპეციალური ლითიუმის აკუმულატორებით იკვებება, რომელთა დატენვაც რეგენერაციის სისტემით დამუხრუჭებისას მოხდება.

ბრიტანულ კომპანიაში ამტკიცებენ, რომ Ligthning GT-ით 400 კმ-ზე მეტი მანძილის გავლა იქნება შესაძლებელი, ხოლო ბატარეების დამუხტვას სულ რაღაც 10 წუთი დასჭირდება. სავარაუდოდ, სერიული ელექტროავტომობილი — Lightning GT 96 კმ/სთ სიჩქარეს ოთხ წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 210 კმ/სთ იქნება. აღასანიშნავია ისიც, რომ კომპანია შეკვეთებს უკვე იღებს, საწყისი შენატანის სახით კი 15 ათასი გირვანქა სტერლინგია (დაახლოებით 30 ათასი აშშ დოლარი) საჭირო. ■

ოლიმპიადის დროს პეკინში ავტოპარკი შემცირდება

ჩინეთის ხელისუფლება მზადაა, ფულადი კომპენსაცია გადაუხადოს პეკინელ ავტომფლობელებს, რომელთაც მომავალი ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას საკუთარი მანქანებით მოძრაობა აეკრძალებათ. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ოდენობის თანხას მიიღებენ მძღოლები. ჩინეთის ოფიციოზი 8-დან 24 აგვისტოს ჩათვლით, პეკინის 3,3-მილიონიანი ავტოპარკის შეზღუდვას აპირებს. ქალაქის მერის, ცი ლინის თქმით, ავტომობილები მაინც შეძლებენ გზებზე გასვლას, ოღონდ — ორ დღეში ერთხელ, რაც მანქანის სანომრე ნიშნით იქნება განსაზღვრული. შეზღუდვები არ გავრცელდება ტაქსიზე, ავტობუსსა და ექსტრემალური დახმარების სამსახურების კუთვნილ მანქანებზე. პეკინის ქუჩებში ავტომობილების რიცხვის შემცირება ჰაერში ნახშიროჟანგის შემცირებას შეუწყობს ხელს. ■

ამერიკელ მძღოლებს ეკოლოგია ჩირადაც არ უღირთ

ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზაციის — J.D. Power and Associates — მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ მანქანის ყიდვისას, ჰაერში მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის შესამცირებლად შექმნილი ახალი ტექნოლოგიების შესაძენად, შესაბამისი თანხის გადახდაზე აშშ-ის მოსახლეობის მხოლოდ 11%-ია თანახმა. ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, ის ამერიკელები, რომლებიც მზად არიან, ახალი ეკოლოგიური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ავტომობილების შეძენისას დამატებითი საფასური გადაიხადონ, ძირითადად, უმაღლესი განათლების მქონე ქალბატონები არიან, რომლებიც ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ. ამასთან, მათგან 10-დან მხოლოდ ერთი თუ შეიძენს ჰიბრიდული აგრეგატით აღჭურვილ მანქანას, დანარჩენები კი ეკონომიური ძრავებით მომუშავე, ქალაქისთვის განკუთვნილ კომპაქტურ ავტომობილებს ანიჭებენ უპირატესობას. კომპანიამ დაადგინა, რომ „ეკოლოგიურად სუფთა“ მანქანების მყიდველთა უმრავლესობას გარემოს დაბინძურების პრობლემა ნაკლებად აღელვებს. J.D. Power and Associates-ის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების თავკაცის, ჯონ ოსბორნის განცხადებით, ამერიკელებს ის უფრო იზიდავთ, რომ ასეთი მანქანები შედარებით ნაკლებ საწვავს ხარჯავს, რაც მათ ბიუჯეტზე დადებითად აისახება. მისივე თქმით, აშშ-ის ბაზარზე ჰიბრიდული მანქანების წილი სულ 2,2%-ია. ■

ჰოროსკოპი

(27 მარტი - 2 აპრილი)

ვაჩარა:

წინააღმდეგობების დაძლევაში რელიგიასთან დაახლოება დაგეხმარებათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეებში ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ, კარგი იქნება, თუ გარკვეულ დროს ოჯახის წევრებსა და პირადი პრობლემების მოგვარებას დაუთმობთ.

ხარი:

ამ კვირაში შრომა დაგიფასდებათ და შესაბამისად, ახალ სიმაღლეებს ადვილად დაიპყრობთ. თქვენთვის ბუნდოვან სიტუაციებში დახმარება საქმეში გარკვეულ პირებს სთხოვეთ. ახალი ნაცნობობა შეიძლება, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

ტყუპები:

თქვენი აქტიურობა პიკს მიაღწევს. ახალი საქმეების წამოწყებისას, ყველა წვრილმანი გაითვალისწინეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედეთ. კარგი იქნება, თუ დროს პირადი ცხოვრების მოგვარებასაც დაუთმობთ. საყვარელ ადამიანთან უთანხმოების შემთხვევაში, მას პირისპირ, სერიოზულად დაელაპარაკეთ.

კიბორჩხალა:

ნუ დამალავთ გრძნობებს. დროულად გადადგმული ნაბიჯი პოზიციების გამყარებასა და საწადლის მიღწევაში დაგეხმარებათ. პარტნიორებთან მეტად თავშეკავებული იყავით, მათ ნურაფერში შეეწინააღმდეგებით.

ლომი:

არასახარბიელო პერიოდია მგზავრობისათვის. აგრესია სიმშვიდით შეცვალეთ, რათა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობამ არ მოგიწიოთ. შესაძლოა, ადრინდელი რომანტიკული ურთიერთობა აღადგინოთ.

ქალწუნდა:

ნათესავებთან კამათისას ნურავის ნურაფერს შეჰპირდებით, რადგან შესრულებას ვერ შეძლებთ. ნუ ეცდებით სხვისი საიდუმლოებების გაგებას, რათა რეპუტაცია არ გაიფუჭოთ. სასიყვარულო ურთიერთობებში იდილიური სიმშვიდე და სტაბილურობაა მოსალოდნელი.

სასწორი:

დროულად დაფარეთ ყველა ვალი. შესაძლოა, თქვენი სასიყვარულო ამბავი გამოაშკარავდეს, რაც ოჯახის წევრებთან ჩხუბის საბაბი გახდება. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ოპერაციებში შუამავლებს ნუ ენდობით.

ბრიტანეული:

კარიერაში პოზიციებს გაიმყარებთ და ნებისმიერ სირთულეს ადვილად დააღწევთ თავს. ამ დღეებში ქალაქიდან გამგზავრება არ ღირს. უქმე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ და სტუმრად მოსულ ნათესავებსა თუ მეგობრებს ღირსეულად გაუმასპინძლდით.

ეშვიდდოსტაფი:

დაისახეთ მიზნები. ბავშვებთან, საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ ყველა გაუგებრობას ამ კვირაში მოეღება ბოლო. არასაკმარისი ცოდნის შემთხვევაში, კოლეგებს დახმარება თამამად სთხოვეთ.

თხიბ რეჟი:

ყურადღებით გადაამოწმეთ ყველა საბუთი და ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის გამო არ ინერვიულოთ. კარგი დროა ხანმოკლე, რომანტიკული მოგზაურობისათვის.

ეთრწყუნდა:

სამსახურში წარმატება გელით. მეგობრებს ეჭვის თვალით ნუ შეხედავთ, თორემ მათთან ურთიერთობა უცილებლად დაგეძაბებათ. კვირის ბოლოს შესაძლოა, ისეთ ადამიანს შეხვდეთ, რომლის დანახვაც ძალიან გაგახარებთ.

თევზები:

ყურადღება დაუთმეთ ახლო ნათესავებს, მეგობრებსა და პარტნიორებს. ამ პერიოდში ყველა ის საქმე, რასაც ხელს მოჰკიდებთ, დიდ მატერიალურ შემოსავალს მოგიტანთ. საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გამგზავრება კი დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გიქადით.

1 ფრანგი ფერმწერი
2 ომის კრემი
3 ფულის ერთეული მონღოლეთში
4 ავეჯის ნაწილი
5 მარცვლეული კულტურა
6 მცირე არია
7 დეპეშა
8 ყაზახეთის დედაქალაქი
9 ფერადი ლითონის სიფრფუნა ფურცელი
10 პატარა ტყე მინდორში
11 ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი
12 სტივენ სპილბერგის ფილმი
13 იაპონური ბრინჯის არაყი
14 აშშ-ის ელჩი საქართველოში
15 შუაზიელ ქალთა სამოსი
16 პოეზია
17 ... პაჩინო
18 პარიზის კოშკი
19 იტალიელი კინორეჟისორი
20 ქართული სადაზღვევო კომპანია
21 ფარისეველი
22 გემის სარემონტო ნაგებობა
23 დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ
24 ლუქსის ოთხსტრიქონიანი სტროფი
25 თითი
26 ფეტვის ბურახი
27 სტადიონი რიო-დე-ჟანეიროში
28 სპაგეტი
29 საფოსტო გზავნილი
30 ინტუიცია
31 ფრანგული ავტომობილი
32 რუსული ავტომობილი
33 საშინაო ტანისამოსი
34 მეუღლე
35 ჯალის სპერტყი ვაზი
36 იარალის ლულის ღრუს დამტერი
37 მეფედ კურთხევის ცერემონია
38 პურის საცხობი
39 ირლანდიის რესპუბლიკის არმია
40 ხანმოკლე პრესკონფერენცია



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. რაიხსტაგი; 2. იგუანა; 3. სპირიტიზმი; 4. კარუზო; 5. ნაუტილუსი; 6. სიბერე; 7. ტახი; 8. აბე; 9. ლიბერია; 10. ნაირობი; 11. რულეტი; 12. ოპიუმი; 13. ფსოვი; 14. ნიკორა; 15. როტარუ; 16. ტიტო; 17. ეზოპე; 18. აბისინია; 19. ლამბი; 20. რიყე; 21. ღონე; 22. ტიტრი; 23. თიკუნი; 24. სიმენსი; 25. ევრო; 26. ეტორე; 27. ფოლიანტი; 28. ბელორუსია; 29. თია; 30. პესეტა; 31. ყამა; 32. შილერი; 33. მენეჯერი; 34. ნეფერტიტი; 35. პული; 36. სეატი; 37. ენისეი; 38. ირა; 39. ბარქაია.

სურათებზე: რენე რუსო; შონ პენი.

ხარ თუ არა ემოციური?

გიყვარს სასიყვარულო რომანების კითხვა? იქნებ, შენ ამ ჟანრის თხზულებებში აღწერილი მძაფრი გრძნობების განცდას საკუთარ თავზე ამჯობინებ? უპასუხე ტესტის შეკითხვებს და გაიგე, ხარ თუ არა ემოციური.

1. სახლში რემონტს აკეთებ და კედლების მკვეთრ ფერად შეღებვა გადაწყვიტე. რა ფერს მიანიჭებ უპირატესობას?

ა) მწვანეს — 1;

ბ) წითელს — 3;

გ) ყვითელს — 2.

2. როცა ვინმე გიყვარდება, როგორ ხდება ეს?

ა) დანახვისთანავე — 3;

ბ) მხოლოდ საფუძვლიანი ნაცნობობის შედეგად — 2;

გ) იმ შემთხვევაში, როცა ის ჩემით სერიოზულადაა გატაცებული — 1.

3. თქვენს ურთიერთობაში ინიციატივას ვინ იღებს საკუთარ თავზე?

ა) რა თქმა უნდა, ინიციატივის გამოჩენას ყმაწვილის მხრიდან ველი — 1;

ბ) ეს დამოკიდებულია თითოეული ჩვენ-განის განწყობილებაზე — 2;

გ) ხშირ შემთხვევაში, ინიციატივას საკუთარ თავზე ვიღებ — 3.

4. ვთქვათ, მოულოდნელად შენ „ოცნების მამაკაცი“ გაიცანი. გაიგლებ თუ არა შენი რჩეულის ღალატს გულში?

ა) დიახ. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემს ფანტაზიაში მოხდება — 2;

ბ) რა თქმა უნდა. მხოლოდ, ამის შესახებ არავინ არაფერი უნდა გაიგოს — 3;

გ) არა. ეს ჩემთვის სრულიად დაუშვებელია — 1.

5. საუკეთესო მეგობარი გოგონა მასთან ერთად, სექსშოფში ვიზიტს გთავაზობს. მის შემოთავაზებას დათანხმდები თუ არა?

ა) მსგავს მაღაზიას მხოლოდ ჩემს პარტნიორთან ერთად ვსტუმრობ — 2;

ბ) სიამოვნებით დათანხმდები — 3;

გ) არა. მსგავსი რამ ჩემთვის სრულიად მიუღებელია — 1.

6. შენი აზრით, ჰარმონიულ პარტნიორობაში რა დგას პირველ ადგილზე?

ა) ინტიმი — 3;

ბ) ნდობის ფაქტორი — 2;

გ) მოთმინება — 1.

7. ვთქვათ, შეყვარებულს დაშორდი. მისგან სამახსოვროდ რის დატოვებას ისურვებდი?

ა) მისი პორტრეტისას — 1;

ბ) მისი სუნამოს ფლაკონისას — 2;

გ) იმ ჩასაცმელისას, რომელიც მას ჩვენი პირველი შეხვედრისას ეცვა — 3.

ტესტის შედეგები

7-11 ქულა: საკუთარი ვნებათაღელვის გამოსავლენად ან ძალიან მორცხვი ხარ, ან ზედმიწევნით პრაქტიკული. შენ მოგწონს ისეთი ფილმების ყურება, სადაც სასიყვარულო განცდებია გადმოცემული, მაგრამ თავად, მსგავსი გრძნობების გამოსავლენად გამბედაობა არ გყოფნის. ეცადე, დროდადრო საკუთარ გრძნობებსაც მისცე გასაქანი.

12-16 ქულა: შენ გაცნობიერებული გაქვს, რომ პარტნიორებს შორის მუდმივად დღესასწაულის განწყობილება არ სუფევს, მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენება, რომ ამგვარ ურთიერთობებში ადგილი არც მოწყენილობას უნდა ჰქონდეს! საჭირო სიტუაციაში სათანადო რეაგირების უნარით გამოირჩევი და ამ თვისების გამო, შენთან ურთიერთობა პარტნიორისათვის ყოველთვის საინტერესოა.

17-21 ქულა: შენთვის ყველაზე მიმზიდველი რამ ვნებათაღელვაა. კარგი იქნება, თუკი ზომიერების გრძნობა არ გიღალატებს, რადგან გადაჭარბებული ემოციურობით შესაძლოა, პარტნიორი დააფრთხო. ეცადე, საკუთარი თავი ხელში აიყვანო და ემოციების გამოვლენა ცხოვრების აზრად არ აქციო.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	7	6	4	8	1	9	5	2
8	1	5	7	2	9	3	4	6
4	2	9	5	6	3	8	1	7
5	8	7	2	4	6	1	9	3
6	3	4	9	1	8	7	2	5
2	9	1	3	5	7	6	8	4
9	4	3	8	7	5	2	6	1
7	6	2	1	9	4	5	3	8
1	5	8	6	3	2	4	7	9

1	7	6	9	4	5	2	8	3
4	5	2	1	8	3	7	6	9
8	3	9	2	7	6	4	5	1
3	8	4	5	2	7	9	1	6
6	2	5	3	1	9	8	4	7
9	1	7	4	6	8	3	2	5
7	4	8	6	3	1	5	9	2
5	6	3	8	9	2	1	7	4
2	9	1	7	5	4	6	3	8

4	9	7	3	5	8	2	1	6
1	8	2	6	7	9	3	5	4
3	5	6	2	4	1	7	8	9
6	4	1	7	9	3	5	2	8
9	2	3	5	8	6	1	4	7
8	7	5	1	2	4	9	6	3
2	1	9	4	6	7	8	3	5
5	6	8	9	3	2	4	7	1
7	3	4	8	1	5	6	9	2

* მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

** საშუალო

		4		7			1	
					2	4		
		2			8		6	
	3			4				9
6					5			7
2				6	7		8	
	7		5			3		
		5	7					
	2			8		9		

*** რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲡ

ავსტრალიის გარემოს დაცვის მინისტრმა გამოაცხადა ამ უწყების გადაწყვეტილება, რომელიც ავსტრალიის დედაქალაქში 400 კენგურუს განადგურებას ითვალისწინებს. ეს გადაწყვეტილება წინა დადგენილების შერბილებულ ვერსიას წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, კანბერის მიდამოებში 3000 კენგურუ უნდა დაეხოცათ. ხელისუფლება ამ ნაბიჯის საჭიროებას იმით ასაბუთებს, რომ ცხოველები ბალახს ანადგურებენ. საძოვრებზე უყურო ვარანები, უფეხო ხვლიკები და ზოგიერთი სახეობის პეპელა ბინადრობს.

ცხოველთა განადგურება თავდაცვის სამინისტროს დაევალა. თავდაპირველად, კენგურუების დახოცვას ცეცხლსასროლი იარაღით აპირებდნენ, მაგრამ პოლიციამ მკვლელობის სხვა იარაღი შეარჩია, რადგან სროლის ხმა საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევას გამოიწვევდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ კენგურუებს ძილისმომგვრელი პრეპარატებით დამუშავებული ხელშუბებით გააბრუებენ და შემდეგ სასიკვდილო ინიექციას გაუკეთებენ...

ავსტრალიის ეროვნული სიმბოლოს განადგურების გადაწყვეტილებამ ბუნების დამცველთა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია. ველური ბუნების დაცვის ასოციაციის აქტივისტები იმ მიდამოების პიკეტირებასა და გადაკეტვას აპირებენ, სადაც ოპერაციის ჩატარება იგეგმება.

სხვადასხვა მონაცემით, ამჟამად ავსტრალიის კონტინენტზე 60 მილიონი კენგურუ ბინადრობს. ხელისუფლებამ ამ ცხოველებზე ნადირობის კვოტად, ყოველწლიურად, 6 მილიონი დააწესა. კენგურუს ხორცი საკვებად გამოიყენება, ტყავსა და ბეწვს კი — ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების წარმოებაში მოიხმარენ. ■

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ – ᲨᲔᲣᲥᲪᲔᲕᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛ�პᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝᲓ...

ბრიტანეთის მოქალაქემ ავტოავარიის შედეგად, შეუქცევადი პიროვნული ცვლილება განიცადა და საკომპენსაციოდ, 1,7 მლნ გირვანქა სტერლინგი მიიღო... 2002 წელს მთვრალი მძღოლი დევიდ საუთვუდი მანქანით ავტობუსის გაჩერების ფარდულს შეასკდა. ფარდულის სახურავი ბორტმექანიკოს რობერტ კორნსს ჩამოემხო თავზე. მოგვიანებით საუთვუდმა დანაშაული აღიარა და სასჯელიც მოიხადა.

ავარიის შედეგად, რობერტ კორნსმა ტვინის ისეთი დაზიანება მიიღო, რომელმაც მისი პიროვნება სრულიად შეცვალა. მანამდე ყველასგან დაფასებულმა და მოკრძალებულმა ადამიანმა ნელ-ნელა, „სექსუალურად მიუღებელი ქცევა“ და აგრესია გამოავლინა, ბილწსიტყვაობას დაეჩვია და მეხსიერებასთან დაკავშირებული, ხანმოკლე პრობლემები გაუჩნდა, რის გამოც ავტომობილის მართვის უფლება ჩამოართვეს. საბრალო კორნსი მეზობლებს წაეკიდა. აგრესიული ქცევის გამო ადგილობრივ მაღაზიებში შესვლაც კი აუკრძალეს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ დანით დაემუქრა მომვლელს, რომელმაც სიყვარულის ახსნაზე „არაადეკვატურად“ უპასუხა!.. საბოლოოდ, 43 წლის რობერტ კორნსის საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცა, რომელმაც დაადგინა, რომ დაზარალებულს საკომპენსაციოდ, 1,7 მლნ გირვანქა სტერლინგი უნდა მიეღო. ■

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲜᲔᲑᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ

ამსტერდამის ხელისუფლება ჰომო და ჰეტეროსექსუალ წყვილებს ქალაქის ყველაზე ცნობილ ვონდელპარკში სექსით ტკბობის უფლებას აძლევს. ეს დადგენილება ძალაში ზაფხულის დამლევს შევა! „რატომ უნდა ავკრძალოთ ის, რისი აკრძალვაც შეუძლებელია?“ — ამბობს ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელი მოლ ვან გრიკენი და ამ სიტყვებით ხელისუფლების გადაწყვეტილებას ასაბუთებს. პოლ ვან გრიკენი ფიქრობს, რომ სექსით დაკავებული წყვილები პარკის დამსვენებელთა მყუდროებას არ დაარღვევენ, „ადამიანთა გარკვეული ჯგუფი“ კი ამით სიამოვნებასაც მიიღებს...

ბუნების წიაღში სექსით ტკბობის მოყვარულთ რამდენიმე წესის დაცვა მოუწევთ: მათ დღის საათებში, საბავშვო მოედნების სიახლოვეს „საქმიანობა“ ეკრძალებათ, „პროცესის დასრულების“ შემდეგ კი „მოქმედების ადგილის“ მოწესრიგება და დასუფთავება ევალებათ.

ქალაქის ადმინისტრაციის აზრით, პარკის დამსვენებლებს შეყვარებულ წყვილთა სქესობრივი აქტი უფრო ნაკლებად შეაწუხებთ, ვიდრე უმეთვალყურეოდ მორბენალი ძაღლები. ამსტერდამში სულ მალე ამოქმედდება კანონი, რომელიც ძაღლის პატრონს, პარკში ცხოველის თასმის გარეშე გასეირნებას აუკრძალავს! ■

ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ!

ჩვენ კვლავაც ველით თქვენს შეფასებებს, იდეებს, სურვილებს. მოგვწერეთ ელფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com, დაგვიმეორეთ ტელ.: 8.99.17.35.27 ან გამოგვიგზავნეთ წერილი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

ფოტოკუთხეები



საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი ბუხამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ღიმღელე — Ⓜ · · · · · · · · · · · · · · · Ⓜ — ბუხამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში